მოწაფის დღიური

(„ბ ულ ი“),

თხზულება

გდძონდ დეამიჩისა.

ნათარგმნი

ი. ცისკარაშვილის მიერ.

გამოცემული

ნინო ცისკარაშვილისაგან.



ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკ. ქუჩა, № 21.

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Сентября 1891 г.

ორიოდე სიტყვა მკითხველის მიმართ.

ეს წიგნი ეკუთვნის იტალიის სახელ-განთქმულ მწერალის დე-ამიჩის კალამს. ორის წლის განმავლობაში იგი იტალიანურს ენაზედ რამდენიმე ათი ათასი ეგზემპლიარი გაიყიდა და ისე მოეწონა იქაურს მკითხველებს, რომ „ბავშვების სახარება“ უწოდეს და ყოველს ოჯახში აუცილებელი საკითხავი წიგნი შეიქმნა. მწერალს აწერილი აქვს სასწავლებელში ყოფნის ხანა ისეთის სავსებით, სიმართლითა და ხელოვნებით, რომ ყოველი, დიდი და პატარა, ვისაც-კი სასწავლებლის კარები უნახავს, სიამოვნებით წაიკითხავს და ბევრჯელ აუძგერდება გული ამ ფურცლების კითხვის დროს, ბევრჯელ გაახსენდება თავისი ყმაწვილობა და თვისდა უნებურად თვალზედ ცრემლის კურცხალი გადმოეკიდება.

იფიქრებთ, ამდენს წიგნში სასწავლებლის სადა და შეუხამებელ ცხოვრების შესახებ რა უნდა ეთქვა მწერალსაო? მაგრამ წაიკითხავთ და გაოცდებით: ამ წიგნში მთელი ცხოვრებაა აწერილი მოზრდილ, უკვე გონებაში ჩავარდნილ ბავშვისა თავისის ავითა და კარგით; აღნიშნულია სხვა-და-სხვა გვარი მდგომარეობა, ზნე-ჩვეულება, წესი ბავშვების აღზრდისა, საზოგადოებათა და დაწესებულებათა მნიშვნელობა და თვით საზოგადო ცხოვრებაც-კი შეუ-

ფერადებლად, შეუხამებლად, საოცარის სინამდვილითა და სისწორით.

ამ წიგნიდგან ჩვენი ქართველი ოჯახი, რომელიც აქამდე სასურველად ვერა ჰზრდის ოჯახში შვილს და ვერც ხელს უმართავს ბავშვის სასწავლებელში სწავლას, ბევრს რასმე ისწავლის, ბევრს ისეთს ამოიკითხავს, რაც გულის ხმასა შინა ჩააგდებს, ბევრჯელ წამოიძახებს გულ-აჩვილებული: „შაბაშ, განათლებულო ოჯახო! ჭეშმარიტად შენ გცოდნია შვილის აღზრდა და იმიტომაცა გყავს ნამდვილი მამულიშვილებიო!“ ეს წიგნი დაანახვებს ქართველს, რა სიფაქიზით უხსნის განათლებული ოჯახი შვილს გონებას, როგორ ადევნებს თვალ-ყურს ყოველს იმის სულიერს მოძრაობასა და ზნეობრივს გაფურჩქვნას; ეს წიგნი გადაუშლის ადამიანს მოზარდ ბავშვის ჯერ კიდევ ცხოვრებით მწიკვლ-შეუცხებელს სულსა და გულს, იმის პირველს აძგერებას, გონების თვალის პირველს ახილებას, კეთილისა და ბოროტის პირველს შეგნებას...

ერთი გონიერი მწერალი ამბობს, რომ „ბავშვის აღზრდა აკვნიდგან უნდა იწყებოდესო“ ტ, მართლაც, ამ „დღიურიდგან“ დარწმუნდებით, რომ მოსწავლე ბავშვი სასწავლებელში მთელს ცხოვრებას გამოიცვლის ხოლმე, თავისის დარდითა და სიხარულით, სიკეთითა და ვარამით... და აი, ამ დროს ეჭირვება სწორედ ხელ-მძღვანელი, წინ-გამძღოლი, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი მშობლები ბავშვებს

სრულიად არ აქცევენ ყურადღებას და ბედის-ანაბარად სტოვებენ. აქ, ვით სარკეში, დაინახავთ როგორც ბავშვის სულსა და გულს, იმის ზნეობრივად თანდათანობითს წარმატებას, ისე ჭეშმარიტს ხატებასა და სახეს ნამდვილის მშობლისას და გულ-მტკიენეულ. აღმზრდელისა და მასწავლებლისას...

წაიკითხე, მკითხველო, და ჩემთან ერთად შენც ინატრებ, როდის იქნება ჩვენი სასწავლებელი იმდენად განკარგდეს, რომ იტალიის სასწავლებელსავით წმიდა გრძნობას უნერგავდეს ბავშვს, ისეთისავე სიფაქიზით უღვიძებდეს გონებასა და ზნეობას; როდის იქნება, რომ ჩვენი ოჯახი ასეთისავე სიფრთხილით, ასეთისავე გულ-მოდგინებით სცდილობდეს ბავშვის გაადამიანებას, იმის განვითარებას და იმის ჭეშმარიტ მამულიშვილად მომზადებას!.. დიაღ, წაიკითხე, ქართველო მშობელო, და ამ სადა აწერილობაში ბევრს სამაგალითოსა და მისაბაძავს იპოვი.....

მთარგმნელი

1895 წ.

ოქტომბერი

17-ი. ორშაბათი.

დღეს პირველი დღეა სწავლის დაწყებისა. ზაფხულის თავისუფალი სამი თთვე სიზმარსავით გაჰქრა. დღეს დილით დედამ სასწავლებელში წამიყვანა მესამე კლასში ჩასაწერად. მე ისევ აგარაკის სიმშვენიერე მედგა თვალ-წინ... სოფლის სიმშვენიერისა და სიკეკლუცის ფიქრში ვიყავ და დედა ჩემს უგულოდ მივჩანჩალებდი უკან. ქუჩებში აუარებელი ბავშვები ირეოდნენ და ერთი ყოფა და ჟღივილი ჰქონდათ. ორივე წიგნის მაღაზია ხალხით იყო სავსე. მშობლები შვილებისათვის წიგნებსა, რვეულებსა, აბგებსა და სხვა სასწავლო ნივთებსა ჰყიდულობდნენ. ჩვენის სასწავლებლის კარებთან ძვრა არ იყო, იმდენი ხალხი მოგროვილიყო. მოსამსახურე და პოლიციელი ხალხს ძლივს იმაგრებდნენ... შესავალ კარებში ჩემმა შარშანდელმა მეორე კლასის მასწავლებელმა, ყოველთვის მხიარულმა, თმა-მრეშმა და აწეწილმა, მხარზე ხელი დამადო და შემაყენა.

— მაშ ეგრე, ენრიკო! მითხრა მასწავლებელმა: სამუდამოდ ვშორდებით ერთმანეთს?

უიმისოდაც კარგად ვიცოდი, მაგრამ მაინც საშინლად დავლონდი. ვაი-ვაგლახით შევედით ეზოში. სასწავლებლის კიბე-დერეფანი ხალხით იყო სავსე. მშვენივრად მორთულს ქალებს, გლეხის დედაკაცებს, მუშებს, აფიცრებს, დიდიდედებსა და გოგო-მოსამსახურეებს, ყველას ბალღები მოეყვანათ და არზებით ხელში სასწავლებლის უფროსთან შესვლის ჯერს ელოდნენ. ხალხის ერიამულ-ლაპარაკისაგან ყურთა სმენა არ იყო. ქვემო სართულის შვიდ-კარებიანის დიდს ოთახის ნახვა, რომლიდგანაც ყველა კლასში შევიდოდა კაცი, საშინლად მესიამოვნა. თითქმის სამი წელიწადი ყოველ დღე ამ ოთახში გავივლ-გამოვივლიდი ხოლმე. დღეს ეს ოთახი ხალხით იყო სავსე. მასწავლებელი ქალები წამ და უწუმ გაივლიდნენ ხოლმე ამ ოთახში და ისევ უკან ბრუნდებოდნენ...

ჩემმა პირველ კლასის უფროს განყოფილების მასწავლებელმა-ქალმა თავის კლასის დირედგან თავი დამიკრა და მითხრა:

— ენრიკო, წელს შენ ზემო სართულში გადადიხარ... და ქვემო სართულში იშვიათად-ღა ჩამოხვალ! მითხრა და ნაღვლიანად შემომხედა.

სასწავლებლის უფროსს გულ-ნატკენი დედაკაცები შემოხვეოდნენ: უალაგობის გამო იმათი შვილები სასწავლებელში არ მიეღოთ. შარშანდელს

აქეთ ჩვენს უფროსს თითქოს თმა-წვერი უფრო გასთეთრებოდა. ჩემი ამხანაგები ხომ ზოგი უფრო ამაღლებულიყო და ზოგი დასრულებულიყო. პირველ კლასის უმცროს განყოფილებაში ახლად მიღებული ბავშვები გაქირზე იდგნენ და კლასში არ შედიოდნენ. ვინც-კი ძალად შეეყვანათ კლასში, ზოგი ტიროდა, ზოგი მაგიდაზე ხტოდა, ზოგს-კი, შენიშნავდა თუ არა, რომ ჩემი მშობელი სახლში მიდისო, ერთი ვაი-უშველებელი გაჰქონდა... მშობელი უკანვე ბრუნდებოდა ტ. ტკბილის სიტყვებით ამშვიდებდა გაკაპასებულს ბავშვს. მასწავლებელი-ქალნი თავს რეტ-დასხმულსავით შერბი-გარბოდნენ და ველარ მოესაზრათ, წესიერება როგორ ჩამოეგდოთ. ჩემი უმცროსი ძმა მასწავლებელ-ქალ დელკოტის განყოფილებაში მიიღეს და მე-კი მასწავლებელ პერბონის კლასში გადამიყვანეს. ათ საათზედ ყველანი კლასში შევგროვდით. ჩვენს კლასში ორმოც-და-თორმეტი შეგირდია. თხუთმეტი, თუ თექვსმეტი ურევია ჩემი წინანდელი, მეორე კლასის ამხანაგი და მათ შორის დეროსსიც, ის დეროსი, რომელიც ყოველ წელს პირველს ჯილდოს მიიღებს ხოლმე.

ჩვენის კლასის ოთახი მეტად პატარა, მეტად მოლრუბლული მეჩვენა. უნებლიედ მომაგონდა ტყე, მთა, მინდორი, ზაფხული. მომაგონდა მეორე კლასის კეთილი მასწავლებელიც; იმასთან დროს სულ სიცილსა ტ მხიარულებაში ვატარებდით. სიმაღლითაც ამხანაგის მაგვარი, დაბალის ტანისაა ის მასწავლებე-

ლი, სწორედ დავლონდი, კლასში როცა იმისი აწეწილი ტ ქერა თმა-წვერი ველარ დავინახე. ჩვენი ახალი მასწავლებელი მაღალია, უწვერო და გრძელი თეთრი თმები აქვს. შუბლი შესჰმუხვნია, მაგრამ ხმა ძლიერი და მეტად დაფიქრებული სახე აქვს. შუა კლასში სდგას და დაკვირვებით გვიცქერის... წამდა-უწუმ აცქერდება შეგირდს, თითქო ჩვენის გულის-პასუხის ამოკითხვა ჰსურსო: სიცილი და ღიმილი სრულიად არ არსებობს იმისთვის.

ესეც პირველი დღე!. ჯერ წინ კიდევ ცხრა თთვე გვიძევს... შრომა, შრომა და შემდეგ გამოცდა... ნაშრომ-ნამუშავარისა. საშინლად ველოდი გაკვეთილის გათავებას... მინდოდა მალე მენახა დედა ჩემი და გადავხვევნოდი. დედა ეზოს კარებში მელოდდა... შევნიშნე თუ არა, გავექანე იმისაკენ და ხელებზე კოცნა დავუწყე.

— ნუ შეშინდები, ენრიკო! მე და შენ სწავლა ერთად დავიწყოთო... მითხრა დედამ და შუბლზე ბაკოცა.

დედის სიტყვებმა გამამხნევა და ცოტა არ იყოს ნაღველი ჩამომეცალა. მაგრამ წინანდელი მასწავლებელი-კი აღარ იყო. ველარა ვნახავდით იმის კეთილსა და მხიარულს ღიმილს. სწორედ ამიტომ სასწავლებელიც წინანდებურად კარგი აღარ მეჩვენება.

18-ი. სამშაბათი.

დღეს ჩვენი ახალი მასწავლებელიც მომეწონა. გაკვეთილის დაწყებამდე თავის ალაგას იჯდა. წინანდელი იმისი შეგირდები ჩვენის კლასის კარებთან მოდიოდნენ და სალამს აძლევდნენ. „დილა მშვიდობისა, ბ-ნო პერბონო!“ ზოგიერთები კლასშიაც შემოდიოდნენ, ხელს ართმევდნენ და უკანვე გარბოდნენ. ყველას ეტყობოდა, რომ წინანდელი მასწავლებელი უყვარდათ. მასწავლებელი ყველას პასუხს აძლევდა, ხელს ართმევდა, მაგრამ შეხედვით-კი არც ერთისთვის არ შეუხედნია. დაფიქრებული იჯდა სკამზე და ფანჯარაში გაიყურებოდა. შეგირდების ქცევამ, გამხიარულების მაგიერ, საშინლად დააღონა... გაკვეთილის დროს მასწავლებელმა მაგიდათა შორის სიარული დაიწყო და ასე გვიკარნახებდა. უცებ შენიშნა, რომ ერთს შეგირდს სახეზე ძიძიბოსავით რაღაცა ეყარა... მიუახლოვდა შეგირდს, ნიკაპზე ხელი წაავლო და ჰკითხა: „ავად ხომ არა ხარო!“ ამ დროს მასწავლებლის უკან მჯდომმა შეგირდმა მასხარაობა დაიწყო. მასწავლებელი უცებ მიბრუნდა. შეგირდი ერთს ალაგას გაშეშდა, გაშრა და თავი ჩაღუნა. მასწავლებელმა თავზე ხელი დაადო ღ უთხრა: „შემდეგ აღარ გაბედოო“... ორის სიტყვით დააბოლოვა გაჯავრება და კვლავ განაგრძო გაკვეთილი. გაათავა გაკვეთილი, გადაგვავლო თვალი და ნელის, ძლიერის, მაგრამ ტკბილის ხმით გვითხრა:

— მომისმინეთ, ბავშვებო! ეს წელიწადი ერ-

თად უნდა გავატაროთ! იმეცადინეთ, ისწავლეთ და კეთილნი იყავით! მე ობოლი ვარ... სახლობა არ გამაჩნია... ერთად-ერთი დედა მყავდა და ისიც შარშან მომიკვდა. დღეს თქვენს მეტი აღარავინა მყავს! თქვენა ხართ ჩემი შვილები! მე თქვენ მიყვარხართ და იმედი მაქვს, თქვენც შემიყვარებთ. ნუ მიმიყვანთ იქამდე, რომ როდისმე თქვენგანი ვინმე დავსაჯო, და ამით დაამტკიცეთ, რომ გამგონი, კეთილი ბავშვები ხართ! სასწავლებელი თქვენი საკუთარი ოჯახია და თქვენ თითონ-კი—ჩემი ნუგეში და იმედი. მე არა გთხოვთ სიტყვიერს პირობას... არა! ისეც დარწმუნებული ვარ და სახეზედაც გატყობთ, რომ ჩემს თხოვნას წმინდად აასრულებთ. ამიტომ ერთობ ყველასი მადლობელი ვარ.

გაკვეთილი გათავდა. შეგირდებმა წყობით გარეთ გასვლა დავიწყეთ. ცელქობაში შენიშნული შეგირდი მივიდა მასწავლებელთან და აკანკალებულის ხმით სთხოვა:

— ბ-ნო მასწავლებელო, მაპატიეთ!

მასწავლებელმა შუბლზედ აკოცა და უთხრა:

— წადი, ითამაშე, ჩემო კარგო!..

21-ი. პარასკევი.

წრევანდელი წელიწადი უბედურებით დაიწყო. დღეს დილით მე და მამა ჩემი სასწავლებელში მივდიოდით და გზაზე ახალ მასწავლებლის შესახებ ვლაპარაკობდით. სასწავლებლის შესავალ კარებში

ხალხი შეგროვილიყო. „წელიწადი უბედურებით დაიწყოო“, წამოიძახა მამაჩემმა. ეზოს კარებში ძლივს შეეტანეთ შეგროვილს ხალხს. დიდს ოთახში მოეყარათ თავი მშობლებს. იმ ბავშვებისას, რომელნიც გუშინ სასწავლებელში არა დგებოდნენ. ყველა უფროსის ოთახის კარებს მისჩერებოდა... ხალხი ხმაურობდა და სულ იმას იმეორებდნენ: „საწყალი ბავშვი! საწყალი რობეტიო“. ოთახიდგან პოლიციელის ქუდი და ჩვენის უფროსის მელოტი თავი მოსჩანდა. მცირე ხნის შემდეგ უფროსის ოთახში მალალ-მალალი კაცი შევიდა. „ექიმიო!“. ერთბაშად წამოიძახა ხალხმა. ერთს მასწავლებელს მამაჩემმა ჰკითხა: „რა ამბავია!“ „შეგირდმა ფეხი მოიტეხაო“, უპასუხა მასწავლებელმა. „ეტლის ქვეშ ჩაუვარდა ფეხიო“, დაუმატა მახლობლად მდგომმა მეორე მასწავლებელმა.

მეორე კლასის შეგირდია. კლასში მომავალს დორა-გროსის ქუჩაზე შეენიშნა, რომ უმცროსის განყოფილების შეგირდი დედას უკან ჩამორჩენოდა და შუა ქუჩაში წაქცეულიყო. ის იყო ცხენის რკინის გზის ვაგონი მოდიოდა თურმე გაჩქარებული. რობეტი მიჰვარდნოდა ბავშვს, მოეცილებინა ვაგონისათვის, მაგრამ თითონ-კი ველარ გადაესწრო და ვაგონის თვალს ზედ ფეხზე გადაევლო.

მასწავლებელი რომ ამას გვიამბობდა, ოთახში რობეტის დედა გიჟსავით შემოვარდა... შვილის ამბავი შეეტყობინებინათ. რობეტის დედას მეორე ოთახში მყოფი დედაკაცი გადაეხვია და ორივემ

მორთეს ტირილი. ეს მეორე დედაკაცი სიკვდილს გადარჩენილ ბავშვის დედა იყო. მცირე ხნის შემდეგ ოთახიდგან ჩვენი უფროსი გამოვიდა და ხელში აყვანილი რობეტი გაიყვანა. რობეტი საშინლად გაყვითლებულიყო, თვალები მიელულა და თავი გვერდზე ჰქონდა გადადებული. თვით უფროსსაც სახეზე ნაცრის ფერი დასდებოდა. სასწავლებლის აივანზე უფროსი ცოტა ხანს შესდგა და რობეტი გარს შემოხვეულ ხალხს აჩვენა. ყველამ ერთ-ხმად წამოიძახა:

— ყოჩაღ, რობეტ, ყოჩაღ! ვინც მახლობლად იყო, მასწავლებელი, თუამხანაგი, რობეტს ხელებზე ჰკოცნიდა. რობეტიმ გაახილა თვალები და თავისი აბგა მოიკითხა. ხიფათს გადარჩენილ ბავშვის დედამ უჩვენა აბგა რობეტს და ალერსით უთხრა: „აბგა მე მაქვს, ჩემო მშვენიერო!“ რობეტის დედამ და უბედურობას გადარჩენილ ბავშვის დედამ ჩაისვეს ეტლში და შინისკენ გაეშურნენ. ჩვენ-კი კლასში შევედით.

22-ი. შაბათი.

გუშინ საღამოს მასწავლებელმა რობეტის ამბავი შეგვატყობინა (საწყალმა ამას იქით თურმე ყავარჯნებით უნდა იაროს)... ამ დროს ჩვენმა უფროსმა კლასში ახალი, შავ-თვალ-წარბა შავ-ხალათა და ტყავის ქამრიანი შეგირდი შემოიყვანა. უფროსმა მასწავლებელს რაღაცა წასჩურჩულა, ბავშვი კლასში დასტოვა და თითონ გავიდა. მასწავლებელმა ბავშვს ხელი წაავლო, ჩვენ წინ დააყენა და გვითხრა:

— გაიხარეთ, ბავშვებო! იტალიელ რეჯიოს შვილი, კალაბრიის ღვიძლი შვილი ჩვენ შემოგვეხიზნა. აქედგან ამის ქვეყნამდე ოთხი ათასამდე ვერსია. შეიყვარეთ შორიდგან მოსული ძმა. ამის სამშობლო ჩვენის ქვეყნის საუკეთესო ნაწილია, ამის სამშობლომ იტალიას საუკეთესო შვილები აღუზარდა და დღესაც იგი არა ერთსა და ორს თავ-განწირულს, ძლიერს მუშაკსა და გულადს ჯარის-კაცს უზრდის იტალიას. კალაბრია ბუნებით მეტად მდიდარი კუთხეა... იმისი შვილი გულადი და ნიჭიერია! ახალი ამხანაგი ისე უნდა შეიყვაროთ, რომ სრულიად არ აგრძნობინოთ სამშობლოს დაშორება. დაუმტკიცეთ, რომ იტალიის შვილი ყველა იტალიის სასწავლებელში პატიოსან და ერთგულ მეგობარსა და ძმებს იპოვის. მასწავლებელი მიუახლოვდა კედლის რუკას და გვიჩვენა ქ. რეჯიო და ჩვენს პირველ შეგირდს დეროსის გამოუძახა. დეროსი ახალის შეგირდის მახლობლად დადგა. „დეროსი, უთხრა მასწავლებელმა: კლასში პირველი შეგირდი ხარ! ამხანაგების სახელით ახალ ამხანაგს მიესალმე. სალამი კალაბრიის შვილებს პემონტის შვილთაგან!“

დეროსი გადაეხვია კალაბრიელს და ხმა მაღლა უთხრა: „უმორჩილესად გთხოვთო!“ უთხრა ეს ტ მხურვალედ გადაჰკოცნა. ჩვენ ყველამ ტაში დავკარით.

— ჩუმად! დაგვიყვირა მასწავლებელმა. კლასში ტაშის დაკვრა არ შეიძლება. მასწავლებელმა მოიყვანა კალაბრიელი და ჩვენ შორის დასვა.

— კარგად დაიხსომეთ, რასაც გეუბნებით, განაგრძო

მასწავლებელმა: ორმოც-და-ათი წელიწადი ვიომეთ, ოც-და-ათი ათასი იტალიელი გამოეთხოვა წუთი-სოფელს მხოლოდ იმიტომ, რომ კალაბრიელს ტურინში და ტურინელს კალაბრიაში თავის თავი სამშობლოში და არა უცხოეთში ჰგონებოდა. ვინც-კი გაჰბედავს და ამხანაგს შეურაცხყოფას მიაყენებს, მხოლოდ იმიტომ-რომ სხვა-და-სხვა მხრიდგანა ვართო, იგი ყოვლად ულირსია სამ-ფეროვანს ბაირაღს უყურებდეს.

კალაბრიელი დაჯდა თუ არა თავის ალაგას, მეზობელმა ამხანაგებმა კალმები, ფანქარი, რვეულები და სხვა-და-სხვა ნივთები აჩუქეს. ერთმა ცოტა მოშორებით მჯდომმა შეგირდმა ახალ ამხანაგს შვედური ფოსტის მარკაც-კი შესთავაზა.

25-ი. სამშაბათი.

ამხანაგებ შორის შეგირდი გარონე, რომელმაც კალაბრიელს შვედური მარკა აჩუქა, უფრო მომწონდა: იგი ყველაზე მაღალია; ასე თორმეტის წლისა. იქნება. თავი მეტად დიდი აქვს და მხრები განიერი. ვაჟკაცსავით მუდამ დაფიქრებულია, მაგრამ სახეზე განუშორებელი ღიმილი უმტკიცებს, რომ მეტად კეთილის გულისაა... მეორე ამხანაგი კორეტიც ნაკლებ არ მომწონს. ტანისამოსი განუშორებლივ ყავის ფერი აცვია და კატის ტყავის ქუდი ჰხურავს. კორეტიც ყოველთვის მხიარულია. იმისი მამა სამოცდა-ექვსის წლის ომის დროს მთავარ ჰუმბერტოს რაზმში ჯარის-კაცად იყო. ეხლა-კი შეშითა ვაჭრობს. ამბო-

ბენ, ჯარში სამი მენდალი მიიღოო. ჩვენ პატარა კუ-
ზიანი ნელიცა გვყავს. საწყალი მეტად სუსტი და
გამხდარია. გვყავს ერთი ვოტინიც. ყოველთვის
კარგად არის ხოლმე ჩაცმული და მეტის-მეტის კოხ-
ტაობით თავის დღენი ტანისამოსის ბღერტა-სუფთა-
ობაშია. ჩემს წინ ზის ერთი ბავშვი, რომელსაც მეტი
სახელი „პატარა კალატოზი“ უწოდეს*). ვაშლსა-
ვით რგვალი პირი და აფშეკილი ცხვირი აქვს... სა-
შინელი მასხარაა „ჩვენი კალატოზი“... სახე მეტად
მოძრავი აქვს და საუცხოოდ აჯავრებს კურდღელს.
საწყალს ამ დღე-მოსვენება არა აქვს, ყველა სთხოვს,
კურდღელს გააჯავრეო. ისიც დაუზარელია და ყვე-
ლას უსრულებს თხოვნას. „კალატოზს“ დაგლეჯილი
ქუდი ხელსახოცსავით ყოველთვის ჯიბეში უძევს.
იმის გვერდით გაროფი ზის. გაროფი მაღალ-მაღალი,
გამხმარი, არწივის ნისკარტის მაგვარ ცხვირიანი და
პატარა თვალებიანია. გაროფი ნამდვილი ვაჭარია. აქ
სკოლაშიაც-კი კალმებით, ფანქრებით და სხვა წვრილ-
მან ნივთებით ვაჭრობს... ერთი არისტოკრატიცა
გვყავს—კარლო ნობისი. სახეზედვე ეტყობა, რომ ამა-
ყის გულისაა. ის ჩემს კარგ ამხანაგებ შუა ზის. ერ-
თი იმის მეზობელი მჭედლის შვილია. ტანისამოსზედვე
ეტყობა, რომ ღარიბი მშობლები ჰყავს. თითონაც
გაყვითლებულია, მობუზული და არას დროს არ გა-
იცინებს. მეორე ქერა ამხანაგს ხელი სულ შეხვეუ-

*) იმისი მამა კალატოზია.

ლი აქვს. იმის მამა ამერიკაში წასულა და დედა-კი მწვანილეულობითა ვაჭრობს.

საკვირველი ბავშვია ჩემი მარცხენა ამხანაგი სტარდი. ყოველთვის ჩუმადა ზის და მასწავლებელს გულმოდგინედ უგდებს ყურს. გაკვეთილის დროს რომ დაელაპარაკო, ორჯელ ხმას არ გაგცემს და მესამედ-კი კარგს წიხლსა გდრუზავს. იმის გვერდზე მეტად უშნო ფრანტი ზის. ფრანტი შარშან მეორე სასწავლებლიდამ დაითხოვეს და წელს მშობლებმა ჩვენს სასწავლებელში მოაბარეს. ორი ერთ ნაირად ჩაცმული ძმებიცა გვყავს. ძმები ერთმანეთს ისე ჰგვანან, რომ უმცროსუფროსს ვერ გამოარჩევ. ორივეს კალაბრიული ხოხბის ფრთიანი ქუდები ჰხურავთ. ჩვენს კლასში ყველაზე ლამაზი, ნიჭიერი და მეცადინე დეროსია. წელსაც უეჭველია პირველი შეგირდი დეროსი იქნება. მასწავლებელი მეტად ხშირად ჰკითხავს გაკვეთილს დეროსს... გრძელ-ხალათა მჭედლის შვილი სწორედ რომ შემიყვარდა. ამბობენ, ვითომ პრეკოსის მამა სცემს ხოლმეო. ის-კი მორცხვია და ფრთხილობს არავის აწყენინოს-რა. თუ ხიფათად მოგეხალა, ან ფეხი მოგარტყა, მაშინვე ბოდიშს მოიხდის და პატიებასა გთხოვს. ჩვენს სკოლაში ყველაზე კეთილი და ღონიერი გარონეა.

26-ი. ოთხშაბათი.

დღეს დილით გარონემ თავი იჩინა. პირველის კლასის უფროს განყოფილების მასწავლებელმა-ქალ-

შა გზაზე შემაყენა და მკითხა, რომელ საათზე შეიძლება დედაშენთან მოვიდეო. ამის გამო ცოტა დავიგვიანე გაკვეთილზე. მასწავლებელი მაინც ჯერ არ იყო შესული კლასში, მე რომ მივედი. სამი შეგირდი ქერა და გამხდარ მემწვანილეს შვილს კროსს აწვალებდნენ. საწყალს სახაზავებით სცემდნენ, ლანძღავდნენ და უშვერად დასცინოდნენ. გაფითრებული კროსი უძრავად იჯდა სკამზე; ხან ერთს შეჰყურებდა ჭ ხან მეორეს, თითქოს ეხვეწებოდა, თავი დამანებეთო. საძაგელი ფრანტი შეხტა მაგიდაზე, კალთები აიკრიფა, თითქოს მწვანილი უჭირავსო, და კროსის დედას დასცინა. კროსიმ ახლა-კი ველარ მოითმინა, სტაცა ხელი ახლო მდგომ საწერელს და ფრანტს წამოუსვა. ფრანტიმ აიცდინა და საწერელი კარებში შემოსულ მასწავლებელს გულში მოჰხვდა. ყველანი შეშინდნენ და სული განაბეს. ფერ-წასული მასწავლებელი მოგვიახლოვდა და აკანკალებულის ხმით გვკითხა: „ვინ იყო?“ ხმა არავინ ამოიღო. მასწავლებელმა ხმა აუმაღლა და ხელ-მეორედ გვკითხა: „საწერელი ვინ გამოისროლა?“ გარონეს შეეცოდა კროსი, წამოდგა და მასწავლებელს გაბედვით უპასუხა „მე!“ მასწავლებელმა გაკვირვებით შეჰხედა გარონეს. თვალი გადაგვავლო ყველას და უთხრა: „არა, შენ არ იყავ. დამნაშავეს არ დავსჯი, მხოლოდ ადგეს!“ თვალ-ცრემლიანი კროსე წამოდგა და წამოილუღლუღა: „მე მცემდნენ, მლანძღავდნენ... ველარ მოვითმინე და“... „დაჯექ, უთხრა მასწავლე-

ბელმა კროსის: ადგნენ ისინი, ვინც შენ მოთმინებიდ-
გან გამოგიყვანა. თავ-ჩაღუნული ოთხი შეგირდი ადგა.

—თქვენ გალანძღეთ ამხანაგი, რომელმაც მი-
ზეზი არა მოგცათ-რა? თქვენ დასცინოდით სილა-
რიბეს, სცემდით იმას, ვისაც პასუხის გაცემა არ შე-
ეძლო? მეტად საძაგლად და უსინიდისოდ მო-
ქცეულხართ. უნდა გრცხვენოდეთ, თქვე უმსგავსე-
ბო! მასწავლებელმა დაიწყო სიარული. გარონე თავ-
ჩაღუნული ისევ ფეხზედ იდგა. მასწავლებელი მიუ-
ახლოვდა გარონეს, აუწია თავი და უთხრა: „კეთილი
გული გქონია გარონე“. გარონემ ამითი ისარგებლა
და მასწავლებელს ჩუმად რაღაც უთხრა. მასწავლე-
ბელი მოუბრუნდა ოთხსავე დამნაშავეს და უთხრა:

— დასხედით! მიპატიებიაო.

27-ი. ხუთშაბათი.

ის-ის იყო გაზეთში გამოცხადებულ საწყალ დე-
დაკაცისთვის თეთრეული უნდა წამეღო, რომ ჩვენსა
მასწავლებელი-ქალი არ მოსულიყო. თავისი სიტყვა
აასრულა. აგერ წელიწადი გადიოდა, რაც ჩვენსა
აღარა ყოფილა. დროს სრულიად არ გამოუცვლია.
ისეთივე დაბალია, ისევე უგემურად ჩაცმულ-დახურუ-
ლი. ან სადა აქვს დრო, რომ თავის თავს უგდოს
ყური. წელს თითქო უფრო გაყვითლებულა და ხვე-
ლებითაც მეტად ახველებს.

— როგორა ხართ? ჰკითხა დედაჩემმა: როგორც
გეტყობათ, თავს სრულიად არ უფრთხილდებით!

— რა დროს თავის თავზე ზრუნვაა, როცა სხვა უფრო უკეთესი და წმიდა საზრუნველი აქვს ადამიანს, ღიმილით უპასუხა დედას მასწავლებელმა.

— ხმა-მაღლა ლაპარაკი და აღელვება იცით, ეგ სრულიად არ გარგებთ.

ეს-კი მართალი სთქვა დედამ. მეც მახსოვს, როცა იმის კლასში ვიყავ, სულ მოუსვენრად იყო ხოლმე და გაჟაციცებით ადევნებდა თვალს ბავშვებს, რა არის საქმეზე ბეჯითად იყვნენ და არ იცულლუტონო. რაც უნდა ცუდი ზნე სჭირებოდა, მაინც საყვარელი მასწავლებელი იყო. თავის შეგირდებს არას დროს არ ივიწყებდა, ყველას სახელი და გვარი ახსოვდა და გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს თავის ნაშეგირდალის მომავალ ყოფა-ქცევა-სწავლას. შეგირდებიც არ ივიწყებდნენ იმის დედობრივს ზრუნვას. ბევრი დავაჟკაცებული, სხვა-და-სხვა უწყებაში მოსამსახურე ნაშეგირდალი მიდის ხოლმე იმასთან სანახავად. დღეს მასწავლებელს თავის შეგირდები პინაკოტეკში ჰყოლოდა და ჩვენსა-ცოტა არ იყოს დაღალული მოვიდა. ყოველ ხუთშაბათობით, წესად აქვს, შეგირდებს წაიყვანს ხოლმე მუზეიში და ყველა ნივთს იქვე დაწვრილებით უხსნის. მასწავლებელმა მეორე ოთახში შენიშნა ჩემის პატარა ძმის საწოლი (ორის წლის წინად ჩემი საწოლი იყო), საჩქაროდ გავიდა მეორე ოთახში და კარგა ხანს დასცქეროდა საწოლს, არ ვიცი-კი რად! როგორც მოველოდი კიდეც, მასწავლებე-

ლი. ჩვენსა მცირე ხანს დარჩა. სჩქარობდა წითელით ავადმყოფ შეგირდის ნახვას. ესეც რომ არა ყოფილიყო, მეორე დღისათვის რვეულები გასასწორებელი ჰქონდა და ამასთან კერძო არითმეტიკის გაკვეთილიც. [illegible] დროს მასწავლებელმა მკითხა:

— ეხლა [illegible] ამიცანებს აკეთებ და დიდს თხუზულებებსა სწერ! შენი წინანდელი მასწავლებელი მაინც კიდევ გიყვარსო? შუბლზე მაკოცა და მიშავალმა კიბიდგან ამომძახა: ენრიკო, არ დამივიწყო!

საყვარელო მასწავლებელო, არა დროს არ დაგივიწყებ! გავიზრდები, ვინ იცის რა გვარად დატრიალდება ჩემი ბედი და მაინც შენ არ დაგივიწყებ; ყოველთვის მოგძებნი; გნახავ, რომ კიდევ დავსტკბე შენის დედობრივის მზრუნველობითა ‡ სიყვარულით. შენც რომ ვერ გიპოვო, მომიხდება რომელსამე სკოლის მახლობლად გავლა და შემომესმება მასწავლებლის ხმა თუ არა, შენს ხმას მომაგონებს, მომაგონებს იმ დროსაც, როცა შენ, ავადმყოფმა, დაღლილმა, დაულალავის შრომით ბევრი, ბევრი რამ მასწავლე... ყველა შეგირდებს განურჩევლად გიყვარდა, გულით იტანჯებოდი, სწუხდი, როცა-კი ვინმე ჩვენგანი შეუფერებლად იქცეოდა; მხიარულობდი, სცოცხლდებოდი, როცა ყველანი კარგად ვიქცეოდით. არა... არა დროს არ დაგივიწყებს, ჩემო კარგო, შენი პატარა ენრიკო!

28. პარასკევი.

გუშინ საღამოს დედა ჩემი, ჩემი და სილვია და მე წავედით და თეთრეული წავუღეთ იმ საწყალს დედაკაცს, რომლის ბინაც გაზეთში იყო გამოცხადებული. მე ბოხჩა მიმქონდა, სილვიას გაზეთი ეჭირა ხელში. როგორც იყო, იმისი სად[illegible] პოვნეთ. შენობის უკანასკნელ კარებზე დაკაკუნა დედამ. ოთახიდგან გამხდარი ახალგაზდა დედაკაცი გამოვიდა. ეს დედაკაცი მგონი ადრეც მინახავს იმავე ტანისამოსში.

— ეს თქვენა სწერიხართ გაზეთშიო? ჰკითხა დედამ.

— დიახ, ქალბატონო!

— აი, ცოტაოდენი თეთრეული მოგიტანეთ. საბრალომ არ იცოდა როგორ გადაეხადნა მადლობა დედასთვის. ჩვენ პატარა, ბნელს ოთახში შევედით. ოთახის კუთხეში, მარჯვნივ სკამთან დაეჩოქნა ბავშვს, სკამზე ქაღალდი დაედო, საწერელი იატაკზე და ისე სწერდა. „ნეტა ამ ბნელაში რასა ჰხედავს, რომ სწერს-მეთქი“, გავიფიქრე და უცებ ბავშვის ქერა თმა და ჩითის ხალათი ვიცანი. ჩვენი მემწვანილის შვილი კროსი იყო. წავჩურჩულე დედას ეს ამბავი, მანამ ის დედაკაცი თეთრეულს ათვალიერებდა.

— დაჩუმდიო! მითხრა დედამ: იქნება შერცხვეს, რომ იმის დედას შემწეობას აძლევ! არ გამოეხმაურო. ამ დროს კროსი წამოდგა. მე საშინლად გავწითლდი. კროსმა გაიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

— აი, როგორა ვცხოვრობთო! დაიწყო კროსის დედამ: მე და კროსი მარტოდ-მარტონი ვართ. მაგის მამა აგერ ექვსი წელიწადია, რაც ამერიკაში წავიდა. ბოლოს დროს მეც რაღაც ავადმყოფობა დამჩემდა და მწვანილის გასასყიდად ველარ დავდივარ, რომ ამ გვარად აღებულის ფულით ცოტა მაინც არის სული მოვიბრუნოთ. საწყალ ლუჯინოს მაგიდაც-კი არა აქვს, რომ რიგიანად სწეროს. მანამ სკამები გვქონდა, კიდევ იოლას მიდიოდა, ეხლა ისიც აღარა გვაქვს. სინათლეც-კი არ არის, საბრალოს სიბნელისაგან თვალები უფუჭდება. კიდევ მადლობა ღმერთს, ქალაქი მუქთად აძლევს სასწავლო ნივთებს და სასწავლებელში დადის... არცა ზარმაცობს ჩემი ლუჯინო.

დედაჩემმა, რაც-კი ქისაში ჰქონდა, სულ იმ დედაკაცს მისცა, ბავშვს აკოცა და ოთახიდგან გამოვედით. დედამ მართალი მითხრა:

— აი, რა გვარს გარემოებაშია და მაინც ჰმეცადინეობს და შრომობს შენი ამხანაგი. შენ-კი ყველაფერი ხელს გიწყობს, არაფერს ნაკლულევანებას არა ჰგრძნობ და მაინც კიდევ სწავლა გეძნელება. არა, ჩემო ენრიკო, კროსის ერთის დღის შრომა უფრო ძვირფასია, ვიდრე შენი მთელის სიცოცხლის შრომა. აი, სწორედ მაგისთანები არიან პირველის საჩუქრისა და ქება-დიდების ღირსნიო!

წ ე რ ი ლ ი

28. პარასკევი.

ოჰ, ჩემო ენრიკო, როგორღაც უხალისოდა სწავლობ! დამნატრულდა, გაბედვით, გულადად სკოლაში მიმავალი დაგინახო. მაგრამ მომისმინე: შენ რომ სკოლაში არ დასდიოდე, ვერ წარმოიდგენ, რა საცოდავი, უაზრო იქნებოდა შენი სიცოცხლე. ერთს კვირაზე შენ თითონ შემეხვეწებოდი, სკოლაში დამაბრუნეო. უაზრო თამაშობა და უსაქმურობა მალე მოგბეზრდებოდა. მერე ეხლანდელ დროში აბა ვინ არა სწავლობს, ენრიკო! წარმოიდგინე: დღიური მუშა, თავის მძიმე მუშაობას შემდეგ, საღამოს სკოლისკენ მიეშურება; მუშა დედაკაცები კვირაობით წერა-კითხვასა სწავლობენ; სამხედრო ვარჯიშობით დაღლილ-დათენთილი ჯარი, ჰბრუნდება თუ არა სახლში, მაშინვე წიგნსა ჰკიდებს ხელს. ბრმა, ყრუ და თვით პატიმარიც-კი საპატიმროში დროს ცუდად არა ჰკარგავს და წერა-კითხვასა სწავლობს. ნუ დაივიწყებ, რომ დილით, როცა შენ სკოლაში მისდიხარ, სწორედ იმავ საათს, იმავ წუთს, იმავე ქალაქში სასწავლებლისკენ ოც-და-ათი ათასი შენი ტოლი ბავშვი მიეშურება. მაგრამ ეს რა... წარმოიდგინე: მთელის ხმელეთის ზურგზე უთვალავნი ბავშვნი სწორედ ამავე დროს სკოლისაკენ მიეშურებიან, ჩუმს სოფელშიაც, ხმაურობით სავსე ქალაქშიაც, ზღვისა და ტბის პირად, ცხოველ მზიან, თუ მუდამ თოვლიან ქვეყ-

ნებშიაც; ზოგან ცხენით, სადაც-კი ვაკეა, ნავებით—სადაც არხები და მდინარეებია, მარხილით—სადაც ყინვა-თოვლია; მთა-ღრეზე, ბილიკებზე, ყველგან და ყოველგან წიგნებით დატვირთული, ათას ფრად ჩაცმულ-დახურული, სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე პატარა ბავშვები სკოლისაკენ სასწავლებლად მიეშურებიან. მყინვარე რუსეთის სკოლებში, თუ მუდამ ამწვანებულ არავიის სკოლებში მილიონობით ბავშვები სწავლობენ სხვა-და-სხვა გვარად, სხვა-და-სხვა ენაზე, მაგრამ ყველა ერთსა ღ იმავეს-კი სწავლობს. წარმოიდგინე, ეს უთვალავი ყველა ერის ჭიანჭველა ბავშვები! წარმოიდგინე ეს მოძრაობა! ენრიკო, შენც ურევიხარ ამ მოძრაობაში! ეს მოძრაობა რომ შეჩერდეს, კაცობრიობა ხომ გაველურდებოდა! ეს მოძრაობა წინ-სვლაა, იმედია, ქვეყნიერების დიდებაა! ნუ შეშინდები, პატარა მეომარო დიდის რაზმისავ! შენი იარაღი წიგნია, კლასი შენი რაზმია, ქვეყნიერება—ბრძოლის ველი და განათლება—გამარჯვება! ნუ დაიხევ უკან, ნუ შეღრკები, ენრიკო!..

შენი მამა.

მაამულიშვილი

(მოთხრობა)

29. შაბათი.

არა, უკან არ დავიხევ, არ შევდრკები, მაგრამ უფრო მეტის სიამოვნებით ვივლიდი, ვიდრე ეხ-

ლა დავდივარ, მასწავლებელი ყოველ დღე რომ გვიამ-
ბობდეს ხოლმე ისეთს მოთხრობას, როგორიც დღეს
გვიამბო. დაგვპირდა, რომ თთვეში ერთხელ თითო
ამისთანა ამბავს გეტყვით და გადაგაწერინებთ კიდე-
ცაო. ეს მოთხრობები ნამდვილი ამბები იქნება და
თითოეულში რომელისამე ყმაწვილის კარგი საქციე-
ლი უნდა იყოს აღწერილი. დღევანდელს მოთხრობას
„პ ა წ ი ა მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ი“ ეწოდება.

ისპანიის ქალაქ ბარცელონიდგან გენუესაკენ გა-
მოემგზავრა საფრანგეთის გემი. გემში ფრანგ-იტა-
ლიელ, ისპანიელ და შვეიცარიელთა შორის ერთი უმ-
სგავსად ჩაცმული თერთმეტის წლის ბიჭიც ერია.
ბავშვი მოგზაურთ არ ეკარებოდა და ყველას მკაც-
რად შეჰყურებდა.

ორის წლის წინად პადუას მახლობლად მცხოვ-
რებელმა გლეხმა, ბავშვის მამამ, ეს ყმაწვილი ჯამ-
ბაზებს მიჰყიდა. ბავშვი ჯამბაზებთან ერთად მოგზა-
ურობდა საფრანგეთსა და ისპანიაში და საკმაო სიცივე
და შიმშილიც გამოიარა. საწყალს შიმშილი და სი-
ცივე ისე არ აწუხებდა, როგორც ჯამბაზების უფ-
როსის ცემა-ტყეპა. ბავშვს ჯამბაზობას ასწავლიდნენ
და სწავლის დროს უდიერად სცემდნენ. ბარცე-
ლონში მეტად შეაწუხეს ბავშვი, სასტიკი ცხოვრება
ველარ აიტანა და გამოექცა პატრონს. ბავშვმა მი-
ჰმართა იქაურს იტალიის ელჩს. ელჩს შეეცოდა ბავ-
შვი, მისცა საგზაო ბილეთი გენუამდე და თან გე-
ნუას უფროსთან წერილი გამოატანა. ელჩი სთხოვ-

და წერილში გენუას უფროსს, რომ ბავშვი მშობელთან წარეგზავნა. ბავშვს მეტად დაბრანძული ტანისამოსი ეცვა და ჯამბაზების პატრონის ცემა-ტყეპისაგან სახე და ტანი მთლად დალურჯებოდა. იმისმა საცოდავმა ყოფამ გემზე მყოფ მგზავრთა ყურადღება მიიქცია: ყველას უნდოდა შეეტყო იმისი ვინაობა, მაგრამ ის თავისთვის მოშორებით იჯდა და ხმას არ იღებდა. ისე იყო ჯამბაზების პატრონისაგან შეშინებული და გულ-ჩათუთქული, რომ ყველა ადამიანი შეიჯავრა. სამი მგზავრი ისე გადაეკიდა, რომ ბოლოს მაინც აალაპარაკეს. ბავშვმა ფრანგულ-იტალიურ-ისპანიური ენა ერთმანეთში დომხალსავით აურდაურია და უამბო თავისი ამბავი. მგზავრები იტალიელები არ იყვნენ და თითქმის რომ ვერა გაიგესრა იმის ლაპარაკისა. მაინც შეეცოდათ ბავშვი და რამდენიმე გროში აჩუქეს. ფულის დანახვამ უფრო აალაპარაკა ბავშვი. ამათში გაერია სამი სხვა მგზავრი. შენიშნეს თუ არა საცოდავი ბავშვი, გადუყარეს ფულები—აიღე, აკრიფეო. ბავშვმა აკრიფა ფულები, შეეშმუხვნილი შეხედა მგზავრებს, გადუხადა მადლობა და საჩქაროდ შეძვრა თავის საწოლში. ბავშვმა ჩამოაფარა საწოლს ფარდა და თავის საქმეზე დაიწყო ფიქრი: „ამ ფულებით შემიძლიან ვიყიდო გემრიელი საჭმელი; ორის წლის შიმშილს შემდეგ ურიგო არ იქნება პირი ჩავიგემრიელო; ორის წლის ძონძების გამოცვლაც ურიგო არ არის. ამას გარდა ცოტა რამ შეიძლება შინაც მივიტანო, თორემ ცალიერ-

ტალიერს ვერაფერის სიამოვნებით მიმიღებენ მშობლებში... ეს ფულები ხომ მთელი სიმდიდრეაო!“ ორის წლის ტანჯულმა ძლივს მოილხინა და გამოიდარა.

ამ სასიამოვნო ფიქრებში იყო ბავშვი გართული, სამი მგზავრი-კი ისევ სასადილო მაგიდას უსხდნენ, ღვინოს შეექცეოდნენ და ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდენ, თუ სად და რა ქვეყანაში ემოგზაურნათ, და ბოლოს იტალის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. ბავშვმა ყურები აცქვიტა, თავის სამშობლოს სახელი რომ გაიგონა. ერთი მოსაუბრე ემდურებოდა იტალიის სასტუმროებს, მეორე რკინის გზას და ბოლოს სამივემ ყველაფერს ავად დაუწყეს ხსენება. ერთმა წამოიყვირა, რომ იტალიაში ყველანი გაიძვერანი და ავაზაკები არიანო! მესამემ,—იტალიელი მოხელენი უვიცნი არიანო! ბრიყვი ხალხიაო! წამოიძახა პირველმა; წუწკი ხალხიაო, დაუმატა მეორემ; ქურდიო... დაიწყო მესამემ, მაგრამ სიტყვა ველარ დაამთავრა. უცებ მაგიდაზე სეტყვასავით წამოვიდა ფულები. სამივე მოსაუბრენი წამოვარდნენ და გაოცებით აქეთ-იქით დაიწყეს ყურება. ფარდაში გადმოეყო თავი ბავშვს და მგზავრებს დაჰყვიროდა:

—უკან წაიღეთ, თავში იხალეთ თქვენი ფულები! მე არავითარს მოწყალებას არ მივიღებ იმათგან, ვინც ჩემს სამშობლოს ურიგოდ იხსენიებს და შეურაცხჰყოფს!

ნოემბერი

1-ი ნოემბერი.

გუშინ საღამოს საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ - ქალს პადუანელის ბავშვის მოთხრობა წავუღე. ქალების სასწავლებელი ჩვენის სკოლის მახლობლად არის. მივედი თუ არა სასწავლებელთან, ქუჩაზე შვიდასამდე მოსწავლე ქალი გამოიშალა. უქმეების გამო დაეთხოვნათ და გახარებულნი შინისაკენ მიეშურებოდნენ. სასწავლებლის პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეს პატარა ბიჭი იდგა, თავი კედელზე მიეყრდნო და მწარედ ტიროდა. ბუხრების წმენდით თავ-პირი და მთელი ტანი შემურული ჰქონდა. რამდენიმე მოსწავლე ქალი მივიდა და ჰკითხეს:

— რა დაგმართვნია, რად სტირიო?

ბავშვმა ტირილით უამბო, რომ ბლომად გავწმინდე ბუხრები, ხუთ მანეთამდე ფული ვიშოვნე და ამოდენა დღიური ნამუშავარი სულ დავკარგეო. უფულოდ რომ მივიდე ოსტატთან, გამიჯავრდება და მცემსო. სთქვა და კვლავ ტირილი მორთო. ქალები როგორღაც ჩაფიქრდნენ. ბავშვის გარეშემო სხვა მოსწავლენიც მოგროვდნენ. ერთმა მაღალ-მაღალმა მოსწავლემ (ქუდზე ცის ფერი ფრთა ჰქონდა გაკეთებული) ჯიბიდგან ფული ამოიღო და დაიძახა:

— მე ორი შაური მაქვს! ვისაც რა გაქვთ, მოიტათ, ბავშვს დანაკარგი შეუვსოთ.

— მეც ორი შაური მაქვს, სთქვა წითელ-კაბამ

და გადასცა თავის ამხანაგს. მანეთსაც მალე შევაგროვებთ. ქალებმა შეჰქმნეს ჟღრიამული: „ამილია“, „ანინა“, „ლუიჯია“, გაისმოდა სახელები: ვისაც გაქვთ რამ, მოიტანეთ... ბევრსა ჰქონდა ფული; ზოგს რვეულების სასყიდლად წამოეღო, ზოგს ყვავილებისა და სხვა ნივთების სასყიდლად. მაინც არავინა ჰზოგავდა და ყველა სიამოვნებით აძლევდა ფულს. პატარა შეგირდებიც-კი არ ჩამორჩნენ უფროსებს და კაპეიკობით ისინიც აგროვებდნენ ბავშვისთვის... მოსწავლეებს თავს წამოადგა მაღალ-მაღალი ქალი. ეტყობოდა, იმათი აღმზრდელი უნდა ყოფილიყო. აღმზრდელმა შეიტყო ეს ამბავი და ერთი მანეთი მისცა ბავშვს. მოსწავლეებმა დიდი მადლობა უთხრეს აღმზრდელს ქალს. ხუთს მანეთს ცოტა-ღა უკლდათ.

— მეოთხე კლასი მოდისო, წამოიძახა ვიღაცამ.

მეოთხე კლასის მოსწავლენიც მოვიდნენ და ხუთს მანეთს კიდეც გადაეჭარბა... სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო პაწია ბუხრის მწმენდავი. ირგვლივ ათას ფრად აჭრელებული ქალები შემოჰხვეოდნენ. უცებ მსახურმა სასწავლებლის კარებიდგან გამოიძახა:

— უფროსი მოდისო.

მოსწავლეები საჩქაროდ გაიფანტნენ. ქუჩაში მარტო ფულებით მუჭა გავსებული პატარა ბავშვი-ღა დარჩა. სიხარულისაგან საწყალი იცინოდა, ილრიჭებოდა, და შინისაკენ ხტუნვით გაექანა.

———

წ ე რ ი ლ ი

2-ი ნოემბერი.

დღევანდელი დღე მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი დღეა! ენრიკო, დღეს ყველა ბავშვმა უნდა გაიხსენოთ, ვინც-კი თქვენის გულისათვის გარდაცვლილა! და განა ბავშვებისათვის თავისი სიცოცხლე ცოტას შეუწირავს და დღესაც ცოტა სწირავს? ნუ თუ გიფიქრია როდისმე, თუ რამდენი მშობელი მამა შრომასა და მუშაობაში ირთმევს სულს და რამდენი ახალგაზდა დედა უდროოდ წუთი-სოფელს გამოსალმებია მხოლოდ და მარტო იმიტომ, რომ თავიანთს შვილს საზრდო მოუპოვონ და რიგიანი მერმისი მოუმზადონ. რამდენს მოუკლავს თავი და ვინ იცის რამდენი კიდევ გასწირავს თავს, მხოლოდ იმიტომ-რომ თავისი შვილი სილარიბეში არა ნახოს. მოიგონე ეს მრავლად ტანჯულნი გარდაცვალებულნი, მოიგონე მასწავლებელნი, ჭლექის ახალგაზდა მსხვერპლნი, სასწავლებელში მუშაობისაგან მოღლილნი. ექიმები? ბავშვებს არჩენენ, განსაცდელს არ უფრთხიან, გადამდებ სნეულებას არ ერიდებიან! რა ესენი! ზღვაზე, გემის დაღუპვის დროს, ცეცხლის გაჩენის დროს, ყველგან და ყოველთვის რამდენს საკუთარი სიცოცხლე სიამოვნებით გამოუმეტებია და ამითი უდანაშაულო, ნორჩი ბავშვი განსაცდელს გადაურჩენია! ენრიკო, ამ გვარად მიცვალებულთა რიცხვი უთვალავია! მათი საფლავი ყველა

საფლავზე მრავალია! წარმოიდგინე, რა ბედნიერები იქნებოდნენ, რომ ერთს წუთს მაინც არის შეეძლოთ ადგომა და დანახვა იმ ბავშვებისა, რომელთაც თავიანთი ახალგაზდობა შესწირეს. ახალგაზდა ქალი, ჯან-ღონით სავსე კაცი, უძლური მოხუცი, უსახელო გმირი ბევრია ბავშვების საკეთილდღეოდ წამებული. განა ხმელეთზე მოიპოვება იმდენი ყვავილი, რომ იმათი სასაფლაო დაჰფაროს? მიცვალებული ყოველთვის გახსოვდეს, მადლობის გადახდა იცოდე, კეთილი იყავ და პატიოსანი. შენ უყვარხართ, შენთვის ჰმუშაობენ, და შენც შეიყვარე, იმუშავე, ჩემო კარგო, ჩემო ბედნიერო! ბედნიერო-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ამ სამწუხარო დღეს მიცვალებულთა სულის მოხსენებისას შენ ჯერ არავინა გყავს სატირელი.

შენი დედა

4-ი. პარასკევი.

სულ ორი დღე ვიყავით დათხოვნილი, მაგრამ ისე გრძლად მეჩვენა ეს დრო, რომ ასე მეგონა, თითვეა რაც გარონე არ მინახავს-მეთქი. მეც და ყველას, რაც უფრო ახლოს გავიცანით გარონე, მით უფრო მეტად შეგვიყვარდა. მხოლოდ ღონივრებს არ ეპიტნავებოდათ, რადგან არავის ნებას არ აძლევდა თავიანთი ღონე სუსტზე გამოეჩინათ. ყოველ-

თვის, როცა უფროსი დაუპირებდა თავისზე სუსტს ცემას, საკმარისი იყო გარონე ეხსენებინათ. იმავ წამს იქ გაჩნდებოდა და ცემას გადაარჩენდა ხოლმე. გარონეს მამა რკინის გზაზე ჰმსახურობდა. ორის წლის ავადმყოფობის გამო გარონე ამხანაგებს უკან ჩამორჩა. ყველაზე მაღალი და ლონიერი ის არის, ერთის ხელითა სწევს მოსწავლეთა სკამს. ლონესთან საშინელი მჭამელიც არის. ერთს წამსაც არ დადგება იმისი პირი. ამას გარდა მეტად კეთილის გულისაა, რაც უნდა სთხოვო: ფანქარი, რეზინი, ქაღალდი, თუ სხ., უარს არას დროს არ გეტყვის. კლასში ჭკვიანადა ჰზის; თავი ჩაღუნული აქვს და გულ-მოდგინედ ისმენს გაკვეთილს. შევხედავ თუ არა, გამიღიმებს ხოლმე, თითქოს მეუბნება: „მეგობრები ვართ, ენრიკო, არაო?“ ისე ვერ შემიხედნია, რომ არ გამეცინოს, თუმცა ისეც სასაცილოა: ვეემბერთელა მრგვალს ტანზე ტანსაცმელი მეტად მოჭერილი აქვს. ქუდს ხომ არას დროს არ იხურავს. წაღებად რალაცა უშველებელი ბუდრუგანები აცვია...

სწორედ საუცხოო ბავშვია. ყოვლად შეუძლებელია ნახოს ვინმე და არ შეიყვაროს! პატარებს ხომ გაგიჟებით უყვართ. გარონემ არითმეტიკა კარგად იცის, სასწავლო ნივთები და წიგნები ყოველთვის რიგზე უწყვია... ნივთებთან კალმის დანაც განუშორებლადა აქვს. ერთხელ კლასში უცაბედად დანით ხელი გაიჭრა, მაგრამ არავის შეამჩნევინა. შინაც დაემალა, რა არის დედ-მამას არ შეეშინდეთო.

ხუმრობა უყვარს და ხუმრობის ატახაც იცის. მაგრამ თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, მაშინ-კი მშვიდობით: თვალები ცეცხლსავით აენთება, საშინლად აღელვდება და გაბრაზებული მაგიდას მუშტით ამტვრევს ხოლმე. შაბათს დილით პირველ კლასის შეგირდისათვის აბაზიანი წაერთმევინა ვიღაცას. საწყალი ტიროდა და ჩიოდა, რვეული რიღათი ვიყიდოო. გარონეს შეეცოდა და თავისი ერთად-ერთი აბაზი მისცა.

აგერ სამი დღეა გარონე თავ-აუღებლივ წერილსა სწერს თავის დედას და სადღეობოდ უნდა გაუგზავნოს. რვა გვერდი უკვე დაწერილი აქვს. ყოველ გვერდზე რომელსამე სურათსა ჰხატავს. გარონეს დედა სასწავლებელში ხშირად მოდის ხოლმე. დედა-შვილნი ერთმანეთს ძალიანა ჰგვანან. როგორც ეტყობა, მასწავლებელსაც უყვარს გარონე. ისე არ გაუვლის გვერდით, რომ მხარზე ხელი არ დაჰკრას. დარწმუნებული ვარ, გარონე ამხანაგისათვის სიცოცხლეს არ დაიშურებს; ნათლად ეტყობა სახეზე. ხმა ბოხი და არა-სასიამოვნო აქვს, მაგრამ გულითკი მეტად კეთილია.

7-ი. ორშაბათი.

გარონე თავის დღეში არ იტყვის იმას, რაც გუშინ კარლ ნობისმა მოსწავლე ბეტის უთხრა. კარლს თავი მოაქვს, მამაჩემი შეძლებული მოქალაქეაო. კარლის მამა მაღალის ტანისაა, შავ-წვერა, და მეტად

ჭკვიანის სახის კაცია. ყოველ დღე მოდის შვილთან. გუშინ დილით კარლი და ბეტი წაიჩხუბნენ. ჩხუბში კარლმა გამოჯავრებით უთხრა ბეტის: „მამაშენი გლახაააო“. ბეტი გაწითლდა, არაფერი არ უპასუხა კარლს, მაგრამ გული-კი ამოუჯდა და თვალებში ცრემლი მოერია. შინ მისვლის უმალ მამისათვის ეთქვა ეს ამბავი. დაბალი, მთლად გაშავებული მენახშირე, ბეტის მამა, საღამოს გაკვეთილზე მოვიდა და მასწავლებელთან უჩივლა კარლს. ყველანი სულგანაბულნი ვუგდებდით ყურს მენახშირეს. ამ ლაპარაკის დროს კარლის მამა ჩვენის კლასის კარებთან მდგარიყო, გაიგონა თუ არა თავისი სახელი, კლასში შემოვიდა და იკითხა:

— რა ამბავია?

— აი, ეს მუშა კაცი სჩივისო, უთხრა მასწავლებელმა: თქვენს შვილს კარლს ამის შვილისათვის უთქვამს, რომ მამაშენი გლახაააო.

კარლის მამამ შუბლი შეიჭმუხვნა და შვილს გაჯავრებით უთხრა:

— შენ უთხარი ესაო?

კარლი თავ-ჩაღუნული და გაჩუმებული იდგა. მამამ ხელი წაავლო, გაიყვანა და უთხრა:

— ეხლავ ბოდიში მოიხადეო!

მენახშირეს უნდოდა შეეყენებინა, მაგრამ კარლის მამა არ დასთანხმდა.

— სთხოვე გაპატიოსო, გაუმეორა მამამ კარლს: ასე უთხარ, მაპატიე მამიშენის უზრდელისა, სულე-

ლურისა და არა-საკადრისის ლანძღვისთვის; მამაჩემი სიამოვნებით ართმევს ხელს მამაშენს და თავიც მოსწონს ამითი-თქო!

მენახშირეს კვლავ უნდოდა შეეყენებინა, მაგრამ აღარ დააცადეს, კარლმა გაიმეორა მამის სიტყვები:

— გთხოვ მაპატიო... უზდელი... სულელურო, არა-საკადრისი... მამიშენის ლანძღვა... მამაჩემი სიამოვნებით ართმევს მამაშენს ხელს... და ამითი თავიც მოსწონს.

კარლის მამამ მეგობრულად გაუწოდა ხელი მენახშირეს.

— გთხოვთ ორივენი ერთად დასხათ! უთხრა მასწავლებელს კარლის მამამ. მასწავლებელმა კარლი და ბეტი ერთად დასხა. კარლის მამა გამოემშვიდობა მასწავლებელსა და მენახშირეს ჯ კლასიდგან გავიდა. მენახშირე კიდევ რამდენსამე ხანს დაფიქრებით შესცქეროდა ახალს მეზობლებს, შემდეგ მივიდა, კარლს ალერსიანად და შებრალებით შეჰხედა, თითქოს რაღაცა უნდოდა ეთქვა, თითქმის ხელიც-კი გაუწოდა, მაგრამ ვერ გაბედა, მხოლოდ თავზედ გადაუსვა ხელი, ერთი კიდევ გადაჰხედა და გავიდა.

— ბავშვებო, კარგად დაიხსომეთ დღევანდელი ამბავიო, გვითხრა მასწავლებელმა გაკვეთილის დასასრულს: წელს ეს თქვენთვის საუკეთესო გაკვეთილიაო.

10-ი. ხუთშაბათი.

მენახშირის შვილი წინად ქ-ნს დელკატისთან სწავლობდა. ქ-ნი დელკატი დღეს ჩვენსა იყო ჩემის ავადმყოფ ძმის სანახავად. მასწავლებელი. ქალი მხიარულს გუნებაზე იყო და ბევრიც გვაცინა. გვიამბო, რომ ერთხელ მენახშირის ცოლს წინსაფარი ნახშირით გაევსო და იმასთან საჩუქრად მიეტანა, ვითომ-და მადლობის ნიშნად, რომ იმის შვილს ბეტის საჩუქრად მენდალი მიეღო! საწყალს საჩუქრის უკანვე წაღება ალარ უნდოდა თურმე. ჩხუბობდა, თითქმის ტიროდა კიდეც, ნახშირი უკან რომ დაუბრუნესო. ერთის შეგირდის დედას კიდევ დელკატისათვის ყვავილების მშვენიერი კონა მიეტანა. ყვავილებ შუა ფული ყოფილიყო ჩატანებული. ჩემი ძმა გამხიარულდა ლაპარაკში და შეუზიზღებლივ დალია მწარე წამალი. სწორედ რომ დიდი მოთმინება უნდა პირველის კლასის პატარა ბავშვებს: ზოგს კბილები აკლია და ჩიფჩიფებს, ზოგი ახველებს, ზოგს ცხვირიდგან სისხლი წასქდება ხოლმე, ზოგს წაღები ეკარგება; ზოგი წმუკუნებს, რადგნ რვეული უყიდნია და არა ის, რომელიც საჭირო იყო. კლასში ორმოც-და-ათნი არიან! განა იმათი მორჯულება, გაწვრთნა და სწავლება ჯვარცმა არ არის? ჯვარცმაა, მით უფრო, რომ პატარები მეტად დაუდეგარნი არიან და ერთს წუთს არ ისვენებენ. ზოგს სათამაშო აქვს და იმისკენ მიურბის გონება და ზოგს რა. მა-

სწავლებელმა ყველას უნდა ადეენოს თვალი. ზოგი ისეთი ეშმაკია, რომ წაღებში ჰმალავს სათამაშოებს... იმათი სწავლა ისე არ აწუხებს მასწავლებელს, როგორც ის გარემოება, რომ ყველანი ჭკვიანად დასხას... ტანთ იცვამს შეგირდი, მასწავლებელო, უშველე. ხელი გაიჭრა შეგირდმა, მასწავლებელო, შეუხვიე. დაეკარგა რამე, უპოვე. ღმერთმა დაიფაროს, თუ ნივთები აერიათ... ისეთს ალიაქოთსა და ყვირილს შეჰქმნიან ხოლმე, რომ ყურთა სმენა აღარ არის. სწორედ ხათაბალაა!.. მაგრამ ბავშვების დედები მაინც სჩივიან:

— როგორ მოხდა, რომ ჩემმა შვილმა კალამი დაჰკარგაო?.

— რა მიზეზია, რომ ჩემი შვილი ზარმაცობს?

— ჩემი შვილი კარგადა სწავლობს და თქვენ-კი არ აქებთ, არ აქეზებთ.

— სკამზე ლურსმანი ყოფილა და ჩემს პიერს შალვარი დაუხეევია....

ისეთი საჩივრები გესმის, რომ სწორედ მოთმინებიდგან გამოვა ადამიანი. მზადა ხარ წაეჩხუბო, მაგრამ ძალას იტან ⁄ თავს იმაგრებ... ხანდახან შეგირდს გაუჯავრდები, მაგრამ ისევ შენვე შეგეცოდება ბავშვი და მიუალერსებ. ცელქს,დაუდეევარს კლასიდგან დავითხოვ ხოლმე, მაგრამ სულით მეეე ვიტანჯები და იმათ მშობლებზე მომდის ბრაზი, რომ ბავშვებს, რიგიანად აღზრდის მაგიერ, ყოველს უმსგავსოებას აჩვეევენ...

— ბავშვებს ხომ უყვარხართო? ჰკითხა დედამ, მასწავლებელმა რომ გაათავა ლაპარაკი.

— ბევრს, მაგრამ რაკი ჩვენგან შემდეგს კლასში გადადიან, გვერიდებიან, თითქოს სცხვენიანთ კიდეც ჩვენი. ორი წელიწადი იმათ ზრუნვაში ხარ, ასწავლი და სწორედ რომ სამძიმოა ხოლმე დაშორება. ჰფიქრობ, აი ეს ბავშვი არ დამივიწყებსო. საზაფხულოდ დავითხოვთ... ბრუნდება სოფლიდგან. შენ სიამოვნებით ეგებები, ეალერსები და ის-კი ზურგს გაქცევს... ქ-ნი დელკატისა უცებ დაჩუმდა და თვალებიდგან ცრემლები წამოსცვივდა:

— შენ ხომ ასე არ მომექცევი, ჩემო კარგო, პირს არას დროს არ მოარიდებ შენს ერთგულს მეგობარს, არა? უთხრა ჩემს ძმას, აკოცა ტ შინისაკენ გაეშურა.

წ ე რ ი ლ ი

10-ი. ხუთშაბათი.

გუშინ შენის ძმის მასწავლებელთან დედა შენს საშინლად უზრდელად ექცეოდი. ენრიკო, ეგ აღარ გაიმეორო! შენი გაუთლელობა გულში ლახვარსავით მეცა. მაშინვე მომაგონდა, როგორ გევლებოდა თავს დედაშენი ამ რამდენისამე წლის წინად, როგორ დასტრიალებდა შენს საწოლს და შენს სუნთქვას თვალყურს ადევნებდა; მწარედ ტიროდა, ეშინოდა, შვილი ხელიდგან არ გამომეცალოსო. შენ-კი დედას უპატიურად ექცევი, იმ დედას, რომელიც ყოველთვის მზად არის თავისი სიცოცხლე განსაცდელში ჩაგდოს შენის გულისათვის და შენდა საბედნიეროდ

მათხოვრობასაც-კი არ მოერიდება! მომისმინე, ენრიკო, შეიძლება ბევრი მწარე დღე ნახო შენს სიცოცხლეში, მაგრამ ყველაზე უმწარესი უბედურება-კი დედის დამარხვაა. გაიზრდები, ჯან-ღონით აივსები, ცხოვრებაში გამობრძმედდები, მაგრამ ძლიერ ხშირად, თითქმის ყოველ საათს, ყოველ დღე დედის ხსენებაში-კი იქნები. არა ერთხელ მოგინდება კვლავ ნახო, იმისი ხმა გაიგონო, ერთს წუთს მაინც არის კიდევ მოეხვიო, გულში ჩაეკრა და ვდუღარება დააბნიო იმის მკერდზე. არა ერთხელ გაგიმწარებს სიცოცხლეს ის აზრი, ჩემის წინდაუხედაობით რა დარდში ჩავაგდე დედაჩემიო. ვინც დედის ურჩია, ის ძნელად მოისვენებს... სულ ამაოა ლოცვაცა და თხოვნა-ვედრებაც, რომ შეცდომა მაპატიეთო. სინიდისი მაინც არ მოგასვენებს. სულით დაიტანჯები, რაკი მოგაგონდება, რომ ვერ დაიბრუნე ის, რაც დედამ თან წაიღო... ენრიკო, დედის სიყვარული ადამიანის უკეთესი და უწმიდესი გრძნობაა... და ვაი იმას, ვინც ამ გრძნობას წმიდად არ ინახავს... თვით ავაზაკიც-კი, თუ თავისი დედა უყვარს, ოდნავ მაინც, პატიოსანი ადამიანია; ყოვლად წარჩინებული და დიდებული ადამიანიც-კი მეტად საზიზღარი და მდაბალია, თუ საკუთარის დედის მორჩილი და მოყვარული არ არის. ალარ გაჰბედო ის, რაც ერთხელ შეცდომით მოგივიდა. ენრიკო, თუ კიდევ წამოგცდეს ეგ სიტყვა, იცოდე, შამის შიშმა-კი არა, შეიძლება საკუთარმა სულის ტანჯვამა და სინიდისის

ქენჯვნამ იქამდე მიგიყვანოს, რომ დედის წინაშე მუხლებზე დაეცე და პატიება სთხოვო, რომ თავისის კოცნით შენი გული და სინდისი გაასპეტაკოს. ჩემო კარგო, ჩემო ნუგეშო! მიყვარხარ, მაგრამ შენს სიკვდილს უფრო ავიტან, ვიდრე შენს უმსგავსოებასა და უმადურობას. არ მომიახლოვდე საალერსოდ. ჯერ კიდევ არ შემიძლიან ალერსი ალერსითვე გადაგიხადო.

შენი მამა.

13-ი. კვირა.

მამაჩემმა-კი მაპატია, მაგრამ მე მაინც ნაღველი არა მშორდება. დედაჩემმა სასეირნოდ კორსოზე გამგზავნა და თან ჩვენი მოსამსახურეს უფროსი შვილი გამაყოლა. გზაზედ ერთის დუქნის წინ შეშით დატვირთული ურემი შევნიშნე. უცებ შემომესმა ჩემი სახელი, მივტრიალდი და ვნახე, რომ ჩემი ამხანაგი კორეტი თავის შავს ხალათში იყო, მთლად ოფლში გაწურულიყო და ზურგით შეშის კონას მიაძუნძულებდა. ურემზე ვიღაც კაცი იდგა. ის შეშას ურმიდგან კორეტის აწვდიდა, კორეტი მარდად ჰკრავდა თოკით და მამის დუქანში ალაგებდა.

— რას აკეთებ-მეთქი, კორეტი? ვკითხე.

— განა ვერა ჰხედავ? მიპასუხა კორეტიმ: გაკვეთილს ვამზადებო.

გამეცინა, მაგრამ მართალს-კი ამბობდა. წამოიღო ზურგზე შეშა და სიარულში იმეორებდა: ზ მ ნ ა

იცვლება რიცხვისა და პიროვნების თანხმად (შევიდა დუქანში, დაჰყარა შეშა და დაუწყო დალაგება). დროს შესაფერ მოქმედებითი... (ურმისაკენ წამოვიდა) კანკლედობა, სადაც მოქმედება ჰხატავს...

— ესა გვაქვს გრამატიკიდგან, არა? მომიბრუნდა: რას იზამ, არ მინდა დრო დავკარგო. მამაჩემი ნოქართან საქმისათვის წავიდა, დედა ავად არის და ურემს-კი დაცლა უნდა. ემუშაობ და თან გაკვეთილს ვიმეორებ! ძნელი გაკვეთილია!... მამა საღამოს შვიდს საათზე დაბრუნდება ⸗ მაშინ გაგისწორდებითო, უთხრა კორეტიმ მეურმეს.

ურემი დაიცალა და წაიღეს.

— ერთს წუთს დუქანში შემოდი.

შევედი. დუქანი კარგა ფართოა. რიგზე დალაგებული აუარებელი დაჭრილი შეშა აწყვია.

— დღეს სულ გაკვეთილების მზადებაში ვარ, მითხრა კორეტიმ: წინადადებებსა ვწერდი, მაგრამ მუშტრებმა მომაცდინეს. დავიწყე კვლავ წერა და ვნახოთ ურემი მოვიდა. დილას ორჯელ შეშის მოედანზე გავიქეცი. საშინლად დავიღალე და ხელები ხომ დამისივდა... სწორედ რომ კარგი დროა ხატვის გაკვეთილისათვის, არა!

ლაპარაკში წამოავლო ხელი ცოცხს და თვალის ერთს დახამხამებაზედ დუქნის იატაკი მოასუფთავა.

— გაკვეთილს სად ამზადებ ხოლმე, კორეტი? ეკითხე მე.

— აი წამოდი და გაჩვენებო.

შემიყვანა დუქნის უკანა პატარა ოთახში. კუთხეში მაგიდა იდგა. მაგიდაზე წიგნები, რვეულები და ახლად ნაწერი რვეული იყო.

— მე სწორედ მეორე წინადადებაზედ შევჩერდი. აი სწერია: ტყავიდგან ჰკერავენ ფეხსაცმელსაო. ცხენის მორთულობასაც დავუმატებ.

კორეტიმ ჩააწო კალამი მელანში და თავის მშვენიერის ხელით წერა დაიწყო.

— არავინ არისო? მოისმა დუქნიდგან ხმა.

— აქა ვარო, მიაძახა კორეტიმ და დუქანში გავარდა. გუდურა შეშა მიჰყიდა მუშტარს, ფული დავთარში ჩასწერა და ისევ ოთახში შემოირბინა.

— ვნახოთ, მაგათი გამოჯავრებული დავათავებ, თუ არა. ჰო, აკეთებენ კიდევ ქისებს. ვაი, ვაი, ყავა გადმოვიდაო! დაიყვირა კორეტიმ, ბუხრისაკენ გაექანა და ცეცხლიდგან ყავის ქეთლი გადმოიღო. ყავის მოხარშვაც ვერ ვისწავლე. მოიცა, ყავას ეხლავ დედას წავუღებ! ძალიან გაუხარდება, რომ დაგინახავს. ერთი კვირაა ლოგინში წევს. ამ ყავის დულებაში თითები სულ დამწვარი მაქვს.

მეორე პატარა დუქანში გავედით. კორეტის დედა თავზე ხილაბანდ-წაკრული იწვა.

— აი, ყავა, დედა... ესეც ჩემი სასწავლებლის ამხანაგია! უთხრა კორეტიმ დედას და ჭიქით ყავა მიუტანა.

— ავადმყოფების სანახავად დასდიხართ! მითხრა ავადმყოფმა.

კორეტიმ დედას ბალიშები და საბანი გაუსწორა, ბუხარს შეშა შეუმატა და საწოლიდგან კატა გადმოაგდო.

— კიდევ გინდა რამე, დედი? ჰკითხა კორეტიმ და ცალიერი ჭიქა ჩამოართვა: წამალი დალიე? შეშა დალაგებულია! ოთხს საათზე, როგორც მითხარით, ხორცს ცეცხლზე შევდგამ და, როცა ჩვენი მეწვრილმანე მოვა, ფულს მივცემ. ყველაფერი რიგზეა, ნუ შესწუხდები.

— მადლობელი ვარ, ჩემო კარგო! უთხრა დედამ: საწყალს ყველაფერი თავში საცემად მაგას გაუხდა.

ავადმყოფმა შაქრის ნატეხი შემომთავაზა. კორეტიმ თავის მამის ფოტოგრაფიული სურათი მაჩვენა. ეს სურათი ჯარში ყოფნის დროს იყო გადაღებული და გულზე ჰუმბერტოს რაზმში მიღებული მენდალი ეკიდა. მამა ძალიანა ჰგავს შვილს. ისეთივე ცოცხალი თვალები აქვს და პირზედ სულ მუდამ ღიმილი აკერია. ჩვენ ისევ მეორე ოთახში გამოვედით.

— მომაგონდა, წამოიძახა კორეტიმ: ტყავისას აკეთებენ ჯანბარას, მათრახს, შოლტს. დანარჩენს საღამოზე დავწერ. მეტი რა ღონეა, შუალამემდის ფეხზე უნდა ვიყო. შენ რა გიჭირს, ბედნიერი ხარ სწავლის დროცა გაქვს და სეირნობისაც.

სთქვა, გრძელს შეშას დაავლო ხელი, სახერხზე დასდვა და ხერხვა დაუწყო.

— აი, გიმნასტიკაც ეს გახლავთ. მინდა, რომ სანამ მამა ჩემი დაბრუნდება, ყველაფერი რიგზე და-

ვახვედრო, ესიამოვნება. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ხერხვის შემდეგ ცუდად ვწერ ხოლმე. მაინც არა უშავს-რა, მასწავლებელს ვეტყვი, რომ საჭირო იყო მუშაობა-მეთქი. ნეტავ დედა-კი მალე მორჩეს. დღეს-კი უკეთ არის: გრამატიკას დილაზე მამლის ყივილისას დავისწავლი. ოჰო, კიდევ ურემი მოვიდა! აბა ამასაც მივყოთ ხელი.

შეშით დატვირთული ურემი დუქნის წინ დადგა. კორეტიმ რაღაცა უთხრა მეურმეს და დაბრუნდა.

— ეხლა მე შენთვის აღარა მცალიან! მადლობელი ვარ, რომ მნახე, ვისურვებ შენს მხიარულად სეირნობას, ბედნიერო!

ჩამომართვა საჩქაროდ ხელი და კვლავ ჩვეულებრივს მუშაობას შეუდგა. ურმიდგან დუქანში და დუქნიდგან ურმამდე შედიოდა და გამოდიოდა. სასიამოვნო სანახავი იყო ეს პატარა მუშა. „ბედნიეროო“, მითხრა. არა, კორეტი, არა! შენ ჩემზედ ბედნიერი ხარ! შენ სწავლობ კიდეც, ჰმუშაობ კიდეც, მშობლებს ეხმარები, ოჯახის სასარგებლო ხარ: შენ ჩემზედ გაცილებით კეთილი და უკეთესი ხარ...

18-ი. პარასკევი.

კორეტიმ ძალიან ისიამოვნა. თთვიურ გამოცდაზე დასასწრებლად ჩვენს კლასში იმისი მეორე კლასის ნამასწავლებლარიც შემოვიდა. კოატი მაღალ-მაღალი

კაცია და მეტად რიხიანი ხმა აქვს. შავი ხუჭუჭი თმა, შავი თვალები და წვერ-ულვაში აქვს და სიმკაცრე და სისასტიკე ემჩნევა, თუმცა ჯერ არც ერთი შეგირდი არ ჩაუჭრია. გამოცდაზე იმას გარდა ექვსი სხვა მასწავლებელი დაესწრო. მასწავლებელთა შორის ახალი, პატარა უწვერ-უულვაშო მასწავლებელიც ერია. მეოთხე კლასის მასწავლებელს თბილი ტანისამოსი აცვია. სოფელში რომ მასწავლებლად ყოფილიყო, იქ ავად გამხდარიყო სინესტისაგან და ჯერაც არ მორჩენილა; მეორე, მეოთხე კლასისავე მოხუცი მასწავლებელი, წინად ბრმების სასწავლებელში იყო მასწავლებლად.

ერთი მასწავლებელი, ქერა ჭ ულვაშებ-გაწკეპილი, მეტად კოპწიად არის ჩაცმული. იმას „ვექილს“ ეძახიან, რადგანვექილობის მოწმობა აქვს. მანვე პირველ-დაწყებითი გრამატიკის სახელმძღვანელო შეადგინა. გიმნასტიკის მასწავლებელი ნამდვილი ჯარის-კაცია. გარიბალდის სარდლობის დროს ომში ყოფილა და იქ მიღებულს ჯილდოს ყელიდგან არ იშორებს. მილაცოს ომში დაუჭრიათ კიდეც. სასწავლებლის უფროსს ოქროს სათვალეები აქვს გაკეთებული და, როგორც ყოველთვის, ეხლაც ყელამდის შეკრული შავი ტანისამოსი აცვია. შეგირდებს მეტად კეთილად ეპყრობა. როცა შეგირდს დასარიგებლად თავისთან ეძახის, შეგირდი გულის ცახცახით შედის, მაგრამ ის ხელს არ დააკარებს ხოლმე და გაჯავრებითაც-კი არ გაუჯავრდება. ტკბილის სიტყვით არი-

გებს, არცხვენს და შეგირდიც მთლად შერცხვენილი და თვალ-ცრემლიანი შორდება უფროსს.

ყველაზე ადრე უფროსი შემოვა ხოლმე კლასებში. დილით ელის შეგირდების შეკრებას და გარეშე მთხოვნელებსა ჰნახულობს. როცა გაკვეთილები თავდება, ქალაქში გამოდის, ქუჩა-ქუჩა დადის და შეგირდებს ათვალიერებს, ან ეტლმა არ გაიტანოს, ან უწესოება არა მოახდინონ-რაო. შეგირდები შენიშნავენ ხოლმე თუ არა, მაშინვე თავს ანებებენ თამაშობას და აქეთ-იქით იმალებიან. რაც ჩვენს უფროსს თავის ნებით ჯარში შესული შვილი მოუკვდა, მხიარულს გუნებაზე არავის უნახავს. ამ უბედურების შემდეგ სასწავლებლისათვის თავი უნდა დაენებებინა, თხოვნაც მზადა ჰქონდა, მაგრამ შეგირდების მოშორება როგორღაც ეძნელებოდა. ეხლა-კი მგონი გადაუწყვეტია სკოლას თავი არ დაანებოს. მამა ჩემი იყო იმასთან და უთხრა: „სწორედ სამწუხაროა, რომ სასწავლებელს თავს ანებებთო“. ლაპარაკში ვილაცა შევიდა თურმე უფროსთან და თავისის ნათესავის შვილის მიღება სთხოვა. ის ბავშვი სიახლოვეს გულისათვის სხვა სასწავლებლიდგან ჩვენთან გადმოჰყავდათ. უფროსი დაკვირვებით დააცქერდა ბავშვს და შემდეგ მაგიდაზე სურათს გადაჰხედა. მერე ახლად მოყვანილი ბავშვი ახლოს მიიყვანა და მიუალერსა. ბავშვი იმის გარდაცვალებულს შვილს ჰგავდა თურმე ძალიან.

უფროსმა ჩასწერა ბავშვი და მიმყვანს უთხრა,

კარგიო! ისინი საჩქაროდ გავიდნენ. უფროსი რო-
გორღაც დაღონდა.

— ვწუხვარ სწორედ, რომ სასწავლებელს თავს
ანებებთო! გაუმეორა მამა ჩემმა.

უფროსმა მაგიდიდგან დათხოვნის ქაღალდს წა-
მოავლო ხელი, გახია და სთქვა:

— ვრჩებიო...

22-ი. სამშაბათი.

ჩვენის უფროსის შვილი თავისუფლად შესული
ჯარის-კაცი იყო. როცა-კი გაკვეთილს გავათავებთ
ხოლმე, უფროსი მაშინვე კორსოზე მიდის სწავლიდგან
დაბრუნებულ რაზმის საყურებლად. გუშინ ქვეითა
რაზმი მოდიოდა. მოსწავლენი ერთს ამბავში იყვნენ
და სამხედრო მუსიკის ხმას ტაშს აყოლებდნენ. გა-
რონე პურით ხელში, კოპწია ვიტონი, მჭედლის შვი-
ლი პრეკოსი, კალაბრიელი, „პატარა კალატოზი“,
ქერა კროსი, ფლიდი ფრანტი, არტილერიის კაპიტნის
შვილი რობეტი (ყავარჯნებით დადის) და მე ჯარის-
საცქერლად ქუჩაზე გამოვედით. რაზმში ერთი კო-
ქლი ჯარის-კაცი ერია. ფრანტიმ სიცილი დაიწყო,
შენიშნა თუ არა კოქლი ჯარის-კაცი. უცებ ფრან-
ტის ვიღამაც ხელი წაავლო. ფრანტი მიტრიალდა და
უფროსი დაინახა.

— ჯარის-კაცის დაცინვა, მერე მაშინ, როდე-
საც ის რაზმშია და არ შეუძლიან პასუხის მოცემა, ხელ-

ფეხ-შეკრულის კაცის დაცინვასა ჰგავს და დიდი-უმსგავსოება�აო! უთხრა უფროსმა ფრანტის, რომელიც შერცხვენილი სადღაც მიიმალა.

შემდეგ უფროსი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ყმაწვილებო, ჯარის-კაცები გიყვარდეთ. ჩვენ ნი მფარველები ესენი არიან! ხვალ რომ მტერმა ჩვენს სამშობლოს აოხრება დაუპიროს, ეგენი უნდა დაუდგნენ წინ, თავი უნდა შეაკლან და სამშობლო განსაცდელისაგან დაიხსნან. ეგენი თუმცა ვაჟკაცები არიან, მაინც თქვენსავათ სასწავლებელში დადიან სასწავლებლად. მათ შორის მდიდრებიც არიან და ღარიბებიც. ყველა იტალიის ნაწილიდგან მოუყრიათ თავი. აგერ სახეზედვე ეტყობათ, რომ იტალიელები არიან. აი ესენი-კი სარდინიელები, ნეაპოლელები ⁄ ლომბარდიელები არიან. ეს რაზმი ყველაზე უძლეველი რაზმია. 1848 წ. ომში ესენიც იყვნენ.. ხალხი სხვა-და-სხვაა, მაგრამ დროშა-კი ერთი აქვთ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ამ დროშას ქვეშ ბევრს შეუწირავს სამშობლოსათვის სიცოცხლე.

— აგერ დროშაო! წამოიძახა გარონემ.

— ბავშვებო, ქუდი მოიხადეთ და ამით ჩვენს-სამ-ფეროვანს დროშას პატივი ეცით, გვითხრა ბოლოს უფროსმა.

ამ დროს აფიცრებმა ჩვენს მახლობლად დაფლეთილ-დაკუწული, ჯილდოებით შემკული დროშა გამოატარეს. ჩვენ ყველამ ერთად ქუდები მოვიხადეთ. აფიცერმა შემოგვხედა, გაგვილიმა და სალამი მოგვცა.

— გაიზარდენით! ბარაქალა, ყმაწვილებოო! ვილაცამ წამოგვძახა უკანიდგან.

მივიხედეთ. მოხუცი მხედარი, რომელსაც კრიმის ომის დროის ნიშანი ეკიდა გულზე, იდგა და ჩვენ გვიყურებდა.

— ყოჩაღ! განიმეორა მოხუცმა: ვინც ბავშვობითვე სამშობლოს დროშას შესაფერს პატივსა სცემს, ის იმის დაცვასაც შეიძლებს, როცა წამოიზრდება.

23-ი. ოთხშაბათი.

გუშინ საწყალი კუზიანი ნელი ჯარის-კაცებს დალონებით უცქეროდა, თითქოს ჰფიქრობდა: „მე ხომ არ მეღირსება ჯარის-კაცად ყოფნაო“. ნელი მეტის-მეტის მუშაობისაგან საშინლად გამხდარი და გაყვითლებულია. იმისა დაბალი, ქერა და შავ-კაბა დედა ყოველ დღე მოდის შვილის სანახავად სასწავლებელში. პირველში ნელის ბევრი შეგირდი დასცინოდა, აბგებს კუზზე სცემდნენ ხოლმე, მაგრამ ის მაინც გაჩუმებული იტანდა დაცინვას და ერთისთვისაც არ შეუბრუნებია სიტყვა, თუ ხელი. დასცინოდნენ და ის-კი გაჩუმებული თავის ალაგას უძრავად იჯდა და ჯავრს ცრემლით იკლავდა. საწყალს დედასაც-კი არ ეუბნებოდა, რომ ამხანაგები დამცინიანო. ბოლოს, რა-კი გარონემ ყველას უთხრა, რომ ვინც-კი ნელის ხელით, ან სიტყვით შეეხება, ლაწანს მიიღებსო, ყველანი ჩამოეცალნენ და ნელიმ მოისვენა. ფრან-

ტი მაინც არ დაწყნარდა და კარგი ლაწანიც გა-
იკრა.

მასწავლებელმა ნელი და გარონე ერთს სკამზე
დასხა და მათ შორის ტკბილი მეგობრობაც ჩამო-
ვარდა. მოვიდოდა თუ არა ნელი სასწავლებელში,
მაშინვე გარონეს ძებნას დაუწყებდა, და სასწავლე-
ბლიდგან ხომ ისე არ წავიდოდა, რომ გარონეს არ
გამოსთხოვებოდა. გარონესაც შეუყვარდა ნელი და
სულ იმის ლოლიაობაში იყო. წიგნების ჩალაგებასა და
ზედა ტანსაცმელის ჩაცმასა შველოდა ხოლმე. როცა
მასწავლებელი აქებდა გარონეს, ნელი სიხარულისაგან
ფეხზედ აღარ იდგა ხოლმე, თითქოს მასწავლებელმა ის
აქოო. უეჭველია ნელიმ ეხლა-კი უამბო დედას,
რომ ამხანაგები დამცინოდნენ, მცემდნენო, და უთხრა
კიდეც, ვინც იყო იმისი მფარველი და საყვარე-
ლი მეგობარი. უამბობდა, თორემ დღეს დილით ეს
ამბავი არ მოხდებოდა.

უკანასკნელ გაკვეთილის გათავებისას მასწავლე-
ბელმა უფროსთან გაკვეთილების ნუსხა გამატანა. მე
ისევ უფროსთან ვიყავ, როცა ნელის დედა შემო-
ვიდა და იკითხა:

— ბ-ნო უფროსო, ჩემის შვილის კლასშია მოს-
წავლე გარონე?

— დიახო! უპასუხა უფროსმა.

— თუ შეიძლება, უბრძანეთ ერთს წამს აქ გა-
მოვიდეს, მინდა რამდენიმე სიტყვა ვუთხრა.

უფროსმა მსახური გაჰგზავნა გარონეს დასაძახე-

ბლად. რამდენსამე წამს შემდეგ ოთახში გაოცებული გარონე შემოვიდა. ნელის დედა წინ მიეგება გარონეს, გადაეხვია და აოცა. მერე საჩქაროდ ჯიბიდგან წითელს ლენტზე შებმული ჯვარი ამოიღო და გულზე ჩამოჰკიდა.

— ეს ჯვარი ჩემ სახსოვრად ატარე, ჩემო ძვირფასო, ჩემის შვილის მფარველო და მეგობარო. ესა გქონდეს სახსოვრად ნელის დედისა, რომელიც მეტად დავალებულია შენგან და სიკვდილამდე შენს ლოცვას არ მოიშლის!

25-ი. პარასკევი.

გარონე თუ ყველას უყვარს, დეროსი ყველას აკვირვებს. დეროსმა შარშან პირველი მენდალი მიიღო და წელსაც ვერავინ აჯობებს. ყველა ჰგრძნობს იმის უკეთესობას.. ის არის პირველი შეგირდი არითმეტიკაშიაც, გრამატიკაშიაც, თხზულებაშიაც, ხატვაშიაც. ყველაფერს სწრაფად ითვისებს და საუცხოო გულის ყური აქვს. იმისათვის სწავლა გასართობია. გუშინ მასწავლებელმა უთხრა.

— ღმერთს შენთვის ნიჭი მოუცია და ეცადე, უბრალოდ არ დაჰმარხოო.

სახითა და ტანადობითაც ლამაზია დეროსი. ხშირი შავი თმა ხომ ერთი-ორად ამშვენებს. ამასთან მეტად მკვირცხლი და ცოცხალი ბავშვია. საშინლად უყვარს

და ემარჯვება კიდეც გიმნასტიკა. სულ თორმეტის წლისაა; მოლურჯო, ოქროში-დაფერილ ღილებიანი ხალათი აცვია. ყველას კეთილად ექცევა, არც არავის აწყენინებს და არც არავის წაიჩხუბებს. გამოცდის დროს ყველა ამხანაგს, რითიც-კი შეეძლო, შველოდა. მხოლოდ ნობისი და ფრანტი რაღაც ალმაცერად უცქერიან დეროსის. ვოტინს ხომ შურით გული უკვდება, რად არის დეროსი პირველი შეგირდიო. დეროსი-კი ყველა ამხანაგს ერთ გვარად ექცევა, ყველას აძლევს სალამს, ყველას უცინის, ყველას ურიგებს საჩუქრად სურათებს, რომელიც შინიდგან მოაქვს ხოლმე. კალაბრიელს კალაბრიის გეოგრაფიული სურათი დაუხატა და სახსოვრად მისცა. მზად არის, რაც-კი აბადია, სულ ამხანაგს გაუზიაროს და თითონ-კი არავისაგან არაფერს არ იღებს.

სწორედ რომ ყოვლად შეუძლებელია შური არ აღეძრას ადამიანს გულში, როცა კარგადა ჰგრძნობს, რომ ყველაფრით ჩამორჩება იმას. თითქმის მეც ვოტინსავით შური გამიტაცებს ხოლმე. ჯავრი მაშინ უფრო მომდის, როცა გაკვეთილსა ვწავლობ, თავს ვიხეთქავ, ოფლში ვიწურები და მაინც ძლივ-ძლიობით ვითვისებ. ჩემდა უნებურად მაგონდება, რომ დეროსი ყოველს გაკვეთილს ადვილად, ძალ-დაუტანებლად სწავლობს. კლასში-კი რომ ვნახავ ხოლმე, მხიარულს, მეტადრე როცა თავ-გამოდებით ამბიჭს გაკვეთილს და ყველანი სიხარულით შესცქერიან, დარდი გადამეყრება ხოლმე გულიდგან, ბოროტი აზრი მეფანტება

და მეევ მრცხვენიან ჩემის შურიანობისა. სწორედ მინდა, რომ სულ იმის მახლობლად ვიყო და გაკვეთილსაც უფრო გულ-დადებითა ვსწავლობ... მასწავლებელმა დეროსის მისცა მოთხრობა „დარაჯი“ გადასაწერად. ამ მოთხრობას ხვალ მასწავლებელი კლასში წაგვიკითხავს: დეროსი გაჩქარებული სწერს... სახე საშინლად გასწითლებია და თვალები სიამოვნებით უცინის და უელვარებს! შორიდგან შევეცქეროდი და თან ვფიქრობდი:

— რა კარგი რამ ხარ, რა კეთილშობილი! რაც უნდა იყოს, ჩემზე ერთი ათად უკეთესი ხარ! სწორედ ისეთს პატივსა გცემ, როგორც ჩემზედ უფროსს, ვაჟკაცს. შენის ქცევით აღტაცებაში მოვდივარ...

დ ა რ ა ჯ ი

(მოთხრობა)

26-ი. შაბათი.

1859 წ. ლომბარდიის განსათავისუფლებლად ომი იყო. სოლფერინოსთან შეტაკებას შემდეგ, სადაც ფრანგებმა და იტალიელებმა ავსტრიელები დაამარცხეს, იმ ალაგის მახლობლად, ივლისის ერთს მშვენიერს დილას, ცხენოსან ჯარის პატარა რაზმი მიყრუებულს გზაზე ნელის ნაბიჯით მიდიოდა მტრის დასახვედრად. რაზმს წინ უფროსი და იმისი თანა-

შემწე მიუძღოდნენ და გაფაციცებით ათვალიერებ-
დნენ ირგვლივ მიდამოს; ყოველ წამს მიმალულის
მტრის რაზმის გამოჩენას ელოდნენ. ჯარი ტყეში შე-
ფარებულს გლეხის ქოხს მიადგა. ქოხის წინ პატარა,
თორმეტის წლის ბიჭი უდარდელად ჯოხსა სთლიდა.
ფანჯარაში სამ-ფეროვანი ბაირაღი იყო გამოკიდე-
ბული. ქოხში არავინ იყო. გლეხებს ბაირაღი გამო-
ეკიდნათ და თითონ-კი მტრის შიშით მთაში გახიზ-
ნულიყვნენ. ბავშვმა, შენიშნა თუ არა მოახლოვე-
ბული რაზმი, თავიდგან ქუდი მოიშვლიპა. ცალიერ
პერანგის ამარა მყოფს ბავშვს ქერა ხუჭუჭა თმა,
ჭროღა თვალები და თეთრ-წითური ლოყები მეტად
ამშვენებდა.

— აქ რას აკეთებო? ჰკითხა ბავშვს რაზმის უფ-
როსმა და თან ცხენი შეაყენა: რატომ მშობლებს
შენ-კი არ გაჰყოლიხარ...

— ობოლი ვარ, უპატრონო, და ომის საყურებ-
ლად დავრჩი...

— აქეთ ავსტრიელებს ხომ არ გამოუვლიათ!

— არა, სამი დღეა იმათი არა ისმის-რა...

რაზმის უფროსი ჩაფიქრდა. უცებ ცხენიდგან
ჩამოხტა, ქოხში შევიდა და საჩქაროდ საჩეხზედ ავიდა.
სახლი დაბალი იყო და საჩეხიდგან არა სჩანდა-რა.

— ხეზედ უნდა ავგზავნოთ ვინმე! სთქვა ჯარის
უფროსმა.

ქოხის პირდაპირ ეზოში მაღალი ხე იდგა. იმი-
სი კენწერო ცის სივრცემდის იყო ასული. უფროს-

მა შეჰხედა ხეს, რაზმს თვალი გადააკლო და უცებ ბავშვს მიუბრუნდა:

— ცუღლუტო, კარგი თვალები გაქვს?

— მე? შეეკითხა ბავშვი უფროსს: ბელურა ჩიტს შვიდის ვერსის მანძილზე დავინახავ.

— ამ ხის კენწეროზე შეგიძლიან ასვლა?

— ამაზედ? თვალის დახამხამებაში წვერზედ მოვექცევი.

— რასაც გარშემო დაინახავ, შეგიძლიან მიამბო? ან ავსტრიელი ხომ არა სჩანს, ან ბოლი, ან ცხენი, და ან თოფი ხომ არსად ბჟყვრიალებს?

— რასაკვირველია, შემიძლიან!

— მერე მაგისათვის რა ჯილდოს ითხოვ.

— ჯილდოს? არაფერს! ეგ რაღამ მოგაგონათ! გერმანელების სამსახურისაგან-კი ღმერთმა დამიფაროს და ჩვენებისათვის-კი... ლომბარდიელი ვარ!

— მაშ, აბა ადი ხეზე!

— ეხლავ! ცოტა მომითმინეთ, წაღები გავიხადო! ბავშვმა წაღები გაიძრო, შალვრის ტოტები აიკრიფა, ქუდი მოიძრო და ხეს მოეპიდა.

— მოიცაო, უცებ შეჰყვირა რაზმის უფროსმა.

ბავშვმა გაკვირვებით შეჰხედა უფროსს.

— არაფერია, არაფერი, ადი!

ბავშვი კატასავით ერთს წუთას აცოცდა ხის კენწეროზე.

— თქვენ-კი გარშემო ადევნეთ თვალიო, უთხრა ჯარის-კაცებს უფროსმა.

ბავშვი ხის ტოტებში ისე მიიმალა, რომ ძირიდგან ძლივს-ღა მოჩანდა.

— შორს გაიხედე, შეჰყვირა რაზმის უფროსმა.

ბავშვმა ერთის ხელით ტოტები გადასწია და მინდვრისაკენ გაიხედა.

— მოჩანს რამე?

ბავშვი დაიხარა და რაზმის უფროსს ჩამოსძახა:

— შარა გზაზე ორი ცხენოსანი სჩანს.

— აქედგან შორს არიან?

— ასე, ოთხის ვერსის სიშორეზედ იქნებიან.

— აქეთ მოდიან?

— არა, სდგანან!

— კიდევ რასა ჰხედავ? აბა მარჯვნივ გაიხედე.

— მარჯვნივ, სასაფლაოს ახლოს, ხეებს შუა რა-ღაც ბჟყვრიალებს, მგონი თოფებია!

— ხალხსა ჰხედავ!

— არა, ყანაში იქნებიან მიმალულები.

ამ დროს უცებ ტყვიამ ზუზუნით გადმოუარა ხეს და ქოხის გვერდით დაეცა.

— ჩამოდი, ჩამოდი, შეჰყვირა ბავშვს უფროს-მა: მეტი აღარაფერია საჭირო, ჩამოდი!..

— არ მეშინიანო, უპასუხა ბავშვმა.

— ჩამოდი!... მარცხნივ რაღასა ჰხედავ?

— მარცხნივ?

— ჰო, მარცხნივ!

ბავშვი მარცხნივ მიტრიალდა... მეორე ტყვიამ

უფრო ძლიერ დაიზუზუნა და იქვე ბავშვს ახლოს გააპო ჰაერი. ბავშვი შეკრთა.

— მომატანეს წყეულებმა! დაიძახა ბავშვმა.

— ჩამოდიო! უბრძანა უფროსმა ბავშვს.

— ახლავ! არა მიშავს-რა, ხის ტოტები მფარავს. გინდათ შეიტყოთ მარცხნივ რა მოჩანს!

— ჰო, მარცხნივ... მაგრამ ჩამოდი, ჩამოდი.

— მარცხნივ, დაიყვირა ბავშვმა, გაიხედა და მკერდი გამოიჩინა: იქ, სადაც ნიშია, იქ მგონი...

მესამედ გაიზუზუნა ტყვიამ... ბავშვი ჩამოეშვა ხიდგან და უცებ თავდა-ყირა ძირს ჩამოვარდა.

— წყეულები! შეჰყვირა რაზმის უფროსმა და მივარდა ბავშვს.

ბავშვი ზურგზედ დაეცა ხელებ-გაფორთხილი. მკერდის მარცხენა მხრიდგან სისხლი შადრევანსავით ამოსდიოდა. ორი ჯარის-კაცი სწრაფად ჩამოხდა ცხენიდგან და ბავშვს მისცვივდნენ. უფროსმა პერანგი შემოახია და ჭრილობა გაუსინჯა. ტყვია მარცხენა ფილტვში ჰქონდა მოხვედრილი.

— მოკვდაო! შესძახა უფროსმა.

— არა, ცოცხალია! უპასუხა თანაშემწემ.

— საწყალი! რა ყოჩაღად მოიქცა!..

უფროსს სიტყვა არ დაეთავებინა, რომ ბავშვმა თვალები გაახილა, გარშემო მიიხედ-მოიხედა, თავი გვერდზე გადიგდო და სული განუტევა. გაფითრებული რაზმის უფროსი და ჯარის-კაცები კრიჟა-შეკრულნი დაჰყურებდნენ ბავშვს. „საწყალო, პატარა

გმირო!" იმეორებდა ჯარი. რაზმის უფროსმა ქოხის ფანჯრიდგან ბაირაღი ჩამოიღო და ბავშვს გულზედ დაადო. ერთმა ჯარის-კაცმა ბავშვის ფეხსაცმელი და დანა ბავშვს გვერდზედ დაულაგა.

— გვამი უნდა წავაღებინოთ! ჯარის-კაცსავით გარდაიცვალა და შესაფერის პატივით უნდა დავასაფლაოთ კიდეცაო, სთქვა უფროსმა, ეამბორა მიცვალებულს და ჯარს უბძანა, ცხენებზე შესხედითო.

რაზმი თავის გზას გაუდგა. არ გასულა რამდენიმე საათი, რომ მიცვალებულს სამხედრო პატივი სცეს.

მზე ჩადიოდა. იმ გზაზედ, საითაც დილას ცხენოსანმა რაზმა გამოიარა, ბერსალიერების ჯარი მოდიოდა. ამ რამდენისამე დღის წინად ამათ სან-მარტინოს მთები თავისის გმირულის სისხლით შეღებეს. ამათ ბავშვის ასე გმირულად სიკვდილის ამბავი შეიტყეს, ჯარის წინ მომავალთ სამ-ფერ-ოვანის ბაირაღით დაფარული ბავშვის გვამი შენიშნეს და სამხედრო სალამი მისცეს გვამს. ერთმა აფიცერმა წყლის პირას ყვავილები მოჰკრიფა და გვამს გადააყარა, იმას მიჰყვნენ სხვანიც და ბავშვის გვამი ყვავილებით დაჰფარეს. ყველა სალამს აძლევდა, ეთხოვებოდა.

— ყოჩაღ, ლომბარდიის შვილო! მშვიდობით, პატარა გმირო! ვაშა, ვაშა! დიდება შენს სულს!

ერთმა აფიცერმა გმირობის ნიშნად სამხედრო მენდალი დაადო გულზედ მიცვალებულს. ბავშვს ასეთის ამბით ესალმებოდნენ, ჰკოცნიდნენ, ყვავილებს

აყრიდნენ შიშველა ფეხებზედ, სისხლით შეღებილს მკერდსა და ქერა თმებზედ, და იმას-კი ბაირაღს ქვეშ ტკბილად ეძინა. გაფითრებულს პირზე ღიმილი შერჩენოდა, თითქოს ესმის ეს სამხედრო პატივისცემა და უხარიან, რომ თავის ლომბარდიას შესწირა სიცოცხლეო.

წ ე რ ი ლ ი

29. სამშაბათი.

შვილო ენრიკო! ყოვლად პატიოსანია, ვინც-კი თავის სიცოცხლეს სამშობლოს შესწირავს, როგორც ლომბარდიელმა ბავშვმა ჰქმნა. მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ, იმას გარდა, კიდევ ბევრი კეთილი და პატიოსანი საქმეა ქვეყანაზედ. დღეს სკოლიდგან რომ მოდიოდი, საწყალმა ძუძუთა ბავშვის დედამ მოწყალება გთხოვა! შენ შეჰხედე, არ გაიკითხე და გვერდზედ გაუარე... ჯიბეში-კი ფული გქონდა. შვილო, ნუ შეეჩვევი სიღარიბის გვერდზედ გულგრილად გავლას. იმ დედას, რომელიც თავის შვილისათვის თხოულობს, გულგრილად ნუ შეჰხედავ. შვილი მშიერი ჰყავს და აბა რა ყოფაში უნდა იყოს დედა?... წარმოიდგინე დედაშენი! რა იქნებოდა, დედამ რომ გითხრას: ენრიკო, პური არა გვაქვსო. გლახას მოწყალებას რომ მივაწვდი, მეტყვის ხოლმე: „ღმერთმა გაცოცხლოს და გიცოცხლოს შვილებიო!“

ვერ წარმოიდგენ, რა ძვირფასადა ღირს ეს სიტყვები და რა მადლობელი ვრჩები ამის მთქმელისა. დარწმუნებული ვარ, რომ იმისი ლოცვა არ აგცდებათ და დამშვიდებული მოვდივარ შინ, რადგან მთხოვარამ მე უფრო ბევრა მოწყალება მომცა, ვიდრე მე იმას. შენც დაიმსახურე, რომ შენთვისაც კეთილი მოისურვონ! უშემწეო მოხუცი, მშიერი დედა, ობოლი ბავშვი დაუყოვნებლივ გაიკითხე. მთხოვარასთვის ბავშვის გაკითხვა უფრო სასიხარულოა. ბავშვის მოწყალება სინიდისს არ უქენჯნის, რადგან ბავშვი ისეთივე ღარიბია, ისევე ჰსაჭიროებს სხვის შველა-ზრუნვას, როგორც ის! ყველა სასწავლებლის გარშემო ამიტომ იკრიბება ასე ბევრი მთხოვარა. დიდის მოწყალება სიბრალულია, ბავშვის მოწყალება საჩუქარი და ალერსია... გესმის? შენ, მცირე რამ-კი არა, თითქოს დიდი რამ მიგიცია, სულ მცირედაც რომ გაიკითხო მთხოვარა. შენ ყველა გაქვს, იმათ-კი არაფერი. შენ ბედნიერებას ელტვი, ისინი მხოლოდ შიმშილს უფრთხიან! ირგვლივ მდიდრული სახლებია, ეტლები, ხავერდები, და იქვე გვერდზედ მშიერი დედა, უძლური მოხუცი და უშემწეო, ობოლი ბავშვი! ღმერთო! შენსავით კეთილსა და ჭკვიანს ბავშვებს ამოდენა ქალაქში უდაბნოს ნადირებსავით საზრდო ვერ უშოვნიათ. ენრიკო! აღარ გაბედო გულგრილად გავლა იმ დედის გვერდით, რომელიც თავის შვილისათვის ხელს გიწვდის და მოწყალებასა გთხოვს. შენი მამა.

დეკემბერი

1-ი. ხუთშაბათი.

მამაჩემს საშინლად უნდა, რომ თავისუფალს-
დღეს ჩემთან რომელიმე ამხანაგი მოვიდეს ხოლმე,
ან კიდევ მე თითონ წავიდე ამხანაგთან, რა არის
უფრო უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. კვირას დეროსის
მოშურნე ვიტონი და მე ერთად სასეირნოდ
წავედით. დღეს ჩემთან მოვიდა მაღალი, გამხდარი,
არწივის ნისკარტის მსგავს ცხვირიანი გაროფი, რომელსაც
პაწია, ქვეშ-ქვეშა თვალები აქვს და სულ
აქეთ-იქით აცეცებს. გაროფი უცნაური ბავშვია. სულ
თავის ფულების თვლაშია და მეტად მარდადაც იცის
თითებზე თვლა. გაროფის ჩვენის სკოლის შემნახველ-
გამსესხებელ ამხანაგობის კასაშიაცა აქვს ფულები.
მეტად ძუნწია, ძნელად თუ ერთი აბაზი დაჰხარჯოს
ერთად. თუ როგორმე ერთი კაპეიკი დაჰკარგა, მთელი
ერთი კვირა ეძებს და უპოვნელს-კი არ გაუშვებს.

გაროფი კაჭკაჭსა ჰგავსო, სთქვა დეროსიმ.
მართლაც, დაინახავს თუ არა გაფუჭებულს კალამს,
მარკასა და ქინძისთავს, დასწვდება და დიდის მოწიწებით
ინახავს. ორი წელიწადია, რაც მარკებს აგრო-

ვებს. ეხლა სხვა-და-სხვა სახელმწიფოს მარკები ასობითა აქვს შეგროვილი. მარკებს ერთს რვეულში ჰკრებს და როცა მთლად შეავსებს რვეულს, წიგნის გამყიდველს უნდა მიჰყიდოს. წიგნების გამყიდველი ეხლავე რვეულებს გაროფის მუქთად აძლევს, რადგან იმასთან გაროფის ბევრი მუშტარი მიჰყავს. სკოლაშიაც მუდმივ ვაჭრობაშია, ლატარიასა ჰმართავს ხოლმე, ნივთების გაცვლა-გამოცვლაშია, თუმცა ხშირად ნანობს, რად გავცვალე ნივთიო, და ყოველს ლონესა ჰხმარობს, რომ ისევ უკან დაიბრუნოს თავისი ნივთი. თითონ რომ რომელსამე ნივთში ორი შაური მისცეს, ორ აბაზზედ ნაკლებად არ გაჰყიდის.

ვაჭრული შემოსავალ-გასავლის დავთარიცა აქვს. ყველაზედ ბეჯითად მარტო არითმეტიკასა სწავლობს. მენდლის მიღება-კი ძალიან უნდა, რა არის მარიონეტების წარმოდგენაზე მუქთად იაროს. ასეთია გაროფი, მაგრამ მე მაინც მომწონს. მე და იმან დუქანდარობა ვითამაშეთ. გაროფი სწრაფად და დიდის მოხერხებით სწონავს, აწონილს ნივთს ქაღალდში ახვევს და ყოველის ნივთის ფასიც იცის. „ჩემ მიერ გამოგონილი ახალი ვაჭრობა უნდა დავიწყო, როცა სწავლას გავათავებო!“ მითხრა გაროფიმ. მე რამდენიმე უცხო ქვეყნის ფოსტის მარკა ვაჩუქე და სიხარულისაგან ფეხზედ აღარ იდგა.

მამაჩემი გაზეთსა კითხულობდა და თან ყურს ჩვენ გვიგდებდა. გაროფის ჯიბეები ყოველთვის სხვა-და-სხვა ნივთითა აქვს სავსე და რაც შეუძლიან,

ჯიბეებს ზედა ტანსაცმელს აფარებს. ყველაზე მომეტებულად გაროფი მარკებს უფრთხილდება და სულ იმის ლაპარაკშია! ამხანაგები ძუნწსა და მყვლეფავს ეძახიან გაროფის, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვარ. გაროფისაგან ბევრს რასმე ისწავლის ადამიანი. მეშეშეს შვილმა კორეტიმა სთქვა, რომ გაროფი თავის დედის განსაცდელისაგან დასახსნელადაც არ გამოიმეტებს მარკებსაო. მამაჩემს ეს არა სჯერა. „ადრეა ჯერ იმისი გაკიცხვაო“, მითხრა მამაჩემმა: „მართალია, ცუდი მიზიდულება აქვს, მაგრამ ზედ ეტყობა, გულით კეთილიაო“.

ვ-ი. ორშაბათი.

გუშინ ვოტინი, იმისი მამა და მე რიეოლის ბაღში დავსეირნობდით. დორაგროსის ქუჩაზე სტარდი დავინახე. ეს ის სტარდია, რომელმაც მწვავე მუჯლუგუნები იცის, თუ მუშაობის დროს დაუშალეთ. წიგნის მაღაზიასთან გამოკიმულიყო და გაშტერებული შეჰყურებდა გეოგრაფიის სურათს. ვინ იცის, იქნება კარგა ხანია, რაც იქა დგა. ქუჩაშიაც-კი სწავლობს. უზრდელმა თავი ოდნავ დაგვიქნია. ვოტინი მეტად კოპწიად იყო ჩაცმული, ახალი წითელ არშიებით აპრელებული ხალათი და ახალი წაღები ეცვა და ახალი თეთრი ქუდი ეხურა. ხალათზე კოპწიად გაეკეთებინა საათი. ვოტინის მამა ნელა დადიოდა და ჩვენ კარგა უკან ჩამოგვრჩა. ჩვენ ბაღის თავში

ავირბინეთ და ქვის სკამთან დავდექით. სკამზე თავ-ჩაღუნული, თითქოს დაღლილაო, ვილაც ბავშვი იჯდა. ბავშვის მახლობლად; ხეების ჩრდილში, მგონი ბავ-შვის მამა დადიოდა და გაზეთსა კითხულობდა. ჩვენც სკამზე ჩამოვსხედით. ვოტინი ჩემსა და ბავშვს შუა ჩაჯდა. უცებ მოაგონდა, რომ ახალი ტანისამოსი მაცვიაო, და იმ ბავშვის გამოსაჯავრებლად კვეხნა დაიწყო.

— ჩემი ახალი წაღები ჰნახეო? მითხრა და ფეხი მაღლა აიშვირა.

ბავშვმა ყურადღებაც არ მოგვაქცია. ვოტინიმ წინ წამოიწია, ხალათი გაიხსნა და ხალათის ღილე-ბი წინ გამოიშვირა.

— არ მომწონს ატლასის ღილები, დედას უნდა ვთხოვო, რომ ვერცხლის ღილები დამიკეროს.

ლაპარაკობდა და ცალის თვალით ბავშვს უცქე-როდა, ვნახოთ, მიყურებს, თუ არაო!.. ბავშმა მაღლა არც-კი აიხედა. ვოტინიმ ქუდი მოიხადა და ხელში თამაშობა დაუწყო, მაგრამ ვერც ამით მოახედა ბავ-შვი. მკვეხარას ცოტა არ იყოს ეწყინა ბავშვის მხრივ ასეთი უყურადღებობა. საათი ამოიღო, აჰხადა ქვე-მო სახურავი და შიგნი-შიგან ჩასხმული თვლები მა-ჩვენა. ბავშვი უძრავად იჯდა.

— ოქროშია დაფერილი-მეთქი? ვკითხე.

— არა, ხალასი ოქროა! მიპასუხა ვოტინიმ.

— სულ ოქროსი არ იქნება, ვერცხლიც ერევა..

— არა-მეთქი!

ბავშვის გულგრილობით გაბრაზებული ვოტინი ზეზე წამოვარდა და ბავშვს თითქმის ცხვირზედ შიადო საათი.

— ჰნახეთ! განა ხალასი ოქრო არ არის?

— არ ვიცი, მშრალად უპასუხა ბავშვმა.

— ოჰო! წამოიძახა ვოტინიმ: რა ძალიან იბეჭრები!

ამ ლაპარაკში ჩვენთან ბავშვის მამა მოვიდა. ვოტინს შეეხვეა, შვილს უთხრა: „ჩუმადაო!“, და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ჩემი შვილი ბრმაა!

ვოტინი შეკრთა, წამოვარდა და ბავშვს დააცქერდა. ბავშვს თვალებზე თეთრად ბისტი ჰქონდა გადაფარებული. ვოტინი კარგა ხანს დაჰყურებდა შეერცხვენილი დედამიწას.

— საწყალი, არ ვიცოდიო! ძლივს წამოილულლულა.

ბრმამ გაიგონა, გულ-კეთილად გაიღიმა და სთქვა:

— არა უშავს-რა!..

ვოტინი მეტად თავ-მოყვარეა, მაგრამ ურიგო გული არა აქვს. იმ დღეს მთელი საღამო დაღონებული დადიოდა და პირზე ღიმილი აღარ მიჰკარებია.

10-ი. შაბათი.

სოფელში თავისუფლად ნავარდობას ბოლო მოელო: ბავშვების მეგობარი პირველი თოვლი მოვიდა. გუშინ საღამოდგან დაწყებული ნორჩმა თოვლმა დედამიწა მთლად დაჰფარა. დღეს დილით სიამოვნებით ვუცქეროდი, როგორ ეყრებოდა თოვლი ფანჯრებსა და ქუჩებს. მასწავლებელიც-კი გაამხიარულა თოვლის მოსვლამ და მთელი დღე ხელებს იფშვნეტდა. ყველა მხიარულად არის დღეს, თოვლობა-ციგაობის დრო დადგა. მარტო სტარდი არ იმჩნევს სიხარულს და წიგნს ჩაჰყურებს ჩაფიქრებული. ენით გამოუთქმელს სიხარულს მივეცით თავი, გაკვეთილები რომ გავათავეთ და სკოლიდგან გამოვედით! ქუჩაზე სიარულის მაგიერ მოვრბოდით, ვხტოდით... თოვლს ვაგუნდავებდით, ტანისამოსს ვიბღერტავდით! ჩვენის მშობლების ქოლგები, პოლიციელების ქუდები და ჩვენი აბგები ერთს წამს გაათეთრა თოვლმა. მუდმივ მოღრუბლული პრეკოსიც-კი სიხარულისაგან აღარ იყო. საწყალი რობეტი ყავარჯნებით დახტოდა. კალაბრიელი პირველადა ჰხედავდა თოვლს, დიდი გუნდა გაეკეთებინა და ატამსავითა ჰკბეჩავდა. მემწვანილის შვილმა კროსიმ აბგა თოვლით გაივსო. პატარა „კალატოზმა“ ხომ სიცილით დაგვხოცა... მამაჩემმა სახვალიოდ ჩვენსას დაჰპატიჟა. კალატოზს პირი თოვლითა ჰქონდა სავსე, ვერც ჩაჰყლაპა, ვერც გადმოყრა მოასწრო და მამიჩემისა საშინლად შერცხვა. მასწავლებელი ქალებიც მხია-

რულად მოდიოდნენ. ჩემის ძმის მასწავლებელს პირისახე მწვანე პირბადით დაემალა (საწყალს ახველებს) და შინისკენ გაჩქარებული მიდიოდა. საქალებო სასწავლებლიდგანაც მოსწავლე ქალები ქუჩაზედ სიცილ-ხარხარითა და ხტუნვით გამოცვივდნენ. მოსწავლეებს მასწავლებლები მოსდევდნენ უკან.

— შინ წადით, ნუ ჰგიჟობთო! გვეუბნებოდნენ მასწავლებლები, მაგრამ სახეზედ ეტყობოდათ, რომ თითონაც ჩვენთან ერთად მხიარულობდნენ და ჩვენის სიამოვნებით ისინიცა სიამოვნობდნენ.

მინაწერი

ზამთარი გახარებთ... მაგრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთაც არც ტანსაცმელი აქვთ, არც ფეხსაცმელი და არც ცეცხლი! ბნელი და მიწური სასწავლებელი მრავალია! იმ სასწავლებელში შეგირდები ბოლისაგან ირჩვებიან და სიცივისაგან ძაგძაგებენ! გადულებელს თოვლს გამწარებულნი უყურებენ და ჰკრთიან, ქარ-ბუქი არ ამოვარდესო, რადგან ქარ-ბუქი ყოველს წამს განსაცდელს უქადის იმათაცა და იმათს სახლსაც. თქვენ ზამთარს მხიარულად ეგებებით, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმ უთვალავს ხალხს, რომელსაც ზამთარი შიმშილისა და ცხოვრების გაჭირვების მეტს არას მოუტანს ხოლმე.

შენი მამა.

11-ი. კვირა.

პატარა „კალატოზს“ თავის მამის ხალათი ჩაეცვა და ჩვენსას ისე მოვიდა. მამა ჩემს ძალიან უნდოდა იმის მოსვლა. „კალატოზმა“ აივანზედვე მოიხადა ქუდი, თოვლი დაიბერტყა და დაღლილ მუშასავით ოთახში ზლაზვნით შემოვიდა. სასადილო ოთახში სტოლზე დებულს კუზიან რიგოლეტოს სურათს დააცქერდა და უცებ ისე დაღმიჭა სახე, რომ ყველას სიცილი წაგვსქდა. მე და „კალატოზმა“ თამაშობა და სახლების შენება დავიწყეთ. მკვირცხლად და საუცხოოდ აშენებდა ხიდებს, კოშკებს, სახლებს! სწორედ საკვირველი იყო, რომ შენობა ერთხელაც არ დაეშალა. „კალატოზი“ ისე გულ-მოდგინედ ჰმუშაობდა, თითქოს მართალი შენობა უნდა ააგოსო.

თამაშობის დროს თავის ოჯახის ამბავი მიამბო. იმისი მშობლები საჩეხის სართულში სცხოვრობენ თურმე. მამაჩემი საღამოობით სკოლაში წერა-კითხვის სასწავლებლად დადის და დედა-კი ავადა მყავსო. ლაპარაკში ეტყობოდა, რომ მშობლებს „კალატოზი“ ჰყვარებიათ! თუმცა მითხრა, რომ ღარიბადა ვცხოვრობთო, მაინც კარგა თბილად იყო ჩაცმული. ამბობენ, რომ იმისი მამა ძლიერ მაღალი და სრული კაცია და შვილსავით ხუმარაო. ოთხს საათზე შევნაყრდით. იმ სავარძელზედ, რომელზედაც პატარა კალატოზი იჯდა, კირი შევნიშნე. მიკვედი, მინდოდა გამეწმინდა, მაგრამ მამაჩემმა შემაყენა; შემდეგ

თითონ გაეწმინდა ჩუმად. თამაშობის დროს კალა-ტოზს ხალათზე ღილი ასწყდა. დედაჩემმა მაშინვე დაუკერა. საწყალი კალატოზი გაჭარხლებული და თავ-ჩაღუნული იდგა, სანამ დედა ღილს დაუკერებდა. ბოლოს კალატოზს კარიკატურის სურათები ვაჩვენე. ყოველ სურათის დანახვისათანავე უნებურად თი-თონაც იმასავით იღმიჭებოდა, მერე თავისს სახეს ისე ლამაზად ამსგავსებდა სურათს, რომ მამაჩემიც-კი გულიანად იცინოდა. კალატოზი ისეთი კმაყოფი-ლი იყო მთელი დღე, რომ წასვლის დროს ქუდის დახურვაც-კი დაავიწყდა და გარეთ თავ-შიშველა გა-ვარდა. პატარა კალატოზს ანტონიო ჰქვიან და სულ რვა წლისა და რვა თთვისაა...

მინაწერი.

ვერ მიმიხვდი განა, ამხანაგთან რად დაგი-შალე სავარძლის გასუფთავება! ეგ ხომ აშკარა საყვე-დური იქნებოდა, ვითომდა რად გათხუპნე სავარძე-ლიო! გახსოვდეს, რომ ასეთი საქციელი არ ვარგა. იმან გაუფრთხილებლობით, თავისდა უნებურად მა-მის სამუშაო ხალათით სავარძელს მცირე მტვერი მიაცხო! მუშის სამუშაო ტანისამოსი გათხუპნულია და არა ჭუჭყიანი; მტვერი, კირი და წებო აცხვია და არა ჭუჭყი. მუშაობა არავის არა სცხებს ჭუჭყს. არას დროს არ გაჰპედო და არა სთქვა, მუშა-კაცი ჭუჭ-ყიანიაო. ყოველთვის ისა სთქვი ხოლმე, რომ იმის ტანისამოსს შრომისა და მუშაობის ნიშანი ადევს-

თქო. ეს კარგად გახსოვდეს და პატარა კალატოზიც გიყვარდეს. ის შენი ამხანაგია, თუმცა მუშის შვილია.

შენი მამა.

16-ი. პარასკევი.

თოვლი-კი სულ მოდის და მოდის. დღეს უბედურება მოხდა. გაკვეთილებს შემდეგ ყველა მოსწავლენი კორსოზე გავედით, ორად გავცალკევდით და გუნდაობა დავიწყეთ. ახალი თოვლი ქვასავით გუნდავდებოდა. ქუჩაზე ხალხი ბევრი ირეოდა. ერთმა გამომვლელმა დაგვიყვირა, გუნდაობას თავი დაანებეთ, თქვე ცელქებოო! ჩვენ ყური არ ვუგდეთ გამვლელს. ამას შემდეგ არ გასულა სულ ორი წამი, რომ ქუჩის მეორე მხრიდგან საშინელი ყვირილი შემოგვესმა. თავშიშველა მოხუცი კაცი საშინლად ილმიქებოდა და ხელები თვალებზედ მიეფარებინა. მოხუცის გვერდით ბავშვი იდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰყვიროდა:

— მიშველეთ, მიშველეთ!..

ბავშვის ყვირილზედ მოხუცის გარშემო ხალხმა მოიყარა თავი. მოხუცებულს თვალში თოვლის გუნდა ჰქონდა მოხვედრილი. მე წიგნის მაღაზიის წინ ვიდექ (მამაჩემი წიგნის მაღაზიაში იყო). სხვა შეგირდები საჩქაროდ მიიმალ-მოიმალნენ, ზოგიერთი შეგირდი წიგნის მაღაზიასთან მოვარდა და ხალხში აირია,

ვითომდა წიგნებსა ვსინჯავთო... აქ იყო გარონე (ჩვეულებრივ ხელში პურის ნატეხი ეჭირა), კორეტი, „კალატოზი“ და მარკების მკრეფავი გაროფი. პოლიციელი და ვიღაც უცხონი კითხულობდნენ:

— ვინ იყო? გუნდა ვინ მოარტყაო?

ყველა ბავშვს ხელებს უსინჯავდნენ. ჩემს გვერდით გაფითრებული გაროფი იდგა და საშინლად ცახცახებდა.

— ვინ იყო? ხმა-მაღლა ჰკითხა პოლიციელმა. გარონემ ჩუმად უთხრა გაროფეს:

— წამო გამოტყდი! სხვას ხომ ვერ დააბრალებ, უსინიდისობა იქნებაო.

— განგებ ხომ არ ჩამიდენიაო! უპასუხა გაროფიმ.

— ეგ სულ ერთია, მაინც მოვალე ხარ გამოსტყდე.

— მეშინიან!

— ნუ გეშინიან, მე თან წამოგყვები.

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, პოლიციელი ძალაზედ გასძახოდა:

— ვინ ესროლა გუნდა! სათვალეები გასტეხია! შუშის ნატეხი თვალში ჩარჭობია! დაბრმავდება! ვინ იყო ის ავაზაკი, ისა?

— წავიდეთო, უთხრა ახლა-კი მკაცრად გარონემ გაროფის, წაავლო ხელი და მეხილის დუქნისაკენ თითქმის ძალად წაიყვანა. მოხუცი მეხილის დუქანში შეიყვანეს. გზაზე ხალხმა მიმავალი გარონე

და გაროფი შენიშნა. თითქოს მიჰხვდენ, ვინც იყო იმათში დამნაშავე, და ზოგიერთმა გაროფის საცემლად მიიწია, მაგრამ გარონემ შეაყენა:

— არა გრცხვენიანთ, მაგოდენა ვაჟკაცები ბალლის საცემლად მოსდიხართო!

პოლიციელი გაუძღვა ბავშვებს და მოხუცთან მიიყვანა. მე მოხუცებული ვიცან. ეს მოხუცი თავისის პატარა ძმისწულით ჩვენის სახლის მეოთხე სართულში სცხოვრობს. მოხუცი დუქანში სავარძელზედ დაესვათ.

— უცაბედად და უნებლიედ მომივიდაო, ამბობდა გაროფი და თან მწარედა სტიროდა.

ვილაცამ ხელი ჰკრა გაროფის და უთხრა:

— დაიჩოქე და პატიება სთხოვეო.

გაროფიმ უნებლიედ ჩაიჩოქა. ხალხიდგან ვილაცა გამოვიდა, ააყენა გაროფი და ხმა-მაღლა დაიძახა:

— არა, ბატონებო, მოითმინეთო! ეს კაცი ჩვენი უფროსი იყო, რომელსაც ყველაფერი დაენახა: ბავშვს იმდენი სულ-დიდობა შერჩა, რომ თავისი დანაშაული თითონვე აღიარა და არავის არა აქვს ნება მისის დამცირებისა. ბოდიში მოიხადეო, უთხრა უფროსმა გაროფის.

გაროფი მოხუცს მუხლებზედ ტირილით მოეხვია. მოხუცმა თავზედ აკოცა და უთხრა:

— მიპატიებია, შვილო, ღმერთმა გაგზარდოს!

მამაჩემმა, შინ რომ მოვდიოდით, მკითხა:

— ენრიკო, შენც შეიძლებ ამისთანა შემთხვევაში დანაშაული გულ-მართლად აღიარო.

— დიახ-მეთქი, ვუპასუხე.

— როგორც პატიოსანი და კეთილი ყმაწვილი, სიტყვა მომეცი, რომ შენც გაროფისავით მოიქცევი.

— სიტყვას გაძლევ, მამავ!

17-ი. შაბათი.

გაროფი გულის ცახცახით მოელოდდა მასწავლებლის კლასში შემოსვლას. იცოდა, რომ გუშინდელ საქმის გამო გასცოცხავდა. ამის იღბალზე დღეს ჩვენი მასწავლებელი არ მოვიდა. იმის მაგიერ ჩვენს კლასში ყველაზე მოხუცი და ძველი მასწავლებელი ქ-ნი კრონისა შემოვიდა. ქ-ნს კრონისას ორი ვაჟიშვილი ჰყავს. ერთი შვილი ავადა ჰყავს და ამიტომ თუ იყო მოწყენით. შემოვიდა თუ არა კლასში, ჟრიამული დავიწყეთ. კარებშივე შეჩერდა და ნელის ხმით გვითხრა:

— გრცხვენოდეთ! მე მთლად გათეთრებული ვარ! მასწავლებელი-კი არა, დედა ვარ თქვენიო.

ჩვენ უცებ დავწყნარდით, მხოლოდ ფრანტიმ მაინც არ მოისვენა და თავის მეზობელს ჩუმად უწკვინტილა. ქ-ნი კრონის მაგიერ, იმის კლასში ჩემის ძმის მასწავლებელი ქ-ნი დელკატისა შესულიყო! ჩე-

მის ძმის კლასში-კი „მოლოზანი“ გაეგზავნა უფროსს. ამ მასწავლებელს-ქალს „მოლოზანს“ იმიტომ ვეძახით, რომ სულ შავს ტანთსაცმელს იცვამს. „მოლოზანს“ სახე პატარა და მეტად თეთრი აქვს, თმას ყოველთვის უკან ივარცხნის! პატარა ჟუჟუნა თვალები და წკრიალა ხმა საშინლად უხდება. საკვირველია, ამბობს ხოლმე დედაჩემი: „მოლოზანთან“ ბავშვები ყოველთვის ჭკვიანად სხედან კლასშიო. „მოლოზანი“, თითქოს მორცხვობსო, ისე დაბლა ლაპარაკობს, რომ ძლივს გესმის. არას დროს იმისაგან ყვირილი და ჯავრობა არ გამიგონია. მაინც საკმარისია თითი დაიქნიოს, რომ მოუსვენარი გიჟიც-კი ბუზსავით მიიმალოს. იმის კლასში ყოველთვის წესიერი სიჩუმეა ხოლმე. იქნება ამიტომაც დაარქვეს „მოლოზანი“!

პირველ კლასის უმცროსის განყოფილების მასწავლებელი-ქალიც მომწონს. ეს ქალი ძალიან ახალგაზდაა და თეთრ-წითლად ჰღუის. ქუდზე დიდი წითელი ბუმბული აქვს გაკეთებული და გულზედ განუშორებელი ყვითელი ჯვარი ჰკიდია. მხიარულია და, როცა ბავშვს უჯავრდება, არ ვიცი-კი რად, სახე უბრწყინდება და ღიმილი განუშორებლადა აქვს სახეზედ. გაკვეთილს შემდეგ, შეგირდები გარეთ რომ გამოდიან ხოლმე, ველარ ისვენებს, ხან ერთს შეგირდსა და ხან მეორეს უსწორებს ხალათს, ქამარს, საყელოს... ქუჩაშიაც-კი არა შორდება თავისს შეგირდებს, რა არის გზაზედ არ იცელქონ და არ იჩ-

ხუბონო. მშობლებს ხომ სულ იმას ეხვეწება,—ბავშვებს ნუ უჯავრდებით და ნუ დასჯითო. შეგირდებს ძალიან უყვართ! თავისუფალს დროს შეგირდები ბუზსავით ეხვევიან! არავის უშლის თავისთან მისვლას, სამაგიეროდ თითონაც შეერევა ხოლმე შეგირდებში და იმათთან ერთად ხუმრობს, თამაშობს... მოდი და ნუ შეიყვარებ ამისთანა მასწავლებელს! დაგახველებს, მაშინვე ყინვარ-შაქარს მოგცემს, გცივადა, თავის შალში შეგახვევს... თავისს შეგირდებს ხომ უვლის, თავისის შრომით ეს მასწავლებელი თავისს დედასა და პატარა ძმასაც ინახავს.

-- ---

18-ი. კვირა.

გაროფიმ რომ მოხუცი დააშავა, იმ მოხუცთან იმისი პატარა დისწული სცხოვრობს; ის ახალგაზდა მასწავლებელ-ქალის კლასშია. ბიძას დისწული შვილსავით უყვარს... მომავალ კვირისათვის მასწავლებელმა გადასაწერად თთვიური ამბავი „ფლორენციელი მწერალი“ მომცა. გავათავე თუ არა ამ ამბის წერა, მამაჩემმა მითხრა:

— ზევით ავიდეთ და ვნახოთ, მოხუცს თვალი როგორა აქვსო.

მეოთხე სართულში ავედით. მოხუცს დასაწუნი ოთახი არ უჭირავს. საბრალო, ბალიშებ გარს შემოწყობილი, ლოგინში იწვა. საწოლთან იმისი ცოლი

იჯდა და კუთხეში იმისი პატარა დისწული თამაშობდა. მოხუცს თვალი შეხვეული ჰქონდა. ჩვენი მისვლა ავადმყოფს საშინლად ესიამოვნა. შემოგვთავაზა სკამები და ავადმყოფის მახლობლად დავსხედით. გვითხრა, რომ ეხლა უკეთ ვარ და იმედი მაქვს, ამ ორს დღეში მთლად მოვრჩეო.

— თვალი არა მაქვს გაფუჭებული, განაგრძო მოხუცმა: მხოლოდ ის მაწუხებს, რომ იმ საწყალს ბავშვს ძალიან შეეშინდა. საშინლად მინდა იმისი ნახვა და არ ვიცი, როგორ ვნახო.

ამლაპარაკში ზარის ხმა შემოგვესმა.

— ექიმი იქნებაო, წამოიძახა დიასახლისმა, საჩქაროდ წამოდგა და გააღო კარები. წარმოიდგინეთ, ვინ დავინახეთ! თავის გრძელს წამოსასხამში შეხვეული და მთლად გაფითრებული გაროფი იდგა კარებში.

— ვინ არის? იკითხა ავადმყოფმა.

— თოვლის გუნდა რომ მოგარტყა, ის ბავშვიაო, უპასუხა ცოლმა.

— ოჰ, წამოიძახა მოხუცმა: შემოდი, შემოდი! უეჭველია ჩემის ამბის შესატყობლად მოხვიდოდი, არა? მოდი ახლოს! ეხლა კარგადა ვარ, ტკივილმა თითქმის სულ გამიარა!

გაროფი თავ-ჩალუნული მიუახლოვდა ავადმყოფს, მოხუცმა თავზედ ხელი დაადო და ალერსით უთხრა:

— გმადლობ, ჩემო კარგო, რომ მნახე. ეხლა

დამშვიდებული იყავ და შენს მშობლებს უთხარ, ნუ შესწუხდებიან, არა მიჭირს-რა.

გაროფის რაღაცა უნდოდა ეთქვა და გაჩუმებული ტუჩებს იკვნეტდა.

— გინდა რამეო? ჰკითხა მოხუცმა.

— არა... არაფერი.

— მაშ ნახვამდის, ნურა გეფიქრება-რა...

გაროფი კარებისაკენ გატრიალდა და კარებთან შედგა... დააცქერდა კუთხეში მოთამაშე ბავშვს, ჯიბიდგან საჩქაროდ რაღაცა ამოიღო, მიირბინა ბავშვთან, ხელში მიაჩეჩა, უთხრა: „ეს შენი იყოსო“, და თავ-მოგლეჯილი გავარდა ოთახიდგან. ბავშვმა გაროფის საჩუქარი ბიძას მოუტანა. საჩუქარს ზემოდგან ეწერა: „ჩემ სახსოვრად“. მოხუცმა გახსნა პატარა ყუთი და, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, ყუთი სავსე იყო კარგა ხნის ნაწვავ-ნაამაგდარის მარკებით! ყველაზედ მეტად ამ მარკებს შესტრფოდა დ> უფრთხილდებოდა გაროფი... ისიც გაემეტებინა!

ფლორენციელი მწერალი

(მოთხრობა)

ის ჩვენის სასწავლებლის მეოთხე კლასში იყო. თორმეტის წლის ბიჭი მშვენიერის შეხედულებისა გახლდათ. მამა მისი რკინის გზაზედ ჰმსახურობდა. სახ-

ლობა დიდი ჰყავდა, ჯამაგირი-კი მაგრე რიგად ბევრი არაფერი ჰქონდა. მამას მეტად უყვარდა თავისი უფროსი შვილი და სულ იმის ალერსსა და ლოლიაობაში იყო, მაგრამ თუ საქმე სწავლას შეეხებოდა, მაშინ-კი მეტად მკაცრად ეკიდებოდა. უფროსს შვილს მალე უსათუოდ უნდა ეშოვნა რაიმე სამსახური და ამისათვის ხომ სწავლა იყო საჭირო. მართალია, ბავშკი თავის თავადაც ერთგულად ჰმეცადინეობდა, მაგრამ მამაც, რაც შეეძლო, ახალისებდა და ხელს უწყობდა შვილს. მამა შუა-ხანს გადასული იყო და მომეტებულის შრომისაგან გატეხილიყო. თავისის მცირე ჯამაგირით ოჯახს რომ ვერ უძღვებოდა, კერძოდ გადასაწერ საქმეებს ჰშოულობდა და ამიტომ მთელს ღამეს წერაში ატარებდა. უკანასკნელად ერთმა წიგნების ვაჭარმა, რომელიც ჟურნალსა ჰბეჭდავდა, ბანდეროლების დაწერვა მიანდო. უნდა ეწერა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი ხელის-მომწერლებისა. ხუთასს ამისთანა სუფთადა და გარკვევით დაწერილს ადრესს თხუტმეტ შაურად გაურიგდა. მოჰღალა ამ მუშაობამ და არა ერთხელ სჩიოდა ხოლმე სადილის დროს:

— თვალები როგორღაც აღარ მიჭრის, ეს საქმე სწორედ დამაბრმავებსო.

— მეც შემოგეშველები, მამავ! მე და შენ ხომ ერთ გვარი წერა ვიცით.

— არაო, უპასუხა მამამ: შენი სწავლაზე მოცდენა უფრო დასაკლისია, ვიდრე ბანდეროლების წერა.

ჩემის მიზეზით რომ ერთი საათი მოსცდე, სინიდისი აღარ მომასვენებს. ეგ სიტყვა აღარ გამაგონო.

ჯულიომ კარგად იცოდა მამის ხასიათი, აღარ აუხირდა და სხვა გვარად აასრულა თავისი წადილი. ყოველთვის ღამის თორმეტს საათზედ ათავებდა წერას ჯულიოს მამა და მიდიოდა ხოლმე დასაძინებლად. არა ერთხელ გამოჰლვიძებია ამ დროს ჯულიოს საათის ხმაზედ და შემოსმენია თავის მამის დინჯი სიარული. ერთს ღამეს სულ-განაბულმა და ლოგინში მწოლარე ჯულიომ უდარაჯა თავის მამას. აგერ მამაც გამოვიდა სამუშაო ოთახიდგან, შევიდა საწოლს ოთახში და დაწვა. ბავშვი ფრთხილად შეიპარა სამუშაო ოთახში და სანთელი აანთო.

საწერს მაგიდაზე იდო ერთი გროვა ბანდეროლებისა და ადრესების სია. ჯულიომ დაიწყო წერა და სცილობდა მამის ხელისთვის მიემსგავსებინა. მუშაობდა სიამოვნებით, ხალისით. დაწერილი ბანდეროლები თანდათან ბევრდებოდა. ხანდახან შესდგებოდა ჯულიო, ცოტა ხანს გასჭიმავდა ხელს და ისევე იწყებდა წერას. დასწერა ას სამოცი ბანდეროლი და მამის მისაღებ ფულს ხუთი შაური კიდევ მიუმატა. გააქრო მერე სანთელი, მიალაგ-მოალაგა მაგიდა, ფეხაკრეფით გამოვიდა, შევიდა თავისს ოთახში და დაწვა.

მეორე დღეს სადილზე ჯულიოს მამა კარგს გუნებაზე იყო. მუშაობას საათობით ანგარიშობდა და ამიტომ ვერ შეიტყო შვილის ოსტატობა. როცა დაწერილი ბანდეროლები გადათვალა, ნახა, რომ ბე-

ვრი იყო და ძალიან ესიამოვნა. სადილად რომ დასხდნენ, სიცილით უთხრა შვილს:

— ჯულიო, შენა გგონია, რომ მამაშენი მოუძლურდა და ვეღარა ჰმუშაობს? არა! გუშინ საღამოს ორის საათის განმავლობაში ნახევარი სამუშაო დავასრულე. კარგა ხანია, ასე ერთგულად არ მიმუშავნია. სჩანს, ჯერ კიდევ ხელში ღონე და თვალში სინათლე არ გამომლეევია...

ჯულიო მეტად გაახარა მამის სიტყვამ და თავისს გუნებაში გაიფიქრა:

— საწყალო მამავ! მეტის ფულის აღება გახარებს, ხოლო ის-კი გიორკეცებს სიხარულს, რომ ჯანზედ ჯერ კარგადა ხარ, მაშ კარგი საქმე მომსვლიაო.

გამხნევებული ჯულიო მეორე ღამესაც სწორედ თორმეტს საათზე შეუდგა საქმეს. მამამ ჯულიოს კარგა ხანს ვერ შეუტყო ეს ეშმაკობა. ერთხელ ვახშამზე-კი სთქვა: საკვირველია, ამ უკანასკნელს დროს ასე ბევრი სანთელი რად გვეხარჯებაო? ჯულიო ამ სიტყვაზე ცოტა შეკრთა, მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგან ჯულიოს დედამ სულ სხვა საგნის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი. ღამის მუშაობა თავის რიგზედ მიდიოდა. ღამის ტეხა და ჯაფა მალე დაეტყო ბავშვს. დილით დაღალული დგებოდა და საღამოობით, გაკვეთილების მზადების დროს, სთვლემდა ხოლმე. დღეს პირველად დაეძინა რვეულზედ.

— ჰა! საქმის დროს ძილი! დაუყვირა მამამ.

ჯულიომ თვალები წამოაჭყიტა და ისევ საქმეს შეუდგა. მაგრამ ეს უბედურება მეორე და მესამე დღესაც შეემთხვა მეცადინეობის დროს. დილით გვიანა დგებოდა და გაკვეთილებსაც უნდომლად ამზადებდა, თითქოს სწავლა შეეჯავრაო. მამა გაფაციცებით ადევნებდა თვალს, ამჩნევდა უხალისობას და ბოლოს ყვედრებაც დაუწყო.

— წინად არას დროს არ მიგიყვანივარ აქამდე, ჯულიო! გატყობ, რაღასაც მატყუებ, მთლად გამოიცვალე. კარგი არ არის. მთელი ოჯახი შენ შემოგხარით, შენი იმედი გვაქვს, მე მადლიერი არა ვარ შენი, გესმის?

ამ პირველმა საყვედურმა ბავშვი საშინლად შეაწუხა. „არაო, ჰფიქრობდა ბავშვი: ასე არ ვარგა, მოტყუება სისაძაგლეაო“...

იმავე დღეს სადილზე გახარებულმა მამამ წამოიძახა: „იცით, ამ თთვეში ბანდეროლების წერისა რვა მანეთით მეტი მერგო, ვიდრე წინა თთვეშიო“. სთქვა და მაგიდის უჯრიდგან ყუთით ხმელი ხილი ამოიღო. ხილი ბავშვებისათვის საჩუქრად ეყიდნა, რადგან მეტი ფული აეღო ამ თთვეში. ბავშვები ძალიან გაახარა მოულოდნელმა საჩუქარმა. ჯულიო გაჩუმებული იჯდა და ჰფიქრობდა:

—არა, ჩემო მამავ! მუშაობას არ მოვიშლი! ვეცდები დღისით ბეჯითად ვისწავლო ჩემი გაკვეთილები და ღამ-ღამით შენთვისა და ოჯახისათვის ვიშრომო.

— რვა მანეთი, განაგრძო ისევ მამამ: საშინ-

ლად მახარებს, მხოლოდ ეს-კი (ჯულიოს შეჰხედა) ძალიან მაჯავრებს...

ჯულიოს ეწყინა მამის საყვედური, მაგრამ არ შეიმჩნია, რადგან ამ წყენასთან სიამოვნებასაცა ჰგრძნობდა გულში.

ბავშვი ორის თთვის განმავლობაში განუწყვეტლივ ერთგულად მუშაობდა. დღისით გაკვეთილებს ამზადებდა და ღამე მამის მაგიერადა სწერდა. მუდმივმა მუშაობამ თავისი დაღი დაასვა ბავშვს. მამა გაჯავრებით უყურებდა და ბოლოს ხომ სასწავლებელშიაც წავიდა შვილის ამბის შესატყობლად.

— ეგ სხვებს არ ჩამორჩენიაო, ეუბნებოდა მასწავლებელი: არ ჩამორჩენია იმიტომ-რომ საუცხოო ნიჭი აქვს. ეს არის მხოლოდ, რომ წინად უფრო ხალისითა სწავლობდა. ეხლა ხშირად გაკვეთილებზედა სთვლემს, ამთქნარებს, წინანდებურად ყურს არ გვიგდებს. თხზულებას ხომ სულ პატარ-პატარასა და უსუფთაოდა სწერს, თუმცა-კი უკეთ შეუძლიან წერაცა და მეცადინეობაც.

იმავე საღამოს მამამ ცალკე ოთახში შეიყვანა ჯულიო და მკაცრად დაუწყო ლაპარაკი:

— ხომ ჰხედავ, რომ ოჯახისათვის მუშაობით სულს ვირთმევ, შენ უნდა იყო ჩემი თანაშემწე, მაგრამ გეტყობა უჯიგრო ჰყოფილხარ, არც მამა გაგონდება, არც დედა, არც ძმები!..

— ნუ, ნუ მეუბნები მაგას, მამავ! წამოიძახა

ტირილით ბავშვმა და ის-ის იყო აპირებდა გამოტეხას, მაგრამ მამამ შეაყენა.

— შენ კარგად იცი ჩვენი მდგომარეობა, იცი, რომ თუ არ შრომა, შრომა განუწყვეტელი, ძლიერ ცუდს ყოფაში ჩავცვივით. იმედი მქონდა, ამ თთვეში ოც-და-ხუთს მანეთს საჩუქარს მომცემდნენ, მაგრამ დღეს ნამდვილად შევიტყე, რომ ვერაფერს საჩუქარს ვერ მივიღებ.

ჯულიო თუმცა გამოტეხას აპირებდა, უნდოდა ყველაფერი ეამბნა, მაგრამ ეხლა-კი ისევ შესდგა, სიჩუმე ამჯობინა, რა-კი შეიტყო თავის მამის იმედის გაცრუება. არა, არ ვეტყვი! დეე, ეს ჩემი ქცევა ისევ დაფარული იყოსო. მამავ! მე გაწუხებ, მაგრამ სიტყვას გაძლევ, რომ კარგად კიმეცადინებ და შემდეგს კლასში უკეთესს შეგირდად გადავალ.

ამას შემდეგ სრული ორი თთვე ჯულიო ისევე იქცეოდა, როგორც წინად: ღამე მამის მაგიერ მუშაობდა, დღისით თავისს საქმეებს ასწრობდა. მამამ არაფერი იცოდა და თავის მხრივ ყვედრებას არ აკლებდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მამა თანდათან რაღაც უგულოდ შეიქმნა, შვილი თითქოს შეიჯავრა და ლაპარაკითაც აღარ ელაპარაკებოდა, თითქოს დაკარგულადა სთვლიდა და იმისაგან კარგს აღარას მოელოდა. ჯულიო ჰხედავდა ამას და იტანჯებოდა. მამა თვალს არიდებდა და მწუხარე შვილი-კი თავის გულში ესიყვარულებოდა, ეალერსებოდა მამას.

თან უზომო შრომამ და თან მამის დარდმა დაასუსტა, ძვალ-ტყავად აქცია ჯულიო და სწავლითაც ხომ უხალისოდა სწავლობდა. კარგადა ჰგრძნობდა, რომ ოდესმე ღამის მუშაობა უნდა შეეწყვიტნა. ამისთვის ყოველს საღამოს გადასწყვეტავდა ხოლმე, რომ ამაღამ აღარ ვიმუშავებო, მაგრამ შესრულდებოდა თუ არა ღამის თორმეტი საათი, თავს ვერ იმაგრებდა, სინიდისი თითქოს ჰქენჯნიდა, მოსვენებას არ აძლევდა: ადე, შეასრულე შენი მოვალეობა, ნუ აკლებ ოჯახს შენს შრომასაო! სინიდისი აწუხებდა და ისიც ვერ ისვენებდა, დგებოდა ლოგინიდგან, იწყებდა საქმეს და გულს ამითი იკეთებდა: მამას ერთხელაც არის გამოელვიძება, მუშაობაზე მომასწრობს, ან არა-და, შეიძლება ერთხელ როდისმე დათვალოს ბანდეროლები, შეიტყოს თავისი შეცდომა და ამ გვარად ყველაფერი თავის თავად გამოაშკარავდესო... ასე გადასწყვიტა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ კინაღამ სრულებით არ შეაცვლევინა ეს გარდაწყვეტილება.

ერთს დღეს სადილზედ დედამ შეჰხედა ჯულიოს და ჰკითხა:

— შვილო, ავადა ხარო? მერე მიუბრუნდა ქმარს: შეჰხედე ერთი, რა გაყვითლებულია, სწორედ ავად არის.

მამავ გვერდზე გადაჰხედა შვილს და დაღონებით სთქვა:

— უმსგავსმა სინიდისმა უმსგავსი ავადმყოფობა

იცის. როცა კარგად სწავლობდა და კეთილი შვილი იყო, აკი ავადაც არა ჰხდებოდა.

— რაებს ამბობ, ავად არის-მეთქი! წამოიძახა დედამ.

— რა ვუყო მერე, ავად არის და ბრძანდებოდეს.

ლახვარსავით მოჰხვდა ბავშვს მამის სიტყვები.

— ჩემს ჯან-მრთელობას არ დაეძებს მამა, რომელიც წინად ერთს ვაი-ვაგლახს ასტეხდა, სულ უბრალოდ რომ დამეხველებინა ხოლმე. ეჭვი არ არის, რომ მამის გულში ადგილი დამიკარგავს. მამავ! გათავებულია... ვერ ვიცოცხლებ, შენს სიყვარულს მოკლებული! ყველაფერს გაგიმხელ, აღარ მოგატყუებ, ვიმეცადინებ! რაც იქნება—იქნება, ოღონდ სიყვარულს ნუ მომაკლებ! ეხლა-კი ნამდვილად გადავწყვიტეო... სთქვა თავისთვის ჯულიომ.

თუმცა ასე გადასწყვიტა, მაინც დანიშნულს დროს ტ ჩვეულებრივს ვადაზედ წამოდგა ლოგინიდგან, უნდოდა უკანასკნელად შეეხედნა და დაეთვალიერებინა ის ოთახი, სადაც ამდენი ხანი ასე იდუმალად მუშაობდა, სადაც პირველად დაიწყო ოჯახისათვის შრომა. ჯულიომ სანთელი აანთო. აგერ ბანდეროლებიც! მაგრამ გათავდა! არას დროს აღარ დასწერს ადრესებს, რომელიც გაზეპირებული ჰქონდა. მცირე ხანს ისე დაჰყურებდა მაგიდას, ბოლოს თავი ველარ შეიმაგრა და უცბად წაავლო ხელი კალამს. ამ დროს იდაყვი მოარტყვა წიგნს და წიგნი იატაკზედ დაეცა.

ბავშვი გაფითრდა: რა იქნება, მამას რომ გამოელვიძოსო! მართალია, ცუდს საქმეზედ არ მომატანს და თითონ მეც გადაწყვეტილი მქონდა ყველაფერში გამოვსტეხოდი მამას... მაინც-კი... მამის ჩუმად ბნელს ოთახში შემოსვლა... შეიძლება დედას გამოელვიძოს და შეეშინდეს. პირველად მოუვიდა ფიქრად ბავშვს, რომ მამას თითონვე შერცხვება, თუ საქმეზედ შემომამსწრო, იგრძნობს თავისს დანაშაულსაო.

ჯულიო შეკრთა და სულ-განაბული ყურს უგდებდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. შემდეგ ყური მიადო კარებს, ყველას ეძინა... ეტყობა, წიგნის რახუნს მამა არ გამოუღვიძებია. ჯულიო დამშვიდდა და ისევ შეუდგა საქმეს. დაწერილი ბანდეროლები სწრაფად ბევრდებოდა. მიყრუებულ ქუჩიდგან ისმოდა მხოლოდ ერთ გვარი ფეხის ხმა პოლიციელისა და ურმების მძიმე ჭრიალი. უცებ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო შორიდგან ძაღლების ყეფა-ღა მოისმოდა. ჯულიოს თითქოს დაავიწყდა ყველაფერი, თავ-აუღებლად სწერდა და იმისი მოხუცი მამა-კი ზურგს უკან უდგა.

წიგნის რახუნს გამოელვიძებინა, მარჯვე დრო შეერჩია და ფეხ-აკრებით შემოსულიყო ოთახში. ბავშვს ურმის ჭრიალში ვერ გაეგო ვერც იმისი ფეხის ხმა, ვერც კარების გაღება. მამას შვილის შავს თავზე დაეხარა თავისი გაჭაღარებული თავი და სიამოვნებით დასცქეროდა ბავშვის კალამს. იმ წამსვე ყველაფერი შეიტყო, ყველაფერს მიხვდა. სიყვარუ-

ლმა და შენანებამ შეიპყრო მთლად იმისი გული და სული შეუგუბა:

— ჯულიო! წამოიძახა აკანკალებულის ხმით მამამ და მოეხვია ბავშვს კისერზე.

— მამავ! მაპატიე, მაპატიე!.. შეჰყვირა ბავშვმა.

— შენ, შენ მაპატიე, უპასუხა ტირილით მამამ და დაუწყო კოცნა: ეხლა შევიტყე, ვცან ყველაფერი! მე, მე გთხოვ მაპატიო, ჩემო კეთილო შვილო! კეთილო ანგელოზო!... არა, წავიდეთ!...

აიყვანა ხელში ჯულიო და შეიყვანა დედასთან. დედას გამოჰღვიძებოდა:

— მოეხვიე ჯულიოს...ჩვენს ანგელოზს... სამი თთვეა ჩემს მაგიერ არა სძინავს და მუშაობს... მეკი ვაჯავრებდი, ვაყვედრიდი ჩემს შვილს, რომელიც თავისის შრომით ლუკმას არ გვილევდა.

სიხარულით ავსებულმა დედამ მაგრად ჩაიკრა გულში შვილი...

— წადი, ეხლა მოისვენე, ჩემო კარგო! ეუბნებოდა დედა: წაიყვანე...

მამამ ხელში აიყვანა ბავშვი, შეიყვანა თავისს ოთახში, გაჰხადა, დააწვინა, საბანი გარშემო ამოუკეცა და გვერდით მოუჯდა:

— გმადლობ, გმადლობ, მამა! ეუბნებოდა შვილი: წადი შენც მოისვენე! მე ისეც ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი.

მამა უძრავად იჯდა და არ მიდიოდა. უნდოდა ენახა, როგორ დაიძინებდა იმისი საყვარელი შვილი.

— დაიძინე დაიძინე, ჩემო კარგო! ჩემო ანგელოზო!

მართლაც მოქანცულს ჯულიოს მალე ჩაეძინა.

ამ სამს თთვეში პირველი იყო იმისთვის ასე მოსვენებით ძილი და მშვიდადაც ეძინა, საუცხოო სიზმარი ჰნახა...

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა გამოეღვიძა ჯულიოს. იმის გვერდით, ბალიშზედ, ჭალარა თავი დაედო იმისს მოხუცს მამას და ტკბილად ეძინა. შვილის გვერდით ჩასძინებოდა და ჯერ არ გამოჰღვიძებოდა.

23-ი. ოთხშაბათი.

ჩემს ამხანაგს სტარდისაც შეუძლიან ისეთივე საქმე ჩაიდინოს, როგორიც ფროლენციელმა ბავშვმა ჩაიდინა.

დღეს დილით ორი ამბავი მოხდა. პირველი ის იყო, რომ გაროფი სიხარულისაგან კინალამ შეიშალა. თავისი განძი—მარკების რვეული უკანვე მიიღო! მარკების კრებულისათვის სამი გვატიმალას რესპუბლიკის მარკაც მიემატებინათ. მეორე ამბავი ის მოხდა, რომ სტარდიმ მეორე მენდალი მიიღო და ახლა, დეროსის შემდეგ, პირველი შეგირდია.

მეორე ამბავმა ყველანი გაგვაოცა. ან ვინ იფიქრებდა ამას ოქტომბერში, როცა აჩოჩილი და მო-

უხეშავი სტარდი მოიყვანა მამამ და მასწავლებელს უთხრა: „ჩემი შვილი ცოტა მძიმე ბავშვია და დიდი მოთმინება დაგჭირდებათ მაგის სწავლებისათვისაო“. მაშინ ყველამ სულელად ჩავთვალეთ... განა გასაოცარი არ იყო იმისი გამარჯვება? მაგრამ ტყუილად არ დაიკვეხა პირველშივე:

— ან მოვკვდები და ან სწავლით წინ წავალო?

სთქვა და ჯიუტს ხარსავით შრომა დაიწყო, დაჟინებითა სწავლობდა. როცა წიგნს დაიდებდა წინ, ჩააკვდებოდა ხოლმე. სკოლაში იქნებოდა, ქუჩაზედ, დღე თუ ღამე, იმისთვის განურჩეველი იყო. როცა-კი სწავლობდა და თავს ჩაჰკიდებდა, ქვეყანა რომ ქვეყანასა სცემოდა, თავს მაღლა არ აიღებდა. ამხანაგები დასცინოდნენ. თუ მეტად აუხირდებოდნენ, სტარდი მაშინვე სახაზავს მიიშველიებდა ხოლმე. აი ამ ხეპრემ სხვა ამხანაგებს-კი გაასწრო. არითმეტიკისა არა გაეგებოდა-რა, თხზულებას უვარგისადა სწერდა, ერთის სტრიქონის ზეპირად დასწავლა არ შეეძლო და ეხლა-კი ამოცანებსაც, თხზულებასაც და ყველა გაკვეთილს რიგიანადა სწავლობს და აკეთებს.

სტარდის სახეზედვე ეტყობა, რომ მძლავრის ხასიათის ბავშვია. თავი უშველებელი აქვს, კისერი მოკლე, ხელები სქელი და მოკლე და ხმა ბოხი. ძველსა და დახეულს გაზეთშიაც-კი გამოსადეგს ცნობებსა ჰპოულობს და გულ-მოდგინედ კითხულობს. ფულებს ხომ, რაკი მოუყრის თავს, უბრალოდ არ გაჰფლანგავს და უსათუოდ რომელსამე წიგნს იყიდის

ხოლმე. სტარდის პატარა წიგნთ-საცავიცა აქვს. დამ-პირდა, ჩვენსას წაგიყვან და ჩემს წიგნთ-საცავს გაჩ-ვენებო. ამხანაგებში არავის ელაპარაკება, არავის ეთა-მაშება. უძრავადა ჰზის ხოლმე სკამზე, გულ-მოდგი-ნედა ჰშრომობს და მასწავლებელს ყურს უგდებს. საწყალს მენდალი ცოტა შრომად ეღირს? დღეს მა-სწავლებელი ცუდს გუნებაზედ იყო, მაგრამ მაინც სტარდის რომ მენდალი მისცა, უთხრა:

— ყოჩაღ, სტარდი! თუ გულით მოიწადინა ადამიანმა, ყველას შეიძლებსო!

სტარდი მენდალის მიღებით სულაც არ გაამა-ყებულა. პირ-იქით, ეხლა უფრო გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს გაკვეთილის დროს მასწავლე-ბელს. კაი სანახავი იყო, როცა, გაკვეთილებს შემ-დეგ, სტარდი და იმისი მამა ერთმანეთს შეხვდნენ. მამა არ მოელოდდა და არცა სჯეროდა, რომ იმის შვილს მენდალი მიეღო. მასწავლებელმა ძლივს და-არწმუნა.

მაშინ-კი სიამოვნებისაგან სიცილი დაიწყო, შვილს თავზედ ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ყოჩაღ, სტარდი, ყოჩაღ!

მამა და შვილს შეგირდები შემოვეხვიენით... მამის სიცილზე ყველას სიცილი წაგვსქდა, მხოლოდ სტარდი არ იცინოდა, მეორე დღის გაკვეთილის ფიქრში იყო.

წ ე რ ი ლ ი

13-ი. შაბათი.

დარწმუნებული ვარ, რომ სტარდი არასოდეს არ ემდურება მასწავლებელს. „მასწავლებელი ძნელად ასატანი და ავს გუნებაზე იყოო“, გაჯავრებითა მწერ და ის-კი დაგვიწყებია, რომ ხშირად შენც ძნელად ასატანი ხარ ხოლმე და მერე ვისთან? დედ-მამასთან! ეს ხომ უხასიათობა და აუტანელობა-კი არა, უმსგავსოებაა.

მასწავლებელს ბევრი მიზეზი აქვს გაჯავრებისა და ავს გუნებაზედ ყოფნისა. რამდენი წელიწადია, რაც ბავშვებს ასწავლის! შეგირდებ შორის კეთილი ბავშვი ბევრია, მაგრამ უფრო ბევრი ისეთი ურევია, რომელნიც მასწავლებლის სიყვარულსა და სიკეთეს ბოროტადა ჰხმარობენ და იმის შრომასა და წვალებას არ აფასებენ... საზოგადოდ თქვენ ყველანი უფრო მწუხარებას აყენებთ, ვიდრე სიამოვნებას! მასწავლებლის ალაგას, თვით ზეციდგან ჩამოსულ წმიდანსაც-კი ძნელად შერჩება მოთმინება! განა ავადმყოფი მასწავლებელი სასწავლებელს აკლდება ხოლმე? პირ-იქით, სასწავლებელში მოდის, თავს არ უფრთხილდება, ავადმყოფობას არ უტყდება. თუ ავს გუნებაზედ არის, ავადმყოფობისაგან არის, და თქვენ-კი ყურადღებასაც არ აქცევთ იმის მდგომარეობას და ამითი დარდს უორკეცებთ.

ენრიკო, მასწავლებელი გიყვარდეს და ყოველთვის პატივსა სცემდე: მამაშენსაც უყვარს და პატივსა სცემს. გიყვარდეს მასწავლებელი, ისა ჰზრდის შენს გულს, გონებას ასპეტაკებს და მზად არის შენისთანა ბავშვებს საკუთარი სიცოცხლე შესწიროს. გაიზრდები... ქვეყნად აღარც მე და აღარც შენი მასწავლებელი აღარ ვიქნებით ცოცხლები! იმისი სახე ჩემს სახესთან ერთად წარმოგიდგება, თვალწინ დაიყენებ იმ კეთილშობილის ადამიანის მწუხარე და მოქანცულ სახის გამომეტყველებას, სწორედ იმ სახეს, რომელსაც ეხლა ყურადღებას არ აქცევ! შეგრცხვება, შესწუხდები, ინაღვლებ, რომ არ გიყვარდა და პატივს არა სცემდი, მაგრამ დაგვიანებული-ღა იქნება შენი მწუხარება, ჩემო ენრიკო!

მასწავლებელი მით უფრო უნდა გიყვარდეს, რომ ის იტალიის მასწავლებელთა ერთს დიდს ოჯახს ეკუთვნის და უთვალავ ბავშვის მზრუნველი მამაა. ჯილდო მცირე აქვს და შრომა დიდი, რადგან ის უმზადებს ჩვენს სამშობლოს პატიოსანსა და შრომის მოყვარე ახალგაზდობას. მე რომ გიყვარდე, საასიამოვნო არ არის, თუ ჩემთან ერთად ისიც არ გიყვარს, ვინც შენთვის ჰზრუნავს და შენთვის შრომობს—შენი მასწავლებელი. შენი მასწავლებელი ჩემი ღვიძლი ძმაა! ის გიყვარდეს ალერსისათვისაცა და დასჯისათვისაც, რადგან დასჯის დროსაცა და ალერსის დროსაც სამართლიანია. მაშინაც-კი უნდა გიყვარდეს, როცა გგონია, რომ უსამართლოდ მომექცაო, მა-

შინაც, როცა მხიარული და ალერსიანია და მაშინ უფრო, როცა დალონებულია.

სიტყვა მასწავლებელი ყოველთვის პატივისცემით წარმოსთქვი ხოლმე რადგან ეს სახელი უკეთილშობილესი და უდიდესი სახელია იმათ შორის, რომელსაც-კი ერთმანეთს ვუწოდებთ ხოლმე.

ი ა ნ ვ ა რ ი

4-ი. ოთხშაბათი.

მამაჩემმა გამოიცნო! ჩვენი მასწავლებელი ავადმყოფობის გამო იყო ავს გუნებაზედ. აგერ სამი დღეა, რაც იმის მაგიერ ჩვენთან დაბალის ტანისა, უწვერულვაშო ახალგაზდა მასწავლებელი დადის. კლასში შეგირდები მოუსვენრად არიან ჭ საშინლად ცელქობენ! ახალი მასწავლებელი საშინელი მომთმენი კაცი ყოფილა! ჯავრობით არა ჯავრობს, მხოლოდ წამ და უწუმ იმეორებს:

— ჭკვიანად, გთხოვთ დაწყნარდეთ!

ვერ გასჭრა მასწავლებლის სიტყვამ და დღეს კლასში საშინელი ღრიანცელა ასტყდა. მასწავლებელი გვირჩევდა, გვთხოვდა, მაგრამ ამაოდ. უფროსმა ორჯელ შემოიხედა ჩვენს კლასში. მოჰკეტავდა თუ არა უფროსი კარებს, უფრო უარესობა იყო კლასში. სწორედ ბაზარი გაჰხადეს კლასი. გარონე და დეროსი გაშტერებულები იყვნენ. ვინ მოსთვლის, რა

გვარის ნიშნებით არა სთხოვდნენ ამხანაგებს, მოისვენეთო, მაგრამ ტყუილად გაისარჯნენ. სტარდი ხელებს დაჰბჯენოდა და დაფიქრებული იჯდა. უეცველია სტარდი თავის წიგნთ-საცავის შესახებ ჰფიქრობდა. გაროფიც ჭკვიანად იჯდა და ლატარიის სიას არდგენდა. ლატარიაში ჯიბის საწერელი ჩააგდო და ბილეთი ორი კაპეიკი იყო. დანარჩენი შეგირდები-კი ყბედობდნენ, იცინოდნენ, კალმობანასა თამაშობდნენ და ქალალდის გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს. მასწავლებელი ხან ერთს წაავლებდა ხელს, ხან მეორეს შეანჯღრევდა ხოლმე და კუთხეში აყენებდა... ლრიანცელი მაინც არ შესწყდა და კლასში წესი და სიჩუმე ვერ ჩამოაგდო. მასწავლებელი მთლად დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექმნა და, რაც ძალა ჰქონდა, ჰყვიროდა:

— აღარ დასწყნარდებით! გინდათ, რომ თქვენ მაგიერ მე გამკიცხონ. დაჩუმდით, დაჩუმდით!

— სწორედ შესაბრალისი სანახავი იყო მასწავლებელი. სტარდი იქამდის თავს წავიდა, რომ ქალალდის გუნდა თვით მასწავლებელს მიარტყა. მონასტერი მთლად აირია და სწორედ მეორედ მოსვლის დღე იყო. ჩვენს კლასში უცებ მოსამსახურე შემოვიდა და მასწავლებელს მოახსენა:

— ბ-ნო მასწავლებელო! უფროსი გეძახითო.

მასწავლებელი საჩქაროდ წავიდა უფროსთან. კლასში საშინელი ყვირილი შეჰქნეს. უცებ სიბრა-

ზისაგან გაჭარხლებული გარონე ფეხზედ წამოდგა და დაიყვირა:

— არ დაწყნარდებით! მხეცებო! ნადირებო! კეთილი კაცი შეგხვდათ და თავს წახვედით! თქვენ, აგეთი კაცი-კი არა, ისეთი კაცი გინდათ, რომ ცემისაგან თავ-პირი და გვერდები დამტვრეული გქონდეთ! ვინც გაბედავს კიდევ კრინტის დაძვრას, ქუჩაში კბილებს ჩავალეწავ და შინ დაბეჟილს გავისტუმრებ. ვინც უნდა ჰყავდეს გვერდით, თუნდა მამა და თუნდა დედა, იცოდეთ, არ დავერიდები.

ყველამ სული გატრუნა. რა მშვენიერი იყო გარონე ამ ლაპარაკის დროს! სახე გასწითლებოდა, თვალები თითქოს გასდიდებოდა და გულადად, ლომსავით გამოჭიმულიყო. მასწავლებელი დაბრუნდა. კლასში შეურყეველი სიჩუმე იყო. განცვიფრებული მასწავლებელი კარებშივე შესდგა და გადმოგვხედა. გარონე სიბრაზისაგან მთლად კანკალებდა. მასწავლებელმა შენიშნა, მიჰხვდა, ვისაც დაეწყნარებინა შეგირდები, მიუახლოვდა და მეგობრულად უთხრა:

— გმადლობ, გარონეო!

10-ი. ოთხშაბათი.

დღეს სტარდისთან ვიყავ. იმისი სახლი ჩვენის სასწავლებლის პირდაპირ არის. წიგნთ-საცავი ვნახე და სწორედ რომ შემშურდა. მართალია, სტარ-

დის მდიდარი მშობლები არა ჰყავს, მაგრამ როცა-კი ჩაიგდებს ფულს, ტყუილ-უბრალოდ არა ჰფლანგავს და უსათუოდ წიგნს რასმე ჰყიდულობს. ამ გვარად პატარა წიგნთ-საცავი შეუძენია. მამას შეენიშნა თუ არა, ჩემს შვილს წიგნები უყვარსო, პატარა კაკლის წიგნის განჯინა ეყიდნა და წიგნები სულ დაეკაზმინებინა. წიგნები სამ რიგად უწყვია სტარდის: მოთხრობები ცალკე, ლექსები ცალკე და სურათებიანი წიგნები ცალკე, შინაარსის დაგვარად. წიგნები მეტად შეხამებულადა აქვს დაკაზმული. სტარდის თავის პატარა წიგნთ-საცავის კატალოგიცა აქვს შედგენილი. ამ დღე თავისუფალს დროს სულ წიგნების სუფთაობა-წმენდაშია თურმე. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ იმისი წიგნები სტამბიდგან ახლად გამოტანილსა ჰგავს.

მე-კი ჩემს წიგნებს ან დავკარგავ და ან მივფხრეწ-მოვფხრეწავ ხოლმე.

სტარდის სიხარულიმაშინა ჰნახეთ, როცა ახალს წიგნს შეიძენს ხოლმე. სიხარულისაგან აღარ იცის, როგორ და სად დასდოს ახალი წიგნი. სანამ იმის ალერსით გულს არ იჯერებს, არ მოისვენებს და არ დაადინჯებს ხოლმე წიგნს ერთს ალაგას.

. სტარდისთან თითქმის ერთი საათი დავრჩი და წიგნების მეტი ჩემთვის იმას არა უჩვენებია-რა! საწყალს წიგნების კითხვისაგან თვალები სტკივა. ჩვენს ოთახში სტარდის გასიებული მამა შემოვიდა. შვილს მხარზე ხელი დაადო და მითხრა:

— რას იტყვი ჩემის შვილისას? ჭკვიანია განა? მე კარგად ვიცი, რასაც ელირსება ჩემი სტარდი! მამის ტლანქ ალერსზედ სტარდმა თვალები მიჰნაბა, თითქოს მონადირე ძაღლი იყოსო. არ ვიცი რა მიზეზია, რომ სტარდისთან ხუმრობას ვერა ვბედავ! მეც არა მჯერა, რომ ვითომ ის ერთის წლით იყოს ჩემზედ უფროსი. გამოთხოვების დროს, როცა სტარდიმ მითხრა: „ნახვამდისო“, მე კინაღამ „მშვიდობით ბძანდებოდეთ“-მეთქი არ ვუთხარი, როგორც ჩემზედ უფროსებს ვეტყვი ხოლმე. შინ მამაჩემს ვუამბე ეს ამბავი და ვკითხე, რა მიზეზია, რომ სტარდისა როგორღაც მეკრძალება-მეთქი?

— ის მიზეზიაო, მითხრა მამაჩემმა: რომ სტარდი ძლიერის ხასიათის ბავშვია.

— მთელი საათი ვიყავ იმასთან და სულ ორმოცი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის, ერთი სათამაშოც არ მიჩვენა ტ ლიმილი ხომ სრულიად არ მოსვლია სახეზედ. მაინც-კი წამოსვლა არ მეშურებოდა. ეს რაღაა-მეთქი? განვუმეორე კვლავ.

— ეგ ის არის, რომ პატივსა სცემო.

მამაჩემმა მართალი მითხრა. სტარდი საცა ტ პრეკოსსაც პატივსა ვცემ. პატარა გაყვითლებული მჭედლის შვილი პრეკოსი მეტად კეთილია და შეშინებულსავით იყურება. იქამდის ზრდილობიანია პრეკოსი, რომ სულ მცირე რამისთვის უსათუოდ ბოდიშს მოიხდის ხოლმე. პრეკოსი ბეჯითად მეცადინეობს, მაგრამ საწყალი ხშირად ავადმყოფობს.

პრეკოსის მამა თურმე საშინელი ლოთია და გალექებული მოვა თუ არა შინ, სულ უმიზეზოდ სცემს შვილს, რვეულებსა Ძ წიგნებს გადუყრის ხოლმე...მეორე დღეს ბევრის ცემით მთლად დალურჯებული Ძ თავ-პირ-დასიებული ბავშვი მაინც არ აკლდება გაკვეთილს და სასწავლებელში მოდის ხოლმე. ასეთს დღეშია, მაგრამ მაინც ვერაფრით ათქმევინებ, რომ მამაჩემმა მცემაო.

— მამამ გცემა? აუტყდებიან ხოლმე ამხანაგები.

— არა, არაო! გაბრაზებული იძახის ხოლმე პრეკოსი.

— ეს რვეული ვინ დაგიწვა! ჰკითხა ერთხელ მასწავლებელმა.

— მე დავწვი. სანთელს მოვახვედრე უცაბედად და დაიწვა.

ყველაფერს თითონ იბრალებს, თუმცა იმისმა ამხანაგებმა კარგად ვიცით, რომ, პრეკოსი-კი არა, იმისი მამაა ყველაფრის დამნაშავე. პრეკოსის მშობლები ჩვენის სახლის საჩეხის სართულში სცხოვრობდნენ და ჩვენის მეკარის ცოლს ეამბნა დედაჩემისათვის იმათი ყოფა-ცხოვრება. ერთხელ ჩემს დას სილვიასაც გაეგონა ბავშვის ტირილი. პრეკოსის თურმე გრამატიკის სასყიდლად მამისათვის ფული ეთხოვნა... მამას ჯერ ეცემნა, მერე ხელი ეკრა და კიბეზედ დაეგორებინა. პრეკოსის მამა მთელი დღე ლოთობს, არა მუშაობს და ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი უყრია... საწყალი პრეკოსი სასწავლებელში ხშირად

მშიერი მოდის ხოლმე. გარონე ჩუმად აძლევს პურს, ისიც მიიმალება სადმე კუთხეში და ხარბად შეექცევა ცალიერს პურ.ს... იმისი წინანდელი მასწავლებელი ქალი ხანდახან პრეკოსის ხილს მისცემს ხოლმე. ასეთს ყოფაშია პრეკოსი და ერთხელაც ვერ გაიგონებ იმისაგან სამდურავს, მამა ლოთი მყავს, სახლში არა შემოაქვს-რა და მშივრები ვართო.

ხანდახან იმის მამა ჩვენის სასწავლებლის გვერდით გამოივლის ხოლმე. ბავშვი მაშინვე საშინლად კანკალს იწყებს, მამის გაკრიალებულსა და ლოთობისაგან დაჯირჯვებულს სახეს რომ ჰხედავს. მაინც უსიამოვნობას არ იმჩნევს ხოლმე პრეკოსი და სიცილით ეგებება მამას. საწყალი პრეკოსი! ნახევს ქალალდებსა ჰკრეფს და რვეულებს შეიკერავს ხოლმე. გაკვეთილსაც ამხანაგების წიგნებში სწავლობს. საკოდავი სანახავია პრეკოსი გიმნასტიკის გაკვეთილის დროს. ფეხსაცმელში თითები გამოყოფილი აქვს, შალვარი და ხალათი ხომ აკონკილ-დაკონკილი აცვია. ვინ იცის, იქნება პრეკოსი ყველა ამხანაგსაცა სჯობნებოდა, შინ რომ შესძლებოდა მეცადინეობა და შესაფერი ხელის შეწყობა ჰქონოდა...

გუშინ პრეკოსს, კლასში რომ მოვიდა, ლოყა გაკაწრული ჰქონდა. ამხანაგებმა ჰკითხეს:

— მამამ გიყო განაო? ტყუილად ნუ დაჰმალავ, ვიცნობთ მამაშენს. რატომ უფროსთან არ უჩივლებ!

პრეკოსი გაცეცხლდა, ზეზედ წამოვარდა და მკაცრად უთხრა ამხანაგებს.

— სტყუით! სტყუით! მამაჩემი არას დროს არა მცემს!..

მთელი გაკვეთილი გაფითრებული იჯდა. თვალებიდგან ცრემლი ჩამოსდიოდა. თუ შეჰხედავდა ვინმე, სცდილობდა თავი შეემაგრებინა და გაეღიმა.

ხვალ ჩემთან დეროსი, კორეტი და ნელი მოვლენ. პრეკოსისაც უნდა უთხრა ჩვენსას საუზმეზედ მოვიდეს. წიგნს ვაჩუქებ, ჯიბეს ხილით გავუვსებ! სახლს გადავაბრუნებ იმის გულისათვის, რომ იქნება ერთხელ მაინც არის ნასიამოვნები და გამხიარულებული ვნახო ეს კეთილი, პატიოსანი და სულით ძლიერი ამხანაგი.

12-ი. ხუთშაბათი.

დღევანდელი დღე სასიამოვნო და მხიარული ხუთშაბათია! სწორედ ორს საათზედ დეროსი, კორეტი და კუზიანი ნელი ჩემთან მოვიდნენ! პრეკოსი მამას არ გამოეშვა! დეროსიმ და კორეტიმ სიცილით მიამბეს, რომ მემწვანილეს შვილს კროსის უშველებელი ,ალათა წამოეკიდნა, კომბოსტოთი სავსე, და გასასყიდად მიჰქონდათ. კროსი გახარებული იყოო! ამერიკიდამ წერილი მიეღოთ მამისაგან, რომელშიაც სწერდა, ამ ახლო ხანებში დავბრუნდები სახლშიო.

მთელი ორი საათი დარჩნენ ჩემსას ჩემი სტუმრები და ეს დრო მხიარულად გავატარეთ. დეროსი და კორეტი ჩვენს კლასში ყველაზედ მხიარულები არიან. მამაჩემს ორივე ბავშვი ძალიან მოეწონა... კორეტი თავის წიფლის ფერს ხალათში იყო. ეს ეშმაკი თითქმის არასოდეს არ იღალება! ვინ იცის, დღეს დილით მთელი ურემი შეშა შეზიდა მამის დუქანში. მაინც, ვითომ-და აქ არაფერიო, ჩვენსა დახტოდა, იცინოდა, ხუმრობდა და ყველაფერს ათვალიერებდა და სინჯავდა. სამზარეულოში მზარეულისათვის ეკითხნა: შეშას როგორა და სადა ჰყიდულობთო! თითონაც ეთქვა, მამაჩემი ამ ფასად ჰყიდის შეშასაო. კორეტიმ თავის მამის თავ-გადასავალი გვიამბო. იმის მამა კუსტოკისთან ომის დროს მთავარ ჰუმბოლტის მე-49 რაზმის ჯარის-კაცად ყოფილა.

კორეტი თუმცა შეშის დუქანში დაიბადა და აღიზარდა, მაინც კარგის ყოფა-ქცევისაა. „ბუნებითვეა კეთილშობილიო“, სთქვა მამაჩემმა.

დეროსი უფრო სწავლის შესახებ ლაპარაკობდა. დეროსიმ გეოგრაფია მასწავლებელსავით იცის; თვალებს დაჰხუჭავს ხოლმე და ისე ლაპარაკობს: „ჩემ წინ იტალიაა გადაშლილი! აი იონინის ზღვა და გაჭიმული პენინის ქედი! აგერ მდინარეები, სრუტეები, ქალაქები, ცისფერი ნავთსადგურები, მწვანე კუნძულები“. თან ყველას სახელს შეუცდომლად ამბობს, თითქოს რუკაზედ კითხულობსო. სასიამოვნო სანახავია დეროსი, როცა ხუჭუჭა თმიანს თმას უკან გა-

დაიწყობს ხოლმე, თვალებს ჰლულავს და ლაპარაკობს. ერთის საათის განმავლობაში დეროსიმ სახვალიოდ მეფე ვიქტორ ემანუელის საფლავზედ სათქმელი სიტყვა მშვენივრად დაისწავლა.

ნელი გაოცებული შეჰყურებდა დეროსის და მწარედ იღიმებოდა: მეტად მხიარული სტუმრები მყავდა. ის უფრო მომეწონა, რომ წასვლის დროს დეროსიმ და კორეტიმ ნელი ხელდახელ აყვანილი ჩაიყვანეს ქვემოდ და ისე გაამხიარულეს, რომ მე ჯერ ისეთი მხიარული არ მინახავს.

სტუმრები გავაცილე, ოთახში შემოვედი და შევნიშნე, რომ მაგიდაზედ კუზიან რიგოლეტოს სურათი აღარ იყო. მამაჩემს დაემალა, ნელიმ არა ჰნახოსო.

17-ი იანვარი.

მასწავლებელი შემოვიდა თუ არა კლასში, დეროსი გაიხმო. დეროსი გავიდა, დადგა მასწავლებლის მაგიდასთან, ჩვენსკენ მობრუნდა და წამოწითლებულმა ლაპარაკი დაიწყო. პირველში დეროსის ხმა ცოტა არ იყოს უკანკალებდა, ბოლოს-კი გაიმართა და ხმას აუმაღლა:

„ოთხის წლის წინად, სწორედ დღევანდელს დღეს, სწორედ ამ საათს, რომის პანთეონს ღრმად შავებით შემოსილი ხალხი უახლოვდებოდა. იტალიის პირველს მეფეს ვიქტორ ემანუილ II-ს ასაფლავებ-

დნენ. ვიქტორ ემანუილი სწორედ ოც-და-ცხრა წელიწადი იყო იტალიის მეფედ მაშინ, როდესაც ჩვენი საყვარელი სამშობლო შვიდ სამთავროდ იყო განაწილებული. მტრისაგან აოხრებული და გატანჯული იტალია პირველმა მეფემ ვიქტორ ემანუილმა დააწყნარა და შვიდივე სამთავრო ერთ თავისუფალ და უძლეველ სახელმწიფოდ შეაერთა. იმისი დრო მეტად სანაქებო, იტალიის გამარჯვების დროდ ითვლება. თვით მეფე ვიქტორი საშინელ განსაცდელის დროსაც-კი გულადად იყო! უბედურების დროს ხომ წარბ-შეუხრელს ბრძენსა ჰგავდა. სამგლოვიარო ეტლი დაფნის გვირგვინებითა და ყვავილებით იყო აჭრელებული. იტალიის ყოველ ნაწილიდგან მოსულ ხალხით შემოხვეული ეტლი ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა საფლავს... გარდაცვალებულის პატივსაცემლად მოსულიყვნენ მთავრები, მინისტრები, დიდ-კაცობა, აუარებელი ჯარი თავისის დროშა-ზარბაზნებითურთ და სამასის ქალაქის წარმომადგენელი... უმშვენიერეს ტაძართან, სადაც საფლავი იყო მომზადებული, ეტლი დადგა და თორმეტმა ჯარის უფროსმა ასწია კუბო. მთელი იტალიის ერი უკანასკნელად და საუკუნოდ ესალმებოდა თავისს საყვარელს მეფეს, თავისს გულადს ჯარის-კაცსა და მზრუნველს მამას. მეფესთან ერთად იტალია თავისს საუკეთესო ბედნიერს ისტორიის ხანას საუკუნოდვე ეთხოვებოდა. ყველა იქ მყოფი მისჩერებოდა კუბოსა და ოთხმოცის რაზ?ის სამგლოვიარო დროშას. ეს დროშები იტალიის

მრავალის შვილის ამ წუთი-სოფელს გამოსალმების მოწმე იყო! დროშა ერთი საუკეთესო სახსოვარი ნიშანია სამშობლოს შვილთა დიდებისა.

„კუბო სასაფლაომდე ჯარის-კაცებს ხელდახელ მიჰქონდათ. ახალი დროშები და გოიტოს, მაჯენტის სოლფერინოს, პალესტროს, ყირიმის, ნოვარის ტ სანტა-ლუჩიოს ომებში ნაჭირნახულევი ძველი დროშები კუბოს გადაეფარა. დროშებიც თავისს მამა მთავარს უკანასკნელად გამოეთხოვნენ. ხალხმა ჟრიამული დაიწყო: მშვიდობით, კეთილო, გულადო და პატიოსანო ხელმწიფევ! შენ ცოცხ ლი ხარ და კვალ-ამოუშლელი იქნები იტალიის შვილთა გულში, ვიდრე მზე ქვეყნად ანათებს და ათბობს იტალიას! დროშები მაღლა ამართეს და ვიქტორ-ემანუილი დიდების სამარეში ჩაასვენეს“.

21-ი. შაბათი.

როცა დეროსი მეფის დასაფლავების ამბავს მოგვითხრობდა, ყოვლად შეუძლებელი იყო, სიცილი ვისმე აზრად მოსვლოდა, მაგრამ ჩვენ შორისაც აღმოჩნდა ამ გვარი ადამიანი—ფრანტი. სწორედ მძულს საძაგელი ფრანტი. მეტად ბოროტი ბავშვია. როცა რომელსამე შეგირდს მასწავლებელი ან მშობელი დასჯის ხოლმე, ის სიხარულისაგან ფეხზედ აღარა სდგას. იცინის, თუ მტირალი ვინმე ნახა. გარონეს შიშით-კი კანკალებს, მაგრამ თუ დრო იხელ-

თა, კალატოზის შვილსა და ხელ-გამხმარ კროსის აწვალებს და სცემს ხოლმე... პრეკოსის, ამ ყველას საყვარელს ამხანაგს, დასკინის და რობერტს ხომ, რომელმაც ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა, თითონ ფეხები დაიშავა და ყავარჯნებით დადის, არ ასვენებს. ღმერთმა დაიფაროს, თუ ვინმე დაიბრიყვა... ერთს წამს არ მოასვენებს.

არავისი ეშინიან. მასწავლებელთანაც-კი დაურიდებლივ იცინის და რაც ხელთ მოჰხვდება, ყველაფერს იპარავს. თავის დღენი დავიდარაბაშია. უშველებელის ქინძისთავით თავის ახლო მსხდომ შეგირდებს აწვალებს. გ:ნა იმის გათხუპნულსა და დაფლეთილს წიგნებს, რვეულებს, გაჩოჩკნილ სახაზავს, დალაქიანებულ-დახეულს ტანისამოსსა და სისხლ-ტალახით გამოტენილს ხელის ფრჩხილებს პატრონის სიკეთე ზედ არ ატყვია! იმისი დედა შვილის სიუმგზავსის გამო ავადმყოფობს თურმე და მ:მას ხომ სამჯერ სახლიდგან დაუ:ხოვნია. როცა-კი კარგად არის ფრანტის დედა, სკოლაში მოდის ხოლმე შვილის ამბის შესატყობლად და ყოველთვის თვალ-ცრემლიანი ბრუნდება.. მასწავლებელი ბევრს ეცადა, ყოველი უმგზავსოება მოეშლევინებინა ფრანტისათვის, მაგრამ ამაოდ... ან განა შეიძლება რაიმე სიკეთე შეიგნოს იმ ბავშვმა, რომელსაც სკოლაც, შეგირდებიც და მასწავლებელიც ეჯავრება?.. მასწავლებელი რომ გაუჯავრდება ხოლმე, ხელებს თვალებზედ მიიფარებს, თითქოს ტირისო, მაგრამ, ტირილის მაგიერ,

იცინის. სასწავლებლიდგან სამის დღით დაითხოვეს, მაგრამ უფრო გამხეცებული დაბრუნდა უკან.

ერთხელ დეროსიმ უთხრა:

— მოისვენე, ხომ ჰხედავ მასწავლებელი რა ნაირად გასტანჯეო!

დაწყნარების მაგიერ ფრანტი დეროსის დაემუქრა. დღეს დილით ფრანტი სამუდამოდ დაითხოვეს სკოლიდგან. მასწავლებელი გარონეს ყოველ თთვიურ მოთხრობას „სარდინელ მედაფე"-ს გადასაწერად აძლევდა, ამ დროს ფრანტიმ იატაკზედ გაბერილი ცხვრის ბურთი დაარტყა... ბურთი გასქდა და საშინლად იქექა! ყველანი შეკრთით. მასწავლებელი გაბრაზებული წამოხტა და დაუყვირა ფრანტს:

— კლასიდგან გაეთრიეო!

— მე არ ვიყავ, სიცილით უპასუხა ფრანტიმ.

— გაეთრიე-მეთქი, გაუმეორა მასწავლებელმა.

— ადგილიდამაც არ დავიძვრები!.

მასწავლებელი მოთმინებიდგან გამოვიდა, მოავლო ხელი, ძალად გამოათრია და წაიყვანა უფროსთან, თუმცა ფრანტი უძალიანდებოდა.

მასწავლებელი დაბრუნდა უკან, თავის სკამზედ დაჯდა და დაღონებულმა თავი ჩაჰკიდა. საწყალი სიბრაზისაგან მთლად ცახცახებდა. სწორედ რომ ყველას შეგვეცოდა. დეროსი წამოდგა და კრძალვით უთხრა მასწავლებელს.

— ბ-ნო მასწავლებელო, ნუ შეიწუხებთ თავს, ჩვენ ყველას გვიყვარხართ.

მასწავლებელი თითქო გამოერკვა და სთქვა:
— გაკვეთილი განვაგრძოთო.

სარდინიელი მედაფე

(ყოველ თთვიური მოთხრობა)

24-ს ივლისს 1848 წ., კუსტოცთან შეტაკების დღეს, იტალიის ქვეითა რაზმის ერთი ნაწილი მახლობელის ციხის გასამაგრებლად გაჰგზავნეს. გზაზედ ჯარს ორი ავსტრიის რაზმი შეეტაკა. ფიცხელის შეტაკების შემდეგ იტალიელთ მაინც გაატანეს ავსტრიის რაზმს და კოშკში შეეფარნენ. რაზმა ჩაჰქოლა კოშკის კარები და დაბლა ფანჯრებიდგან უკან დადევნებულ ავსტრიელთ სროლა დაუწყო. ავსტრიელები ნელ-ნელა დაუახლოვდნენ უკვე გამაგრებულს კოშკს. იტალიის რაზმს ორი ახალგაზდა აფიცერი და მოხუცი, გამხდარი და მეტად სასტიკი კაპიტანი ჰმეთაურობდნენ. რაზმს ხორბლის-ფერი, შავთვალება თოთხმეტის წლის მედაფე ჰყავდა. კოშკის პირველ სართულის ფანჯარასთან წარბ-შეუხრელი კაპიტანი იდგა და განკარგულებას იქიდგან აძლევდა.

ფერ-წასულს მედაფეს კედელზედ ხელი მიებჯინა, მაგიდაზედ შემდგარიყო და ფანჯრიდგან იყურებოდა. თოფის ბოლში ავსტრიელების თეთრი ტანსაცმელი გარკვევითა სჩანდა.

კოშკი მაღლობს სერზედ იდგა. ხევის მხრივ ზედ

საჩეხიან ერთი ფანჯარა ჰქონდა... ამ მხრივ შიში არაფრისა იყო. წინა მხარეს-კი ფანჯრები თოფის სასროლად საკმარისი ჰქონდა. ტყვია სეტყვასავით მოდიოდა და კედელ-ფანჯარას ამტვრევდა, კარებსა და ავეჯეულობას შეუბრალებლად ჰლეწდა. წინა წყობის ჯარის-კაცნი წამ და უწუმ ეცემოდნენ იატაკზედ. დაჭრილები ჭრილობას იხვევდნენ, სისხლში სცურავდნენ. სამზარეულოში თავ-მილეწილი მეომარი ეგდო. უცებ მტრის რაზმი კოშკის მახლობლად გაჩნდა. აქამდის გულადად მყოფს რაზმის უფროსს ფერი ეცვალა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდგან. უფროსს გვერდს თანაშემწე ახლდა. ცოტა ხანს შემდეგ თანაშემწე დაბრუნდა და პატარა მედაფეს დაუძახა. მედაფე მკვირცხლად ავარდა ზემო სართულში. უფროსი საჩეხის ფანჯარასთან იდგა და ქალალდის ნახევზედ რაღასაცა სწერდა. იქვე ფეხებთან დიდი თოკი ეგდო. უფროსმა დაჰკეცა ქალალდი და დააცქერდა მედაფეს:

— მედაფევ!

მედაფემ ხელი ქუდზედ იტაცა.

— შეგიძლიან სამსახური გამიწიო?

ბავშეს თვალები გაუბრწყინდა.

— შემიძლიან, ბატონო უფროსო! უპასუხა მედაფემ.

— აგერ გაიხედე (ანიშნა ფანჯრიდგან) ვილლა-ფრანკის მახლობლად თოფები მოკრიალებს. ისინი ჩვენები არიან. აი წერილი. აქედგან თოკით ჩაგი-

შვებ... მინდორ-მინდორ წადი და პირველსავე შეხვედრილს აფიცერს გარდაეცი ეს წერილი. მოიხსენ ქამარი და გუდა-ნაბადი.

მედაფემ გუდა-ნაბადი მოიხსნა, წიგნი უბეში ჩაიდო და წელზედ თოკი მაგრად მოიჭირა. უფროსმა და თანაშემწემ მედაფე ჩაუშვეს კოშკიდგან ძირს.

— გახსოვდეს, რომ ჩვენი დახსნა და გადარჩენა შენზეა დამოკიდებული, უთხრა რაზმის უფროსმა ძირს მიმავალს ბავშვს.

— ვეცდები იმედი არ გაგიმტყუნოთ, ბ-ნო კაპიტანო!

— მინდვრად რომ გახვიდე, ბობლვით იარე, მტერმა არ შეგნიშნოს.

— ფიქრი ნუ გაქვთ!

— ღმერთი იყოს შენი შემწე!..

ერთის თვალის დახამხამებაზედ მედაფე დედამიწაზედ იდგა. მარდად მოიხსნა თოკი წელიდგან და გაექანა დანიშნულ ადგილისაკენ. რაზმის უფროსი ფანჯრიდგან გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს მკვირცხლად მიმავალს მედაფეს. მედაფე შეუდგა მთის აღმართს. უფროსს ცოტა არ იყოს გული მოეცა. ბავშვის მახლობლად წამ და უწუმ მტვრის ბოლი და ბუქი ავარდებოდა ხოლმე. ავსტრიელებმა შენიშნეს ბავშვი. მედაფემ არც-კი შეიმჩნია მტრის დევნა, ნაბიჯს უფრო უმატა, მაგრამ უცებ წაიბორძიკა და წაიქცა.

— მოკლესო, შეჰყვირა კაპიტანმა, მაგრამ ბავშვი მარდად წამოხტა ფეხზედ.

— არა, მხოლოდ წაქცეულაო... სთქვა და თავისუფლად ამოისუნთქა უფროსმა.

ბავშვი უფრო გაცხარებული გაუდგა გზას, თუმცა ძალიან-კი კოჭლობდა.

— ფეხი იღრძოო, იფიქრა კაპიტანმა. ბავშვის მახლობლად კიდევ ამოვარდა მტვრის ბოლი, მაგრამ ბავშვმა თავს უშველა: ტყვია ველარ მისწვდებოდა, უკვე შორს იყო. სიხარულისაგან აღტაცებული იყო კაპიტანი, მაგრამ აღელვებული ფანჯარას მაინც არა შორდებოდა.

ეხლა დროზედ-ღა იყო ყოველი დამოკიდებული. თუ ბავშვი ძალიან შეიგვიანებდა და დროზედ ვერ შეატყობინებდა მინდვრად მდგომს რაზმს, მტერი შევიდოდა კოშკში, ამოსწყვეტდა ყველას და რაზმის უფროსსაც ტყვედ წაიყვანდა.

ბავშვმა კოჭლობას უმატა და ხანდახან შესასვენელად შედგებოდა ხოლმე.

— დასჭრეს უთუოდ! გაიფიქრა კაპიტანმა და მკვდრის ფერმა გადაჰკრა სახეზედ... კაპიტანი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბავშვს და თან უყვიროდა, თითქოს გააგონებდესო. კოშკის დაბლა ოთახებში-კი გაისმოდა მტრის თოფის ხმა—დაჭრილ-მომაკვდავთა ღრიალ-ღმუილი და ავეჯის ლაწი-ლუწი.

— ნუ შეშინდები! გაიქე! უყვიროდა ფანჯრი-

დგან კაპიტანი ბავშვს. დაწყეველილი, დადგა... არა... ისევ გაიქცა...

მოღლილ-მოქანცული კაპიტანის თანაშემწე ამოვარდა უფროსთან და მოახსენა, რომ მტერი თოფის სროლას არ იშლის, თეთრი ბაირაღი ამართა და ნებით დამორჩილებას თხოულობსო. პასუხი არა გასცეთრა! დაუყვირა კაპიტანმა თანაშემწეს და ისევ ბავშვს გაჰყურებდა, რომელიც ძლივ-ძლიობით-ღა მიათრევდა ფეხებს.

— ჰა! ჩქარა, გაიქე! ყვიროდა კაპიტანი და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აკრაჭუნებდა კბილებს. მოკვდი, შე წუწკო, და არ-კი შესდგე. აი შე სულმდაბალო, მშიშარავ! დაისვენა! დაჯდა! მაღალ ყანაში ბავშვი ძლივს-ღა მოჩანდა. მთლად დაიმალა ბავშვი, ერთხელ კიდევ გამოჩნდა და მალევე მთლად მიეფარა ყანას. კაპიტანმა ბავშვი ველარ დაინახა, მოშორდა ფანჯარას და ძირს ჩამოვიდა. ტყვიის ზუზუნი ისმოდა. ოთახები დაჭრილ-დახოცილით იყო სავსე და ირგვლივ სისხლის მორევი იდგა.

— არ შეშინდეთ გამაგრდით! მეშველი მალე მოვა! ამხნევებდა ცოცხლად დარჩენილს ჯარის-კაცთ უფროსი. მტერი ისე ახლო მოადგა კოშკს, რომ იმათი სახე თოფის ბოლშიაც-კი სჩანდა...

მტერი ილანძღებოდა — თხოულობდა დამორჩილებას. შეშინებულნი ჯარის-კაცნი ფანჯრებს შორდებოდნენ. უფროსები ძლივს-ღა იმაგრებდნენ ჯარს. ყველას შეეშინდა, ყველას უიმედობა დაე-

ტყო. ომის გაგრძობა ყოვლად შეუძლებელი გახდა. უცებ ავსტრიელებმა სროლა შეაყენეს. მტრის რაზმიდგან ჯერ ნემენცურად და შემდეგ იტალიურად მოისმა:

— დაგვმორჩილდით!

— ვერაო! შეჰღრიალა კაპიტანმა.

მტერმა კვლავ დაიწყო თოფის სროლა. იტალიელები ერთი-მეორეზედ ჭერეხებსავით ეცემოდნენ.

უკიდურესი წამი ახლოვდებოდა. კაპიტანი შეშლილსავით აქეთ-იქით დაეცეცებოდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

— არ მოდიან! ღმერთო! განა კიდევ დაიგვიანებენ!

უცებ კაპიტნის თანაშემწემ საჩეხიდგან დაიყვირა!

— ჩვენები, ჩვენები მოდიანო.

— მოდიან? შეჰკივლა კაპიტანმა.

დაჭრილნი თუ სალნი, ყველა, ვისაც-კი ფეხზედ დგომა კიდევ შეეძლო, ფანჯრებს მისცვივდნენ: ბრძოლა გაცხოველდა. მტრის რაზმი უცებ შეირყა და აირია. კაპიტანმა საჩქაროდ შეჰკრიბა ცოცხლად გადარჩენილი თავის ჯარის ხალხი და ის იყო აპირებდა მტერთან ხმალ-და-ხმალ გასვლას.

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა და „ვაშა“, „ვაშა“-ს ძახილი მოისმა. იტალიის ცხენოსანი რაზმი ავსტრიელებს მოულოდნელად დაერია და მტერს

დაუნდობლად დაუწყო ხოცვა. კაპიტანი თავისის რაზმით წინ გაეგება. ხელ-ჩართული ბრძოლა გაცხოველდა. მტერი აირია და უკან დაიხია. კოშკი განათავისუფლეს: იტალიის ცხენოსანმა ჯარმა და ქვეითმა რაზმა ორის ზარბაზნით დაიჭირეს კოშკის ირგვლივ ქედი... იტალიელთ გაიმარჯვეს, მაგრამ მეორე დღეს-კი მტერმა მწარე დღე დააყენა იტალიელებს.

26 ივლისს დილით იტალიის რაზმი ველარ გაუმაგრდა ორჯელ მეტს მტრის ჯარს და გამწარებული მინჩიოსაკენ დაიწია. დაჭრილი კაპიტანი თავისის მოქანცულის რაზმით მინჩიოდგან ფეხით გოიტოში, საღამოთი ძლივს მოვიდა. მოსვლისათანავე გოიტოში კაპიტანმა თავისს თანაშემწეს დაუწყო ძებნა. ის მოძრავს სამხედრო საავადმყოფოს უნდა მოჰყოლოდა.

საავადმყოფო დროებით ეკლესიაში მოეთავსებინათ. ეკკლესია სავსე იყო დაჭრილის ჯარის-კაცებით. ავადმყოფები პირდაპირ იატაკზედ იწვნენ. ორი ექიმი თავისის თანაშემწეებით ავადმყოფებს დასტრიალებდნენ. კაპიტანი ეკკლესიის კარებშივე შესდგა და თანაშემწეს დაუწყო ძებნა. ვილაცამ ხრინწიანის ხმით დაუძახა:

— ბ-ნო კაპიტანო!

კაპიტანი მოტრიალდა. პატარა მედაფე ეძახდა.

ბავშვი გაყვითლებული და უძრავად ლოგინში გაჭიმული იწვა.

— შენც აქა ხარ? ჰკითხა ბავშვს გაოცებულმა კაპიტანმა: ყოჩაღ, რომ შენი მოვალეობა აღასრულე.

— რაც შემეძლო, ცდა არ დამიკლია!

— დაგჭრეს?

— რა ვუყოთ! უპასუხა გულადად მედაფემ. თითქმის მიწაზედ გაკრული მივდიოდი, მაგრამ მაინც დამინახეს... რომ არ დავეჭრე, ოცის წამით ადრე მივიდოდი დანიშნულს ადგილას... გზაზედ წყალი მომწყურდა, მაგრამ წყაროზედ ჩასვლა ვერ მოვახერხე, რადგან დაგვიანებისა მეშინოდა... რაც იყო—იყო, მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე... მოითმინეთ, ბ-ნო კაპიტანო, ხელზედ სისხლი გაცხვიათ!

კაპიტანს ჭრილობა ცუდად ჰქონდა შეხვეული და მკლავიდგან სისხლი ჩამოსდიოდა.

— ნება მიბოძეთ ჭრილობა მაგრად შეგიკრათ! ერთ წამს შევკრავ.

კაპიტანმა გაუშვირა ბავშვს მარცხენა ხელი... წამოიწია თუ არა პატარა მედაფემ, საშინლად გაყვითლდა და გულ-წასული დაეცა ბალიშებზედ.

— კმარა! უთხრა კაპიტანმა ბავშვს და მოაცილა ხელი: სჯობს შენს თავს გაუფრთხილდე და არ გაიძნელო ავადმყოფობა.

კაპიტანის ხმამ გამოარკვია ბავშვი და რალაც უიმედოდ გაიქნია თავი.

— იქნება ბევრი სისხლი გედინა და იმიტომ-ხარ აგრე დასუსტებული? ჰკითხა კაპიტანმა.

ბავშვმა თვალები გაახილა.

— ბევრი სისხლი? ერთი წვეთიც არა... უყურეთ... სთქვა და გადაიხადა საბანი.

კაპიტანი შეჰკრთა და უკან დაიხია: ბავშვს მარცხენა ფეხი მოჭრილი ჰქონდა.

ამ დროს იმათ მახლობლად ჩამოიარა ექიმმა, შენიშნა კაპიტანი და მივიდა იმასთან.

— ბ-ნო, კაპიტანო, გამოელაპარაკა ექიმი და ანიშნა ბავშვი: უბედური შემთხვევაა სწორედ. ფეხი მოსაჭრელი არ იყო, რომ ძლიერ არ დაჭეჭოდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა მოგვეჭრა ფეხი, რომ ბავშვი ანთებისაგან გადაგვერჩინა. მაგრამ ყოჩაღი ბავშვი-კი ყოფილა. კრინტი არ დაუძრავს, არც-კი გაუჩუჩუნია... სწორედ თავ-მოსაწონია, რომ ამ გვარ ბავშვებს გვიზრდის იტალია!

ექიმი მალე მოჰშორდა კაპიტანს. კაპიტანმა ბავშვს საბანი დაჰხურა და რაღაც გაშტერებული-დაჰყურებდა. შემდეგ უცებ მოიხადა ქუდი.

— ბ-ნო კაპიტანო! რას სჩადიხართ? ჩემთან! წამოიძახა გაოცებულმა ბავშვმა.

— მე კაპიტანი ვარ, მაგრამ შენ-კი გმირიო, უპასუხა ლმობიერად იმ კაცმა, რომელსაც თავისს სიცოცხლეში ტკბილი სიტყვა თავის ხელ-ქვეითისათვის არ ეთქვა. კაპიტანი დაიხარა და სამჯერ აკოცა ბავშვს...

დეროსის თხზულება სამშობლოს შესახებ ყველაზედ უკეთესი გამოვიდა. ვოტინის-კი ეგონა, ჩემი თხზულება უკეთესი იქნება და პირველს საჩუქარს მე მივიღებო. მე კიდევ ისე არ მეზიზღებოდა ვოტინი წინად, მაგრამ ეხლა ერთს სკამზედ ვსხედვართ... ნათლად ვხედავ, როგორცა შურს დეროსის გამარჯვება და ნება-უნებლიედ თვითვე შემაძაგა თავი. მართალია, ვოტინი მეცადინე, ბეჯითი არის და სცდილობს ყოველის ღონით დეროსის მეტოქობა გაუწიოს, მაგრამ როგორღაც დუშაში არ მოსდის. დეროსი ყველა საგანში სჯობს და ვოტინი ჯავრს თავის თითებზედ ჰყრილობს: ძალზედ იკვნეტავს თითის ფრჩხილებს. კარლო ნობისსაც-კი შურს დეროსის გამარჯვება, მაგრამ გულ-დიდა და ამაყია და არც-კი იმჩნევს. ვოტინს-კი სიმშურნე ნათლად ეტყობა. შინ თურმე სულ ტირის და სჩივის, მასწავლებელს უსამართლოს ეძახის. კლასში ხომ, როცა დეროსი თავისებურად მკვირცხლად და გაბედვით ამბობს გაკვეთილს, ვოტინი დაღვრემილი ჩაჰკიდებს ხოლმე თავს, თითქოს არაფერი ესმისო. ხანდახან-კი ძალ-დატანებულის სიცილით სცდილობს გულზე მოყოლილი ჯავრი გაიქარვოს. ყველა ჩვენგანმა კარგად იცის ეს და როცა-კი მასწავლებელი აქებს დეროსის, ყველა ვოტინის მიაჩერდება ხოლმე. პატარა კალატოზი თავისებურად აჯავრებს ისედაც გაბრაზებულს ვოტინას. დღეს მასწავლებელმა გამოაცხადა: დეროსიმ პირ-

ველი საჩუქარი მიიღოო. ამ დროს ვოტინიმ ძალათ ცხვირს დააცემინა. მასწავლებელმა გადახედა და უთხრა:

— ვოტინი, ნუ გშურს, სიმშურნე ის გველია, რომელიც ჰლრღნის გულს და აჩლუნგებს გონებას.

ყველამ, დეროსის გარდა, შეეხედეთ ვოტინს. ვოტინს რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ გაფითრდა და გაჩუმდა. მასწავლებელი გაკვეთილს გვიხსნიდა. ამ დროს ვოტინმა დიდს თაბახს ქაღალდზედ სხვილის ასოებით დასწერა: „ვინც სხვის შემწეობით პირველს საჩუქრებს იღებს, იმისი მე არა მშურს რაო“. ეს დეროსისათვის მოამზადა. ამავე დროს შევნიშნე, რომ დეროსის მეზობელი ამხანაგები რაღაცას ჩურჩულებდნენ. ერთმა იმათგანმა ქაღალდის მედალი გამოსჭრა და ზედ შავი გველი დახატა. მასწავლებელი ერთს წამს რიღაცისათვის გავიდა გარედ, დეროსის მეზობლები წამოვიდნენ და დააპირეს ვოტინისათვის მიერთმევინათ ახლად გაკეთებული მედალი. ვოტინი მიხვდა რაშიაც იყო საქმე და საშინლად აკანკალდა.

— მომეცით აქ! დაიყვირა დეროსიმ.

— მართლა, შენ თითონ მიართვი! უპასუხეს ამხანაგებმა და მისცეს მედალი.

დეროსიმ დახია მედალი. ამ დროს მასწავლებელიც დაბრუნდა და განაგრძო გაკვეთილი. ვოტინი საშინლად გაწითლდა, ჩუმად გახია ორის წამის წინად დაწერილი ქაღალდი... მაგრად დაკუმშა, კბილებით დაღეწა და მაგიდას ქვეშ შეაგდო. გაკვეთი-

ლები გათავდა. აივანზედ ვოტინს აბგიდგან საშრობი ქაღალდი ჩამოუვარდა. დეროსიმ შენიშნა, აიღო ქაღალდი, ჩაუდო აბგაში და აბგის გასწორებაც უშველა. ვოტინს არც-კი შეუხედნია დეროსისათვის.

---

28. შაბათი.

ვოტინის გული ძნელად გაირეცხება. გუშინ, საღმრთო წერილის გაკვეთილის დროს, მასწავლებელმა ჰკითხა დეროსის: იცი თუ არა ლექსი: „თვალს რა ავახელ და ავიხედავ!...“

დეროსის უპასუხა, არ ვიცი.

— მე ვიცი! წამოიძახა ვოტინიმ ღრეჭით, თითქო დეროსის გამოაჯავრაო...

მაგრამ წაკითხვა ამ ლექსისა-კი ვერ მოასწრო, რადგან კლასში თოვლში გაგანგლული ფრანტის დედა შემოვიდა და თან მუჯლუგუნის ცემით შემოიყვანა თავისი შვილი, რომელიც ამ ერთის კვირის წინად გამორიცხეს სასწავლებლიდფან. საცოდავი სანახავი იყო საწყალი დედაკაცი. მასწავლებლის წინ მუხლზედ დაეცა და შეევედრა.

— ბ-ნო მასწავლებელო, შეიბრალეთ საცოდავი დედა! მიიღეთ ისევ ჩემი შვილი. სამი დღეა ვმალავ, რომ მამამ არ შეიტყოს ამისი უბედურება. ღმერთმა დაიფაროს, რომ შეიტყოს, ცოცხალს არ გაუშვებს.

შემიბრალეთ, ნუ მაჩვენებთ შვილის უბედურებას. უმორჩილესადა გთხოვთ ისევ მიიღეთ.

მასწავლებელი სცდილობდა როგორმე მოეშორებინა ფრანტის დედა, მაგრამ ის უძრავად იდგა, მწარედ ტიროდა და ევედრებოდა.

— რომ იცოდეთ, რა მწუხარებასა და დარდში ჩამაგდო ჩემმა შვილმა, შემიბრალებდით... მიიღეთ, გთხოვთ, და იქნება, ღვთით, დაჭკვიანდეს, ხასიათი გამოიცვალოს. მე დიდის ხნის სიცოცხლე არ მიწერია. ჩემი ბედნიერება ის იქნება, რომ მანამ ცოცხალი ვარ, ჩემი შვილი დაჭკვიანებული ვნახო. ხომ იცით დედის სიყვარული, ნუ მომკლავთ (ტირილი უშლიდა ლაპარაკს), ერთხელ კიდევ მიიღეთ... შეიბრალეთ საწყალი დედაკაცი... ნუ გააუბედურებთ ოჯახს...

დედა ასეთს მწუხარებაში იყო და უმგზავსი ფრანტი-კი წარბ-შეუხრელად იდგა, თითქოს აქ არაფერიაო. მასწავლებელმა გადახედა ფრანტს და უთხრა:

— ფრანტ, თქვენს ალაგზედ დაჯექით.

გახარებულმა დედამ აღარ იცოდა, როგორ გადაეხადნა მადლობა მასწავლებლისათვის. იწმენდდა ნამტირალევს თვალებს, თან მიდიოდა კარებისაკენ და თან ლაპარაკობდა:

— შვილო, გევედრები, გეხვეწები, ჭკვიანად მოიქეცი... გმადლობთ, გმადლობთ, ბ-ნო მასწავლებელო! თქვენ დღეს ნახევარი სიცოცხლე მომანიჭეთ. აბა რიგიანად მოიქეცი, დედა გენაცვალოს, შვი-

ლო! გმადლობთ, თქვენს სიკეთეს არ დავივიწყებ, ბ-ნო მასწავლებელო! ნახვამდის, ბ-ნო მასწავლებელო! მიუტევეთ თქვენი შეწუხება უბედურს დედას...

ორად წელში მოკეცილი ფრანტის დედა კლასიდგან გავიდა. კლასში შეურყეველი სიჩუმე იყო. უცებ მასწავლებელი მიუბრუნდა ფრანტს და უთხრა:

— ფრანტი! დედაშენს ჰკლავ, გრცხვენოდეს...

ყველამ ფრანტს შეეხედეთ... ის უმგზავსი-კი მხოლოდ იღიმებოდა.

წ ე რ ი ლ ი

29. კვირა.

მეტად სასიამოვნო სანახავი იყავ გუშინ, დედას რომ გულწრფელად გულში ჩაეკარ, როცა საღმრთო წერილის გაკვეთილიდგან დაბრუნდი. მასწავლებელმა მართლა რომ საგულისხმიერო სიტყვები სთქვა. ყოველად მოწყალე ღმერთი თავის მადიდებელს უნუგეშოდ არ დასტოვებსო. ჩვენგანი, მე, ან შენ, რომ მოკვდეთ... გულ-ამოსკვნით არ ვიტყვით: „დედა, ენრიკო, მამა!“, არ ვიწუხებთ, რადგან ამითი ჩვენ სამუდამოდ არ ვშორდებით ერთმანეთს, კვლავ შეეხდებით იქ, სადაც არც დარდია, არც ცოდვა და არც სიკვდილია. მომავალის ცხოვრებისათვის ღირსეულად უნდა იყოს მომზადებული, შვილო, ყოველი შენი

კეთილი საქმე... გულ-უბრყვილო ალერსი, პატიოსანი აზრი ჭ მოქმედება ნაბიჯია, ციურ ცხოვრებისაკენ გადადგმული. დარდი ამაღლებს ადამიანს და ცრემლი სინიდისს ყოველს ჩირქსა ჰბანს. იშრომ-იღვაწე, რომ გუშინდელზედ უფრო უკეთესი იყო. ყოველ დილით აღთქმა დასდე ხოლმე: დღეს ისეთს საქმეს ჩავიდენ, რომ კარგად ვგრძნობდე ჩემს თავს, გავახარო მამა, შემიყვაროს მასწავლებელმა, ძმამ, ამხანაგობამ და ყველამ. ღმერთს შესთხოვე, რომ კეთილის საქმისა და განზრახვისათვის არ მოგაკლოს შესაფერი ძალ-ღონე. ღმერთო! შეევედრე ღმერთს: მინდა ვიყო კეთილი, პატიოსანი; მომეცი ვაჟკაცური შეძლება ჭ გულის-ყური-თქო! გულწრფელი თხოვნა ძნელად ჩაგივლის უნუგეშოდ!

ენრიკო! ყოველთვის გახსოვდეს ის არა-მიწიერი ცხოვრება, რომელიც მოგელის! არ დაივიწყო იგი და შესაფერის სიწმიდით აღიჭურვე აქ, ამ ქვეყნადვე, რომ იქ ჯეროვანი ადგილი გეჭიროს. მე ბედნიერი ვარ! ჩემს თავს აქ-კი არა—შორს ზეცაში ვგრძნობ, როცა ვხედავ ჩემს შვილს მლოცველს. შენ ლოცულობ და ზეციდამ უბრყვილო ანგელოზთა გუნდი დაგხარის და დაგღუღუნებს. მაშინ უფრო მომეტებულადა მწამს უმაღლესი სათნოება და დაუსრულებელი მოწყალება... როცა გხედავ მლოცველს, ვცოცხლდები, ჩალად მიმაჩნია ტანჯვა-შრომა და სიკვდილისა აღარ მეშინიან. ყოვლად ძლიერო და მოწყალე ღმერთო, მოვკვდები და იქაც კიდევ

გავიგებ დედიჩემის ხმას! კვლავ ჩემს შვილებს, ჩემს ენრიკოს ვნახავ! ვნახავ, მოვეხვევი, გულში ჩავიკრავ და მათთან ერთად დაუსრულებელს ბედნიერებასა და სიხარულში ვიქნები. ენრიკო, ვილოცოთ და შევიყვაროთ ყოველი კეთილი, რომ არ მოვაკლდეთ მომავალს საუკუნო ბედნიერებას.

შენი დედა

თებერვალი

4-ი. შაბათი.

დღეს მედალების დარიგებაზედ სასწავლებლის უფროსი ზედამხედველიც დაესწრო. გაკვეთილის გათავებისას ისა და ჩვენი უფროსი კლასში შემოვიდნენ. ზედამხედველი მასწავლებლის გვერდით დაჯდა, რამდენსამე შეგირდს ჰკითხა გაკვეთილი და პირველი მედალი დეროსის გადასცა. შემდეგ ზედამხედველმა ჩვენს უფროსს და მასწავლებელს ჩუმად რაღაცაზედ დაუწყო ლაპარაკი. ჩვენც ჩურჩული დავიწყეთ. ნეტა მეორე მედალი ვის ერგება?

ზედამხედველი უცებ ჩვენსკენ მოტრიალდა და ხმა მაღლა სთქვა:

— სახლში ბეჯითად მეცადინეობისა და ყველა საგნის უკეთ ცოდნისათვის მეორე მედალის ღირსი აღმოჩნდა პრეკოსიო.

ამხანაგებმა სიამოვნებით შევხედეთ პრეკოსს,

რომელიც შემკრთალი და თავ-ჩაღუნული წამოდგა.

— ახლო მოდით! უთხრა ზედამხედველმა. პრეკოსი მასწავლებლის მაგიდასთან გავიდა.

ზედამხედველმა, ბავშვის გაცრიაგებულს სახეს და პატარა ტანს, რომელზედაც სხვილი მაუდის ხალათი ტომარასავით ედგა, თვალი გადაავლო და იმის კეთილს თვალებს შეაჩერდა, იმ თვალებს, რომელშიაც მთელი ტანჯვისა და მწუხარების მატიანე ამოიკითხებოდა, მედალი გადაჰკიდა და უთხრა ალერსიანად:

— გაძლევ მედალს პრეკოსი. შენს მეტი ამის ღირსი არავინ არის. მედალი მარტო საგნების ცოდნისა და ბეჯითობისათვის-კი არ გეძლევა, არამედ იმიტომაც, რომ კეთილი და ვაჟკაცური გული გაქვს და საუკეთესო შვილი ხარ. ასეა განა, ბავშვებო, მოგვიბრუნდა ჩვენ: მარტო ამისთვისაც მედალის ღირსია პრეკოსი, არა?

— დიაღ, დიაღ, ერთ-ხმად შეესძახეთ ამხანაგებმა.

პრეკოსიმ უნდობლად დაიქნია თავი, თითქო სული ვერ მოუბრუნებიაო, და გადმოგვხედა. თვალებში განუსაზღვრელი სიმშვიდე და მადლობა ეხატებოდა.

— ეხლა-კი წადი, უთხრა ზედამხედველმა პრეკოსის, ღმერთი იყოს შენი შემწე!

გაკვეთილი გათავდა. დერეფნის კარების დირესთან ფერ-მკრთალი, გვერდზედ ქუდ-დახურული

პრეკოსის მამა იდგა. მასწავლებელმა ზედამხედველს რაღაცა წასჩურჩულა. ზედამხედველმა პრეკოსი მოსძებნა, წაავლო ხელი და მამასთან მიიყვანა. ბავშვი კანკალმა აიტანა. მასწავლებელი და უფროსიც მიუახლოვდნენ. ამხანაგები გარს შემოვეხვივენით.

— პრეკოსის მამა თქვენა ხართ? მეგობრულის ალერსითა ჰკითხა ზედამხედველმა მჭედელს. მაგრამ პასუხიც არ დააცადა და განაგრძო: თქვენს მაგიერ მე მიხარიან, რომ ორმოც-და-თოთხმეტ ამხანაგში მეორე მედალი ამან დაიმსახურა: ამ გვარს საქმის მოყვარე, ბეჯითსა და პატიოსანს ბავშვს კარგი მერმისი მოელის. პრეკოსი ყველას უყვარს და ყველა პატივსა სცემს. თავი უნდა მოგწონდეთ, რომ ამისთანა შვილი გყავთ!

მჭედელი გაშტერებული იდგა და ხან ზედამხედველს შეჰყურებდა, ხან მასწავლებელს და ხან შვილს. ბავშვი-კი თავ-ჩალუნული იყო და კანკალებდა. მამა თითქო ეხლა მიჰხვდა, თუ რა ტანჯვა-წვალებაც გამოიარა იმის შვილმა, მიჰხვდა იმის გმირულს მოთმინებასა და უსაზღვრო სიმშვიდეს. პირველში მჭედელს სახე სულელურად გაუოცდა, შემდეგ შიში და მწუხარება დაეტყო და ბოლოს უცებ ლმობიერების ელფერმა გადაჰკრა. მოჰხვია ბავშვს ხელი და გულში მაგრად ჩაიკრა... ამხანაგებმა იმათ მახლობლად გავიარეთ და ზოგი ეხუმრებოდა პრეკოსის, ზოგი ეალერსებოდა; მე-კი ჩვენსას მივიპატიჟე-

მამა გაკვირვებული გვიყურებდა და შვილი-კი სტიროდა.

5-ი. კვირა.

პრეკოსიმ რომ მედალი მიიღო, სინიდისმა ქენ-ჯნა დამიწყო. მე ჯერ ერთი მედალიც ვერ დავიმსახურე. კარგა ხანია, გულიანად აღარა ვმეცადინეობ. მასწავლებელი და მშობლებიც მემდურებიან. ეხლა თამაშობაც-კი აღარ მესიამოვნება, როგორც წინად, როცა, გაკვეთილის დასწავლის შემდეგ, გახარებული მივრბოდი ხოლმე სათამაშოდ. სადილზედაც სულ მოწყენილი ვარ. გულზედ ლოდივით რაღაცა მაწევს და იდუმალი ხმა გამუდმებით ჩამძახის: „არ ვარგა, აგრე არ შეიძლებაო!“ საშინელს ტანჯვაში ვარ, როცა-კი დავინახავ ხოლმე საღამოობით მუშებს, რომლებიც დაღლილ-დათენთილები, მშიერ-მწყურვალნი, მოქანცულნი, თითქოს დროს ტარებისაგან მოდიანო, ისე სიამოვნება-გახარებულნი მიიჩქარიან, რომ მცირეს ხანს ჯანი შეასვენონ, და მეორე დღეს კვლავ წვიმა-ტალახში მადნებ-ქარხნებში იშრომონ ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ამის დამნახველს სწორედ მცხვენიან, რომ დღეს მთელი დღე, ისიც უხალისოდ, რვეულის მხოლოდ ოთხი გვერდი დავწერე. მცხვენიან და ვწუხ. კარგად ვიცი, რომ მამაჩემი ჩემზედ გაჯავრებულია. განა არ მეტყოდა, მაგრამ ვეცოდები და მელის. თითონ-კი რამდენსა ჰშრომობს? რაც-კი რამ სახლში გვაქვს: ტანსაცმე-

ლი, ავეჯეულობა, ოჯახის საკვები, შვილების აღზრდა, ჩვენი სათამაშოები, ყველა და ყველაფერი იმისი შრომით არის მოპოვებული. ვინ მოსთვლის, ყველა ამისათვის რამდენი ფიქრი, გაჭირვება, უსიამოვნება და შრომა აიტანა. მე-კი არას ვაკეთებ, არა ვშრომობ! უმართებულობა, უსინდისობაა! დღეხვე ახალს ცხოვრებას დავიწყებ. სტარდისავით ჩავკიდებ თავს, მოვიკრებ ძალ-ღონეს და შევუდგები შრომას. საღამოთი ძილს არ დავეძლევინები, დილით განთიადისასვე ფეხზედ ვიქნები; ვიწვალებ, ავად გავხდები და მაინც თავიდგან მოვიშორებ ამ უმგზავსს სიზარმაცეს, რომელიც სხვისთვის მწუხარებაა და ჩემთვის დამცირება. გულიანად, ერთგულად მოვკიდებ ხელს შრომას, იმ შრომას, რომლის შემდეგაც დასვენება სასიამოვნოა და სადილი გემრიელია! ვიშრომებ, რომ ჩემმა მწუხარე მასწავლებელმა კვლავ გამიღიმოს, დედამ მაკოცოს და მამამ დამლოცოს...

10-ი. პარასკევი.

გუშინ პრეკოსი და გარონე ჩემთან იყვნენ. არა მგონია თვით მეფის შვილები მიიღონ ისე, როგორც ჩვენ ისინი მივიღეთ. დარეკეს თუ არა შემოსავალ კარების ზარი, ყველანი კარების გასაღებად გავექანეთ. გარონეს სცხვენიან, რომ ისეთი აყლაყუდაა და მესამე კლასში-კია. გარონე ჩვენსას პირველად იყო. კროსი-კი არ მოვიდა, რადგან, ექვსის წლის ლონდინს შემდეგ, ამერიკიდგან მამა ჩამოსვლოდა... დედა

ჩემმა პრეკოსის აკოცა. გარონე მამამ გააცნო დედას და უთხრა:

— ეს ბავშვი-კი-არა, პატიოსანი ვაჟკაცია!

გარონე ქვეშ-ქვეშ მიცქეროდა ბ იცინოდა. პრეკოსი მედალით იყო და სახეზედ სიამოვნება-ბედნიერება ეტყობოდა. იმისი მამა თურმე მეხუთე დღეა, რაც მოუღალავად მუშაობს, აღარა ლოთობს და თავისუფალს დროს შვილის ალერსში ატარებს. რაც რამ საათამაშოები მქონდა, გამოვიტანე და თამაშობა დავიწყეთ. პრეკოსის რკინის გზის მატარებელი საშინლად მოეწონა. აღტაცებაში მოვიდა, როცა მოვმართე და ორთქლ-მავალმა თავის თავად დაიწყო სიარული. თავის დღეში არ ენახა ორთქლ-მავალი და წითელ-ყვითელი ვაგონები. ორთქლ-მავალის გასაღები პრეკოსის გარდავეცი. იმან დაიჩოქა და ისე გაართო ორთქლ-მავალმა, რომ დაჩოქილი ხელებს იქნევდა, რა არის არავინ მოეკაროთ მატარებელს და არ გააფუჭოთო... ხელებს იქნევდა და თან იძახდა:

— უკაცრავად, გეთაყვა, უკაცრაოდ.

ისე სიფრთხილით და განაბული სინჯავდა ვაგონებს, თითქო ეშინიან, გავაფუჭებ, რომ დავამთქნაროო. სასაცილოა! ოთხ-კუთხივ ათვალიერებდა და თავის თავად იღიმებოდა.

შევყურებდით იმის გამხმარს ყელ-ყურს. ხალათის გადაწეულ სახელოდამ გამხდარი ხელები უჩანდა. ამ ხელებით რამდენჯერ დაუფარებია სახე ცემის დროს. სიამოვნებით დავუთმობდი პრეკოსის

ყველა ჩემს სათამაშოს, წიგნს, უკანასკნელ ლუკმა პურს, ტანსაცმელს და დავუკოცნიდი ხელებს.

— მატარებელს მაინც ვაჩუქებ! გავიფიქრე, მხოლოდ მამა ჩემს უნდა ვკითხო... ამ დროს ვიღაცამ ხელში ქაღალდის ნაჭერი ჩამიდო. მივიხედე: მამაჩემი იყო. ქაღალდზედ ფანქარით ეწერა: პრეკოსის მატარებელი მოსწონს. რას ჭფიქრობ?

დავტაცე ხელი მთლად მატარებელს და პრეკოსის მივაჩეჩე.

— წაიღე, შენია! პრეკოსი გაშტერებული იდგა.

— შენია-მეთქი, გავუმეორე, შენთვის მიჩუქებია.

იმან უფრო გაკვირვებით შეხედა ჩამაჩემს და დედაჩემს და მკითხა.

— მა... რისთვის?

— ენრიკო შენი ამხანაგია, უყვარხარ და იმიტომ გაჩუქა, უპასუხა მამაჩემმა.

— შენ მედალს დღესასწაულობს.

— მაშ ჩემია... შემიძლიან შინ წავიღო? დარცხვენით სთქვა პრეკოსიმ.

— შეგიძლიან, ვუპასუხეთ ყველამ...

პრეკოსი უცებ კარებთან გაჩნდა, მაგრამ გასვლას ვერა ჰბედავდა. ბედნიერი იყო, იცინოდა და ჩვეულებრივ ბოდიშს იხდიდა. გარონე შეეშველა და მატარებელი ხელსახოცში ჭეუხვია.

— როდისმე ჩვენს სახელოსნოში შემოიარე, მითხრა პრეკოსიმ, ნახე როგორა ჰმუშაობს მამაჩემი! ლურსმებს გაჩუქებ.

დედამ გარონეს ყვავილი დუგმის კილოში გა-
უმაგრა და სთხოვა, ჩემს მაგიერ დედა შენს გარდაე-
�о.

— გმადლობთ! ხეპრე ხმით წამოიძახა გარონემ
და თავ-ჩალუნულს თვალები სიამოვნებით გაუბრწყინ-
და.

11-ი. შაბათი.

წარმოიდგინეთ: კარლო ნობისი, თუ პრეკოსი
როგორმე მიეკარა, მაშინვე ტანისამოსის წმენდა-
ბერტყვას მოჰყვება.

ნობისი მეტის-მეტი უკადრისია. თავი იმითი მო-
სწონს, რომ მამა მდიდარი ჰყავს. დეროსის მამაც
ხომ მდიდარია. ნობისი მონატრეა, რომ განმარტო-
ებით იჯდეს; ეშინიან, გამაუჭყიანებენო, ყველას
მედიდურად უყურებს. უბედურებაა, თუ მიეხალო, რო-
ცა იმასთან მისდიხარ. მცირე რამეზე შეურაცხყოფას
მოგაგონებს და თან დაგემუქრება, მამაჩემთან გი-
ჩივლებო. მამამ-კი კარგი დღე დააყენა, კარლომ რომ
მენახშირეს შვილი უკადრისად ახსენა.

ნობისისთანა უმგზავსი არავინ შინახავს. არავინ
ელაპარაკება, სალამს არავინ აძლევს და როცა-კი
გაკვეთილი არ იცის, არავინ შველის.

ნობისს ჭირივითა სძულს ამხანაგები, მაგრამ ჰმა-
ლავს, ვითომ-და ყველაზედ მეტად დეროსი ჭ გარონე
მეჯავრებაო, დეროსი იმიტომ, რომ კლასში პირვე-
ლია და გარონე იმიტომ, რომ ყველას საყვარელია.

დეროსი ყურადღებასაც არ აქცევს და გარონე-კი, როცა-კი ეტყვიან ხოლმე, ნობისი შენზედ ლაპარაკობდაო, იტყვის ხოლმე:

— ის ისეთი უტვინოა, რომ გაჯავრებადაც არა ღირს.

ერთხელ ნობისმა კორეტის ქუდი სასაცილოდ აიგდო. კორეტიმ უთხრა:

— დეროსისაგან მაინც ისწავლე, თუ როგორ იქცევიან მდიდრის შვილებიო.

გუშინ ნობისმა მასწავლებელს შესჩივლა, კალაბრიელმა ფეხი წამომდოო. მასწავლებელმა ჰკითხა.

— განგებ წამოსდე ფეხი?

— არა, უცაბედად, ბ-ნო მასწავლებელო, გულმართლად უპასუხა კალაბრიელმა.

— ძალიან იბღინძები, ნობის, შენიშნა მასწავლებელმა.

— მაშ მამაჩემთან ვუჩივლებ! წამოიძახა ნობისმა.

მასწავლებელი გაჯავრდა.

— მამათქვენი თქვენვე გაგამტყუნებთ, როგორც ამას წინად. ესეც რომ არ იყოს, სასწავლებელში მოსწავლის დასჯისა და განკითხვის ნება მხოლოდ იმის მასწავლებელსა აქვს: შესცვალეთ თქვენი ქცევა, ცოტა ზრდილობიანად მოიქეცით. აქ მუშის შვილებიც არიან და მდიდრის შვილებიც და ყველანი მეგობრულად და ძმურად სცხოვრობენ. რატომ თქვენც ასე არ იქცევით, რომ ამხანაგები გყავდეთ. რატომ პასუხს არ მაძლევთ?

ნობისი გაჩუმებული იდგა, ცივად გაიღიმა და უპასუხა:

— არა, ბატონო!

— დაჯექით! სწორედ მეცოდებით, რომ ასეთი უჯიგრო ხართ!

ამ დროს პატარა კალატოზი (წინა სკამზედ ზის) მოტრიალდა და ისე დაელმიჯა, რომ მთელმა ამხანაგობამ სიცილი ავსტეხეთ. მასწავლებელმა შენიშვნა მისცა კალატოზს, თუმცა-კი თითონაც ძლივს იჭერდა სიცილს.

ნობისი ძალ-დატანებით იცინოდა.

13-ი. ორშაბათი.

რაღა ნობისი და რაღა ფრანტი. არც ერთსა და არც მეორეს გული არ მოულბო იმან, რაც ჩვენ დღეს ქუჩაზედ ვნახეთ.

მე და მამაჩემი მოვდიოდით და ცოტა შევდექით ქუჩაზედ მოთამაშე ბავშვების საცქერლად. უცებ ქუჩაზედ შეშინებული ხალხის გროვა გამოჩნდა. რაღაც ჩუმი ლაპარაკი ისმოდა. ხალხს შორის სამი პოლიციელი მოჩანდა. პოლიციელთ ორი კაცი მოსდევდა და საკაცე მოჰქონდათ. ბავშვებმა თამაშობას თავი დაანებეს და საკაცესკენ გაიქცნენ. ხალხი გვიახლოვდებოდა. საკაცეზედ გაჭიმული ფერმკრთალი კაცი იწვა; თავი გადაგდებული ჰქონდა, თმა აწეწილი და სისხლიანი. პირიდამ, ცხვირიდამ და ყურებიდამ სისხლი დასდიოდა. საკაცეს, ბავ-

შვით ხელში, დედაკაცი მოსდევდა და გულ-საკლავად ჰკიოდა: „მოკვდა! მოკვდა!“ დედაკაცს გვერდზედ აბგით ატირებული ბავშვი მოჰყვებოდა.

— რა ამბავია? იკითხა მამაჩემმა.

— კალატოზია, მეოთხე სართულზედ მუშაობდა და გადმოვარდა, უპასუხეს მამაჩემს.

საკაცე შეაყენეს. შიშისაგან ბევრმა უკან დაიწია. ახალგაზდა მასწავლებელს ქალს ჩემი ძველი მასწავლებელი ქალი ხელით მოჰყავდა. ვილაცამ მუჯლუგუნი წამკრა. ჩვენი კალატოზი საშინლად გაყვითლებულიყო და ცახცახებდა. ის თავის მამის ფიქრში იყო და მეც ამ ფიქრმა გამიტაცა.

მე კლასში დამშვიდებული ვარ, რომ მამაჩემი სახლშია თავის სამწერლო მაგიდასთან და ყველა განსაცდელს მოშორებულია. ჩემი ამხანაგები? ვინ იცის, იმათში რამდენი ჰფიქრობს, რომ ჩვენი მამები ხარაჩოებზედ, მანქანასთან არიან და ერთი ფეხის გადაბრუნება კმარა, რომ წუთი-სოფელს გამოეთხოვნენო. თითქოს მეომართა შვილები იყვნენო, მშობლები ბრძოლის ველზედა ჰყავთ. „კალატოზი“ დაჰყურებდა დაჭრილს და ტიროდა.

— ანტონ, წადი შინ! უთხრა მამამ კალატოზს: მამაშენი ღვთით კარგად არის.

კალატოზი წავიდა, მაგრამ ხშირად იყურებოდა უკან. ხალხი კვლავ დაიძრა.

დედაკაცი უფრო გულ-საკლავად ჰკიოდა: „მოკვდა, მოკვდა!“

— არა, არა, ცოცხალიაო, ეუბნებოდნენ ყოველ მხრივ: ის მაინც ყურს არავის უგდებდა, თავს იკლავდა და თმას იგლეჯდა.

უცებ ჩემს უკან მკაცრი ხმა მომესმა.

— რა გაცინებს?

მივტრიალდი. ჩემს გვერდით ფრანტი იცინოდა. მაღალ-მაღალი, წვერიანი კაცი მიუახლოვდა და მოჰგლიჯა ქუდი.

— უმგზავსო, დაჭრილი მოაქვთ და შენ-კი იცინი? მოიხადე ქუდი!

ხალხმა გაიარა. ქუჩაზედ განიერი სისხლის კვალი დარჩა.

17-ი. პარასკევი.

წელს ყველაზედ საკვირველი ამბავი ეს იყო.

გუშინ დილით მამაჩემმა აგარაკის დასათვალიერებლად თან წამიყვანა. აგარაკი მონკალიერის მახლობლად მდებარეობს და ქირით იძლევა. წელს ზაფხულს ჩვენ იერში აღარ მივდივართ. აგარაკის სახლის გასაღები ადგილობრივ მასწავლებელსა ჰქონდა, ის არის თურმე სახლის პატრონის მოურავი. მასწავლებელმა სახლი გვაჩვენა და თავისას წაგვიყვანა. ამ ხანში მოგვწყურდა კიდეც. მასწავლებელს მაგიდაზედ უცნაურად გახარატებული ხის წოწოლა საწერელი ედგა. შენიშნა, რომ მამაჩემი საწერელს ათვალიერებდა და გვითხრა:

— ეს საწერელი მეტად ძვირფასია ჩემთვის, რომ იცოდეთ მაგისი ამბავი.

ჩვენის თხოვნით მასწავლებელმა აი რა გვიამბო:

— ამ რამდენისამე წლის წინად ტურინში ვიყავ მასწავლებლად და მთელი ზამთარი ადგილობრივ საპატიმროში დავდიოდი და ტუსაღებს წერა-კითხვას ვასწავლიდი. სასწავლო ოთახად საპატიმროს ეკკლესია გვქონდა. ეკკლესია მაღალი და რგვალი შენობაა ⁄ კედლებსაც-კი მრავალი რკინის ბადიანი ფანჯრები აქვს. ყველა ფანჯარა პატიმართა ოთახებში გადიოდა. მე თითონ ეკკლესიაში შევიდოდი ხოლმე, ჩემი შეგირდები ფანჯრებს მოადგებოდნენ და ასე ვმეცადინეობდით. წარმოიდგინეთ ერთი ჩემი შეგირდიც-კი მთლიანად არ დამინახავს. მხოლოდ გამხდარს, წარბ-შეკრულს პირი-სახეს, აწეწილ-აბურძგნულს თმა-წვერ-ულვაშს და მკაცრს, შეუპოვარს კაცის-მკვლელის თვალებს ვხედავდი. ჩემს შეგირდებს შორის ერთი № 78 იყო. ყველაზედ უკეთ ის სწავლობდა და პატივისცემით მეპყრობოდა. ახალგაზდა მეჩუქურთქმე იყო და უფრო უბედურად ჩაითვლებოდა, ვიდრე დამნაშავედ. გაბრაზებულს ოსტატისათვის თავში სატეხი დაერტყა. ოსტატი დიდს ხანს მეტად სასტიკად ექცეოდა თურმე. ქარგალს იმისი უსამართლობა ველარ აეტანა და სასიკვდილოდ დაეჭრა. აი ამისათვის რამდენისამე წლით იყო დაპატიმრებული. სამს თთვეზედ შეისწავლა წერა-კითხვა და ისე გატა-

ცებით ჰმეცადინეობდა, რომ წერა-კითხვაში ღამეებს უძილოდ ატარებდა.

ერთს დღეს, გაკვეთილი რომ გავათავე, მანიშნა იმის ფანჯარასთან მივსულიყავ და მწუხარებით მიამბო, რომ ხვალ ვენეციის საპატიმროში მივყევართ, იქ გადამიყვანესო. ბოლოს აღელვებულმა მთხოვა, ეს მოწყალება მიყავ, ნება მომეცი ხელი ჩამოგართოო. გავუწოდე ხელი და ვიგრძენ, რომ მაკოცა და ზედ ცრემლი დამეცა. „გმადლობთო“, მითხრა და ფანჯარას მოშორდა. ამას შემდეგ მე ის აღარ მინახავს.

ექვსი წელიწადი გავიდა. ის უბედური მთლად გადამავიწყდა. უცებ გუშინ დილით ვიღაც უცნობი, დიდ და ჭაღარა-შერეულ წვერიანი, ღარიბულად ჩაცმული კაცი მოვიდა და მკითხა:

— ბატონო! თქვენ ესა და ეს მასწავლებელი ხართ?

— თქვენ ვილა ბრძანდებით? ვკითხე მე.

— მე?.. ტურინის საპატიმროს № 78 გახლავართ. ამ ექვსის წლის წინად თქვენ მასწავლეთ წერა-კითხვა. გახსოვთ? უკანასკნელ გაკვეთილს შემდეგ ხელიც მომეცით. აი, თავისუფალი ვარ და მოვედი, რომ გთხოვოთ, სახსოვრად ეს მცირე რამ მიიღოთ. საპატიმროში გავაკეთე. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით.

მე ისე გაკვირვებული ვიყავ, რომ ხმა ვერ ამოვიღე. იმას-კი ალბად ის ეგონა, უარს მეუბნებაო, და ისე შემომხედა, თითქოს ამისი თქმა უნდაო: „რამდენისამე წლის ტანჯვაც-კი არა კმარა, რომ ადამიანმა საპარ-

ცხვინო ლაქა მოიშოროსო“. მე მივუხვდი ამ ფიქრს და საჩქაროდ ჩამოვართვი, აი, ეს ნიეთი. კარგად გასინჯეთ.

საწერელი გალესილის ლურსმნის წვერით იყო მოხარატებული. სწორედ რომ დიდი მოთმინება უნდა ჰქონოდა იმის გამკეთებელს. საწერელზედ ამოჭრილი იყო რვეული, რომელზედაც კალამი იდო და წარწერა ჰქონდა: „ᲘᲡᲣᲡᲘᲝᲕᲠᲐᲓ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, № 78.—ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ“. სულ ქვემოდ წვრილის ასოებით ეწერა: „ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ“...

აგარაკიდამ შინამდის თვალ-წინ მედგა ის უბედური, იმისი მასწავლებელთან გამოთხოვება და ციხეში გაკეთებული საჩუქარი. ღამე სიზმარშიაც-კი ვნახე და დილითაც კვლავ ის გამახსენდა. იმას-კი როგორ წარმოვიდგენდი, რაც სასწავლებელში მიმელოდდა.

სკოლაში მისვლისათანავე ჩემს ახალს ალაგას დავჯექი, დეროსის გვერდით. საეგზამენიოდ არითმეტიკული ამიცანა დავწერე და ამხანაგს ვუამბე პატიმრისა და საწერლის ამბავი. დაწვრილებით ავუწერე საწერელიც, კალამიც, რვეულიცა და ზედწარწერაც: „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ“. ამ სიტყვის გაგონებაზედ დეროსი შეკრთა და თვალი შეაშტერა მემწვანილეს შვილს კროსის, რომელიც ჩვენს წინ სკამზედ იჯდა.

— ᲩᲣᲛᲐᲓ! ნელის ხმით მითხრა დეროსიმ და ხელი წამავლო: იცი, ამ სამის დღის წინად კრო-

სიმ მიამბო, რომ მამაჩემს, რომელიც ამერიკიდგან დაბრუნდა, ხელში სწორედ ისეთი წოწოლა ხის საწერელი შევნიშნეო, როგორიც ეხლა შენ ამიწერე. სწორედ ისეთი ჰქონია კალამიც, რვეულიც და წარწერაც: „ექვსი წელიწადი“. კროსი სულ იმას გაიძახოდა, რომ მამაჩემი ამერიკაშიაო. ეს ტყუილია, სჩანს საპატიმროში ყოფილა. როცა იმას ოსტატი მოუკლავს, კროსი პატარა იქნებოდა და აბა რა ეხსომება. დედა-კი დაუმალავდა. ეხლაც არაფერი იცის, არა უამბო-რა.

გაკვირვებული ვუყურებდი კროსის და კრინტი ვერ დამეძრა. დეროსიმ გააკეთა ამიცანა, მაგიდას ქვემოდგან კროსის გადასცა და თთვიური მოთხრობა გამოართვა: „ავადმყოფის მომკლელი“. მასწავლებელმა ეს მოთხრობა გადასაწერად კროსის მისცა, მაგრამ იმის მაგიერ დეროსიმ იტვირთა გადაწერა. კროსის რამდენიმე კალამიც აჩუქა და მე სიტყვა ჩამომართვა, არავის არ უთხრა საწერლის ამბავიო.

გარეთ გამოვდიოდით. დეროსიმ საჩქაროდ ჩამჩურჩულა:

— გუშინ კროსის მამა იყო აქ. დღესაც მოვა. როგორც მე მოვიქცე, შენც ისე მოიქეცი.

ქუჩაში გამოვედით. კროსის მამა ცოტა მოშორებით იდგა. შავ, ქალარა-შერთულ წვერიანი კაცი იყო, ფერ-მკრთალი, დაფიქრებულის სახისა და ღარიბად ჩაცმული. დეროსიმ განგებ კროსის ისე ჩა-

მოართვა ხელი, რომ იმის მამას დაენახა, და მალალის ხმით ალერსიანად უთხრა:

— ნახვამდის, კროსი.

მეც ესევე მოვიქეცი, თუმცა კი ორივენი წამოვეარხლდით. კროსის მამამ ყურადღებით და სიამოვნებით გადმოგვხედა, თუმცა ცოტა არ იყოს შეშფოთება და უნდობლობა ეტყობოდა. ორივენი სირცხვილის ჟრუანტელმა აგვიტანა.

ავადმყოფის მოვალეობა

(ყოველ თვიური მოთხრობა)

მარტის ერთს წვიმიანს დილას ნეაპოლის მთავარ-საავადმყოფოს მეკარესთან მივიდა წვიმაში გაწუწული და სოფლურად ჩაცმული ბიჭი. ხელში ბოხჩა ეჭირა. მეკარეს წერილი გადასცა და თავისი მამა იკითხა.

პატარა ლამაზის სახისა იყო. მრგვალი, შავგვრემანი პირისახე ჰქონდა, ჭკვიანი თვალები და სხვილი ტუჩები, რომელიც მარგალიტსავით თეთრს კბილებს უფარავდა.

ნეაპოლის მახლობელ სოფლიდგან მოსულიყო. შარშან იმისი მამა საფრანგეთში სამუშაოდ წავიდა თურმე. უკან დაბრუნების დროს ნეაპოლში ავად გახდა და ცოლს წერილით აცნობა, ავად გავხდი და საავადმყოფოში ვწევარო. ამ გარემოებამ ცოლი

შეაწუხა, მაგრამ სახლისთვის თავის დანებება არ შეეძლო, ამასთან შუათანა შვილი ავადა ჰყავდა და და უმცროსს-კი ისევ ძუძუს აწოვებდა. თავი მოუყარა, რაც-კი ფული ჰქონდა, და თავისი უფროსი შვილი გაჰგზავნა ავადმყოფთან.

ბავშვს მთელი ოც-და-ათი ვერსი ფეხით გამოევლო. მეკარემ წაიკითხა წერილი, დაუძახა საავადმყოფოს მსახურს და უთხრა, ეს ბავშვი თავის მამასთან მიიყვანეო.

— ვინ მამასთანაო? იკითხა მსახურმა.

ბავშვს თუმცა-კი ეშინოდა, ცუდი არა გავიგონო-რაო, მაინც დაასახელა მამა. მსახურს არ ახსოვდა ასეთი ავადმყოფი.

— მოხუცებული მუშა-კაციო? იკითხა მსახურმა: შორიდგან არის მოსული?

— დიახ, მუშა-კაცია, მაგრამ მოხუცი-კი არა, შიშით უპასუხა ბავშვმა.

— შორიდგანაო? მერე როდის მოვიდა საავადმყოფოში?

ბიჭმა წერილში ჩაიხედა.

— ხუთიოდე დღე უნდა იყოს.

მსახური დაფიქრდა და გაიხსენა.

— ვიცი, მეოთხე ოთახის უკანასკნელს საწოლზედა წევს.

— ცუდად ხომ არ არის? იკითხა შეწუხებით ბავშვმა.

მსახურმა ხმა-ამოუღებლად შეჰხედა ბავშვს.

— წავიდეთ.

კიბეზედ ავიდნენ, დერეფანი გაიარეს და დიდ ოთახში შევიდნენ, სადაც საწოლები ორ რიგად იდგა.

— წამოდიო, გაუმეორა მსახურმა.

ბავშვმა გონება მოიკრიბა და თან მისდევდა მსახურს, თან შიშით აქეთ-იქით იყურებოდა. ორივ მხარეს ფერ-მკრთალი, გატანჯული პირი-სახენი მოჩანდა ავადმყოფებისა: ზოგი მკვდარსავით თვალ-მილულული იწვა; ზოგი გაბედვით გამოიყურებოდა და, თითქოს ძალზედ შეშინებული იყოსო, თვალები დაეჭყიტა; ზოგი კვნესოდა და კრუსუნებდა. ბნელს ოთახში წამლის სუნი იდგა. ორი მომვლელი დედაკაცი ხელში წამლებით ავადმყოფებს გარს უვლიდნენ.

— აი, მამაშენი! სთქვა მსახურმა და საწოლს ფარდა გადასწია.

ავადმყოფს საბანს ზევით ხელი უძრავად ედო. ბავშვი დაეკონა ხელს და ტირილი დაიწყო. აკადმყოფი არ იძვროდა. ბავშვი ადგა და ჩუმად ქვითინებდა. მამამ მიიხედ-მოიხედა, დიდხანს დააცქერდა ბავშვს, თითქოს იცნოო, მაგრამ ხმა, კრინტი არ დაუძრავს. საწყალი საშინლად გამოცვლილიყო. შვილიც-კი ვეღარა სცნობდა. სულ მთლად გათეთრებულიყო და წვერი გაზრდოდა; პირისახე დასიებოდა, ლაპრები ჩამოჰკიდებოდა, თვალები დავიწროებოდა.

და სახე სრულიად შესცვლოდა. მხოლოდ შუბლი და წარბები-ღა შერჩენოდა შეუცვლელად.

— მამავ, მამავ! ეუბნებოდა ბავშვი: მე ვარ, ვერ მიცან? ჩიჩილიო, შენი ჩიჩილიო. სოფლიდგან ჩამოვედი, დედამ გამომგზავნა. კარგად შემომხედე. ვერ მიცნობ? ერთი სიტყვა მაინც მითხარ.

ავადმყოფმა ერთს წუთს თვალი შეაჭყიტა და მერე ისევ მილულა.

— მამავ! შენი შვილი ვარ, შენი ჩიჩილიო!

ავადმყოფი უძრავად იდო და მძიმედ ჰქშინავდა. ბავშვმა მიიდგა სკამი, დაჯდა და თვალ-მოუშორებლად ცქერა დაუწყო.

— ექიმი მოვა და მეტყვის როგორც არის, ჰფიქრობდა ჩიჩილიო.

ბავშვი თანდათან ფიქრებში წავიდა და შიგ გაება, დაიხლართა. მოაგონდა მამის წასვლა, გემზედ გამოთხოვება. რა იმედებით გაისტუმრეს! რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა დედა, იმის ავადმყოფობის ამბავი რომ მოუვიდა! საბრალო ბავშვს მამა მკვდარი, დედა—შაუებში და ოჯახი—გაღატაკებული ელანდებოდა.

უცებ ბავშვს მხარზედ ვილაცამ ხელი დაადო. ბავშვი შეკრთა და მიიხედა. ავადმყოფთ მომვლელი დედაკაცი იყო.

— მამაჩემი როგორ არის? ჰკითხა ბავშვმა.

— მაშაშენია ესა? ალერსით უთხრა დედაკაცმა.

— დიაღ, მამაჩემია. სოფლიდამ ჩამოვედი. რა სტკივა?

— საცაა ექიმი მოვა! უთხრა დედაკაცმა და მოსცილდა ბავშვს.

ნახევარს საათს შემდეგ ზარის ხმა მოისმა. ოთახში ექიმი, მისი თანაშემწე და ორი მომვლელი დედაკაცი შემოვიდნენ და დაიწყეს სათითაოდ ავადმყოფების სინჯვა. ბავშს ეგონა, ექიმი მამაჩემამდის ვერ მოაღწევსო, და მოუთმენელის გულის ცახცახით შესცქეროდა ექიმს. ბოლოს მახლობელ საწოლთან მოვიდნენ. ექიმი მაღალი, წელში მოხრილი მოხუცებული კაცი იყო. ბავშვმა თავი ვეღარ შეიმაგრა და, როცა ექიმი იმის მამის საწოლს მიუახლოვდა, ტირილი დაიწყო.

— ავადმყოფის შვილია. დილას ჩამოვიდა სოფლიდგან. სთქვა მომვლელმა დედაკაცმა.

ექიმი ერთის ხელით ბავშვს დაეყრდნო მხარზედ, დაიხარა, ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა და მომვლელს დედაკაცს რაღაც წასჩურჩულა.

— ისევ ისეაო, უპასუხა დედაკაცმა.

ექიმი მცირეს ხანს დაფიქრდა:

— იმავე წამლის ხმარება განაგრძეთ.

ბავშვმა გაბედა და თვალ-ცრემლიანი მიუბრუნდა ექიმს:

— რა სტკივა, ექიმო, მამაჩემს?

— ნუ გეშინიან, პატარავ, სახეზედ წითელი ქარი აქვს! საშიში-კია, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი არ

დამიკარგავს მაგის მორჩენისა. მოუარე, შენ რომ გვერდით ეყოლები, ესიამოვნება.

— რომ ვერა მცნობს! სასოწარკვეთილებით წამოიძახა ბავშვმა.

— გიცნობს, შეიძლება ხვალ გიცნოს! გამხნევდი, იმედს ნუ დაჰკარგავ.

ჩიჩილიოს კიდევ რაღაცა უნდოდა ეკითხნა, მაგრამ ვერ გაჰბედა. ექიმი წავიდა.

ბავშვი გულ-მოდგინედ შეუდგა ავადმყოფის მოვლას. საბანს უსწორებდა, ხელს უჭერდა, ბუზებს უგერებდა და მცირე კვნესის გაგონებაზედ თავს ევლებოდა. დედაკაცს წამალი მოჰქონდა და ბავშვი კოვზით ასმევდა. ავადმყოფი შეჰყურებდა, მაგრამ ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერა სცნობდა. სანუგეშო ის იყო, რომ დღითი-დღე მამა უფრო აშტერდებოდა შვილს, მეტადრე მაშინ, როცა ჩიჩილიო თვალებიდამ ცრემლებსა სწმენდდა.

დრო გადიოდა. ღამე ბავშვს ორს საამზედ ეძინა, დღისით-კი ავადმყოფის მოვლაში იყო.

ერთხელ ბავშვს ისე ეჩვენა, თითქოს მამას თვალები გაუბრწყინდა, სახეზედ ფიქრმა გაურბინა და გამიღიმაო; ტუჩებიც-კი დაატოკა, თითქოს უნდოდა ეთქვა რამეო.

ავადმყოფი თვალს რომ გაახელდა, ბავშვს ეძებდა. ექიმმაც-კი შენიშნა, რომ ავადმყოფი უკეთ იყო. ერთს საღამოს, როცა წამალს ასმევდა, ბავშვმა მამის სახეზედ ისევ ღიმილი დაინახა და გამხნევდა,

დაიმედიანდა, ალბად მიცნო მამაჩემმაო. ბავშვმა დაუწყო ლაპარაკი, უამბობდა თავისის დედისა და პატარა დების ამბავს და იმათს სიხარულს, როცა ესენი დაბრუნდებოდნენ სახლში. რაც-კი შეეძლო, ამხნევებდა მამას. თუმცა ჩიჩილიოს ეპვი ჰქონდა, ვინ იცის, იქნება არც-კი ესმის მამაჩემს ჩემი ლაპარაკიო, მაინც თავისას არ იშლიდა, რადგან ავადმყოფის სახეზედ სიამოვნებასა ჰხედავდა.

სამი დღე კიდევ გავიდა. ავადმყოფი ცოტა უკეთაც იყო, მაგრამ უცებ ისევ ცუდად შეიქმნა. ჩიჩილიო თავისს საქმეში იყო გართული. მომვლელს დედაკაცს ღამეში ორჯელ ყველი და პური მოჰქონდა. ბავშვი ამითი იკვებებოდა და სრულიად არ იმჩნევდა, რაც გარშემო ხდებოდა.

ავადმყოფნი იხოცებოდნენ, ღამე მომვლელი დედაკაცები შერბოდნენ და გამორბოდნენ, ნათესავები სტიროდნენ, ზოგნი სანახავად მოდიოდნენ და იმედ-გადაწყვეტილნი ბრუნდებოდნენ უკან... ასე გადიოდა საათები და დღეები. ჩიჩილიო მამის მოვლაში იყო, მამის კვნესა-წუხილისაგან შეშინებული ცახცახებდა და იმედი და უიმედობა თავს ბრუს ასხავდა. მეხუთე დღეს იმისი მამა ცუდად შეიქმნა. ექიმმა უიმედოდ გაიქნია თავი, თითქოს ის უნდოდა ეთქვა: აღარა ეშველება-რაო! ჩიჩილიომ ქვითინი დაიწყო. მამა ცუდად იყო და შვილს-კი ეგონა, გამობრუნდაო. ავადმყოფი უფრო ცნობიერად იქცირებოდა, წამალს მხოლოდ ბავშვის ხელითა სვამდა

და სცდილობდა დაელაპარაკნა. ეს ცდა ისე ნათლად ეტყობოდა ავადმყოფს, რომ ჩიჩილიო წაავლებდა ხოლმე ხელს და, უაზრო იმედით გამხნევებულს, ეგონა, ექიმი შესცდა, მამა მომირჩებაო.

— ნუ შეშინდები, მამაჩემო, მორჩები. აქედამ ერთად წავიდეთ დედასთან. ცოტაც მოითმინე-და...

ოთხი საათი იყო. შეწუხებული ბავშვი თავის ალაგას იჯდა. იქით ოთახიდგან ფეხის ხმა მოისმა და ვილაცამ ხმა მაღლა დაიძახა:

— ნახვამდის, დაო.

ჩიჩილიო შეკრთა, წამოხტა და გულიდგან კივილი ამოსკდა. ოთახში დიდ ბოლჩა წამოკიდებული კაცი შემოვიდა და თან მომვლელი დედაკაცი შემოჰყვა.

— ჩიჩილიო! წამოიძახა ახლად შემოსულმა და მივარდა ბავშვს.

— მამავ!... და გახარებული ბავშვი მამას მოეხვ-ა.

ამ ხმაზედ ექიმის თანაშემწენი და მომვლელი დედაკაცები შეიკრიბნენ და დიდად გაოცდნენ. ბავშვი გაჩუმებული იყო.

— ჩემო ჩიჩილიო! იძახოდა მამა, ჰკოცნიდა ბავშვს და თან ავადმყოფს უცქეროდა. ჩემო შვილო, როგორ მოხდა ეს? უცხოსთან მიგიყვანეს? მე-კი, მე მოუსვენრად ვიყავ, რომ არ მოდიოდი. დედა მწერდა, შენთან გამოვგზავნეო! საწყალო ჩიჩილიო! რამდენი დღეა, რაც აქა ხარ? მერე ასეთი შეცდო-

მა როგორ მოხდა? მე-კი გელოდდი, შენს ფიქრში ვიყავ. იცი, გაზრდილხარ! დედა როგორ არის? კონ-ჩეტელა? ან პატარა? ძლივს არ გამოვეწერე საავად-მყოფოდგან... წავიდეთ. ღმერთო ჩემო, ამას ვინ მო-იფიქრებდა!

ჩიჩილიო მამას არა სცილდებოდა და განუ-წყვეტლივ იმეორებდა:

— რა მიხარიან, რა მიხარიან! რა საშინელი დღეები იყო!

— წავიდეთ, სთქვა მამამ, საღამოზედ შინ ვი-ქნებით.

ბავშვმა დაჰხედა თავისს ავადმყოფს, რომელსაც ამ დროს თვალები გაეხილებინა და ბავშვს შესჩე-რებოდა.

— არა, მოიცა მამავ! სთქვა ჩიჩილიომ: არ შე-მიძლიან. შეხედე ამ მოხუცს. ხუთი დღეა ვუვლი. მე მიყურებს. ასე მეგონა, მამაჩემია-მეთქი, და შემიყვარ-და. წამალს მე ვასმევ. აგერ მეძახის. ძალიან ცუ-დად არის. მეცოდება, თავს ვერ დავანებებ. მე ხვალ დავბრუნდები სახლში. ეხლა-კი ნება მომეცი ამასთან დავრჩე. ჰხედავ, მე მიყურებს. ვინ არის, არ ვიცი, მაგრამ საჭირო-კია ჩემი ამასთან დარჩენა... ობლადა სვამს სულსა... მამავ, ნება მომეცი დარ-ჩენისა.

— რა საუცხოო ბავშვიაო!... სთქვა ექიმის თა-ნაშემწემ.

მამა ხან შვილს უყურებდა ხან ავადმყოფს

და ვერა გადაეწყვიტა-რა.

— ვინ არის? იკითხა ბოლოს.

— თქვენსავით გლეხია, უპასუხა ექიმის თანაშემწემ: შორის მხრიდგან მოსულია, თქვენთან ერთს დღეს მოვიდა. გულ-შეღონებული მოიყვანეს, ხმას ვერ იღებდა. იქნება ოჯახის პატრონია. უეჭველია ასე ეგონება, რომ ჩემ შვილთაგანი ვინმე მოსულა ჩემთანაო.

ავადმყოფი კვლავ ბავშვს შესცქეროდა.

— კარგი დარჩი, ჩიჩილიო, უთხრა მამამ.

— დიდხანს აღარ იცოცხლებსო, უთხრა ჩიჩილიოს მამას ექიმის თანაშემწემ.

— დარჩი, განუმეორა ჩიჩილიოს მამამ: მე-კიწავალ, რომ დავამშვიდო დედაშენი. აი ერთი მანეთი. ნახვამდის, ჩემო კარგო! გადაჰკოცნა შვილი, ერთი კიდევ შეჰხედა შვილს, კვლავ აკოცა და წავიდა.

ჩიჩილიო ავადმყოფთანვე დაბრუნდა. ავადმყოფი თითქო დამშვიდებული იყო. ჩიჩილიო თუმც აღარა სტიროდა, მაინც ისევე ერთგულად უვლიდა ავადმყოფს, წამალს ასმევდა, საბანს უსწორებდა, ეალერსებოდა, ელაპარაკებოდა. გავიდა კიდევ ორი დღე. ავადმყოფი უფრო ცუდად შეიქმნა. სახე მთლად გაუშავდა და საშინლად დაუსივდა, სუნთქვა გაუძნელდა და ჰბოდავდა, რაღაც გაუგებარს სიტყვებს ამბობდა. საღამოზედ ექიმმა გამოაცხადა, რომ ამ ღამეს ველარ გაატანსო. ჩიჩილიო უფრო ერთგუ-

ლად უვლიდა და თვალს არ აშორებდა. ავადმყ
ფიც შეჰყურებდა ბავშვს და ძალის-ძალად ატოკ
ბდა ტუჩებს, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო; თ
ლები უვი;როვდებოდა და სახეზედ-კი მაინც ალერ
არა სცილდებოდა. იმ ღამეს ბავშვს არა სძინები
განთიადისას მომვლელი დედაკაცი მოვიდა, დაჰხ
და ავადმყოფს, გაბრუნდა და ისევე მალე შემობრუ
და. თან ექიმი და ექიმის თანაშემწე შემოჰყვნენ.

— სულსა ჰლევსო, სთქვა ექიმმა.

ჩიჩილიომ წაავლო ხელი ავადმყოფს ხელზე
ავადმყოფმა ერთს წუთს თვალები გაახილა. ბავშ
იგრძნო ავადმყოფის ხელის მოძრაობა და დაიძახ

— ხელი მომიჭირაო.

ექიმი დააცქერდა ავადმყოფს, რომელიც სულ
მობრძავი იყო. მომვლელმა დედაკაცმა კედლიდგ
ჯვარცმის ხატი ჩამოიღო.

— გარდაიცვალა! წამოიძახა ჩიჩილიომ.

— ეხლა-კი, ჩემო კარგო, წადი, უთხრა ექიმმ
შენი წმიდა საქმე დაბოლოვებულია. წადი, ბედნი
რი იყავ, რადგან სწორედ ღირსი ხარ ბედნიერების
ღმერთი იყოს შენი შემწე! მშვიდობით.

მომვლელმა დედაკაცმა ფანჯარაში მდგომ ჭ
ქიდგან ყვავილი ამოიღო, ბავშვს გადასცა და უთხრ

— ამის მეტი არა მაქვს-რა, რომ საავადმყოფ
სახსოვრად მოგცეო.

— გმადლობთ, უპასუხა ჩიჩილიომ და თან ცრე
ლებს იწმენდდა: მაგრამ მე გზა მაქვს გასავლე

ია დაჭკნება... ისევ სჯობს, ჩემს საწყალს მიცვალებულს დავუტოვო. ჩიჩილიომ ყვავილები მიცვალებულის ლოგინზედ გაჰფინა.

— გმადლობ, დაო, გმადლობ, ბ-ნო ექიმო! მშვიდობით ბრძანდებოდეთ..

შემდეგ მიუბრუნდა ცხედარს და ერთს წუთს თითქო შეფიქრდა, რა სახელი ჰქვიან ნეტაო. უნებლიედ წამოიძახა ის სახელი, რომელსაც მოვლის დროს ეძახდა ხოლმე, სახელი თავისის მამისა.

— მშვიდობით, მამავ...

ჩიჩილიომ ბოხჩა წამოიკიდა და ნელის ნაბიჯით გამოვიდა საავადმყოფოდგან.

18-ი. შაბათი.

გუშინ პრეკოსი მოვიდა და მომაგონა, რომ იმის მამის სახელოსნოს ნახვის პირობა მქონდა მიცემული. დღეს დილით სკოლაში წასვლამდის მე და მამაჩემი სახელოსნოში შევედით. კარებში გაროფი შეგვეჯახა; ხელთ ქაღალდში შეხვეული რაღაც ეჭირა. ეხლაკი მივხვდი, გაროფი რკინის ნახერხს სადაც ჰკრეფს. თურმე ნახერხს ძველ გაზეთებში სცვლის. რა საქმის მოყვარეა გაროფი!

შევედით. პრეკოსის ხელში წიგნი ეჭირა, საამად აკოკოლავებულს აგურებზედ იჯდა და გაკვეთილს ამზადებდა. დაგვინახა თუ არა, ფეხზედ წამოდგა.

სახელოსნო კარგა მოზრდილია და მთლად შე-

მურულს ოთახშია მოთავსებული. კვერი, გაზი, ძველი რკინის ნაჭრები და სხვა იარაღეულობა აქა-იქ ეყარა. ქარგალი საბერველს უბერავდა. ჰრეკოსის მამა დაზგასთან იდგა. შეგირდს გახურებული რკინა გაზით ეჭირა.

— აი, ესენიც, სთქვა მჭედელმა, დაგვინახა თუ არა: რკინის გზის მატარებელი რომ გაჩუქა, ის ამ-ხანაგია განა? მუშაობის სანახავად მოსულა? ამ წუთას ვაჩვენებ.

მჭედელი იცინოდა... ის საშიში სახე და უწინდელებრ ცუღლუტი თვალები აღარა ჰქონდა. გახურებული რკინის ნაჭერი გამოართვა შეგირდს და გრდემლზედ დასდო. ბაღის სურაია უნდა გაეკეთებინა. მჭედელმა ასწია კვერი და რკინის ნაჭერს დაუწყო აქეთ-იქიდგან ცემა.

საშინლად მიკვირდა, რომ კვერ ქვეშ რკინის ნაჭერი იღუნებოდა, იზნიქებოდა და თანდათან რაღაცა გამოდიოდა.

მჭედელი მუშაობდა და შვილი-კი ამაყად გვიყურებდა, თითქოს მამის ხელოვნებით თავი მოსწონსო.

— ნახეთ როგორა კეთდება? გვკითხა მჭედელმა, როცა გაათავა.

კვერთხის მაგვარი რაღაც გამოვიდა. მჭედელმა ის გვერდზე გადადო და ცეცხლში მეორე რკინის ნაჭერი ჩასდო.

— ძალიან ხელოვნურად არის გაკეთებული!

რომ ყოფილიყო შენი საჩუქარი, მაინც ცოტაა მა-
გისთვის. მაგ პატიოსანმა ბავშვმა მამა დაიხსნა წა-
წყმედისაგან...

20-ი. ორშაბათი.

მთელი ქალაქი ჰღელავს და ჰშფოთავს: ბერი-
კობა თავდება. ყოველს მოედანზედ თვალთმაქცებისა
და ჯამბაზების ფარდულებია გამართული. ჩვენის
ფანჯრის წინ ტილოთი დახურული ცირკი დგას და
ვენეციიდგან მოსული დასი წარმოდგენებსა ჰმართავს;
სულ ხუთი ცხენოსანი ჰყავთ. ცირკი ზედ შუა მო-
ედანზეა; კუთხეში განმარტოებით სამი დიდი ურემი
დგას, სადაც მოთამაშეებს სძინავთ და ირთვებიან.
ეს ურმები გორგოლაჭებიანი ოთახებია, ფანჯრებიცა
აქვს და ბუხრებიც. ფანჯრებზედ ბავშვის ჩვრებია
გამოფენილი.

მოთამაშეთა შორის ერთი ძუძუ-მწოვარა ბავ-
შვიანი დედაკაციც არის. ეს დედაკაცი თოკზედ თა-
მაშობს. საწყალი ხალხია სწორედ! „მსახიობი“, „ჯამ-
ბაზი“ სამარცხვინო სახელია, მაგრამ რა ჰქმნან, სხვი-
სის გამხიარულებითა და გართობით თითონაც ერთს
ლუკმა პურსა შოულობენ. მერე რამდენი უნდა იშ-
რომონ საწყლებმა! სიფრიფანა ტანსაცმელით სიცი-
ვეში მთელი დღე ცირკიდგან ურმებამდე გარბი-გამო-
რბიან, საჩქაროდ ფეხდაფეხ დანაყრდებიან ხოლმე
და ისევ წარმოსადგენად მიიჩქარიან.

ხშირად მოხდება, რომ ცირკი სავსეა ხალხით,

წარმოდგენა გახურებულია, უცებ ქარი ამოვარდება ქარი, ცირკს საჩეხს მოჰგლეჯს, სანათურებს ჩააქრობს და მშვიდობით წარმოდგენავ! დასი იძულებულია ხალხს ფული უკანვე დაუბრუნოს და მთელი ღამე ცირკის შეკეთებას მოანდომოს.

ცირკში ორი ბავშვიც არის, ისინიც თამაშობენ. ერთი მათგანი პატარა მოედანზედ გავლის დროს მამაჩემმა იცნო. შესანიშნავი ცხენზედ მოთამაშე თითონ ცირკის პატრონის შვილია, რომელიც შარშან ვიქტორ-ემანუელის მოედანზედ გამართულს ცირკში ვნახეთ. ბავშვი გაზრდილა, თუმცა სულ რვა წლისაა; მეტად კარგი, ბუთხუზა და ეშხიანი ბავშვია და ხუჭუჭა თმაც ძალიან უხდება. ტაკი-მასხარად არის მოართული, ტანთ თეთრი გძელ-სახელოებიანი ტომარა და ფეხთ ტილოს საცმელი აცვია. ის კუდრაჭა ყველას უყვარს და კარგადაცა თამაშობს. დილითა ვხედავ ხოლმე, როცა ხელსახოცში გახვეული შინ რძეს მიარბენინებს, შემდეგ ბერტოლას ქუჩაზედ ცხენებთან მიდის; პატარა ბავშვის ძიძაც-კია; ურმებს ალაგებს, ცეცხლს აჩაღებს, რკლები, თოკები და სხვა საჭირო იარაღი გადააქვს ცირკში და, თუ მოიცალა, დედას გვერდიდგან არა შორდება. მამაჩემი თვალყურს ადევნებს ხოლმე ბავშვსა და იმათს ოჯახს და სულ იმათს ლაპარაკშია. ისინი მგონი კარგი ადამიანები არიან და შვილებიც ძალიან უყვართ.

ერთს საღამოს ცირკში წავედით. ციოდა და ხალხი ცოტა იყო, მაგრამ პაწია ტაკი-მასხარა მაინც

სცდილობდა საზოგადოების გამხიარულებას: მალაყებს გადადიოდა, ცხენს კუდზედ ეჭიდებოდა, ყირამალა დგებოდა, მღეროდა და მეტად სასაცილოდ იმანჭებოდა.

იმის მამას თეთრი შალვარი, წითელი ხალათი და მაღალი წაღები ეცვა და ხელში მათრახი ეჭირა. შვილის ყველა მოძრაობას თვალს ადევნებდა და როგორღაც დაღონებული იყო. მ მაჩემს შეეცოდა. მეორე დღეს ჩვენსას მხატვარი დელისი შემოვიდა. მამაჩემმა უამბო, რომ ეს საწყალი ხალხი მუშაობაში სულს ირთმევს და მაინც საქმე ვერაფრად მისდითო; ისიც უთხრა, რომ ცირკის პატრონის შვილი ძალიან ბომწონსო.

— რა უნდა მოვუხერხოთ, რომ დავეხმარო როგორმე! ჰკითხა მამამ.

— აი რაო, ცოტაოდენს ფიქრს შემდეგ უთხრა დელისმა: გაზეთში ქებისა და თანაგრძნობის წერილი დაჰბეჭდე, ასწერე, რა საოცარს რამეებსა სჩადის ბავშვი, მეც კიდევ იმის სურათს გადავიღებ. გაზეთს წაიკითხავენ, საზოგადოებას ცნობის-მოყვარეობა აღეძრება და ერთხელ მაინც წავლენ ცირკში.

ასეც მოიქცნენ. მამამ საუცხოო წერილი დასწერა, დაწვრილებით აუწერა მკითხველებს ყოველივე, რაც-კი შეენიშნა ფანჯრიდგან, და ამით საზოგადოებაში თანაგრძნობა და ბავშვის ნახვის სურვილი აღძრა. დელისმა ბავშვის სურ თი გადიღო და ისიც საღამოს „გაზეთში“ იყო მოთავსებული.

კვირისთვის პაწია ტაკი-მასხარას ბენეფისი იყო. ასე უწოდა მამაჩემმა თავის წერილში. მამამ ცირკში მეც თან წამიყვანა. კარებზედ გაზეთის გუშინდელი ნომერი იყო გამოკიდებული. ცირკი ხალხით ავსილიყო. ბევრს გაზეთის ნომერი ეჭირა და ტაკი-მასხარას უჩვენებდნენ; სიხარულისაგან გაბრწყინებული ბავშში მაყურებელთა შორის დარბოდა. ცირკის პატრონიც კმაყოფილი იყო: დახლი სავსე ჰქონდა და ამასთან ჯერ არც ერთს გაზეთს ასეთის ქებით არ მოეხსენებინა იმისი ცირკი.

მე და მამაჩემი პირველს რიგში ვისხედით. აქ ნაცნობები შეგვხდნენ. შესავალში ჩვენი გიმნასტიკის მასწავლებელი იდგა, აი ის, გარიბალდის ჯარში რომ ებრძოლა. პირდაპირ, მეორე რიგზედ, პატარა, ბუთხუზა სახე დავინახე; ჩვენი პატარა კლასტოზი თავისს უშველებელს მამას გვერდით ამოსჯდომოდა. დამინახა თუ არა, თავისებურად დაიმანჭა. იმათ მახლობლად გაროფი მაყურებლებსა სთვლიდა, რომ გამოეანგარიშებინა, რაოდენი შემოსავალი იქნებოდა ამ საღამოს. პირველს რიგშივე ჩვენს ახლოს თავის ყავარჯნებით რობეტტი იჯდა და თავის მამას, არტილერიის კაპიტანს, მიჰყრდნობოდა.

წარმოდგენა დაიწყო. პაწია ტაკი-მასხარა მართლა რომ საკვირველებას სჩადიოდა! ვინ მოსთვლის, რა უნარი არ გამოიჩინა ცხენსა, თუ თოკზედ თამაშობით. გაათავებდა თუ არა თავისს სათამაშოს, ყველა ტაშს უკრავდა. შემდეგ ჯამბაზმა ქალმა თოკ-

ზედ ითამაშა. მასხარებიც საკვირვლად თვალთმაქცობდნენ. მაგრამ როცა ბავშვი არ იყო, ყველა მოწყენილი იჯდა. გიმნასტიკის მასწავლებელმა ცირკის პატრონს ყურში რაღაცა წასჩურჩულა, ის ხალხისკენ მოტრიალდა, ვილაცას დაუწყო ძებნა და შემდეგ ჩვენ დაგვაცქერდა. მამამ შენიშნა და მიჰხვდა, რომ მასწავლებელმა ცირკის პატრონს უთუოდ წერილის დამწერი დაანახვაო.

მამაჩემი მადლობის გადახდას მოერიდა, გარეთ გავიდა და მე-კი ჩუმად მითხრა.

— ენრიკო, შენ აქ დარჩი, ქუჩაში დაგიცდიო.

პატარა მასხარა შეხტა ცხენზედ და ოთხი სხვა და-სხვა გვარი ტანისამოსი გამოიცვალა: მგზავრისა, მენავისა, მეომარისა, შემდეგ მასხარის ტანსაცმელი ჩაიცვა და ქუდით ხელში ჩამოიარა ცირკი. ყველანი ფულსა და კანფეტებს აძლევდნენ. მე ორი აბაზი მოვამზადე, მაგრამ მე რომ მომიახლოვდა, ქუდი უკან დაიჭირა, შემომხედა და გვერდზედ გაიარა. სწორედ მეწყინა. ნეტა რად მომაყენა ასეთი შეურაცხება?

წარმოდგენა გათავდა. ცირკის პატრონმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, რომელიც კარებისაკენ გაეშურა. მე აღელვებული ვიყავ და მალე მინდოდა გასვლა. უცებ უკანიდგან ვილაცამ შემაყენა. მივტრიალდი. პაწია ტაკი-მასხარას მთელი მუჭა კანფეტებით აევსო და იღიმოდა.

ეხლა-კი მივხვდი.

— ტაკი-მასხარასაგან არ იუკადრისებთ საჩუქარს?

— რად უნდა ვიუკადრისო, ვუპასუხე და გამოვართვი.

— მაშ ნება მომეცი დაგკოცნო.

— დიდის სიამოვნებით.

სახელოებით ფქვილში გაგანგლული პირი-სახე მოიწმინდა, ორივე ხელები კისერზედ შემომხვია და ერთმანეთი დავკოცნეთ.

— ეს ერთი კოცნა შენ და ეს ერთიც მამაშენს გარდაეცეო, სთქვა და გაიქცა.

21-ი. სამშაბათი.

ქუჩაზე ბერიკების სიარულის დროს დღეს საშწუხარო ამბავს შევესწარით. კიდევ კარგი, რომ საქმე მშვიდობით დაბოლოვდა და უბედურება არა მომხდარა-რა. სან-კარლოს მოედანზედ წითლად, ყვითლად და თეთრად მოკაზმული ხალხი შეიკრიბა; პირნალმიანი ხალხი ირეოდა, ქუჩებში სხვა-და-სხვა გვარად მორთულს ეტლებს გრიალი გაჰქონდა, ეტლებში მეომრად, მზარეულად, მენავედ და მწყემსად მორთულნი ისხდნენ. ნალარა-დაფისაგან ხომ ყურთასმენა აღარ იყო. ეტლებში მსხდომნი და ქვეით მოსიარულე ბერიკები ერთად მღეროდნენ, ეტლებიდგან კანფეტსა და ფორთოხალს ისროდნენ... ხალხი ათას ნაირად უცნაურად, საოცრად და სასაცილოდ მორთულიყო. ისეთი ჟღრიამული და ღრიანცელი იდგა, თითქოს ყველანი ჭკუაზედ შეშლილანო.

მივუახლოვდით მოედანს. ჩვენ წინ ხვეულის ყვავილებითა და ვარდებით შემკული ეტლი მიდიოდა. ოქროს ვარაყით ნაკერს ეტლში ოთხი ცხენი ება; შიგ საფრანგეთის ძველებურ ჯარის-კაცების ტანსაცმელით მორთული ათი კაცი იჯდა; გვერდზედ ხმლები ეკიდათ, ბუმბულიანი ქუდები ხელში ეჭირათ და გულ-მკერდი ლენტებითა ჰქონდათ მორთული. საუცხოო სანახავი იყო სწორედ! ყველანი ერთად ფრანგულადა ჰმღეროდნენ და ხალხს ხილს ესროდნენ. ხალხიც ბანს აძლევდა და აღტაცებული ტაშს სცემდა.

უცებ ქუჩის მეორე მხარეს ვიღაცამ ხუთის წლის ქალი მაღლა აიტაცა. ბავშვი თან გაჰკიოდა და თან ხელ-ფეხს იქნევდა... უცნობი ფრანგების ჯარის-კაცების ეტლისაკენ მიიწევდა. ერთი ბერიკა დაიხარა.

— დაიჭით, ბავშვიო! დაუძახა უცნობმა და მიაწოდა ბერიკას ბავშვი: დედას ჩამორჩენია, მაგისი დედა შორს არ იქნება და დაინახავს.

ბერიკამ ჩამოიხსნა ნიღაბი, სხვებმაც სიმღერა შესწყვიტეს. ბავშვი გაჰკიოდა და ჰშფოთავდა. ეტლიკი დინჯად მიდიოდა. შემდეგ შევიტყეთ, რომ მეორე მოედანის ბოლოს ვიღაც დედაკაცი გიჟსავით დარბოდა თურმე და ყვიროდა:

— მარიამ, მარიამ! შვილო! სად დამეკარგე?! მომპარეს! მომიკლეს! მარიამ!

სასოწარკვეთილი აქეთ-იქით ეხეთქებოდა თურმე, მაგრამ ხალხში ვერ გაეტანებინა, უცნობს-კი

ბავშვი მაღლა აყვანილი ეჭირა, ამშვიდებდა და იმის მშობელს ეძებდა. ბავშვი შიშით უფრო ტიროდა. უცნობი შეწუხებული იყო, ეტყობოდა, ბავშვი ეცოდებოდა. ბავშვს ხან ფორთოხალს და ხან ხილს აძლევდნენ, მაგრამ არაფერს იღებდა.

— დედა მოსძებნეთ! მოიკითხეთ სადმეო! იძახოდა უცნობი.

ყველანი აქეთ-იქით იყურებოდნენ, მაგრამ დედა არსადა სჩანდა. ბოლოს რომის ქუჩიდგან ეტლისაკენ გამოექანა დედაკაცი. მინამ ცოცხალი ვარ, ეს სანახავი არ დამავიწყდება. თმა ასწეწვოდა, სახე მოჰბრეცოდა, ხელები გაჰშეშებოდა და ტანისამოსი სიმწარით სულ ნაკუწ-ნაკუწად ექცია. ბევრის ყვირილისა და ძახილისაგან ხმა წასვლოდა და ძლივს-ღა ხრიალებდა. სიხარულით-კი არა, რაღაცა სასოწარკვეთილებით მივარდა ბავშვს. ეტლი შეაყენეს.

— აი, თქვენი შვილიო, უთხრა უცნობმა, დაჰკოცნა ყმაწვილი და დედას გარდასცა.

დედამ გულში მაგრად ჩაიკრა ბავშვი. ამ დროს უცნობმა ბავშვს თითზედ თავისი ძვირფასი ალმასის ბეჭედი გაუკეთა.

— მზითვად მომიციაო, უთხრა და სახეზედ ნიღაბი აიფარა.

ხალხში სიხარულის ჟრიამული გაისმა; დედა-კი გაოცებული იდგა. სხვებმა კვლავ სიმღერა დაიწყეს და სადღესასწაულოდ მორთული ეტლი ისევ თავისს გზას გაუდგა.

23-ი. ხუთშაბათი.

ჩვენი მასწავლებელი ძლიერ ავად არის. იმის მაგიერ ჩვენთან მეოთხე კლასის მასწავლებელი დადის. ეს მასწავლებელი უსინათლოთა ინსტიტუტის მასწავლებლად იყო. საშინლად მოხუცებული, ყველაზედ ხნიერი მასწავლებელია და მთლად გათეთრებული; ისე ლაპარაკობს, თითქოს მწუხარე სიმღერას ამბობსო, მაგრამ კეთილი და ნასწავლიკია. კლასში შემოვიდა თუ არა, შენიშნა, რომ ერთს მოსწავლეს თვალი ახვეული ჰქონდა, მაშინვე მიუახლოვდა და უთხრა:

— თვალებს გაუფრთხილდი, ჩემო კარგო!

— მართალია, ბ-ნო მასწავლებელო, რომ თქვენ უსინათლოებს ასწავლიდით? ჰკითხა დეროსიმ.

— მართალია, უპასუხა მასწავლებელმა.

— გვიამბეთ რამე, ჩუმად სთქვა დეროსიმ.

მასწავლებელი მაგიდასთან დაჯდა.

— უსინათლოთა ინსტიტუტი ნიცას ქუჩაზეა, წამოიძახა ხმა მაღლა კორეტიმ.

— თქვენ სულ იმეორებთ—უსინათლოებიო, სთქვა მასწავლებელმა, თითქოს ამითი ეს გინდათ სთქვათ—საბრალო ავადმყოფებიო და სხვა არაფერი. მაგრამ კარგად-კი გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა? აბა ცოტა დაფიქრდით. უსინათლო! არც ცას, არც მზეს, არც დედ-მამას, არაფერს ჰხედავენ. გარს სამარისებური წყვდიადი ახვევიათ. აბა გამოსცადეთ:

დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ სამუ-
დამოდ ამ ყოფაში დარჩებით! შესაზარია! თქვენ გე-
გონებათ, რომ ამ გვარის ყოფის ატანა შეუძლებელია,
ჭკუაზე შესცდება, ან სულს დაჭლევსო ადამიანი. მაგ-
რამ ისინი-კი, საბრალო ბავშვები! შესდიხარ თუ არა
ინსტიტუტში, როცა გაკვეთილისაგან მოცლილნი
არიან, მოისმის სალამურის ხმა, ლაპარაკი და სიცი-
ლი იმ უსინათლოებისა, რომელნიც თავისუფლად
დადიან კიბეებსა, დერეფანსა და თავიანთ საზოგადო
საწოლ ოთახში. გესმის და ენას ვერ დასძრავ იმის
სათქმელად, რომ უბედურები არიანო. იმათ შორის
თექვსმეტ-თვრამეტის წლის ჭაბუკნიც არიან, ჯან-
ღონით სავსენი და მხიარულნი, თითქოს დავიწყე-
ბიათ თავიანთი ყოფაო. დაფიქრებულსა და თავ-მომ-
წონე სახეზედ-კი აშკარად ემჩნევათ, რომ ბევრი
ტანჯვა გამოუვლიათ, ვიდრე თავისს უბედურებას
უდრტვინველად დაჰმორჩილდებოდნენ. სხვა გვარ სა-
ხესაც ჰნახავთ: გაფითრებულს, წყნარს, მორჩილსა
და დაღონებულს, რომელსაც ღაწვები ცრემლითა
აქვს ამომწვარი. ჰო, ბავშვებო! ზოგს თვალის სინათ-
ლე რამდენსამე დღეში დაუკარგავს, ზოგს რამდენ-
სამე წელს უტანჯნია, არიანი ისეთნიც, რომ უსი-
ნათლონი დაბადებულან, დაბადებულან უკუნში,
იმათი ქვეყნად მოსვლა სამარეში ჩასვლას დაჰმგზა-
ვსებია, ადამიანის სახის წარმოდგენაც არ შეუძლიანთ.
რამდენი ტანჯვა გამოუვლიათ და კიდევ რამდენს
იტანჯებიან იმის გამო, რომ ბედს ისინი და თვალ-

ხილულნი ერთმანეთისაგან გაუცალკ-ცალკავებია და გაუყვია. რად უნდა ვიყვნეთ ასე ერთმანეთს მოშორებულნიო? ეკითხებიან თავის თავს: თუ კი დაბადებისასვე ცოდვა თან არ დაგვყოლიაო? როცა მოვიგონებ ხოლმე იმათს საუკუნოდ დახუჭულს თვალებს, უძრავს და უსინათლო თვალის კაკლებს, და მერე როცა თქვენ შემოგხედავთ, ასე მგონია, შეუძლებელია, რომ თქვენ ბედნიერები არ იყვნეთ-მეთქი. ასე გასინჯეთ, მარტო იტალიაში თითქმის ოც-და-ექვსი ათასი უსინათლოა! ოც-და-ექვსი ათასი ადამიანი დღის სინათლეს არა ჰხედავს!

მასწავლებელმა ლაპარაკი შესწყვიტა. კლასში ისეთი დუმილი ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენაც გაიგონებოდა.

— მართალია, ჰკითხა დეროსიმ, რომ უსინათლოს გრძნობა შეხებისა უფრო ძლიერი და განვითარებული აქვს, ვიდრე თვალ-ხილულს?

— მართალიაო, უპასუხა მასწავლებელმა. უსინათლოს სხვა სახსართა გრძნობა იმიტომ უფრო უვარჯიშდება, რომ თვალის მაგიერობას ისინი ეწევიან და უფრო ხშირს მოქმედებაში არიან. დილით საწოლს ოთახში ერთმანეთს ჰკითხავენ: „ბზიანი დღეაო?“ ვინც მალე ჩაიცვამს ტანთ, გამორბის გარეთ, ხელებს გაიწოდს ხოლმე და თუ იგრძნო ხელზედ სითბო, სიხარულით ბრუნდება „მზიანი დღეაო“. უსინათლონი ადამიანის ახოვანებას იმით ხმის გაგონებით იტყობენ; ჩვენ კაცის სულიერს ავ-კარგიანობას

ნობას თვალებში ამოვიკითხავთ-ხოლმე, უსინათ-ლოები-კი—ადამიანის ხმის მოსმენით გამოიცნო-ბენ და დიდს ხანსაც იხსომებენ იმათ ხმას. როცა ოთახში რამდენიმე სულია, მარტო ერთი იმათაგანიც რომ ლაპარაკობდეს და სხვანი-კი მდუ-მარებდნენ, ისინი მაინც ჰგრძნობენ, რომ ამ ერთს გარდა ოთახში სხვანიც არიანო. უსინათლონი შელებილს მატყლის ნაქსოვს შეუღებავისაგან საუკ-ხოოდ არჩევენ. ქუჩაში სიარულის დროს იმ დუქ-ნებსაც-კი არჩევენ სუნით, რომლებიდგანაც არავი-თარი განსაკუთრებული სუნი არ ისმის. როცა ბზრია-ლას მოჰმართავენ, იმის ზუზუნის ხმაზედ შეიტყობენ ხოლმე, სადაც დგება, და შეუმცდარად მიაგნებენ იმის ადგილს. გრძნობა შეხებისა ისე განვითარებუ-ლი აქვთ, რომ ჩილიკობას თამაშობენ, თოკებზედ ჰხტებიან, აგურების სახლებს აკეთებენ, იასა ჰკრე-ფენ და, თითქოს თვალით არჩევდნენო, სხვა-და-სხვა ფერის ჩალის ჯეჯიმებსა და კალათებსა სწნავენ. გრძობა შეხებისა იმათი თვალის სინათლეა. დიდად დიდს სიამოვნებას მაშინ იგრძნობენ ხოლმე, როცა-კი ხელის მოცაცუნებით საგნის გარეგანს სახეს გო-ნებით მიხვდებიან. როცა მუზეუმში შეჰყავთ და საგნების ხელის ხლების ნებას აძლევენ, უნდა ნა-ხოთ, რა გახარებულნი სინჯავენ გეომეტრიულ ნივ-თებს, სახლების ნიმუშებს, იარაღებს, რა არის შე-კიტყოთ როგორ არის გაკეთებულიო. ისინი-კი ამ-ბობენ ვიხილოთო.

— მართალია, გააწყვეტინა სიტყვა გაროფიმ, რომ უსინათლონი უფრო ჩქარა სთვლიან?

— დიახ, ისინი წერა-კითხვასა ტ ანგარიშსაც სწავლობენ. განგებ უსინათლოთათვის წიგნებიც იბეჭდება. წიგნები ამობურთულის ასოებით არის დაბეჭდილი, ამ ასოებს თითით ეხებიან და ისე კითხულობენ. ჩქარა-კი კითხულობენ, მაგრამ როცა-კი შესცდებათ, საბრალონი სირცხვილისაგან წითლდებიან. უკალმოდ სხვილ სქელს ქაღალდზედ გამწვეტებულის რკინის ნაჭრითა სწერენ. ამ გვარად წერით ქაღალდის მეორე მხარეზედ მშვენიერი ასოები იბურთება, ასე რომ უსინათლო თითის შეხებით თავისსავე დაწერილს კითხულობს. ასე სწერენ თხზულებას, ერთმანეთს წერილებს და ასევე ანგარიშობენ. ზეპირ ამიცანებს ძლიერ ადვილად იგნებენ, უფრო ბეჯითად უკვირდებიან, რადგან გონებას არაფერი სტაცებთ და სხვა რომელიმე საგანი არ იზიდავს იმათს ყურადღებას. როცა-კი კითხულობს ვინმე, ყურს სიამოვნებით უგდებენ. სწორედ კარგი მოსასმენია, როცა უსინათლონი ერთმანეთში ლაპარაკობენ იმის შესახებ, რაც წაუკითხავთ ისტორიული რამ ამბავი. გარწმუნებთ, რომ გამოცდის დროს ისინი უფრო უკეთესს ცოდნას იჩენენ, ვიდრე თქვენ, და მასწავლებლებიც უფრო მომეტებულად უყვართ. მასწავლებელს სიარულსა და ხმაზედ სცნობენ ხოლმე და იმასაც ამჩნევენ, როდის არის კარგს გუნებაზედ, ჯან-საღად და როდის — არაო. უყვართ, როცა

მასწავლებელი შეეხება, თავზედ ხელს გადაუსვამს, აქებს და აქეზებს, და თითონაც მადლობის ნიშნად ხელს ართმევენ, გარს ეხვევიან. სწავლისაგან თავისუფალს დროს ყველანი ერთად იკრიფებიან. ქალების განყოფილებაში მეჭიანურენი, მესალამურენი დას-დასად იყრიან ერთად თავს და თითოეული მათგანი იმ დასს უერთდება, რომელშიაც მისნი ამხანაგნი არიან საკრავის ცოდნის მხრივ. თუ უსინათლოს შეუყვარდა ვინმე, ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ შეიძულოს! მეგობრობა იმათთვის ნუგეშია. ამასთან დიდად სამართლიანნიც არიან და ნათელი, ღრმა ცოდნა და გაგება აქვთ კეთილისა და ბოროტის შესახებ. იმათსავით ძნელად თუ ვინმე მოვიდეს აღტაცებაში, როდესაც ამბავს მოიგონებს დიდისა რისამე ღვაწლისა ანუ დიდსულოვან და სულგრძელ საქციელისას.

— საკრავზედ კარგად უკრავენ? ჰკითხა ვოტინმა.

— ძალიან უყვართ მუსიკა! მუსიკა იმათი სიხარულია, სიცოცხლე. თვით ბალღებიც-კი რამდენიმე საათი უძრავად დგანან ხოლმე და მუსიკას ისმენენ. დაკვრას ადვილად სწავლობენ და გრძნობითაც უკრავენ. მასწავლებელი რომ ეტყვის ხოლმე რომელსამე უსინათლოს, მუსიკის ნიჭი არა გაქვსო, ის ყმაწვილი თუმცა ამის გამო დიდს წუხილშია, მაგრამ მაინც თავ-გამოდებითა სწავლობს. ნეტა გაგაგონათ იმათი დაკვრა! ნეტა გაჩვენათ, როცა უსი-

ნათლო როიალს უკრავს! თავი მაღლა აქვს აწეული, სახე გასჭარხლებია და ტუჩები ულიმის. უბედური ისე აღელვებული და აღტაცებულია, რომ მთლად კანკალებს და თან ყურს უგდებს ტკბილს ჰანგს, რომელიც იშლება და იბნევა მის გარს შემობურულს წყვდიადში. ამ დროს რომ ნახოთ იგი, ნათლად დარწმუნდებით, რომ მუსიკა ნუგეშია, ნუგეში სასწაულ-მომქმედი და ღვთიური. უსინათლო ამ დროს მხიარულია, გამარჯვებულია, ბედნიერებისაგანა ბრწყინავს, როცა-კი მასწავლებელი ეტყვის ხოლმე, შენ საუცხოო დამკვრელი ხარ ჰიანურისა, ანუ სალამურისაო. ასეთი მასწავლებელი იმათთვის მეფეა, თაყვანს სცემენ, იმის წინაშე მოწიწებულნი და მოკრძალებულნი არიან. მცირე უთანხმოება რომ მოუხდებათ, რჩევის საკითხავად იმასთან გარბიან. შეკინკლავებულ მეგობართა შეჰრიგებელიც ის არის, თავის მოსწავლეთა მამის მაგიერობასაც ისა სწევს. დასაძინებლად ისე არ წავლენ, რომ მასწავლებლებს არ უთხრან: „ღამე მშვიდობისაო“. ყველგან, ლოგინშიაც-კი, იმათი სალაპარაკო მუსიკაა, ოპერა, კომპოზიტორი და სხვ. ვისაც იმათი დიდად დასჯა უნდა, კითხვისა და მუსიკის სწავლის ნებას ნუ მისცემს. ეს სასჯელი ისე ემძიმებათ, რომ სწორედ ძალა არ შესწევს მასწავლებელს ასე დასაჯოს. უსინათლოსათვის მუსიკა იგივეა, რაც ჩვენთვის სინათლე.

— შეიძლება როდისმე იმათთან წასვლა? ჰკითხა დეროსმ.

— რატომ, შეიძლება, უპასუხა მასწავლებელმა, მაგრამ სჯობს ჯერ არ წახვიდეთ. წადით მაშინ, როცა-კი შეიძლებთ სრულის იმათის უბედურების შეკნებასა და გრძნობას იმ სიბრალულისა, რომლის ღირსნიც ისინი არიან. საშინელი სანახაობაა. ბავშვები ღია ფანჯარასთან უძრავად სხედან, თითქო წმინდა ჰაერითა სიამოვნებენო, თითქოს გასცქერიან ვრცელს მწვანე მინდორს, ლურჯად მობიბინე მთებს, რის ცქერითაც თქვენცა სტკბებით. გული გეუოთქება, თითქო თითონ შენც თვალის სინათლე გაკლდება, როცა კი გაიხსენებ, რომ ესენი არაფერს ჰხედავენ და ამ დაუსრულებელ სიმშვენიერისას ვერც ვერაფერს დაინახავენო. დაბადებითვე უსინათლო ისე არ არის შესაბრალისი. იმას სულ არ უნახავს ქვეყანა, ბუნება, დღის სინათლე... იმათ გონებაში არავითარი სურათი არა აქვთ ჩაჯდეული, არა დაუკარგავთ რა და არც სატირელი და საგლოვი აქვთ რამე. მაგრამ ისეთებიც არიან, რომელთაც ეხლა ხანს დაუკარგავთ თვალის სინათლე და ჯერ კიდევ ახსოვთ ყველაფერი და თავიანთს დანაკარგს მწვავედა ჰგრძნობენ. განა ადვილია, როცა ადამიანი ჰგრძნობს, რომ მისთვის ძვირფასს სურათს და სახეს იმის გონებაში ბინდი და ბნელი ეფარება და ილევა, თითქოს კვდებაო. ერთმა ბავშვმა ერთხელ მითხრა: «ერთის წუთით მაინც არის რომ შემეძლოს მხოლოდ ჩემის მშობლის სახე დავინახოო... აღარც-კი მახსოვსო»... მშობლები მოსდიან, ბავშვები პირი-სახეზედ ხელს უსკა-

მენ, რა არის სახის მოყვანილობა კარგად დავიხსო-
მოთო. ბევრი მათგანი თვალ-ცრემლიანი ბრუნდება
უკან. თვით მკაცრს, გულ-ქვა ადამიანსაც-კი იმათ
დანახვაზედ ასე ჰგონია, არც ერთს ჩვენგანს ღირსეუ-
ლად არ დაუმსახურებია ის დიდი სიკეთე და ნიჭი,
რომლის შემწეობითაც ყოველ დღე შეუძლიან დას-
ტკბეს ცისა, მზისა და ადამიანის ხილვითაო. დარწ-
მუნებული ვარ, რომ ყოველი თქვენგანი, იმ უბე-
დურთა ნახვის შემდეგ, სიამოვნებით უწილადებდა
მცირე ნაწილს თავის თვალის სინათლისას, რომ ერ-
თი სხივი მაინც ჰქონოდათ იმ ბავშვებს, რომელთა-
თვისაც არც დღის სინათლეა და არც სიამოვნება
მშობლის დანახვისა.

24-ი. პარასკევი.

გუშინ საღამოს ჩემს ავადმყოფ მასწავლებელ-
თან შევედი. მასწავლებელი მოუღალავმა შრომამ
გახადა ავად; ყოველ დღე ხუთი გაკვეთილი ჰქონ-
და, ერთს საათს გიმნასტიკას ანდომებდა და საღა-
მოობითაც ორს საათს მოწაფეების მომზადებას უნდე-
ბოდა... განა ძილის დროღა ჰქონდა; ჭამითაც ფა-
ცი-ფუცითა სჭამდა და დილიდგან საღამომდე და-
უსვენებელს შრომაში იყო. კიდეც ამის გამო და-
ჰკარგა ჯანმრთელობა. ეს დედაჩემმა მიამბო. დე-
დაჩემი კარებთან დარჩა და მე-კი სახლში შეევ-
დი. კიბეზედ კოატი შემხვდა, ის შავ-წვერა მასწავლე-
ბელი, რომელიც ყოველთვის გვაშინებს და გვტუქ-

სავს და არ-კი გვსჯის ხოლმე. კოატიმ დაღვრემილის სახით შემომხედა და გააფთრებულ ლომსავით დაიბრდღვიალა. სიცილით ვრეკდი ზარს, მაგრამ სიცილი შევიმაგრე, როცა მსახურმა ღარიბულად მოწყობილს, ბნელს ოთახში შემიყვანა. ავადმყოფი ვიწრო რკინის საწოლზედ იწვა. მასწავლებელს წვერი გაზრდოდა. თვალებზედ ხელი აიფარა, შემომხედა და ალერსიანად შემომეკითხა:

— შენა ხარ, ენრიკო!

მივუახლოვდი.

— კარგია, რომ ავადმყოფის სანახავად მოხვედი. როგორცა მხედავ, ცუდადა ვარ. რა ამბავია თქვენსკენ? ამხანაგები როგორ არიან? ყოველივე წესსა და რიგზეა უჩემოდაც? უმოხუცებულოდაც წესიერებაა განა?

მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ არ დამაცადა.

— ვიცი, რომ გიყვარვართ.

ავადმყოფმა ამოიოხრა. მე-კი კედელზედ ფოტოგრაფიულს სურათებსა ვსინჯავდი.

— სულ ჩემი შეგირდები არიანო, სთქვა მან: ოცის წლის განმავლობაში გადაღებული! კარგი ბავშვები არიან. როცა სიკვდილი მომიახლოვდება, უკანასკნელად შევხედავ მაგ ცუღლუტებს, რომელთა შორისაც ვცხოვრობდი, და სიამოვნებას ვიგრძნობ. პირველ-დაწყებითს სწავლას რომ დაამთავრებ, შენც მომიტანე შენი სურათი.

მაგიდიდგან ფორთოხალი აიღო და მომცა.

— ამაზედ მეტი არა მაქვს-რა.

მწუხარებისაგან გული მიკვდებოდა

— ყური დამიგდე, განაგრძო კვლავ ავადმყოფმა: იმედი მაქვს, რომ მოვრჩე, ხოლო თუ არ მოვრჩი... არითმეტიკაში სუსტი ხარ, იმეცადინე. მხოლოდ დასაწყისია ძნელი, პირველში ძნელად ეჩვენება ადამიანს ეს საგანი, მაგრამ უნიჭობის გამოკი არა, სიზარმაცისა და დაუჩვევრობის გამო...

ლაპარაკი უძნელდებოდა, ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა.

— საშინელი სიცხე მაქვს... გირჩევ ამიცანების ვარჯიშობას გულ-მოდგინედ მოეკიდო. პირველშივე თუ ვერ გააკეთო, დაისვენე და ისევ მოჰკიდე ხელი. იმეცადინე, ნუ შეუშინდები. და ნურც აშფოთდები. ახლა-კი მშვიდობით, დედაშენი მომიკითხე. აქ აღარ მოხვიდე... სასწავლებელში ვნახავთ ერთმანეთს. თუ ვერა მნახო... ოდესმე მოიგონე, რომ მესამე კლასში ერთი მასწავლებელი გყავდათ, რომელსაც უყვარდი... დაიხარე!

მე თავი დავიხარე საბნისაკენ და ავადმყოფმა მაკოცა.

— კარგი, წადიო! მითხრა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

კიბეზედ ჩამოვირბინე... მივიჩქაროდი დედისაკენ, რადგან, გულ-აჩუყებულს, მინდოდა გადავხვეოდი და დამეკოცნა.

ნერილი

25-ი. შაბათი.

ფანჯრიდგან დაგინახე დღეს საღამოს, მასწავ-ლებლისაგან. რომ მოდიოდი: ქუჩაზედ ერთს დედა-კაცს დაეჯახე. იქაც ადევნე თვალ-ყური შენს თავს, რადგან ქუჩაზედ სიარულსაც თავისი წესი და რიგი აქვს. თუ კერძო სახლში შენს თავს ყურადღებით ეპყრობი, რატომ ქუჩაზედაც ასევე არ უნდა მოიქცე? ქუჩა—საერთო, საზოგადო სახლია. გახსოვდეს, ენ-რიკო: ყოველთვის, როდესაც-კი შეხვდე მოხუცს, ხელში ბავშვ-აყვანილს დედაკაცს, მათხოვარას, ყა-ვარჯნებით მოსიარულეს, ტვირთ-წამოკიდებულს კაცს, მგლოვიარე სახლობას—გზა დაუთმე. მოვალე-ნი ვართ პატივი ვცეთ ხოლმე მოხუცებულებას, დედობრიულს სიყვარულს, უძლურებას, უბედურე-ბას, შრომას, სიკვდილს... როდესაც თვალი მოჰკრა, რომ გაქანებული ეტლი ვისმე გატანას ემუქრის, თუ ბავშვია, მოაცილე, და, თუ დიდი ადამიანია, გა-აფრთხილე. თუ დაინახო, რომ ქუჩაზედ მარტო ბავშვი ტირის, ჰკითხე მიზეზი და დააჩუმე. მოხუცს თუ ჯოხი გაუვარდეს ხელიდგან—მიაწოდე. ბავშვე-ბი რომ ჩხუბობდნენ—გააშველე... უფროსების ჩხუბს მოერიდე, რომ იმათს უმგზავსს საქციელს არ უცქი-რო. პოლიციელთ რომ შებოჭილი კაცი მიჰყავ-დეთ, სხვის ცნობის-მოყვარეობას შენსასაც ნუ დაუთავ, რადგან შეიძლება ის კაცი დიდად მარ-

თალი და უდანაშაულო იყოს. საავადმყოფოს საკა-
ცე რომ დაინახო, ამხანაგებთან სიცილი და ბაასი
შესწყვიტე,—შეიძლება იმ საკაცით მომაკვდავი და
სულთ-მობრძავი მიჰყავდეთ... გაჩუმებული დაიხარე
თავი, როცა-კი ცხედარი შენიშნო, რადგან შეიძლება
ხვალ შენის ოჯახის რომელიმე წევრთაგანი დამარ-
ხო. უსინათლოს, მუნჯს, დასუსტებულს, ობოლ-
ოხერს, უპატრონოს შესაფერის პატივისცემით მო-
ეპყარ: იმათის სახით თვით უბედურება და ქველ-
მოქმედება დადის. თუ საზიზღარი ან სასაცილო ჰნა-
ხო რამე, ვითომ არც-კი შეგინიშნავს, თვალი მოა-
რიდე. თუ გადაგდებული ანთებული წუმწუმა დაინა-
ხო—გააქრე, რადგან შეიძლება ვისმე სიცოცხლედ
დაუჯდეს. თუ ვინმემ გზა გკითხოს, ჯეროვანად უპა-
სუხე... უაზროდ ნუ ირბენ, ყვირილს ნუ მორთავ
და პირში ნურავის შეჰღრიჭებ. ქუჩის პატივისცემა
და მორიდება გქონდეს. ხალხის განათლების ავ-კარ-
გიანობის შეტყობა იმითიც შეიძლება, ქუჩაში რო-
გორ იქცევიან. თუ ქუჩაზედ უმართებულობაა, იგი-
ვე იქნება სახლშიაც. შეისწავლე ქუჩა, შეიგნე ყო-
ველივე წვლილი შენის სამშობლო ქალაქისა. თუ
ოდესმე დაშორდები სამშობლო ქალაქს, სასიამოვ-
ნოდ დაგრჩება, როცა გაგახსენდება ის ქალაქი, სა-
დაც პირველად აიდგი ფეხი, სადაც პირველად იგრძენ
აღელვება, პირველმა ფიქრმა გაგიჩუჩუნა და გაიღე
გემო მეგობრობისა. ამ ქალაქმა მოგანიჭა სიცო-
ცხლე, აღგზარდა, გასიამოვნებდა და გფარავდა. შე-

ისწავლე იმისი ქუჩები და მცხოვრებნი; გიყვარდეს იგი და დაიცავ და დაიფარე, როცა-კი მისი კიცხვა გაიგონო.

შენი მამა.

მარტი

2-ი. ხუთშაბათი.

გუშინ მამაჩემმა ჩვენს სასწავლებელში მუშათათვის გამართულს საღამოს გაკვეთილებზედ წამიყვანა. სასწავლებელი გაჩაღებული იყო, მუშები თავს იყრიდნენ, მასწავლებელი და სასწავლებლის უფროსი იქავე იდგნენ და ჯავრობდნენ: ვიღაცას ქვა ესროლა და ფანჯრის მინა გაეტეხა. მსახურს ერთის ქუჩაზედ მიმავალ ბავშვისათვის ხელი წაეტანებინა, მაგრამ სტარდი იქა ყოფილიყო და წასარჩლებოდა.

— ეგ არ იყო, არა! ჩემის თვალით დავინახე, რომ ქვა ფრანტიმ გამოისროლა. მეც დამემუქრა: „ვაი შენს ტყავს, თუ გამეციო!“, მაგრამ იმისი არ მეშინიან.

უფროსმა სთქვა, რომ ფრანტი სასწავლებლიდგან სამუდამოდ იქნება გამორიცხულიო. ვიდექი და ვუცქეროდი, როცა კლასში მუშები წყვილ წყვილად შედიოდნენ; ოცზედ მეტი შეკრეფილიყო. თორმეტის წლის ჭაბუკთან ერთად წველ ულვაშიანი ხელოსნებიც იყვნენ. წიგნებითა და რვეულებით ხელ-

ში პირდაპირ სამუშაოდგან მოსულიყვნენ დურგლები, მჭედლები, ჭვარტლისაგან გაშურულნი, კირში გათხუპნული კალატოზები, ფქვილში ამოგანგლული მეპურეები... სხვა-და-სხვა ხელობის სუნი ტრიალებდა: წებოსი, ტყავისა, ქონისა და ერბოს სუნი ერთად იყო არეული. არტილერიის ჯარის-კაცებიც მოვიდნენ, ჩვენს სკამებზედ სხდებოდნენ და წიგნს ჩასცქეროდნენ. ზოგიერთნი რისამე ასახსნელად მასწავლებელთან მიდიოდნენ. იქ იყო ის ახალგაზდა მასწავლებელიც, რომელსაც „ვექილს“ ვეძახით. იმის მაგიდას რამდენიმე მუშა შემოსხდომოდა და ის იმათს რვეულებს ასწორებდა. კოჭლი მასწავლებელი მღებარის წითლისა და ლურჯის წამლით გათხუპნულს რვეულს სინჯავდა და იცინოდა. იმათ მახლობლად ჩვენი მასწავლებელი იდგა. მორჩენილიყო და ხვალიდგან გაკვეთილებზედ დაიწყებდა სიარულს.

ყველა კლასის კარები გაღებული იყო. გაკვეთილი დაიწყო. რა გულის-ყურს ადევნებდნენ მასწავლებელს: სწორედ თვალი არ მოუშორებიათ. უფროსი-კი ამბობს ხოლმე, რომ უმეტესი მათგანი მშივრები არიანო. იმის შიშით, რომ გაკვეთილზედ არ დავიგვიანოთო, სახლშიაც-კი არ მიდიან ვახშმის საჭმელადაო. პატარებმა მთქნარება დაიწყეს, ზოგიერთს დაეძინა, მასწავლებლები კალმის წვერითა და ქაღალდით უღიტინებდნენ და ასე აღვიძებდნენ. დიდრონები-კი ჰფხიზლობდნენ და პირ-დაღებული ისე

იყვნენ სმენად გადაქცეულნი, რომ თვალი არ დაუ-ხამხამებიათ.

ჩვენს ადგილებზე ამ წვერ-ულვაშებიანების და-ნახვა სწორედ ეუცხოვებოდა ადამიანს. მეორე სარ-თულში ავედით; ჩვენს კლასში შევიხედე. ჩემს ად-გილას გრძელ-ულვაშიანი კაცი იჯდა ხელ-აკრული. რომელისამე ქარხნის მომუშავე თუ იყო, ხელს მან-ქანაზედ წაიხდენდა... მაინც-კი წერას ახერხებდა. ყველაზედ საკვირველი-კი ის იყო, რომ ჩვენი პა-წია „ბ̇ლ̇ტ̇ოზის“ ადგილას იმისი ზორბა მამა იჯდა, ნიდაყვს დაჰყრდნობოდა და გულ-მოდგინედ კითხუ-ლობდა. შემთხვევით-კი არ იჯდა შვილის ადგილას. პირველად რომ მოსულიყო, უფროსისათვის ეთხო-ვნა, მიჩვენეთ სადა ზის ჩემი „კურდღლის ბაჭიაო“. ასე ეძახის თავისს შვილს.

გაკვეთილის დაბოლოვებამდე იქ დავყავით. გა-რეთ რამდენიმე დედაკაცი ბავშვებთან ერთად თა-ვიანთ ქმრებს ელოდნენ. მუშებმა ბავშვები ხელთ აიყვანეს, წიგნები და რვეულები ცოლებმა ჩამოარ-თვეს და ასე დაიშალნენ თავ-თავიანთს სახლში. რამდენსამე წამს ქუჩაზედ ამ აუარებელის ხალხისა-გან ხმაურობა იყო. მალე მისწყდა ფეხის ხმა და სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ჩვენის ტან-მაღალის უფ-როსის აჩრდილი ღა მოჩანდა. მოღალულ-მოქანცუ-ლი უფროსი ყველაზედ ბოლოს მიდიოდა სახლში.

უფროსმა ფრანტი სასწავლებლიდგან გამორიცხა. ფრანტის უნდოდა მაგიერი გადაეხადნა სტარდისთვის და ქუჩის კუთხეში უდარილებდა. სტარდი და იმისი და ერთად მოდიოდნენ; ის თავის დას ინსტიტუტიდგან, რომელიც დორა-გროსის ქუჩაზეა, ყოველ დღე თითონ აცილებს ხოლმე. ჩემი და სილვიაც ამ დროს მოდენილიყო სასწავლებლიდგან, ყველაფერი ენახა და შეშინებული მოვარდა სახლში.

გვერდზედ ქუდ-დახურული ფრანტი სტარდის დას უკანიდგან მიჰპარვოდა. ღა ისე დაეწია ნაწნავი, რომ კინაღამ უკუღმა არ გადაეგდო. საბრალოს დაეკივლა. თუმცა ფრანტი უფრო მაღალი და ღონიერია სტარდისთან შედარებით, მაგრამ სტარდი მაინც მივარდნოდა და დაეწყო ცემა. ქუჩა სავსე იყო მოწაფე ქალებით; მოჩხუბართა გამშველებელი-კი არავინა სჩანდა. ფრანტიმ მალე დასძლია სტარდი და ქვეშ ამოიდო. სტარდი ისევე წამოუდგა და ეცა ფრანტის, მაგრამ ფრანტი ისეთს მუშტებსა სცემდა, რომ თვალი ჩაულურჯა და კინაღამ ყურიც არ მოაგლიჯა.

— თუნდა მომკალ, მაინც ამ შეურაცხებას არ შეგარჩენ, შე უმგზავსო და უმაქნისო! ყვიროდა სტარდი.

კრივი მაინც არა თავდებოდა; მუშტის ბაგა-ბუგს არც ერთი არ აკლებდა.

— ყოჩაღ, პატარა ბიჭო! იძახოდა ვიღაც დედაკაცი ფანჯრიდგან.

— პატარაა და მაინც დას წაესარჩლაო, ამბობდნენ სხვანი.

— ნუ შეშინდები!

— გულ-მაგრად იყავ!

— ლონიერი და ასე მშიშარაო, აჯავრებდნენ ფრანტის.

გაბრაზებულმა ფრანტიმ წამოსდო ფეხი, წააქცია სტარდი და ზურგზედ ჩამოაჯდა.

— დამმორჩილდი!

— არა!

— დამმორჩილდი-მეთქი!

— არა!

სტარდი წამოხტა, სტაცა ფრანტის ქამარში ხელი, დასცა და გულზედ მუხლი დააჭირა.

— მაგ უმაქნისს დანა აქვსო, დაიძახა ვიღაცამ და ფრანტისაკენ გაეშურა, რომ დანა გამოერთმევინა.

გააფთრებული სტარდი კბილებით სწვდა ხელში და ფრანტმაც, მეტი რა ძალა ჰქონდა, გასისხლიანებულ ხელიდგან დანა გააგდო.

ამასობაში ხალხი მოცვივდა და გააშველეს. ფრანტი დაოსებული იყო და გული მისდიოდა. სტარდის სახე დაკაწრული ჰქონდა, თვალი ჩალურჯებული, მაგრამ მაინც ამაყად იდგა გამარჯვებულსავით. იმისი და ტიროდა, სხვა მოსწავლე-ქალები-კი ქუჩა-

ზედ გაფანტულს წიგნებსა და რვეულებსა ჰკრეფ-
დნენ.

— ყოჩაღ, ბიჭო, დას წაესარჩლაო! ამბობ-
დნენ გარშემო.

მაგრამ სტარდი ყურს არ უგდებდა, იმას თა-
ვის აბგის დარდი უფრო ჰქონდა: გადაათვალიერა
წიგნები, სინჯავდა ხომ არ გამთხუპვნია და დამხე-
ვიაო, ხალათის სახელოების მაჯით გაწმინდა, ფანქ-
რები და კალმები რიგზედ ჩაალაგა და ჩვეულებრივის
კილოთ დინჯად უთხრა დას:

— აბა შინისკენ გავეჩქაროთ! ოთხისავე მოქ-
მედების ამიცანა მაქვს გასაკეთებელიო.

6-ი. ორშაბათი.

სტარდის სახლში წასაყვანად დღეს იმისი მამა
მოვიდა, რადგან შიშობდა, ფრანტი არ დახვდეს კი-
დევაო. მაგრამ ფრანტი საშიშო აღარ იყო. ამბო-
ბენ, ვითომ დააპატიმრებენო. დღეს ბევრი ნათესაო-
ბა მოვიდა სასწავლებელში. კორეტის მეშეშე მამაც
მოვიდა, ეს მალალ-მალალი, მხიარული, გაწკეპილ-
ულკაშებიანი კაცი. შვილი ზედ ჩამოსხული მამაა.

თითქმის ყველა ჩემის ამხანაგის მშობლებს
ვიცნობ. ერთი წელში მოხრილი, მოხუცებული დე-
დაკაცია, რომელსაც ყოველთვის თეთრი თავ-სახ-
ხვევი აკრავს თავზედ; დღეში ოთხჯერ მოდის სკო-
ლაში, სულ ერთია, როგორი ამინდიც უნდა იყოს,
წვიმასა და თოვლსაც-კი არ ეერიდება, თავისი შვი-

ლიშვილი მოჰყავს და მერე ისევ წასაყვანად მოდის; ზედა ტანსაცმელს გახდის ხოლმე, ჩააცმევს, ყელსახვევს შემოაბორბლის, გაასუფთავებს, აულაგებს რვეულებს. მოხუცს შვილიშვილის მეტი საქმე და საზრუნი სხვა არა აქვს-რა. იმისი შვილიშვილი პირველ კლასის უფროსს განყოფილებაშია. ხშირად იმისი მამა, არტილერიის კაპიტანი რობეტიც მოდის. ჩვენ ყველანი, იმისის შვილის ამხანაგები, სალამს მივცემთ ხოლმე რობეტს და ისიც არავის ივიწყებს. იმათაც-კი, ვინც საწყალია და ღარიბულად ჩაცმული, ალერსით ეკიდება.

სამწუხარო ამბებიცა ხდება. ერთს ერთი თთვეა, რაც შვილი მოუკვდა, და მეორე შვილთან სასწავლებელში აღარ დადის, მოსამსახურე დედაკაცსა ჰგზავნის იმის წასაყვანად. გუშინ პირველად მოვიდა შვილის დასაფლავების შემდეგ. დაინახა კლასი, თავისის შვილის ამხანაგები — მიპრუნდა და ცრემლები მოერია. ჩვენმა უფროსმა თავისს სამუშაო ოთახში შეიყვანა.

ზოგიერთმა მშობლებმა თავისის შვილების ამხანაგების სახელები იციან. ხანდახან ძმების წასაყვანად მახლობელ სასწავლებლიდგანა და გიმნაზიიდგან დები მოდიან ერთი მოხუცია, სამსახურს გარეშე მკოფი პოლკოვნიკი, ქუჩაზედ შეგირდს ან რვეული და ან კალამი რომ დაუვარდეს, მაშინვე მიაწვდის.

მდიდრულად მორთული დედაკაცებიც მოდიან და ღარიბს დედაკაცებს, ხელში კალათით მოსუ-

ლებს, მეგობრულად და ალერსიანად ესაუბრებიან ხოლმე სასწავლებლის შესახებ.

— დღეს რა ძნელი ამიცანა მისცეს გასაკეთებლად!

— თქვენ ისა ჰბრძანეთ, გრამატიკის გაკვეთილმა რა დიდხანს გასტანა!

რომელიმე შეგირდი ავად რომ გახდება, ყველამ იცის ხოლმე ეს ამბავი; თუ უკეთ შეიქმნა, ყველას უხარიან. აი დღეს დილითაც დედაკაცები და მუშა კაცებიც-კი მემწვანილე დედაკაცს კროსს შემოეხვივნენ და შვილის ამბავსა ჰკითხავდნენ. იმის შვილი და ჩემი ძმა ერთს კლასში არიან. მძიმედ არის თურმე ავად... სასწავლებელი ყველას ათანასწორებს და ამეგობრებს!

8-ა. ოთხშაბათი.

აგერ რამდენიმე დღეა, რაც მემწვანილე დედაკაცი კროსი ისე არ გაუვლის დეროსის, რომ განსაკუთრებულის ალერსით არ შეჰხედოს.

ხის საწერლისა და მე-78 №-რის საიდუმლო შეიტყო თუ არა, დეროსის ძალიან შეუყვარდა ქერა და ხელ-გამხმარი კროსი, გაკვეთილის მომზადებასა შველის, კალმებსა, რვეულებსა და ფანქრებს აძლევს საჩუქრად და ისე ეკცევა, როგორც ღვიძლს ძმას, თითქოს ამითი უნდა დააჯილდოვოს მამის ტანჯვის გამოო, თუმცა კროსის გუმანიც-კი არა აქვს აღებული მამის უბედურის თავ-გადასავალისა.

კროსის დედა კარგი დედაკაცია. შვილის სიყვარულით-ღა ჰსულდგმულებს. დეროსი პირველი მოსწავლეა მთელს კლასში და იმის შვილსა ჰშველის. საბრალო დედაკაცს დეროსი სწორედ ზღაპრულ მეფის შვილი ჰგონია. დიდი ხანია თვალს ადევნებს, თითქოს უნდა უთხრას რამეო, მაგრამ ვერ გაუბედნია. გუშინ დილით ძლივს გაჰბედა. სასწავლებლიდგან რომ გამოვდიოდით, დეროსი შეაყენა:

— უკაცრავად-კი, ყმაწვილო, მაგრამ თქვენ ისეთი კეთილი ხართ, ჩემი პაწაწა გიყვართ... და, თუ შეიძლება... ეს მოწყალება მიყავით... მიიღეთ ეს მცირე საჩუქარი ღარიბის მშობლისაგან.

მწვანილის კალათიდგან თეთრი, ოქროს ვარაყიანის ქაღალდით გაკეთებული ყუთი ამოიღო. დეროსი გაწითლდა და უარი განაცხადა.

— თქვენს შვილს მიეცითო, უთხრა გადაწყვეტით: მე არ ავიღებ.

საბრალოს ეს უარი ეწყინა და ბოდიშის ხდა დაიწყო.

— თქვენი შეურაცხება არ მინდოდა... ამ ყუთში მხოლოდ ყინვარ-შაქარია...

დეროსიმ თავის გაქნევით კვლავ განუმეორა უარი.

დედაკაცმა კალათიდგან კრძალვით ბოლოკის კონა ამოიღო.

— ეს მაინც აიღეთ! ქორფაა! დედას წაუღეთ.

დეროსის ღიმილი მოუვიდა.

— გმადლობთ, მე ვერაფერს გამოგართმევთ. რაც შემიძლიან, კროსისათვის არაფერს დავიშურებ, მაგრამ გამორთმევით-კი ვერაფერს გამოგართმევთ. გმადლობთ.

— ხომ არ გეწყინათ! შეშინებითა ჰკითხა დედაკაცმა.

— სრულიადაც არა, ღიმილით უპასუხა დეროსიმ და წავიდა.

— რა კარგი ბავშვია! მხიარულად წამოიძახა დედაკაცმა: ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი კეთილშობილი და მშვენიერი ყმაწვილი

ეს კიდევ არაფერი. დღეს ოთხს საათზედ კროსის წასაყვანად იმისი მამა მოვიდა, ჩვეულებრივ ფერმიმქრალი და დაღონებული. თვალებზედვე შევამჩნიე, რომ გუმანი ჰქონდა აღებული, დეროსიმ ჩემი საიდუმლო იცისო. თვალ-დაშტერებით დააცქერდა დეროსის და მწუხარედა და ალერსიანად ჰკითხა:

— ნეტა რად გიყვართ ჩემი შვილი?

დეროსი წამოწითლდა. უნდოდა ეთქვა: „იმიტომ მიყვარს, რომ უბედურიაო, იმიტომ-რომ თქვენცკი, იმისი მშობელი მამა, უფრო უბედური იყაკით, ვიდრე დამნაშავე; იმიტომ-რომ თქვენ კეთილშობილურად გამოისყიდეთ თქვენი დანაშაულიო“...

მაგრამ ძალა ვერ შესწვდა ეს ეთქვა. გულში ამ კაცისა ეშინოდა კიდეც დეროსის. ამ კაცმა სხვისი სისხლი დაღვარა და ექვსი წელიწადი საპატიმროში გაატარა.

კროსის მამა ყველაფერს მიხვდა, ნელის ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მაინც ხშირად ხმა უწყდებოდა ხოლმე.

— ჩემი შვილი გიყვართ... მაგრამ იმისი მამა ხომ მთლად არ გეზიზღებათ და იმისთვის ავს არას მოინდომებთ განა?

— არა, არა, პირ-იქით... უცებ წამოიძახა დეროსიმ.

საბრალომ ფეხი წინ წასდგა, თითქოს უნდოდა დეროსის გადაჰხვეოდა, მაგრამ ვერ გაბედა, ერთი კიდევ შეჰხედა და თვალებში ცრემლი მოერია... მოავლო ხელი თავისს შვილს და საჩქაროდ გაუდგა სახლის გზას.

13-ი. ორშაბათი.

ჩემის ძმის ამხანაგი, მემწვანილის ეზოში რომ სცხოვრობს, შაბათს საღამოს გარდაიცვალა. მასწავლებელმა-ქალმა დელკატისამ შეატყობინა ეს ამბავი ჩვენს მასწავლებელს. გარონემა და კორეტიმ გამოაცხადეს, კუბოს ჩვენ ავწევთო. კარგი ბავშვი იყო საბრალო. ჩემის ძმის მეგობარი იყო და გატეხილი ყულაბიც აჩუქა. დედაჩემი რომ ჰნახავდა, მიუალერსებდა ხოლმე. წარსულს კვირას მედალი მიიღო. იმისი მამა რკინის გზაზედ მგზავრების ბარგი-ბარხანას ეზიდება. ბავშვი სასწავლებელში ყოველთვის წითელის ქუდით მოდიოდა.

გუშინ, საღამოს ოთხს საათზედ, წავედით მიცვალებულისას ცხედარის ეკკლესიაში გამოსასვენებლად. ქვემო სართულში სცხოვრობენ. ეზოში პირველის კლასის შეგირდები, იმათი მშობლები, მეზობლები და მოსწავლე ქალები იდგნენ სანთლებით. ქ-ნი დელკატი და წითელ-ფრთიანი მასწავლებელი-ქალი სახლში შევიდნენ.

ფანჯრიდგანა სჩანდა, როგორცა ტიროდნენ ორივენი; უბედურის დედის ქვითინი გამოისმოდა.

ორმა ქალმა, მიცვალებულის ამხანაგების დედებმა, ორი გვირგვინი მოიტანეს. ხუთს საათზედ გამოვასვენეთ ცხედარი. ყველაზედ წინ ერთს მოსწავლეს ჯვარცმის ხატი მიჰქონდა, მერე მღვდელი მიდიოდა და შემდეგ შავებით შემოსილი კუბო მიჰქონდათ. კუბოზედ ელაგა ორი გვირგვინი, მედალი და სამი ქების ფურცელი, რომლებიც უბედურმა წრეულს მიიღო. კუბო გარონეს, კორეტის და ორ მეზობლის შვილს მიჰქონდათ. ქ ნი დელკატი მოდიოდა და თან იცრემლებოდა, თითქოს თავის შვილსა ჰმარხავსო. იმასთანვე სხვა მასწავლებელი-ქალებიც მიდიოდნენ. შემდეგ განსვენებულის პაწია ამხანაგები მისდევდნენ ცხედარს. ცალს ხელში იის კონა ეჭირათ და მეორე ხელი-კი მშობლებისთვის მოეკიდნათ. ბავშვები კუბოს გაკვირვებულნი შესცქეროდნენ. ერთმა იკითხა:

— მაშ ამას იქით სასწავლებელში აღარ იელისო?

განსვენებულის დედა სასოწარკვეთილი გაჰკიოდა, როცა კუბო გამოჰქონდათ; ძლივს დააბრუნეს სახლშივე.

ქუჩაზედ სხვა სასწავლებლის შეგირდები შემოგვეყარნენ. წყვილ-წყვილად მოდიოდნენ და ცხედარი რომ დაინახეს, ქუდები მოიხადეს. საბრალო ბავშვმა თავისის მედალით სამუდამოდ დაიძინა. იმის წითელ ქუდს ველარა ვნახავთ! სულ ოთხი დღე იყო ავად, უკანასკნელს დღეს უნდოდა კიდეც ამდგარიყო, გაკვეთილი მოემზადებინა და სულ იმას ამბობდა, რომ მედალი ლოგინთან მქონდეს, ნუ მომაშორებთო. ეშინოდა, არავინ წაიღოსო. ჩემო კარგო, არავინ წაგართმევს! მშვიდობით! ჩვენი სასწავლებელი არასოდეს არ დაგივიწყებს.

დღევანდელი დღე ხვალინდელზედ მხიარულია. მარტის თთვის ცამეტი რიცხვია, ვიქტორ ემანუილის თეატრში ჯილდოთა დარიგების წინა დღეა. წინა დღეა საუცხოო, მშვენიერის დღესასწაულისა, რომელსაც იხდიან აქ ყოველს წელიწადს. წრეულს ის მოსწავლენი, რომლებმაც ჩვენი მოწმობანი უნდა წარუდგინონ ჯილდოს დასარიგებლად ქალაქის საბჭოს, წილის ყრით-კი არა, კენჭით იქმნებიან ამორჩეულნი.

— სასიამოვნო ამბავი უნდა გითხრათ, ბავშვებო! გვითხრა უფროსმა, დილას რომ შემოვიდა გაკვეთილს შემდეგ, და კალაბრიელი გაიხმო.

— კორაჩი, გინდა ხვალ სხვებთან ერთად შენც მოგანდოთ მოწმობების წაღება?

— მინდაო, უპასუხა კალაბრიელმა.

— კარგი! განაგრძო უფროსმა: მაშ კალაბრიის წარმომადგენელიც გვეყოლება. ქალაქის საბჭოს უნდა, რომ წელს მოწმობების წარმდგენელ თორმეტ მოსწავლეთა შორის იტალიის ყველა ნაწილის წარმომადგენელი იყოს. სულ ოცი სრული ბ ხუთი მოსამზადებელი სასწავლებელი გვაქვს, რომლებშიაც შვითი ათასი მოსწავლე ირიცხება. შეუძლებელია, რომ ყველა ნაწილის წარმომადგენელი არ მოიძებნოს ამათ შორის. ტორკვატო ტასოს სასწავლებელში ორი წარმომადგენელია: სარდინიელი ბ სიცილიელი; ბონკომპანაისაში — ფლორენციელი, მოქანდაკეს შვილი; ტომასეოსაში — რომაელი; მონკიზოსაში — ნეაპოლელი, მხედრის შვილი; ჩვენსაში — გენუელი ბ კალაბრიელი; რომაელი, ლომბარდიელი და ვენეციელიც მოვძებნეთ. ერთი პიემონტიელი-ღა გვაკლია, მერე-კი თორმეტივე წარმომადგენელი გვეყოლება. საუცხოოა! სამშობლოს ყველა კუთხის მოძმენი საჩუქრებს დაგირიგებენ. ერთად გამოვლენ სცენაზედ და თქვენც ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით დაუხვდებით. ბავშვები-კი არიან, მაგრამ, წლოვანებიანსავით, ისინიც სამშობლოს წარმომადგენელად ჩაითვლებიან. პაწია სამ-ფეროვანი ბაირაღი ისეთივე აღმნიშვნელია იტალიისა, როგორიც დიდი. ხომ ასეა? მაშ აღტაცებით დაუხვდით თქვენს ამხანაგებს და დაამტკი-

ცეთ, რომ თქვენი ნორჩი გულიც აღგზნებულია სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით. უფროსი გავიდა.

— მაშ ასე, კორაჩი, კალაბრიის წარმომადგენელი შენა ხარ, ღიმილით უთხრა მასწავლებელმა.

ჩვენც ვიცინოდით და ტაშსა ვცემდით. ქუჩაზედ-კი შემოვეხვივენით კორაჩის, ავწიეთ, ხელდაჭერილი მიგვყავდა და თან გავძახოდით:

— გაუმარჯოს კალაბრიის წარმომადგენელს!

კორაჩი ყველას გვიყვარს და სულითა და გულითაც გავუმართეთ ეს დღესასწაული. ისიც იცინოდა. ქუჩის ბოლომდის ასე ჩავიყვანეთ. წინ შავ-თმა, მაღალ-მაღალი კაცი შეგვხვდა, დაგვიწყო ყურება და თან იცინოდა.

— მამაჩემიაო, სთქვა კორაჩიმ.

ამის გაგონებაზედ საჩქაროდ ჩამოვსვით კორაჩი და აქეთ-იქით გავიფანტენით.

14-ი. მარტი.

ორს საათზედ უზარმაზარი თეატრი უკვე სავსე იყო. გალერეია, ლოჟები, პარტერი მოსწავლე მასწავლებლებითა და აფიცრებით, მუშებითა, მდაბიო დედაკაცებითა და ბავშვებით იყო გაჭედილი. თავი და ხელი, ბუმბული და ლენტი, ნაწნავი და კავი ერთმანეთში აჭრელებულიყო. ჩუმი, მხიარული ლაპარაკი ისმოდა. თეატრი სხვა-და-სხვა წითელისა, თეთრისა და მწვანე-ფერის სამკაულით იყო მორდუ-

ლი. პარტერიდამ სცენაზედ ორი ასავალი იყო გამართული, ერთი მარჯვნივ—საჩუქრების მისაღებად ასასვლელი და მეორე მარცხნივ—უკან ჩამოსასვლელად. სცენის წინა რიგობაზედ რამდენიმე წითელი სავარძელი იდგა და შუა სავარძელს ზურგზედ დაფნის გვირგვინი ეკიდა. იმის წინ მწვანე მაგიდა იდგა. მაგიდაზედ სამ-ფეროვანის ძაფით შეკრული მოწმობები ელაგა. ძირს მუსიკის ხოროს დაეჭირა ალაგი, მასწავლებლები წინა ლოჟებში ისხდნენ. პარტერში მოსწავლეთა მგალობელი ხორო იდგა. ყველას ხელში ნოტები ეჭირა. ვისაც საჩუქრები უნდა მიეღო, ისინიც იქვე იყვნენ გამწკრივებულნი. მთელი თეატრი სავსე იყო მოსწავლეთა ნათესავებით.

ლოჟაში შევედით. ჩვენს პირდაპირ ლოჟაში ახალგაზდა წითელ-ბუმბულიანი მასწავლებელი-ქალი იჯდა და იქვე იყვნენ ქ-ნი დელკატისა—«მონაზონი»—ჩვეულებრივის შავებით და ჩემი წინანდელი მასწავლებელი-ქალი. საბრალო ძალიან ფერ-წასული იყო და ხმა-მაღლა ახველებდა.

პარტერში მალე დავინახე გარონე და იმის გვერდით ნელის პაწია თავი. იმათ მოშორებით გაროფი საჩუქრის მისაღებად დანიშნულთა დაბეჭდილს სიებს აგროვებდა და კარგა ბლომადაც მოეკრიფნა. ეშმაკი იყო, ალბად ამ სიებსაც სახეიროდ გამოიყენებდა რადმე. ხვალ შეეტყობა, რასაც გამოატყვრენს.

შემოსავალთან სადღესასწაულო ტანთსაცმლით მორთულნი იდგნენ მეშეშე კორეტი, მისი მეუღლე

და თითონ კორეტი; კორეტიმ მესამე საჩუქარი მიიღო. ვუყურებდი და მიკვირდა, რომ ყავის-ფერი ხალათი არ ეცვა და ტყავის ქუდი არ ეხურა. ისე მოპრანჭულიყო, თითქოს პაწია თავადიშვილი იყოსო! ერთს ლოჟაში ფოჩიან საყელოთი ვოტინს მოვკარი თვალი; მეორეში, სცენის მახლობლად, არტილერიის კაპიტანი იჯდა, რობეტის მამა.

ორს საათზედ მუსიკის ხმა გაისმა. მარჯვენა კიბით სცენაზედ ავიდნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრი, საბჭოს მწარმოებელი და საბჭოს სხვა წევრნი და წითელს სავარძლებზედ დასხდნენ. მუსიკა დაჩუმდა. სცენაზედ გალობის სასწავლებლის უფროსი გამოვიდა სალოტბარო ჯოხით, შეგირდებს ანიშნა, ისინიც ფეხზედ წამოდგნენ და დაიწყეს გალობა. მგალობელთა ხოროს შვიდასი ბავშვი შეადგენდა. მშვენივრადა ჰგალობდნენ. საზოგადოება გულმოდგინედ უგდებდა ყურს. საგალობელის ჰანგი მეტად ნაზი და წყნარი იყო, სწორედ ლოცვასა ჰგავდა. ტაშს კარგა ხანს უკრავდნენ მგალობლებს.

გალობის შემდეგ საჩუქრების დარიგება უნდა დაეწყოთ. მეორე კლასის მასწავლებელი, გაპარხლებული და მხიარული, გამოვიდა სცენაზედ და იმათი სია წაიკითხა, ვინც საჩუქრის ღირსად ეცნოთ. საზოგადოება მოუთმენლად ელოდდა იმ შეგირდებს, რომელთაც მოწმობები უნდა დაერიგებინათ. გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ ეს თორმეტი შეგირდი იტალიის ყველა მხრის მკვიდრნი არიანო. ეს „წარმომად-

გენელნი" განცალკევდნენ და ერთს რიგობაზედ გამწკრივდნენ. თეატრში მყოფი რამდენიმე ათასი ადამიანი ერთად წამოდგა და ისეთი ტაშის ცემა ასტეხეს, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. „წარმომადგენელნი" ერთს წუთს შეკრთნენ.

— აი იტალიაო! დაიძახა ვიღაცამ სცენიდგან.

კალაბრიელ კორაჩის ხმა ვიცან. ის თავისს ჩვეულებრივს შავს ტანისამოსში იყო.

ჩვენთან ლოჟაში საბჭოს ერთი წევრი იჯდა, თორმეტსავე წარმომადგენელს იცნობდა და ჩვენც გვისახელებდა.

— აი, ის ქერა ვენეციის წარმომადგენელია. ის მაღალ-მაღალი და ხუჭუჭ-თმიანი—რომისა და სხ.

ორნი თუ სამნი მდიდრად იყვნენ მორთულნი, დანარჩენნი—მუშის შვილები—ახალ, სადა ხალათებში გამოწყობილიყვნენ. ფლორენციელი ყველაზედ პატარა იყო. იმათ ქალაქის მოურავის წინ გაიარეს, რომელმაც ყველას შუბლზედ აკოცა. ვიღაც კაცი ჩუმის ხმით და გაღიმებულის სახით უამბობდა მოურავს იმ ქალაქის სახელებს, სადაურებიც იყვნენ ბავშვები.

— ფლორენცია, ნეაპოლი, ბოლონი, პალერმო...

შემდეგ მაგიდიდგან მოწმობები აიღეს. მასწავლებელი სიას კითხულობდა. ასახელებდა სკოლას, კლასს და დასაჩუქრებულთა სახელებს, რომელნიც ამ

კითხვის დროს ნელ-ნელა, რიგზედ ადიოდნენ სცენაზედ.

ჯილდოთა დარიგებისათანავე სცენის უკანიდგან ნელი და ნაზი ხმა მოისმა მუსიკისა და ბოლომდე უკრავდა. დაჯილდოებულნი საბჭოს წევრებთან მიდიოდნენ და მოწმობებს იღებდნენ. ბავშვებს ელაპარაკებოდნენ, ულოცავდნენ, უალერსებდნენ. საზოგადოება ტაშის ცემას ასტეხავდა ხოლმე, დაინახავდა თუ არა რომელსამე ბავშვს, ან მეტად პაწიას და ან მეტად ღარიბად ჩაცმულს. ზოგიერთები, მართლაც, ძლიერ პაწიები იყვნენ. ერთმა ხალიჩას ფეხი წამოსდო და გაგორდა; გამგეობის წევრმა ააყენა. გარშემო სიცილი და ტაშის ცემა ასტყდა.

მეორეს კიდევ კიბეზედ ჩამოსვლის დროს ფეხი დაუსხლტა და შეჰყვირა, მაგრამ უბედურება-კი არა მომხდარა-რა. არა-სასიამოვნო და გაიძვერა სახის ბავშვებიც-კი იყვნენ, შემკრთალნი, სასაცილონი, სულ ერთიანად გაჭარხლებულნი. აგერ კორეტიც გამოჩნდა, თავით ფეხამდის ახლებში გამოპრანჭული, მხიარული, ბედნიერი, კეთილი. იღიმებოდა და თეთრს კბილებს აჩენდა. ვინ იცის, რამდენის შეშის გაზიდვა მოასწრო დღეს! ქალაქის მოურავმა მოწმობა გადასცა და ჰკითხა, შუბლი გაკაწრული რადა გაქვსო. პარტერში გადავიხედე: იმის დედ-მამას პირზედ ხელები მიეფარებინათ და ისე იცინოდნენ. დეროსმაც გაიარა, ლურჯს, მბრწყინავ ღილებიანს ხალათში იყო, ოქროს-ფერი ხუჭუჭა თმა მხრებზედ ეყარა და სწო-

რედ სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა თავისის სინარნარითა და სილამაზით. ქალაქის მოურავი და სხვებიც დაელაპარაკნენ და ბოლოს ხელი ჩამოართვეს. მასწავლებელმა ხმა მაღლა დაიძახა:

— ჯულიო რობეტი!

სცენაზედ არტილერიის კაპიტანის შვილი ავიდა ყავარჯნებით. იმისის სულგრძელობის ამბავი ბევრსა ჰქონდა გაგონილი. ხმა მაღალის „ვაშა“-ს ძახილითა და ტაშის ცემით დაუხვდნენ, ქალები ხელსახოცებს უქნევდნენ. საბრალო შუა სცენაზედ შეჩერდა, შემკრთალი და აღელვებული... მოურავმა გადასცა მოწმობა, მიიზიდა თავისკენ, გადაეხვია, მერე სავარძლის ზურგიდგან დაფნის გვირგვინი გადმოიღო და თავზედ დაადგა. როცა რობეტი უკან ბრუნდებოდა, „ვაშას“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა...

წყნარი და ნაზი მუსიკის ხმა კვლავ ისმოდა; მოსწავლეები ადიოდნენ ⁄ ადიოდნენ სცენაზედ. აქ იყვნენ კოსსოდღტის სასწავლებლის მოსწავლენიც, ვაჭრების შვილები; ვინკილიოს სასწავლებლისაც—ხელოსნების შვილები; ბასკომბინიოს სასწავლებლისაც — გლეხის შვილები ⁄, დასასრულ, რეინერის სასწავლებლის მოსწავლენიც.

ჯილდოს დარიგება რომ დამთავრდა, შვიდასის მოსწავლესაგან შემდგარმა ხორომ საუცხოვო ლოცვა იგალობა, შემდეგ ქალაქის მოურავმა სიტყვა წარმოსთქვა ⁄ ბოლოს გამგეობის წევრმა, რომელმაც თავისი ნათქვამი ასე დააბოლოვა:

— ბავშვებო, არ დაგავიწყდეთ, სალამი მიეცით იმათ, ვინც თქვენთვის ჰშრომობს, ვინც სულსა და გულს თქვენა გწირავთ და თქვენთვისა სცოცხლობს. აი, ასეთნი ისინი არიანო! სთქვა და მასწავლებლების ლოჟისაკენ გაიწოდა ხელი.

მოსწავლეებმა ერთ-ხმად „ვაშა“ დაიგრიალეს; მასწავლებლები, ქალნი და კაცნი, აღელვებულნი წამოდგნენ ფეხზედ და მადლობის ნიშნად ხელსახოცებს იქნევდნენ. მუსიკის ხმამაც ბანი მისცა. საზოგადოება ერთი კიდეე მიესალმა იტალიის წარმომადგენელთ. ისინი ისევ გამწკრივებულნი იდგნენ და ხალხი ყვავილებსა და თაიგულებს აყრიდა აქეთ-იქიდგან.

20-ი. ორშაბათი.

დღეს დილით კორეტის წავეჩხუბე. თუმცა იმის სიმშურნით არ მომივიდა, რომ საჩუქარი მიიღო, მაინც-კი მტყუანი მე ვიყავ. მასწავლებელმა ერთად დაგვსხა. წერის დროს ხელი წამკრა, ქაღალდზედ მელანი დამიღვენთა და ამასთან მარტის თთვიური მოთხრობა „რომაელი“ გამითხუპნა. ჩვენი კალატოზი ავად არის და იმის მაგიერ თეთრად ვწერდი. გავწიწმატდი და კორეტი გავლანძღე.

— უცაბედად მომივიდაო! გაუჯავრელად მიპასუხა კორეტიმ.

უნდა დამეჯერებინა და გავჩუმებულიყავ, მაგ-

რამ იმისი ღიმილი არ მომეწონა. «საჩუქარი მიიღე და თავს წახვედი განა? დამაცადე!» დაიწყო თუ არა წერა, ხელი წავკარ. კორეტი ჯავრით სულ ერთიან აინთო.

— აი, შენ-კი განგება მკარი ხელიო! წამოიძახა და ხელი მომიქნია.

მასწავლებელი გვიყურებდა და ამიტომ კორეტიმ უნებლიედ ისევე ჩამოუშვა ხელი.

— ქუჩაზედ მოგიცდიო... სთქვა ჩუმად.

გული დამიწყნარდა და დამენანა ჩემი წეღანდელი წამოპილპილება. არა, კორეტი ისეთი კეთილია, რომ განგებ არ წამკრავდა-მეთქი ხელსა. მომაგონდა, როგორა ჰშრომობს სახლში, როგორ უვლის დედას და მამაჩემსაც, ჩვენსას რომ იყო, რა რაგად მოეწონა. რა მხიარულად ვიყავ მეც მაშინ!.. რა ვიცი რას არ გავიმეტებდი, ოღონდ-კი ჩემი უგუნური სიტყვა და საქციელი გამექარწყლებინა. ვფიქრობდი: მამა მეტყვის-მეთქი: „დამნაშავე შენა ხარ? მაშ ბოდიში მოიხადე...“ მაგრამ არა, ბოდიშის მოხდა არ შემეძლო.... ბოდიშის მოხდა დამცირებაა. მალვით შევხედავდი ხოლმე. მხარზედ ხალათი გადახეული ჰქონდა, ეტყობოდა, დღესაც ბევრი შეშა გადაეზიდნა. ვგრძნობდი, რომ მიყვარდა.... აბა გავბედოთ... მაგრამ სიტყვა: „უკაცრავად“-კი არ მეხერხებოდა. ისიც გვერდზედ მიყურებდა, ეტყობოდა, უფრო ნაწყენი იყო, ვიდრე გაჯავრებული. მეც

განგებ შუბლ-შეკრული ვუცქეროდი, რომ მეჩვენებინა, შენი არ მეშინიან-მეთქი.

— ქუჩაზედ გნახავ რა ვაჟბატონიცა ბრძანდებიო, გამიმეორა.

— ვნახოთ-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ ამ დროს მომაგონდა მამის დარიგება: თუ მართალი არა ხარ— თავი დაიცევ და დაიფარე, მხოლოდ შენ-კი ნუ დაჰკრავო. მეც გადავწყვიტე, მოვიგერებ და ხელს-კი არ ვახლებ-მეთქი. მაინც დავღონდი, უკმაყოფილოდ ვიყავ და მასწავლებელს ყურს ვერ ვუგდებდი.

გაკვეთილი გათავდა. ქუჩაზედ გამოვედი; კორეტიც თვალს მაყოლებდა. მე შევდექ და სახაზავი მოვამზადე. მომიახლოვდა თუ არა, ავწიე სახაზავი.

— კმარა, ენრიკოო, ღიმილით მითხრა და სახაზავის წვერს მოჰკიდა ხელი: წინანდებურად მეგობრებივე ვიყვნეთ.

გაქვავებულსავით დავრჩი და არა მესმოდა-რა, ვიდრე კორეტის გადახვევამ გონებაზედ არ მომიყვანა.

— ეს პირველი და უკანასკნელი იქნება ჩვენ შორის ჩხუბი განაო? მეუბნებოდა და თან მკოცნიდა.

— უკანასკნელი-მეთქი! ვუპასუხე და ერთმანეთს მეგობრულად გავშორდით.

სახლში მამაჩემს ვუამბე ეს ამბავი, მეგონა ესიმოვნება-მეთქი. მამამ შუბლი შეიკრა.

— პირველად შენ უნდა გაგეწოდებინა ხელი,

რადგან შენა ყოფილხარ დამნაშავეო, მითხრა. შენ-კი ჯარის-კაცის შვილს, შენზედ უკეთესს ამხანაგს, ცემაც-კი თურმე დაუპირე.

მამაჩემმა გამომტაცა სახაზავი, გადაამტვრია და ძირს გადისროლა...

წერილი.

24-ი პარასკევი.

მამამ რომ შეგტუქსა, კორეტის ცუდად რად მოჰქცევიხარო, მე რიღასთვის მომექეცი უზრდელად? ვერ წარმოიდგენ, შენმა ქცევამ რა ნაირად მატკინა გული. ჯერ უსუსური იყავ, რომ მე, ამხანაგ-ტოლებთან თამაშობა სიამოვნების მაგიერ, შენს აკვანს არა ვშორდებოდი; როცა ავად იყავ, უძილოდ ვათევდი ღამეებს, შუალამისას ვდგებოდი, დაგხედავდი ხოლმე. ღმერთმა-კი დაგიფაროს-და, უბედურება რომ მომხდარიყო, დედის მაგიერობას გაგიწევდი, შვილსავით მეყვარებოდი. დედ-მამა რომ გამოგვაცალოს ღმერთმა ხელიდგან, განა მე, შენი და, უკეთესი მეგობარი არ ვიქნები შენი. ერთად-ერთი ადამიანი მე-ღა ვიქნები, რომელთანაც შეგეძლება ჩვენ გარდაცვალებულთა მოგონებაცა და შენის სიყმაწვილისაც. გაჭირვება დაგვადგება-და, მე ვიმუშავებ, შენ საზრდოდა და სწავლის ხარჯად ფულს მოვიპოვებ; სა-

უკუნოდ მეყვარები, რადგან ერთად შევიზარდენით და ღვიძლი ნათესავები ვართ. წასვლა რომ მოგიხდეს სადმე, ჩემი ფიქრი თან გამოგყვება... მერწმუნე, ენრიკო, რომ ვაჟკაცობის დროსაც, უბედური რომ იყო, მაინც მე მომნახავ, მოხვალ ჩემთან და მეტყვი: „დაო სილვია! მომეცი შენთან დარჩენის ნება, ერთად გავიხსენოთ ჩვენი წარსული ბედნიერება, მშობელი დედა, მშობელი სახლი და სამუდამოდ წარსული, ბედნიერი დრო ყმაწვილობისაო!“

ძვირფასო ენრიკო, მაშინ შენი და ყოველთვის გულ-მხურვალე თანაგრძნობით დაგვხვდება. მაშ მომიტევე, ამას რომ გწერ! შენს დანაშაულს არასოდეს არ დავიხსომებ; შენ ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი იქნები. მხოლოდ ის მახსოვს, რომ საერთოდ გვიყვარს ჩვენი მშობლები, მახსოვს, რომ მე გლოლიაობდი, თვალ-ყურს გადევნებდი როგორც იზრდებოდი და შენი ერთგული ამხანაგი ვიყავ... მომწერე რამე, ტკბილი სიტყვა გამაგონე, მოვალ და დაძინებამდე წავიკითხავ. აი იმისი საბუთი, რომ არა ვჯავრობ: შეგატყე, რომ დალალული იყავ და ამიტომ გადავწერე ის თთვიური მოთხრობა «რომაელი», რომელიც ავადმყოფ კალატოზისათვის უნდა გადაგეცა. შენის მაგიდის მარცხენა უჯრაშია ეს გადაწერილი მოთხრობა. ღამე ვწერდი. მაშ მომწერე რამე, ენრიკო, გთხოვ.

შენი და სილვია.

ძვირფასო დაო, ღირსიც-კი არა ვარ, რომ ხელები დაგიკოცნო! ენრიკო.

რომაელი

(ყოველ თთვიური მოთხრობა)

იმ საღამოს ფერუჩიოს სახლში ჩვეულებრივზედ უფრო დიდი სიჩუმე ჰსუფევდა. მეწვრილმანე ფერუჩიო ცოლითურთ ფორლიში წავიდა; თითონ სასყიდლები ჰქონდა და ცოლმა-კი ძუძუთა ბავშვი ლუიჯინა თვალის ექიმთან წაიყვანა საჩვენებლად. უკან მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყვნენ. შუაღამე გადასული იყო. მოსამსახურე დედაკაცი, რომელიც მარტო დღე ემსახურებოდა, შებინდებისასვე წავიდა. სახლში დამბლად დაცემული ბებია და ცამეტის წლის ჯულიო ფერუჩიო-ღა დარჩნენ. პატარა ერთ-სართულიანი სახლი დიდს, შარა გზაზედ იდგა, ფორლის მახლობელ სოფლის განაპირად. ამ სახლის გვერდით დანგრეული სახლი იყო. იმ ორის თთვის წინად ეს სახლი დაიწვა და შიგ აღარავინ სცხოვრობდა. სასმელების დუქნის თუნუქის განცხადება ზედვე ეკრა. ირგვლივ სულდგმული არავინ იყო. ფერუჩიოს სახლს უკან პატარა შემოღობილი ბოსტანი იყო გაშენებული. სახლს ორი კარები ჰქონდა, ერთი ბოსტანისკენ გადიოდა, მეორე—შარა გზაზედ. გარშემო-კი მხოლოდ მინდორი და თუთის ხეები-ღა სჩანდა.

ქარიშხალი ჰქროდა და წვიმა მოდიოდა. ჯულიო და ბებია სამზარეულოში ისხდნენ. სამზარე-

ულოს უკან საკუჭნაო იყო ათასის ხარა-ხურით ავსებული; საკუჭნაოს ფანჯრები გადასაცქეროდა. ჯულიო სახლში გვიან დაბრუნდა. გულის ცახცახით თერთმეტ საათამდე ელოდდა ბებია; ეს ავადმყოფი უძრავად იყო თავისს დიდს სავარძელში, რომელშიაც მჯდომარე ატარებდა მთელს დღეს და ხშირად ღამესაც; წოლა არ შეეძლო, რადგან გულის ნაფაზი ჰქონდა.

კოკი-პირული წვიმა მოდიოდა; საშინელი ბნელი ღამე იყო. ჯულიო დალალული, ლაფში მოთხვრილი და მთლად გაწუწული მოვიდა. ხალათი დახეული ჰქონდა, თვალი ჩაშავებული. ჩვეულებრივად, ამხანაგებთან ჩხუბი მოსვლოდა, ფულები სულ ერთიანად წაეგო და ქუდიც-კი დაჰკარგვოდა.

სამზარეულოში მხოლოდ პატარა ზეთის სანათური ენთო, მაგრამ ბებიამ მაინც შენიშნა რა საცოდავად დაბრუნდა მისი შვილიშვილი. ჯულიომ თავისი თავ-გადასავალი თითონვე აღიარა.

ბებერს გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილიშვილი.

— ბოროტი ხარ, შვილო, უთხრა თვალ-ცრემლიანმა ბებიამ: მცირედაც არ გეცოდები. არა გრცხვენიან, გაგიხარდა, რომ დედ-მამა წაგივიდნენ და ჩემი გაჯავრება არაფრად ჩაგდე. მთელი დღე მარტოს დამანებე თავი. გაფრთხილდი, ჩემო კარგო, ფეხ-ასაცდენი გზა ამოგირჩევია, კეთილს ვერ შეეყრები. ჩემს სიცოცხლეში შენისთანა ბევრი მინახავს... სიკეთე არავის დაჰყრია. იმითი იწყებენ ხოლმე, რომ

სახლიდგან გარბიან, ამხანაგებს ეჩხუბებიან, ფულს აგებენ და მუშტს შემდეგ დანასა სწვდებიან, ყომარბაზობის შემდეგ სხვა უფრო უმგზავს ხელობას ეჭიდებიან... ქურდობენ...

ჯულიო განჯინას მიჰყრდნობოდა და ჩხუბისაგან აღელვებული თავ-ჩაღუნული და შუბლ-შეკრული იდგა. თმა შუბლზედ ჩამოშლოდა და ცისფერი თვალები გაშტერებული ჰქონდა.

— ყომარბაზობას ქურდობა მოსდევს, ამბობდა თვალ-ცრემლიანი ბებერი. მიიხედ-მოიხედე, დაფიქრდი. აქაური ვიტო მოცცონი გაიხსენე! ღმერთმა შერისხა! ეხლა ქალაქში დაეხეტება უგზო-უკვლოდ! ჯერ ოც-და-ოთხის წლისა არ არის და ორჯელ იყო სამართალში მიცემული და დაპატიმრებული. მამაშენი სალამს არ აძლევს—სცხვენიან! იმისი დედა შვილის დარდისაგან გარდაიცვალა და მამა-კი შვეიცარიაში გარდაიხვეწა. იმ უბედურებს კარგად ვიცნობდი. შვილი-კი თავისზედ უარესებს ეტანება და კატორგა არ ასცდება!.. ბავშვი მჭერია ხელში... აი, შენც ეს გზა აგირჩევია! გონს მოდი: შენც შენს მშობლებს ამ ყოფამდე მიახწევინებ... ისინი მაინც გებრალებოდეს...

ჯულიო გაჩუმებული იყო. გულით ბოროტი არ იყო. ეშმაკობა და ცუდაობა გაფუჭებულის ბუნებით კი არ მოსდიოდა, არამედ იმიტომ, რომ მეტად ცოცხალი იყო, გამბედავი და მკვირცხლი. ამაში მამასაც ბრალი მიუძღოდა: არ უშლიდა, სულ

იმას ელოდდა, რომ წლოვანებაში რაკი შევა, გონე ბაზედ მოვაო. ბოროტი არა, მაგრამ თავის ნათქვამი და ჯიუტი-კი იყო ჯულიო... გულწრფელ სინანულის დროსაც თავის კერპ თავისათვის ძალა ვერ დაეტანებინა და ვერ ეთქმევინებინა: „დამნაშავე ვარ, მაპატიე, ვეცდები დავიშალოვო", ის კარგი სიტყვები, რომელსაც პატიება მოსდევს. თუმცა გული მოურბილდებოდა ხოლმე, მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდა თვისი გულ-ჩვილობა შეემჩნევინებინა ვისთვისმე. გაჩუმებული იყო ხოლმე.

— ახ, ჯულიო! განაგრძო ბებიამ. შენ მაინც ხმას არ იღებ! ხომ ჰხედავ, ერთი ფეხი უკვე სამარეში მიდგას! მაინც-კი მაწვალებ, ცრემლს მაფრქვევინებ! მე დედიშენის დედა ვარ, მოვხუცდი და ჩემი უკანასკნელი დღე შორს აღარ არის! ყოველთვის მიყვარდი, გზრდიდი, გივლიდი, გარწევდი... შენის გულისთვის სმა-ჭამაც-კი მავიწყდებოდა, მეგონა, გაიზრდება, მანუგეშებს-მეთქი... და აი რასა ვხედავ!.. სიცოცხლის ამ ორიოდე დანარჩენ დღესაც შევწირავდი, ოღონდ-კი წინანდებულად კეთილი და გამგონე იყო. ეკკლესიაში რომ წაგიყვანდი ხოლმე, გახსოვს: გზაზედ ჯიბეებს ქვიშითა და კენჭით მივსებდი და მე-კი იქიდგან სახლში მძინარეს წამოგიყვანდი ხოლმე ხელით. მაშინ გიყვარდი და ეხლა-კი დამბლად დაცემული ვარ... შენი სიყვარული ჰაერსავით გამომაცოცხლებდა... შენს მეტი ვიღა მყავს... ღმერთო!..

აღელვებულს ჯულიოს უნდოდა მივარდნოდა

ბებიას და გულში ჩაჰკვროდა... საკუჭნაოში რაღაცამ დაიჭრიალა, თითქოს ქარმა კარები შემოახეთქაო. ჯულიო სმენად გადაიქცა.

წვიმა კვლავ მოდიოდა.

ხელ-მეორედ გაისმა რახუნი. ბებიამაც გაიგონა.

— რა უნდა იყოს? იკითხა ბებიამ.

— წვიმა იქნება, უპასუხა ჯულიომ.

ბებიამ თვალები მოიწმინდა.

— პირობა მომეცი, ჩემო შვილო, რომ შენს ავს ქცევას მოიშლი და აღარ მატირებ!.. კიდევ!.. ეს წვიმა არ უნდა იყოს?.. წამოიძახა გაფითრებულმა ბებერმა. ნახე... მაგრამ არა, მოიცა, ნუ წახვალ! და ბებერმა ჯულიოს ხელი სტაცა.

ორივენი გულის ფანცქალით შესჩერებოდნენ კარებს. ფანჯრის შუშებზედ წვიმას ღაპა-ღუპი გაჰქონდა. უცებ ორივენი შეკრთნენ: საკუჭნაოდგან ფეხის ხმა მოისმა.

— ვინ არის? დაუყვირა შეშინებით ჯულიომ.

პასუხი არავინ მისცა.

— ვინ არის მანდა! განიმეორა ჯულიომ და ცივმა ოფლმა დაასხა. უცებ ბებიამ და იმან ერთად შეჰკივლეს.

დერეფნიდგან ორი კაცი შემოვარდა.

— ხმა, თორემ მოგკლავო! დაიყვირა ერთმა და პირზედ ხელი მიაფარა ჯულიოს.

— ჩუმად! განიმეორა მეორემ, სტაცა ბებერს ყანყრატოში ხელი და დანა ამოიღო.

ორივეს თავ-პირი ხელსახოცებითა ჰქონდათ შებორბლილი. ოთახში ამ ავაზაკების მძიმე ქშინვა, ბებრის ხრიალი და ქარის ღმუილი-ღა ისმოდა.

— სადა აქვს მამაშენს ფული? ჰკითხა იმან, რომელსაც ჯულიო ჰყავდა დაჭერილი.

— იქ, განჯინაში... კბილების კაწკაწით მიუგო ბავშვმა.

— მიმიყვანე.

ჯულიო თრევით გაიყვანა დუქანში. იატაკზედ სანათური ენთო.

— რომელს განჯინაშია?

ჯულიომ დაანახვა.

ქურდმა ჯულიო განჯინის წინ წააქცია, ზურგზედ მუხლი დააჭირა და მზად იყო დაერჩო, რომ დაეყვირა. დანა კბილებში გაიმაგრა, განჯინის კლიტე გასტეხა და ქოთება დაუწყო. გაიღო ჯიბეები, მერე განჯინის კარები მიჰხურა, შემდეგ ისევ გააღო, გადაათვალიერა, ბოლოს ჯულიოს კინწი ჰკრა ⁄ სამზარეულოში გამოაგდო. მეორე ამხანაგი იქ ბებერსა სდარაჯობდა, რომელიც თავისს საეარძელში იყო პირ-ქვე დამხობილი.

— ჰა, იპოვე? ჩუმადა ჰკითხა ამხანაგმა.

— ვიპოვე! უპასუხა პირველმა: აბა მიიხედ-მოიხედე, ხომ არავინ არის?

ამხანაგმა ბებერს თავი დაანება, ბოსტნისკენ გასავალ კარებში გაიხედა და მალევე დაბრუნდა.

— წავიდეთ, დროა.

— თქვენ ეი, ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ დავ-ბრუნდები და დაგხოცავთ! დაემუქრა ჯულიოსა და ბებერს მიმავალი ავაზაკი და თან დანა დაანახვა.

უცბად შორიდგან სიმღერის ხმა მოისმა; - რამ-დენიმე კაცი ერთად მოიმღეროდა; ავაზაკი აჩქარ-და და კარებს ეცა. ამ დროს პირისახიდგან ხელსა-ხოცი ჩამოვარდა.

— მოცცონიო! შესძახა მოხუცმა.

— წყეულმა მიცნო! შეჰღრიალა ავაზაკმა და დანით მივარდა ბებერს.

მოხუცი გულ-შეღონებული იყო. ჯულიო გადა-ეხვია და მთლად ზედ გადაეფაფრა. ავაზაკმა დანა და-ჰკრა, მაგიდა და სანათური გადააქცია და გაიქცა.

ჯულიო ნელა ჩამოცოცდა ბებიას მუხლე-ბზედ და თან ეხვეოდა მოხუცს.

საშინლად ბნელოდა. სიმღერის ხმა მისწყდა. მოხუცი გონს მოვიდა.

— ჯულიო! გაეხმაურა მოხუცი.

— ბებიავ...

ბებერი ხმა-მაღლა სცდილობდა ლაპარაკს.

— აქ აღარ არიან?

— არა.

— მაშ არ მომკლეს... ჩიფჩიფებდა მოხუცი

— მადლობა ღმერთს, არა!.. ფული წაიღეს... მაგრამ რაც ჰქონდა, მამამ თან წაიღო.

ბებიამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— ბებიაჯან... უთხრა ჯულიომ და ფეხზედ

არა დგებოდა: გიყვარვარ?

— ჯულიო, ჩემო შვილო!

მოხუცმა თავზედ ხელი გადაუსვა.

— უეჭველია შეგეშინდებოდა!.. ღმერთო შემიწყალე! სანათური აანთე... ან არა, იყოს, ბნელაში სჯობს. ჯერ ისევ მეშინიან.

— ბებიავ! განიმეორა ბავშვმა: ყოველთვის გაჯავრებდი განა...

— არა, გენაცვალე, ნუ მეტყვი მაგას... აღარც კი მახსოვს, ყველაფერი დამავიწყდა. ყოველთვის მიყვარდი და მეყვარები კიდეც.

— ყოველთვის გაწუხებდი, იმეორებდა ჯულიო და ხმა უკანკალებდა: მაგრამ მიყვარდი-კი. მაპატიე, ჩემო ბებიავ! მაპატიებ?

— მიპატიებია, შვილო, მიპატიებია. ადექი, გენაცვალე, არასოდეს აღარ გაგიჯავრდები. კარგი და კეთილი მყევხარ... მოდი, სანთელი ავანთოთ. ადექი.

— გმადლობ, ბებიაჯან! ძლივს-ღა უპასუხა ჯულიომ. ეხლა... ეხლა მიხარიან... მომიგონე ხოლმე... მომიგონებ? შენს ჯულიოს მოიგონებ?

— ჯულიო, შვილო! შეშინებული და გაკვირვებული შეჰყვირა მოხუცმა.

ხელები მხარზედ დაადო და იმისკენ დაიხარა, რომ სახეზედ დაეხედნა.

— მომიგონეთ ხოლმე... გაუგებრად ბუტბუტებდა ჯულიო. ჩემს მაგიერ დედას, მამას, ლუიჯი-

ნას აკოცე... მშვიდობით, ბები.....

— ღმერთო, ღმერთო... რა დაგემართა! შეშინებული წაავლო მოხუცმა ხელი ბავშვის თავს, რომელიც ულონოდ დაეცა მუხლებზედ. რა მოგივიდა! ჯულიო, ჯულიო! შვილო! ჩემო სიხარულო! ღმერთო! მიშველეთ....

ჯულიო არ გაეხმაურა.

თავისის დედის მშობელი გადაარჩინა სიკვდილს... დანამ წელში გაუარა და თავის გამბედავი და სპეტაკი სული ბავშვმა უფალს ჩააბარა.

18-ი. სამშაბათი.

საბრალო კალატოზი ანტონიო რაბუკო ძლიერ ავად არის. მასწავლებელმა გვითხრა, რომ შეგიძლიანთ იმის სანახავად წახვიდეთო. გარონე, დეროსი და მე მოვემზადენით წასასვლელად. ჩვენთან წამოსვლა სტარდისაც უნდოდა, მაგრამ მასწავლებელმა მოგვანდო კავურის ძეგლის აღწერა ⁄ სტარდი ძეგლის დასათვალიერებლად წავიდა, რომ თხზულება უკეთ დაეწერა. ამპარტავან ნობისს საცდელად ვუთხარით, შენც წამოდიო.

— არ წამოვალ! მოკლეთ მოგვიჭრა.

ვოტინმაც უარი სთქვა; იქნება იმასა ჰშიშობს, ვაითუ კირით მოვითხუნოვო.

სასწავლებლიდგან წვიმაში გამოვედით.

— რა ვუყიდოთ ავადმყოფს? იკითხა გარონემ და ორი აბაზი ამოიღო.

მეც და დეროსისაცა გვქონდა ფული. სამი დიდი ფორთოხალი ვუყიდეთ და სულ ზემო სართულში ავედით. შესავალს კარებში დეროსიმ მედალი მოიხსნა და ჯიბეში შეინახა.

— რადა ჰქმენ-მეთქი აგრე? ვკითხე.

— არ ვიცი.... მიპასუხა. უმედალოდ უფრო კარგია.... თავის მოწონებას ვერავინ შემომწამებს...

კარები დავარახუნეთ... უშველებელმა კაცმა გაგვიღო, კუშტისა და შეწუხებულის სახისამ.

— ვინა ხართ? იკითხა.

— ანტონიოს სასწავლებლის ამხანაგები ვართ, ფორთოხალი მოვუტანეთ! უპასუხა გარონემ.

— საწყალი ტონინი! ძნელად თუ შეიძლოს ფორთოხალის ჭამა? გვითხრა კალატოზმა და თვალების წმენდით შეგვიშვა ოთახში.

კალატოზი სწორედ ბანის ქვეშ სცხოვრობდა. ანტონიოს პატარა რკინის საწოლზედ ეძინა. დედას ხელებზედ დაეყრდნო სახე, ავადმყოფის თავთან იჯდა და ჩვენს შესვლაზედ არც-კი მოიხედა. კედლებზედ საკალატოზო იარაღი ეკიდა: ცხრილი, ქაფჩა და სხვ. მამის კირში ამოსვრილი ხალათი ავადმყოფს ფეხებზედ ეხურა. ანტონიო გამხდარი და გაყვითლებული იწვა, ცხვირი თითქოს გასწვეტებოდა და მძიმედ სუნთქავდა.... კეთილო, მხიარულო ამხანაგო ტონინი! რა ნაირად მებრალები! რას არ გავიმეტებდი, რომ კიდევ გნახო კლასში, შენი სასაცილო დაბრეცა დავინახო! საწყალო ჩვენო „კალატო-

ზო“... გარონემ ფორთოხალი საბანზედ დასდო. ფორთოხალის სუნმა ანტონიო გამოაღვიძა. ერთი ხელი ფორთოხალს წაატანა და მეორე ხელი ძალ-დატანებით გარონეს გაუწოდა.

— არაფერია! ნუ შეშინდები, „კალატოზო“, უთხრა გარონემ და ორივე ხელები მოჰკიდა ხელზედ. მალე გაგივლის, მორჩები, სასწავლებელში დაბრუნდები და მასწავლებელი მე და შენ ერთად დაგვსხავს... გინდა?..

ანტონიო ჩუმად იყო. დედამ ქვითინი დაიწყო.

— ტონინო, ჩემო საბრალო ტონინო! პატიოსანი, კეთილი ბავშვი მყავს და ამასაც ღმერთი მართმევს.

— თუ ღმერთი გწამს, დაჩუმდი! ნაღვლიანად წამოიძახა კალატოზმა: დაჩუმდი, თორემ ლამის არის ჭკუაზედ შევიშალო.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და სთქვა:

— წადით, ბავშვებო! გმადლობთ! აბა აქ რას გააკეთებთ! წადით, გმადლობთ, შინ წადით.

ანტონიომ ისე მილულა თვალები, თითქოს მიცვალებული იყოსო.

— ხომ არაფერი უნდაო? ჰკითხა გარონემ.

— არაფერი, ჩემო კარგო! გმადლობთ, სახლში წადით.

ავადმყოფის მამამ გამოგვაცილა და კარები დაჰკეტა, მაგრამ ჯერ კიბის ნახევარს არ ვიყავით ჩამოსული, რომ კალატოზის ხმა მოგვესმა.

— გარონე! გარონე!

უკანვე ავირბინეთ.

— გარონე! გახარებული იძახდა მამა: გიცნო, შენი სახელიცა სთქვა ორის დღის ხმა ამოუღებელმა! გეძახის, შენი ნახვა უნდა! მალე წამოდი! ღმერთო, კაი ნიშანი მაინც იყოს!..

— ნახვამდის, მე აქ დავრჩები! გვითხრა გარონემ და კალატოზს შეჰყვა ოთახში.

დეროსის ცრემლები მოერია.

— „კალატოზისათვისა“ სტირი? ვკითხე. ეხლა მგონი იმედია მორჩება, არა?

— მეცა მგონია, რომ მორჩება, მიპასუხა დეროსიმ... მაგრამ მე სულ სხვა ფიქრში ვიყავი! რა კეთილი და რა კარგის გულისაა გარონე!

წ ე რ ი ლ ი

29-ა. ოთხშაბათი.

გრაფ კავურის ძეგლის აღწერა მაქვს მონდობილი. აწერით ასწერ, მაგრამ კავურის მნიშვნელობის შეგნება-კი არ შეგიძლიან. ჯერ-ჯერობით ეს მაინც იცოდე, რომ კავური დიდხანს იყო პიემონტის პირველ მინისტრად. 1849 წელს, ნავარიაში რომ დაგვამარცხეს, საპირო იყო ჯარის გამარჯვებითვე ჩვენის სამხედრო სახელის აღდგენა. კავურმა 1854 წ. პიემონტის ჯარი ყირიმში გაჰგზავნა, სადაც ამ ჯარმა მონაწილეობი მიიღო ბრძოლაში

შავს მდინარესთან. 1859 წელს, კავურისავე რჩევით, ას ორმოც-და-ათი ათასი ფრანგი ალპის მთას გადავიდა და ლომბარდიიდგან ავსტრიელები განდევნა. კავური იტალიის საქმეებს ჰმართავდა მისის განახლების დიდებულს ჟამს, იმ დროს, როდესაც ამბოხება და არეულობა იყო, და დიდადაც წასწია წინ იტალიის შეერთების წმიდა საქმე. ყოველივე ეს შესძლო იმისმა ბრწყინვალე ჭკუამ, მტკიცე და დაუძლეველმა ხასიათმა და დაუღალავმა მოღვაწეობამ.

ბრძოლის ველზედ ჯარის უფროსნი საშინელს ვაებას გამოიგლიან ხოლმე... არა ნაკლებს ყოფაში იყო კავური თავისს სამუშაო ოთახში: იტალიის გაერთების დიდებული საქმე შეიძლებოდა ყოველ წამს დარღვეულიყო და დაშლილიყო, როგორც მიწის-ძვრისაგან სახლი გადმოინგრევა ხოლმე. კავური დღე და ღამე მოუსვენარს ყოფაში იყო, ისეთს ბრძოლასა და ხეთქებაში, რომლისაგანაც გონება ერევა ადამიანს და სხეული უკვდება. ამ შფოთით სავსე საქმემ ბევრის ხნით შეუმოკლა სიცოცხლე... მოღლილ-მოქანცული, სიცხეში, ავადმყოფობას ებრძოდა, ებრძოდა სიკვდილს და მაინც იმისი ფიქრი სამშობლოს სამსახური იყო... „საკვირველია, ამბობდა იგი სიკვდილის დროს: საკვირველია, კითხვა აღარ შემიძლიან, კითხვა აღარ ვიცი“... სიცხე უმატებდა; სისხლს უშვებდნენ, ის-კი ისევ იმავ ფიქრებში იყო, იმავ წუხილში: „მომარჩინეთ... გონება მიბნელდება მაშინ, როდესაც საჭიროა ყოველი ჩემი ნი-

ჭი და უნარი, როდესაც მეტად შესანიშნავი საქმე მაქვს"... უკანასკნელ წამის დროს მეფე თავს ადგა. დაღონებული კავური ეუბნებოდა: „ბევრი სათქმელი მაქვს, თქვენო უდიდებულესობავ, ბევრი საქმეა კიდევ გასაკეთებელი... ავადა ვარ, არ შემიძლიან"... გახურებული ტვინი სახელმწიფოს ზრუნვისაკენ მიაქროლებდა, ახლად შემოერთებულ ნაწილების ავ-კარგიანობის ფიქრში იყო, იმის ზრუნვაში, რაც გაუკეთებელი და შეუსრულებელი დარჩენოდა. ბოდვის დროს იმეორებდა: „ბავშვებს ასწავლეთ, ახალთაობას... უმაწვილებს ასწავლეთ... მფლობელნიც იყავით და ნურც თავისუფლებას აჭლაგმავთ"... სიკვდილი უახლოვდებოდა და ბოდვას უმატა. ეძახდა გარიბალდის, რომლის აზრის თანახმაც არ იყო; აგონდებოდა განუთავისუფლებელი რომი, თავისუფლებას მოკლებული ვენეცია. იტალიისა და მთელის ევროპის მომავალი ელანდებოდა, ომი და ბრძოლა უდგა თვალ-წინ; კითხულობდა, ჯარი როგორ არის განაწილებულიო, სამშობლო ერის წუხილში იყო... სწუხდა იმიტომ კი არა, რომ კვდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ჰგრძნობდა, სამშობლოსათვის კიდევ სასარგებლო იყო, კიდევ გამოადგებოდა ძვირფასს სამშობლოს, რომელსაც, რამდენისამე წლის განმავლობაში, თავისი ჯან-ღონე შეალია. მოკვდა და უკანასკნელი მისი სიტყვა საომარი ძახილი იყო...

შესანიშნავს სიცოცხლეს შესანიშნავივე სიკვდილი მოჰყვა...

ენრიკო, მოიფიქრე რა არის ჩვენთვის ესოდენ შესანიშნავი შრომა? რა არის ჩვენი მწუხარება, თვით სიკვდილიც-კი იმათს ღვაწლსა, შრომასა, შიშსა და შფოთთან შედარებით, რომელთაც ხელთ უპყრიათ ბედი და იღბალი სახელმწიფოსი!

ხშირად დაუბრუნდი ფიქრით ამ საგანს, როდესაც-კი კავურის მარმარილოს ძეგლთან გაივლი, და შენდა თავად გულში სთქვი: დიდება შენდა-თქო!

შენი მამა.

ა პ რ ი ლ ი

1-ი. შაბათი.

აპრილის პირველია! სამი თთვე-ღა დარჩა! მშვენიერი დღეა დღეს! მხიარულადა ვარ; კორეტტი და იმისი მამა ხვალ ზევით მეფის (იმის მამა მეფეს იცნობს) დასახვედრად მიდიან და მითხრა, შენც წამოდიო. დედაჩემი-კი დამპირდა, კარსო-ვალდოკოში წაგიყვან, „ბავშვების თავშესაფარს“ გაჩვენებო. უფრო იმან გამამხიარულა, რომ „კალატოზი“ უკეთ არის და გუშინ საღამოს მასწავლებელმა მამაჩემს ჩემზედ უჩვენა: „კარგად, უკეთ სწავლობსო“...

დღეს საკვირველი გაზაფხულის დილაა. სასწავლებლის ფანჯრებში ლურჯად მოკრიალებული ცა იყურება, ხეები იფურჩქნება; ყველა სახლის ფანჯარა გაღებულია. მასწავლებელი ჩვეულებრივ არ იცინის,

მაგრამ კარგს გუნებაზედ-კია (შუბლი შეკრულიც-კი არა აქვს). დიფაზედ ამიცანას გვიხსნიდა და თან ხუმრობდა. სკოლის ფანჯრები ბაღს გადასცქერის; მასწავლებელი სიამოვნებით ჰსუნთქავდა წმინდა ჰაერს; ირგვლივ მწვანე ფოთლის სუნი ტრიალებდა; იქვე მახლობლად მჭედელი გრდემლს კვერსა სცემდა; ქუჩის პირდაპირ, მეორე მხარეს, დედაკაცი ბავშვს არწევდა და ნანას დამღეროდა... ერთს წუთს მჭედელმა კვერის ცემას მოუხშირა, დედაკაცმა ხმას უმატა... მასწავლებელი შესდგა, ყური დაუგდო, ფანჯარაში გაიხედა და სთქვა:

— ბუნება, შრომა და დედის სიყვარული... რა მშვენიერებაა!

სხვა კლასის მოსწავლენიც მხიარულად იყვნენ. დარბოდნენ, დახტოდნენ, ჰმღეროდნენ, თითქოს ოთხის დღით იყვნენ დათხოვნილებიო. მასწავლებელი ქალებიც ხუმრობდნენ. წითელ-ფრთიანი მასწავლებელი-ქალი თავისს შეგირდებთან ერთად დარბოდა, ტოლსავით უკან დასდევდა; მშობლებიც, უფროსები ერთმანეთში მხიარულად ლაპარაკობდნენ. კროსის მემწვანილე დედას კალათაში იმდენი ია ჰქონდა, რომ გარშემო იის სუნი იდგა.

დღევანდელსავით მხიარული არასოდეს ვყოფილვარ.

— ასე მხიარულად რადა ვარ, დედა? ვკითხე დედაჩემს.

— გაზაფხული მოვიდა და სინიდისიც წმიდა გაქვს, შვილო, მიპასუხა დედამ.

ვ ი. პარასკევი.

დილის ათს საათზედ ფანჯრიდგან მამაჩემმა კორეტტი და იმისი მამა მოედანზედ დაინახა. მე მიცდიდნენ.

— ენრიკო, წადი, მეფე ჰნახე.

გახარებული გავექანე. ერთმანეთის მგზავსი მამა და შვილი კორეტტი ნასიამოვნებნი იყვნენ. მამას სამი მედალი ჰქონდა: ერთი მამაცობის ნიშნად და ორიც იმ ბრძოლათა სახსოვრად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო. ულვაშები ლამაზად დაეგრიხა.

რკინის გზის სადგურისაკენ წავედით; მეფეს თერთმეტის საათის ნახევარზედ ელოდნენ. კორეტტის მამა გზა და გზა ჩიბუხსა სწევდა და მხიარულად იფშვნეტდა ხელებს.

— იცითო, ლაპარაკობდა კორეტტის მამა: მეფე 1866 წ. ომის შემდეგ აღარ მინახავს. ხუმრობაა, თხუთმეტ წელიწად ნახევარია! სამი წელიწადი საფრანგეთში ვიყავ, მერე მონდოვში... სადა ვნახავდი... როცა მოდიოდა, ქალაქში არ ვიყავ. ხანდახან რა უცნაურად დატრიალდება ხოლმე გარემოება.

მეფეს უბრალოდ, სახელით იხსენიებდა: „ჰუმბერტიო!“ თითქოს ამხანაგიაო: „ჰუმბერტი“ მეთექვსმეტე რაზმის მთავარ სარდალი იყოო; „ჰუმბერტი“ ოც და-ორის წლისა და ამდენისა და ამდენის დღისა იყოო; „ჰუმბერტი“ ცხენზედ ასე იჯდა ხოლმეო.

— თხუთმეტი წელიწადია!.. წამოიძახა და ნაბიჯს უმატა. სწორედ გულით მინდა, რომ რაც შეიძლება ჩქარი ვნახო. სამსახური რომ გავათავე, ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე იყო. ეხლა მეფეა! მეც ჯარის კაცი ვიყავ და მეშეშე გავხდი!

ლაპარაკობდა და თან იცინოდა.

— რომ დაგინახოს, გიცნობს? ჰკითხა შვილმა.

მამამ გადიხარხარა.

— შე ტუტუცო, ეგრა მოინდომე! ჰუმბერტი ერთია და ჩვენ ბუზსავით მრავალნი ვართ. მერე თითოეულს ვინ დაიხსომებს!..

ვიქტორ ემანუილის მოედანზედ დიდ ძალი ხალხი იყო, ყველანი რკინის გზის სადგურისკენ მიეშურებოდნენ. ალპის მსროლელთა რაზმი შეგვხდა მუსიკით; ორმა ცხენოსანმა ჭენებით გაიარა.

— დიაღ! წამოიძახა გახარებულმა კორეტტიმ: მიხარიან, რომ ჩემს უფროსსა ვნახავ. დავბერდი-კი, მაგრამ თითქოს გუშინ იყო, რომ გუდა-ნაბდით მოკაზმული და თოფით ხელში ვომობდი. 24 ივნისის ბრძოლა, უცბად რომ შემოგვესია მტერი?.. ჰუმბერტი თავისის აფიცრებით დადიოდა, ზარბაზნებს გრიალი გაჰქონდა... ჩვენ-კი შევეყურებდით და ვფიქრობდით, იმას-კი არ მოჰხვდეს ტყვიაო... ფიქრადაც არ მომსვლია, რომ რამდენისამე საათის შემდეგ ავსტრიის ჯარი შემოგვერტყმოდა და მე და ჰუმბერტი ერთმანეთთან ხუთის ნაბიჯის მანძილზედ ვიქნებოდით! საკვირველი დღე იყო. ცა სარკესა-

ვით მოკრიალებულიყო, მაგრამ საშინელი პაპანაქებაკი იდგა... აბა ვნახოთ, გავატანთ თუ არა...

სადგურზედ მივედით. აღარებელი ხალხი იყო, ეტლები, ქალაქის ამქრობა, ცხენოსანი და ქვეითი, ჯარი, მუსიკა... კორეტტის მამა ეცადა სადგურის ბაქანზედ ასვლას, ჩვენც მიგვწია, მაგრამ არ გაუშვეს. როგორც იყო, გაძვრა-გამოძვრა და შესავალ კარების წინა რიგში დადგა. ხალხში კინაღამ დავისრისენით. კორრეტიმ იქვე ბოძი შენიშნა, გვითხრა:

— იქ წავიდეთო, და მიგვიყვანა.

მაშინვე პოლიციელი მოგვიახლოვდა.

— აქ არ შეიძლება დგომა!

— მეორმოც-და-ცხრე რაზმის მეოთხე წყობის ჯარის-კაცი ვარ! უპასუხა კორეტტიმ და მედალები უჩვენა.

— კარგი, იყავითო! სთქვა პოლიციელმა.

— არ გითხარით! წამოიძახა გახარებულმა კორეტტიმ. ოო, ამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს: „მეორმოც-და-ცხრე რაზმის მეოთხე წყობა“. განა ნება არა მაქვს ჩემი მთავარ-სარდალი რიგიანად დავინახო? თუ-კი მაშინ ისე ახლო ვიყავ, ეხლაც სიმართლე მოითხოვს, რომ ახლოდგანა ვნახო... მე ვთქვი, ჩემი მთავარ-სარდალი იყო მეთქი. ეს კიდევ რა არის. მთელს ნახევარს საათს ჩვენს რაზმს მიუძღოდა წინ, იმიტომ-რომ... დასწყევლოს ღმერთმა!.. იმ დღეს ყოველ-სავე რიგის მიმცემი მაიორი უბრიხი-კი არა, თვით ჰუმბერტი იყო.

სადგურზედ აფიცრები და სხვა წარჩინებულნიც მრავლად იყვნენ. შესავალთან ეტლები და მორთული მოსამსახურეები იდგნენ.

კორეტტიმ ჰკითხა მამას, პრინც ჰუმბერტს ომის დროს ხმალი ჰქონდაო?

— რასაკვირველია, მაშ თითონ-კი მტრის მოგერება არ უნდოდა. მტერი უფროს-უმცროსის გარჩევაში არ შედის; პრინცსაც ისე დაეცემა თავს, როგორც სხვას... რა დღე გამოვიარეთ! მტერი მოულოდნელ-ად, როგორც ქარიშხალი და ღვთის რისხვა, თავს დაგვესხა! მთლად ავირიენით. ცხენოსანი და ქვეითი ჯარი ერთმანეთში აირია!.. ჯოჯოხეთი იყო! ვეღარაფერი გაგვეგო-რა. მხოლოდ ეს-ღა გაისმოდა: „პრინცი! პრინციო!“ მტერი გვიახლოვდებოდა... დავცალეთ თოფები და ბოლში გაეხვია ყველაფერი... როცა ჰაერი გაიწმინდა, მკვდარი ცხენები და დაჭრილნი და დახოცილნი ჯარის-კაცნი დედამიწაზედ ჭერეხებსავით ეყარნენ. მივიხედ-მოვიხედე: ჰუმბერტი უვნებლად იქვე, ჩვენ შუა ცხენზედ იჯდა და დინჯად ათვალიერებდა ჯარს, თითქოს კითხულობს, — „ჩემები უვნებლად არიან, თუ არაო?“ ჯარმა ერთ-ხმად შევძახეთ. „ვაშაო!“ ატაცებულებსავით ვიყავით!.. ღმერთო, რა დღეები არ გამოვიარეთ... აგერ მატარებელიც გამოჩნდა!

მუსიკამ დაიგრიალა, ჯარი წელში გაიმართა და გასწორდა.

— მეფე ჩქარა არ გამოვა. მიესალმნენ და იქავე

სიტყვებს ეუბნებიანო, გვითხრა პოლიციელმა. კორეტტი დიდად მოუთმენლად იყო.

— როგორც-კი ჰუმბერტს მოვიგონებ, მაშინვე იმისი დინჯი სახეც თვალ-წინ დამიდგება ხოლ მე. ეხლა მეფეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავის ჯარის მეორმოც-და-ცხრე რაზმის მეოთხე წყობა მაინც ეხსომება; ესიამოვნებოდა ყველა ისინი, ვინც იმ დღეს გარშემო ახლდნენ, ეხლა რომ ენახა. ეხლა გარს წარჩინებულნი კაცნი, გენერლობა ახვევია, მაშინ-კი იმასთან მარტო ჩვენ, უბრალო ჯარის-კაცნი, ვიყავით... ერთის სიტყვის თქმა მაინც შემეძლოს... თხუთმეტი წელიწადია, რაც ჩემი ახალგაზდა მთავარ-სარდალი არ მინახავს, ჩვენი პრინცი, რომელიც ჩვენს სიმხნეს მოენდო!.. თხუთმეტი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს!.. ჩვენი ჰუმბერტი! ახ, ამ მუსიკის ხმამ ლამის მთლად გამიტაცოს.

ხმა მაღლა ყვირილმა და ქუდების ქნევამ გააწყვეტინა ლაპარაკი. ოთხი სამოქ ლაქო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი პირველ ეტლში სხდებოდნენ.

— ის არის! წამოიძახა კორეტტიმ და თვალი ველარ მოაშორა. ღვთის-მშობელო, თმა როგორ გასთეთრებია!..

ქუდები მოვიხადეთ. ეტლი აღელვებულსა და მოხმაურე ხალხს შუა ნაბიჯით მიდიოდა.

კორეტტი წელში გაიმართა; ბოძს მიჰყრდნო-

ბოდა და გაფითრებული ხმა-ამოუღებლად იდგა. ეტლი დაგვიპირდაპირდა, ჩვენგან სულ ერთის ნაბიჯის მანძილზედ ღა იყო.

— ვაშა! დაიყვირა ხალხმა.

— ვაშაო, ხმა მისცა კორეტტიმ.

მეფემ იმის მედალებს შეჰხედა.

— მეორმოცდა-ცხრე რაზმის მეოთხე წყობაში გახლდითო! გიესავით წამოიძახა კორეტტიმ.

მეფე თავს იქით იბრუნებდა, ამ ხმაზედ ისევ მოიხედა, კორეტტის დააცქერდა და ეტლიდგან ხელი გამოუწოდა. კორეტტი მივარდა და ჩამოართვა. ეტლმა გაიარა, ხალხი მოგვაწყდა და დაგვაშორა. ერთს წამს კორეტტი დაგვეკარგა, მაგრამ ისევ ვიპოვნეთ. აღელვებულსა და თვალ-ცრემლიანს მარჯვენა ხელი მაღლა აეშვირა და შვილს ეძახდა.

— მალე მოდი, პაწიავ, ვიდრე ისევ თბილი მაქვს!

შვილს პირი-სახეზედ გადაუსვა ხელი.

— მეფის ალერსსაც ველირსეო, სთქვა და თან მიმავალს ეტლს გაჰყურებდა.

ცნობის-მოყვარე ხალხი გარს შემოგვეხვია. მეორმოცდა-ცხრე რაზმის ჯარის-კაცი მეფეს იცნობსო, ამბობდნენ: მეფემაც იცნო! ხელი ჩამოართვა!

— არზა მიართვა მეფესაო, დაიძახა ვიღაცამ ხმა-მაღლა.

— არაო! უპასუხა უფრო მაღლად კორეტტიმ: არავითარი არზა არ მიმიცია! მოითხოვოს და... მე ვიცი რასაც მივცემდი.

— რასა!

— ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებდი, სთქვა უბრალოდ კორეტტიმ.

4-ი. სამშაბათი.

გუშინ საუზმის შემდეგ დედაჩემმა პრეკოსის და კორსო ვალდოკოს ბავშვების თავშესაფარში მისაბარებლად წაიყვანა და, დაპირებისამებრ, მეც თან გავყევი. ჯერ თავშესაფარი არ მინახავს. იქ ორასზედ მეტი ისეთი პატარა ვაჟები და ქალები არიან, რომ ჩვენის სასწავლებლის პირველ კლასის უმცროს განყოფილების მოწაფენი იმათთან შედარებით დიდრონები არიან. სწორედ დროზედ მივასწარით: ბავშვები წყვილ-წყვილად სასადილო ოთახში შედიოდნენ. ამ ოთახში ორი დიდი მაგიდა იდგა. მაგიდებს ირგვლივ ჯამების ჩასადგმელად ამოჭრილი ადგილები ჰქონდა. ჯამებს გვერდით კოვზები ელაგა. სულ პაწიებს ფეხი გაუსხლტებოდათ ხოლმე, წაიქცეოდნენ და არ ადგებოდნენ, ვიდრე მასწავლებელი არ წამოაყენებდა. ბევრნი სხვის ჯამებთან დადგებოდნენ ხოლმე და ჭამას იწყებდნენ. მასწავლებელი მიუახლოვდებოდა და ეუბნებოდა „იქით, იქითო!..“ ბავშვები ორ-სამს ნაბიჯს წასდგამდნენ და კიდევ სხვის კერძს უწყებდნენ ჭამას. ასე იქცეოდნენ, ვიდრე თავიანთ ადგილამდე მივიდოდნენ. როგორც იყო დაწყნარდნენ. ლოცვა წაიკითხეს. ისინი, რომელთაც ლოცვის დროს

ზურგი მაგიდასთვის უნდა მიექციათ, ცალის-თვალით თავიანთს საქმელს უყურებდნენ. ჰშიშობ-დნენ, მეზობელმა არ შეგვიჭამოსო. გულს ხელ-დაკრე-ფილნი და თვალ-აპყრობილნი თითქოს ლოცუ-ლობდნენ, მაგრამ გული კი საქმლისაკენა ჰქონდათ. დასასრულ, ლოცვა გაათავეს და ნება მიეცათ ჭა-მისა.

რა სასაცილოდა სჭამდნენ! ერთი ორის კოვ-ზითა სჭამდა; მეორე—პირდაპირ ხელითა სჭამდა. ბევრი ლობიოს მარცვალს თითო-თითოს ჯიბეში ინახავდა; ზოგი ბუზებს ადევნებდა თვალს და არასა-სჭამდა. სასადილო საქათმოსა ჰგავდა, მაგრამ მაინც-კი ძლიერ მომეწონა.

პაწია ქალები ჯან-მრთელნი და ლამაზნი მე-ჩვენნენ. თმები ცისფერის, წითელისა და მწვანე ყაითნებით ჰქონდათ შეკრული. ერთმა მასწავლე-ბელმა-ქალმა ჰკითხა პაწია ქალებს: „ბრინჯი სად მოდისო?“ მოსწავლეებმა საქმლით სავსე პირები დააღეს და ერთ-ხმად უპასუხეს: „ბრინჯი წყალში ჰხარობს“.

საუზმის შემდეგ ბავშვები ბაღში წაიყვანეს, თან კედელზედ ჩამოკიდული საქმლით სავსე კალათები წაიღეს. ბაღში აქეთ-იქით დაიფანტნენ და კალათე-ბიდგან საქმლის ამოღება დაიწყეს: პურისა, ყველის ნაჭერისა, კვერცხისა, პატარა ნესვებისა, ცერცვისა, ვარიის ფრთისა.

ერთს წუთს ბაღი ნამცეცებით აივსო, თითქოს

ფრინველთათვის დაუბნევიათ საჭმელიო. ბავშვები თაგვებსავით ხარბადა სჭამდნენ, ზოგი კატასავით ღრღნიდა, ჭლოკავდა, სწუწნიდა. ყველს ხელში სჭყლეტდნენ; წვენი ხელებსა და სახელოებზედ ჩამოსდიოდათ, მაგრამ არ ამჩნევდნენ. ზოგიერთებს პაწია ძაღლებსავით პირში პურის ნაჭერი ან ვაშლი ეჭირათ და ერთმანეთს დასდევდნენ დასაჭერად. იმას, ვისაც არა-ჩვეულებრივი რამე აღმოაჩნდებოდა კალათაში, გარს ეხვეოდნენ და გულ-დადებით სინჯავდნენ. ერთს ბავშვს შაქრის ნაფხვენით სავსე პაწია პარკი ეჭირა და ქალები შემოჰხვეოდნენ. ყველანი მოწიწებითა სთხოვდნენ, პურის ნაჭერი ამოგვაწობინე მაგ შაქარშიო; ზოგს ნებას აძლევდა და ზოგს-კი თითის მეტს არაფერს აკარებინებდა.

ამ დროს დედაჩემიც ბაღში გავიდა და ალერსი დაუწყო ბავშვებს. ბავშვები გარს შემოეხვივნენ, კაბაზედ ეჭიდებოდნენ; ზოგი თავს გადაიგდებდა, თითქოს მესამე სართულს შესცქერისო, და სთხოვდა—მაკოცეო.

ერთი ფორთოხალის ნაჭერს სთავაზობდა, მეორე პურის ნატეხს; ერთმა ბავშვმა ყვავილი მოუტანა; მეორემ მაჩვენებელ თითის წვერი უჩვენა, რომელიც დასწვოდა სანთელთან ცელქობის დროს. ერთი ზღაპარს ამბობდა და თხოულობდა, რომ გინდა თუ არა ყური დამიდგეთო, თუმცა იმის ზღაპრისა არც თავი გაიგებოდა და არც ბოლო; მეორემ სთხოვა, დაიხარე და ყურში ჩამჩურჩულე:

— მამა ცოცხებს აკეთებსო.

აქვე რამდენიმე ამბავი მოხდა. ორი პაწია ბიჭი ვაშლის გამო წაიჩხუბნენ, საშინლად გაჰკიოდნენ და ერთმანეთს ჰფხაჭნიდნენ; მეორეს ცვირსახოცის კვანძი ვერ გაეხსნა და ტიროდა; მესამე მიწაზედ პირ ქვე იწვა, ჰკიოდა და ადგომას-კი არა სცდილობდა. ამათს ყვირილზედ მასწავლებელმა-ქალმა მოირბინა. დედაჩემი სწორედ გატანჯეს: ზოგი ზურგზედ ახტებოდა, ზოგი ხელზედ ეჭიდებოდა, თითებზედ ბეჭდებს უსინჯავდნენ, ზოგი საათის ძეწკვს ეწეოდა და ნაწნავზედ ეკიდებოდა.

— გაფრთხილდით, ტანისამოსი არ წაგიხდინონო, უთხრა დედას ზედამხედველმა-ქალმა.

დედაჩემმა ყურადღება არ მიაქცია, იმათს ალერსსა და კოცნაში იყო. ძლივ-ძლიობით განითავისუფლა თავი იმათის ხვევნისაგან, როდესაც წამოსვლა დააპირა. ბავშვებმა კარებამდე მიაცილეს, ელოდნენ ლობესთან როდის გაივლისო და მოჰყვიროდნენ:

— მშვიდობით, მშვიდობით! ხვალაც მოდი! კიდევ მოდი!

დედა უვნებლად გამოვიდა, მაგრამ კაბა სულ ერთიანად დაეშმუშნათ, თმები არეული და აწეწილი ჰქონდა; ხელში ყვავილები ეჭირა და ცრემლები მორეოდა, მაგრამ მაინც მხიარულად და კარგს გუნებაზედ იყო. კარგა ხანს გვესმოდა ბავშვების ძახილი:

— მშვიდობით! ერთხელ კიდევ მოდი! შორიდგან იმათი ხმა ჩიტის ჭიკჭიკსა ჰგავდა.

ნ-ი. სამშაბათი.

წინანდებურად მშვენიერი დარი სდგას და გიმნასტიკის სწავლება დავიწყეთ ბაღში. გუშინ გარრონე მასწავლებლის უფროსის ოთახში იყო, როცა ნელის დედა მოსულიყო და ეთხოვნა, ჩემი შვილი გიმნასტიკისაგან განათავისუფლეთო.

— არ შეუძლიანო... ამბობდა თურმე.

ნელის ძლიერ ეწყინა, რომ გიმნასტიკაში მონაწილეობა აღარ უნდა მიეღო: ყოველს დამცირებას ესეც ზედ დაემატა.

— ჰნახავ, დედა, ეუბნებოდა ნელი დედას, რომ მე სხვაზედ ნაკლებ არ შევიძლებ გიმნასტიკას.

დედა სიყვარულითა, მაგრამ სიბრალულით უყურებდა შვილს და ყოყმანში იყო.

— მე ამის ამხანაგებისა მეშინიან, სთქვა მან. ეშინოდა, რომ ჩემს შვილს დასცინებენო.

— ჩემთვის სულ ერთიაო, გაიძახოდა ნელი. ესეც არ იყოს, გარრონე სულ ჩემთან არის. ჩემთვის ისიც საკმარისია, თუ მარტო გარრონე არ დამცინებს.

უფროსმა გიმნასტიკის გაკვეთილებზედ სიარულის ნება დართო. გარიბალდის მთავარ-სარდლობის დროს ნამსახურმა მასწავლებელმა ბოძთან მი-

გვიყვანა. გვიბძანა, მაგაზედ ადით და იქიდგან პირ-
დაპირ მწვანეზედ გადმოხტითო. დეროსი და კო-
რეტტი მაიმუნებსავით აცოცდნენ და მკვირცხლად
შეასრულეს ნათქვამი. პრეკოსიც მარდად ავიდა,
თუმცა-კი გრძელი ხალათი უშლიდა. ინდაურსავით
გაჭარხლებული სტარდი გაჯავრებითა და კბილების
კრაჭუნით ავიდა ბოძზედ და ზედ ნაპოლეონსავით
გამოიჭიმა. ვოტინი გიმნასტიკისათვის შეკერილს ტა-
ნისამოსში იყო (ცისფერ ზოლიანი ხალათი ეცვა),
მაგრამ მაინც ვერ ეხერხებოდა: ორჯელ დაიწყო
ასვლა და გადმოხტომა. ხელი რომ არ წაგვცურე-
ბოდა, მურდასანგს ვისომდით ხელის გულზედ. ფხვნი-
ლი მურდასანგი გარრონეს მოჰქონდა ქაღალდებით,
ჰყიდდა და ამითი სარგებლობდა.

გარონეს ჯერი მოვიდა. პურის ღეჭვით ისე
ავიდა, თითქოს აქ არაფერიაო; მგონი მხარზე
ვინმე რომ შეესვა, მაინც შეიძლებდა ასვლას. გარ-
რონეს შემდეგ ნელი აცოცდა. ნელიმ თავისი გრძელი
და გამხდარი ხელი მოავლო თუ არა ბოძს, ზოგი-
ერთებმა სიცილი და სტვენა დაიწყეს. გარრონემ
გულს ხელი დაიკრიფა და მრისხანედ გადაჰხედა. ყვე-
ლამ იგრძნო, რომ სიცილისთვის კეთილი არ და-
გვეყრებაო, და ჩაჩუმდნენ. ნელი აცოცდა; საწყალი
წვალობდა, მთლად გალურჯდა, ოფლმა დაასხა,
ძლივს-ღა სუნთქავდა.

— ჩამოდიო! უთხრა მასწავლებელმა.

ნელი მაინც რაც ძალა ჰქონდა მიცოცავდა.

ყოველ წამს ველოდდი, რომ ჩამოვარდება და უგონოდ დაეცემა-მეთქი. რა ნაირად დაიტანჯებოდა დედაჩემი, მე რომ იმისთანა და ისეთს ყოფაში ვენახე! რას არ მივცემდი, რომ მოეხერხებინა ასვლა... სწორედ მეცოდებოდა! შველა მაინც შეიძლებოდეს-მეთქი... ვფიქრობდი.

— ადიო, უყვიროდნენ გარრონე, დეროსი და კორეტტი: ნუ შეშინდები, ცოტაც გაკლია... აგრე, აგრე!

ნელიმ ღონე მოიკრიფა, აიწია და სათავეში მოექცა.

— ყოჩაღ! შესძახა ყველამ; აბა კიდევა სცადე!

ნელი მაგრად მოეჭიდა ბოძის წვერს და შედგა. ყველამ ტაში დაჰკრა.

— ძალიან კარგიო! უთხრა მასწავლებელმა: ეხლა კმარა, ჩამოდი! ნელიმ არა ჰქნა, სხვებს არ უნდოდა ჩამორჩენოდა, მოაჯირს მოეჭიდა, ჯერ ზედ წამოიჩოქა, მერე წამოდგა, ფეხზედ გამოიქიმა და ღიმილით გადმოგვხედა. ისევ ტაშს დავკარით. ქუჩისკენ გაიხედა და მეც გავაყოლე თვალი. ბალის მოაჯირს იქით იმის დედა წინა და უკან დადიოდა და ჩვენკენ ვერ შემოეხედნა. ნელი ჩამოვიდა. ყველანი ვულოცავდით. ნელი აღელვებული იყო, თვალები უბრწყინავდა და ლოყები გასჭარხლებოდა. ყველანი სახლში წავედით. ქუჩაზედ ნელის დედა დაჰხვდა, აკოცა და ჰკითხა:

— გენაცვალე, როგორ მოგვიდა?

— ძლიერ კარგადაო! ვუპასუხეთ ამხანაგებმა: ისევე ავიდა, როგორც სხვანი. სწორედ ძალიან ლონიერი და მარდი ყოფილა.

უნდა გენახათ საწყალის დედის სიხარული. ჩვენთვის მადლობა უნდოდა ეთქვა და ტირილი დაიწყო. რამდენსამეს საჩქაროდ მეგობრულად ჩამოგვართვა ხელი, მეტადრე გარრონეს, და შვილით აჩქარებული წავიდა შინ. მე უკან გავყურებდი. გაცხარებულს ლაპარაკში იყვნენ და თან ფეხ-ჩქარად მიდიოდნენ მხიარულნი, ბედნიერნი...

11-ი. სამშაბათი.

გუშინ მე და მამაჩემმა საკვირლად ვიმოგზაურეთ. სამის დღის წინად სადილზედ მამაჩემი გაზეთსა კითხულობდა. უცებ შესდგა და გაკვირვებით წამოიძახა:

— მე-კი მეგონა, ოცი წელიწადიც იქნება, რაც გარდაიცვალა-მეთქი! წარმოიდგინეთ: ჩემი პირველ-დაწყებით (ასწავლებლის მასწავლებელი ვინ-ჩენ-ცო კროზეტტი! ეხლა ოთხმოც-და-ოთხის წლისაა... ცოცხალი ყოფილა! აი რა სწერია გაზეთში: სამოცის წლის ღირსეულ სამსახურისათვის სამინისტროს მედალი მიუცია! გესმით, სამოცის წლის სამსახურისათვის? სულ ორი წელიწადია, რაც მასწავლებლობისათვის თავი დაუნებებია! საწყალი კროზეტტი! კონდოვაში სცხოვრობს; რკინის გზით აქედგან ერთის საათის სასიარულოა. კონდოვა ჩვენის ძველის

შებაღე დედაკაცის სამშობლოა. წავიდეთ იმასთან, ენრიკო!

მთელი საღამო მამაჩემი კროზეტტის შესახებ ლაპარაკობდა. ნამასწავლებლარის სახელმა ბევრი რამ გაახსენა მამაჩემს ყმაწვილობის დროისა, ამხანაგები, განსვენებული დედა...

— კროზეტტი, წამოიძახა მამაჩემმა: ორმოცის წლისა იყო, მე რომ იმასთან მიმაბარეს. თითქოს ეხლაც-კი ვხედავდე: წელში ოდნავ მოხრილს, დაბალს, უწვეროს და ქერა თმიანს. მეტად პატიოსანი, სასტიკი, მაგრამ კეთილი კაცი იყო; შვილებსავით ვუყვარდით. თითონ გლეხია, მაგრამ იმეცადინა, ისწავლა და მასწავლებლობას ეღირსა. ცხონებული დედაჩემი იმისი დიდი პატივის-მცემელი იყო, მამაჩემი და ის ხომ მეგობრები იყვნენ. ტურინს შემდეგ კონდოვაში რად წასულა ნეტა? რაღა თქმა უნდა, აღარ ვეხსომები! ორმოც-და-ოთხი წელიწადია მას შემდეგ, ორმოც-და-ოთხი წელიწადი. ენრიკო, ხვალ უეჭველად წავიდეთ.

დილის ცხრა საათზედ სუზის რკინის გზის სადგურზედ ვიყავით. საშინლად მინდოდა, რომ გარრონეც თან წაგვეყვანა, მაგრამ დედა გაუხდა ავად. შშვენიერი დღე იყო; გზის ორსავე მხარეს აყვავილებული ბაღნარები - გადაჭიმულიყო. მინდვრის სურნელოვანებითა ვსტკბებოდით. მამაჩემი ფანჯარაში გადაეყუდა, ხელი მომხვია და მეგობრულად შელაპარაკებოდა.

— განსვენებულ მამაჩემს შემდეგ, კროზეტტი

იყო ერთად-ერთი კაცი, რომელსაც შვილსავით ვუყვარდი ჯ ბევრი სიკეთეც მოუძღვის. იმის მამობრივს რჩევა-დარიგებასა და შეტუქსვას, თუმცა ხშირად ამატირებდა ხოლმე, არას დროს არ დავივიწყებ. ნათლად მახსოვს, კლასში რომ შემოვიდოდა, ჯოხს კუთხეში მიაყუდებდა, პალტოს ჩამოჰკიდებდა; ყოველთვის ერთ გვარი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და გუნება შეუცვლელი იყო. ისე კეთილ სინიდისიერად, ყურადღებითა და ლმობიერად გვეკიდებოდა, თითქოს პირველად არის სასწავლებელშიო. ასე მგონია ეხლაც-კი მესმის-მეთქი იმისი ძახილი: „ბატონი! ჰეი, ბატონი!“ თან თითით კალამს მანიშნებდა ხოლმე. ამ ორმოც-და-ოთხს წელიწადში ძალიან გამოიცვლებოდა.

კონდოვაში მივედით და ჩვენ ძველ კერელ მებაღე დედაკაცთან წავედით. მებაღე-დედაკაცს სარძევე დუქანი აქვს გამართული. დიასახლისი ბავშვებით გარ-შემოხვეული დაგვიხვდა. იმისი ქმარი აგერ სამი წელიწადია საბერძნეთში სამუშაოდ იყო წასული და მალე უნდა დაბრუნებულიყო. იმისი უფროსი ქალიშვილი ტურინის ყრუ მუნჯთა ინსტიტუტში სწავლობდა. მასწავლებელის სახლი იმან გვანიშნა; კროზეტტის იქ თურმე ყველანი იცნობენ.

გზა ფერდობს მისდევდა. მამაჩემი ჩუმად მოდიოდა, დაფიქრებული; ხშირად რაღაცა აგონდებოდა და იღიმებოდა. უცებ შესდგა.

— აგერა ისიც! თუნდა დავიფიცავ, რომ ის არის.

ჩვენს პირდაპირ ბილიკზედ გათეთრებული, ბანიერ-ქუდიანი მოხუცი მოდიოდა ჯოხზედ დაბჯენილი. ხელები უკანკალებდა და ცალს ფეხს ძლივს მოათრევდა.

— ის არის! განიმეორა მამაჩემმა ბ ფეხი ააჩქარა.

დავუახლოვდით თუ არა, შევდექით. მოხუცებულიც შედგა და მამაჩემს დააცქერდა. ცოცხალი თვალები ჰქონდა, მშვენიერი პირი-სახე. მ.მამ ქუდი მოუხადა და ჰკითხა:

— მასწავლებელი ვინჩენცო კროზეტტი თქვენა ბრძანდე'ით?

მოხუცებულმაც მოიხადა ქუდი.

— დიახ, მე გახლავართ,—უპასუხა აკანკალებულის ხმით.

მ მაჩემმა ხელი ჩამოართვა.

— ნება მიბოძეთ თქვენს ნაშეგირდალს ხელი ჩამოგართვათ და თ.ქვენი ამბავი ვიკითხო. თქვენ სანახავად მოვედი ტურინიდგან.

— დიდად, დიდად გმადლობთ! გაკვირვებითა სთ.ქვა მოხუცმა. არ ვიცი... ჩემი შეგირდი როდის იყავით! უკაცრაოდ-კი... თქვენი სახელი?

— ალბერტო ბატონი,—უპასუხა მამამ და სასწავლებელში შესვლის წელიწადიც დაუსახელა.— რასაკვირველია, არ გეხსომებით, მაგრამ მე-კი გიცანით.

მასწავლებელმა დაფიქრებით დაღუნა თავი და ჩუმად იმეორებდა მამიჩემის სახელს. უცებ აიწია თავი მოხუცმა, თვალები მოიწმინდა.

— ალბერტო ბატონი, ხუროთ-მოძღვარ ბატონის შვილი? კონსოლატას მოედანზედ რომ სცხოვრობდა?

— დიახ, სწორედ ისა, უპასუხა მამამ და ხელი გაუწოდა.

— მაშ... მაშ ნება მომეცით.

მოხუცი გადაეხვია მამას. იმისი თეთრი თავი მამას მხრებამდის ძლივს სწვდებოდა.

— ეს სიკეთე მიყავით ჩემს სახლში წამოდით.

მოხუცებული უკან დაბრუნდა, ჩვენც გავყევით. პატარა ორ-კარებიან სახლთან შევდექით. მასწავლებელმა გააღო კარები და ოთახში შეგვიწვია. ოთახის ერთს კუთხეში საწოლი იყო, მეორე კუთხეში ოთხი სკამი და ერთი მაგიდა იდგა. მაგიდაზედ რამდენიმე წიგნი ელაგა. კედელზედ ძველი გეოგრაფიული რუკა იყო გაკრული.

სამივენი დავსხედით. რამდენსამე წამს მამაჩემი და მოხუცი ერთმანეთს ჩუმად შეჰყურებდნენ.

— ბატონი! წამოიძახა მასწავლებელმა და იატაკს დაეცქერდა: კარგად მახსოვს! საუცხოო დედაკაცი იყო დედა თქვენი! პირველ წელიწადს თქვენ ფანჯარასთან მარცხნივ პირველს სკამზედ კარგა ხანს იჯექით. ჰხედავთ, როგორ მახსოვს! თითქოს ეხლაც ვხედავდე! ხუჭუჭა თმიანს (დაფიქრდა),

მკვირცხლს ბავშვს. დიახ, თქვენ მეტად მკვირცხლი ბავშვი იყავით. მეორე წელიწადს წითელა გჭირდათ და სასწავლებელში გამხდარი და ფერ-მკრთალი მოხვედით! ორმოცი წელიწადია მას აქეთ, არა? რა კეთილი ყოფილხართ, რომ ძველი მასწავლებელი მოგგონებიათ! ზოგიერთი სხვა ჩემი ნაშეგირდალებიც მნახავდნენ ხოლმე, მაგრამ ეხლა ზოგი მლვდელია, ზოგი ჯარის უფროსი ⁄ ზოგს სხვა წარჩინებული თანამდებობა უჭირავს. თქვენ რაღა ხელობას ადგეხართ?.. ძლიერ, ძლიერ მიხარიან, რომ გამიხსენეთ და მნახეთ... ბოლოს დამივიწყეს, აღარ მოდიოდნენ ხოლმე ჩემთან... ვშიშობ, ძვირფასო სინიორ, თქვენი მოსვლა უკანასკნელი არ იყოს.

— რასა ბრძანებთ! წამოიძახა მამაჩემმა: ჯერ კიდევ ჯანმრთელი ხართ და რად ამბობთ მაგას!

— არა! უპასუხა მასწავლებელმა. და ხელები უჩვენა: ჰხედავთ, მიცახცახებს. ცუდი ნიშანია. აგერ სამი წელიწადია, რაც ხელები მიკანკალებს. ყურადღება არ მივაქციე, გაივლის-მეთქი, მაგრამ ცახცახმა თანდათან მიმატა და ეხლა წერაც არ შემიძლიან. ამ გარემოებამ დიდად დამაღონა. რამდენიმე ხანი კიდევ ვმეცადინეობდი, მაგრამ საქმე გაჭირდა. მეტი ღონე არ იყო, იძულებული ვიყავ გამოვსთხოვებოდი სამოცის წლის მასწავლებლობას, სასწავლებელს, ბავშვებს, მეცადინეობას. ძნელი იყო. უკანასკნელის გაკვეთილის შემდეგ დიდის ამბით გამომაცილეს სახლამდე, მაგრამ მე რა იმის ფი-

ქრი მქონდა: ჩემი სიცოცხლე დამთავრებული იყო. ერთის წლის წინად ცოლი და ერთად-ერთი ვაჟიშვილი გარდამეცვალა. ორი გლეხი ძმისწული-ღა მყავს. მცირე პენსია მაქვს და უსაქმოდ ვცხოვრობ. ერთად-ერთი ჩემი საქმე ძველის წიგნების, სასწავლებლის დავთრებისა და ბავშვების საჩუქრების ფურცვლა და სინჯვა-ღაა... (მაგიდისკენ მიგვითითა) აგერ ჩემი წარსული, ჩემი წიგნები... ქვეყანაზედ სხვა აღარა დამრჩენია-რა... უცებ მხიარულად წამოიძახა: ერთი რამ უნდა გაჩვენოთ, ბ-ნო ბატონი, რაც ძალიან გასიამოვნებთ.

მასწავლებელი წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და უჯრა გამოსწია. უჯრაში რამდენიმე ზონარით შეკრული ქაღალდი იყო, თითოეულს წლის რიცხვი ეწერა. მასწავლებელმა ერთი შეკრული დასტა ამოიღო, გახსნა და გაყვითლებული ქაღალდის ფურცელი მამაჩემს მიაწოდა. ორმოცის წლის წინად მამიჩემის მიერ დაწერილი თხზულება იყო. თავში ეწერა: ალბერტო ბატონი 3 აპრილს 1837 წ. მამამ თავის სხვილის ასოებით ნაწერი ხელი იცნო, გაიღიმა და უეცრად თვალებში ცრემლი მოერია. მე წამოვხტი და მამასთან მივირბინე. ხელი გადამხვია და მითხრა:

— შეჰხედე! ჰხედავ? ცხონებულის დედიჩემის ნასწორებია. ზოგიერთ ასოებს სხვილად სწერდა; უკანასკნელი სტრიქონები იმის ნაწერია. ჩემი ხელი შეისწავლა და როცა ან ძილი მომერეოდა, ან დავი-

ღალებოდი, ჩემს სამუშაოს დედა ჩემი დააბოლოვებდა ხოლმე. წმინდანი იყო სწორედ!

მამამ ქაღალდს აკოცა.

— აი, ჩემი ნაშთები! განაგრძო მოხუცმა. ყოველ წლივ თითოეულ მოსწავლეს რომელსამე ნაშრომს ვინახავდი. ხანდახან ამოვალაგებ ხოლმე, აქაიქ თითო სტრიქონს წავიკითხავ და წარსულს თვალწინ ვიყენებ, თითქოს უკანვე დაბრუნებულიყოს. დიდი ხანია, დიდი! თვალებს დავხუჭავ და მაშინვე წარმომიდგება თვალ-წინ კლასი, ბავშვები! ვინ იცის, იმათგანი რამდენი გამოეთხოვა კიდეც წუთი-სოფელს. ბევრი კარგად მახსოვს: ყველაზედ უკეთესნი და ყველაზედ ზარმაცნი! პირველნი მახარებდნენ და მეორეთა წყალობით-კი ბევრი მწარე საათი გამიტარებია. ბოროტებიც-კი იყვნენ! მაგრამ იმდენს ბავშვს შორის შეუძლებელია ბოროტებიც არა რეულიყვნენ. ხოლო ეხლა-კი თითქოს იმ ქვეყნადა ვარ, ყველანი ჩემთვის სასიამოვნონი არიან. მასწავლებელი დაჯდა და ხელი მომკიდა.

— ჩემი ცელქობა არა გახსოვთ-რა? ჰკითხა მამამ.

— თქვენი? ღიმილით ჰკითხა მოხუცმა. ძნელია უცებ გახსენება, მაგრამ ამითი ის-კი არ გეგონოთ, ვითომც არ გეცელქნოთ. თქვენს წლოვანებასთან შედარებით ჭკვიანი და დინჯი ბავშვი იყავით. მახსოვს, რომ დედა ძალიან გიყვარდათ. რა კარგი გიქმნიათ, რომ მნახეთ! ნეტა საქმეები როგორ დას-

ტოვეთ, და მერე ისიც რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ საწყალი მოხუცი მასწავლებელი გენახათ!...

— ბატონო კროზეტტი! უპასუხა მამამ. კარგად მახსოვს, პირველად რომ დედამ სასწავლებელში მომიყვანა! პირველად გავშორდი დედას; ორის საათით უცხო სახლში, უცხო ადამიანის ხელში მტოვებდა. ჩემი სასწავლებელში შესვლა დედიჩემისათვის ჩემი ქვეყანაში გარევა იყო! ამ განშორებას ბევრი მწარე დღე მოჰყვა. საზოგადოება დედას შვილს ართმევდა და ისეთსავეს ველარ დაუბრუნებდა, როგორიც მიჰყავდა. დედაც საშინლად იტანჯებოდა, მეც მწუხარედ ვიყავი. თქვენ ჩაგაბარათ ჩემი თავი და წასვლის დროს უკან იხედებოდა. თქვენ მე მიყურებდით, თითქო პასუხს აძლევდით, ჩემი იმედი გქონდეთო. თქვენმა მოძრაობამ და თვალებმა გამაგებინა, რომ დედაჩემის ზრუნვას მიმხვდარიყავით. თითქოს მითხარით, ყოჩაღად იყავიო! თითქოს მფარველობასა, სიყვარულსა და ალერსს შემპირდით... ეს გარემოება საუკუნოდ არის ჩაქდეული ჩემს მეხსიერებაში, ამან მომიყვანა ნახევარ საუკუნის შემდეგ, რომ გითხრათ: გმადლობთ, მასწავლებელო!

მასწავლებელი გაჩუმებული იყო და თავზედ ხელს მისვამდა; ხელები უკანკალებდა. მამაჩემი ცალიერს კედლებს, ღარიბს საწოლს, პურის ნაჭერსა და ფანჯარაში მდგარს ზეთით ავსებულს შუშას ათვალიერებდა, თითქოს ამასა ჰფიქრობს: სულ ეს არის, რასაც ეღირსა სამოცის წლის შრომის მეოხებითაო.

მოხუცებულმა კვლავ გაიხსენა ჩვენი ოჯახი, იმ დროის სხვა მასწავლებლები, მამიჩემის ამხანაგი მოსწავლენი; ზოგი კიდევ ახსოვდა, ზოგი დავიწყებოდა; მამაჩემი და მასწავლებელი ერთმანეთს უამბობდნენ, რაც-კი ახსოვდათ. მამამ მასწავლებელსა სთხოვა, სასტუმროში ერთად ვისაუზმოთო.

— გმადლობთო, უპასუხა მასწავლებელმა, და თითქოს ყოყმანობდა.

მამაჩემმა თხოვნა განუმეორა.

— ამ აცახცახებულის ხელებით როგორ უნდა ვჭამო! ეს ჩემთვის ხომ სასჯელია და თქვენც შეგაწუხებთ.

— ჩვენ დაგეხმარებითო, არწმუნებდა მამაჩემი.

ბოლოს თავის ქნევითა და მხიარულის სიცილით დაგვთანხმდა.

—დღეს მშვენიერი დღეა,—სთქვა როცა კარებს ჰკეტავდა. ძვირფასო ბატონი, მინამ ცოცხალი ვარ, არ დაგივიწყებთ!

მამაჩემმა ხელი მოჰკიდა მოხუცს და თავ-ქვე წამოკედით. გზაზედ ორი ფეხშიშველა ქალი ძროხებს მიელალებოდა და ბიჟი ნამჯის კონას მიათრევდა. მასწავლებელმა გვითხრა, რომ სამივენი მეორე კლასის მოსწავლენი არიანო. დღისით ფეხშიშველა საქონელს უვლიან, მინდვრად მუშაობენ და საღამოზედ ფეხთ-ჩაცმულები სასწავლებელში დადიანო. შუადღე იყო, გზაზედ აღარავინ შეგვხვედრია. სასტუმროში შესვლისათანავე მაგიდას მოვუსხედით; ისეთი სი-

ჩუმე იყო, თითქოს მონასტერიაო. მასწავლებელი ჩვენ შუა იჯდა და ძლიერ მხიარულად იყო, თუმცა აღელვებისაგან ხელები უფრო ძლიერ უცახცახებდა და ჰამას თითქმის ვერ ახერხებდა. მამა პურსა დახორცს უპრიდა, უმარილებდა. მოხუცი ჭიქას ორის ხელით იღებდა და მაინც ძლივს იმაგრებდა. გაცხარებული ლაპარაკობდა ლიტერატურისა, თავის ახალგაზდობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. მოხუცი მხიარული იყო, ნათელი, მოღიმარე, ცოტა სიწითლეც წამოერია. მამაჩემი გვერდზედ მიბრუნებული ისე ლმობიერად შესცქეროდა, როგორც ხანდახან მე შემომცქერის ხოლმე, და თავისთვის იღიმებოდა. მასწავლებელმა ტანისამოსზედ ღვინო გადაისხა; მამამ გაუწმინდა ტანისამოსი.

— ნუ სწუხდებით! არა, არა, ნებას არ მოგცემთ...

შემდეგ საუბარი ლათინურად დაიწყეს. საუზმის ბოლოს მასწავლებელმა ჭიქა ასწია:

— თქვენი სადღეგრძელო იყოსო, სთქვა მანგიცოცხლოთ სახლობა, შეიწყალოს დედათქვენი.

— თქვენც გაცოცხლოთ, ძვირფასო მასწავლებელო! უპასუხა მამამ და მაგრად ჩამოართვა ხელი.

ოთახის მეორე კუთხეში სასტუმროს პატრონი და რამდენიმე გარეშენი სიამოვნებით უცქეროდნენ თვიანთ მასწავლებლის დღესასწაულს. წასვლის დროც მოახლოვდა. მასწავლებელმა ჩვენი გაცილება მოისურვა რკინის გზის სადგურამდის. მამამ ხელი და-

უპირა, მე-კი იმისი ჯოხი მომქონდა და გზას გავუ-
დექით. ვინც-კი შემოგვხდებოდნენ ხოლმე, დაგვიწ-
ყებდნენ ცქერას, მასწავლებელს თავს უკრავდნენ,
ყველა იცნობდა. ერთის სახლის სარკმლიდგან
ბევრის ბავშვების ხმა მოგვესმა; ყველანი ერთად კი-
თხულობდნენ მარცვალ-მარცვალ. მოხუცი შესდგა.

— აი რა მაღონებს! სთქვა მწუხარედ. სასწავ-
ლებელში ბავშვების ხმა! იქ სხვა არის და მე-კი არა...
სამოცი წელიწადი ვისმენდი ამ მუსიკას... შევეჩვიე
და ეხლა არც ოჯახი მყავს და არც ბავშვები!..

— არა, მასწავლებელო, თქვენ ბევრი შვილე-
ბი გყავთ! ქვეყნად გაფანტულნი არიან, მაგრამ კი-
დევ ახსოვხართ, უპასუხა მამაჩემმა.

— არა, არა, მწუხარებითვე განაგრძო მოხუც-
მა: სასწავლებელს განვშორდი და არც შვილები მყვა-
ნან. უიმათოდ-კი, უსაქმოდ დიდხანს ვერ ვიცოცხ-
ლებ! ჩემი საათიც ჩქარა დაჭკრავს.

— ნუ ამბობთ მაგას და ნურც ფიქრად გაიტა-
რებთ! განა ცოტა სიკეთე დასთესეთ, განა სიცოც-
ხლე პატიოსანს საქმეს არ შესწირეთ?..

მასწავლებელმა მადლობის ნიშნად ხელი ჩამო-
ართვა მამას. სადგურის ბაქანთან მივედით, მატარე-
ბელი წასასვლელად მზად იყო. მამაჩემი გადაეხვია
მოხუცს:

— მშვიდობით, მასწავლებელო!

— მშვიდობით, გმადლობთ, მშვიდობით! უპა-
სუხა მოხუცმა და მე გადამკოცნა.

მამამ ვაგონში ჩამსვა. სწრაფად მასწავლებელს უბრალო ჯოხი გამოართვა, თავის ვერცხლის თავიანი და თავისის წარწერით შემკული ჯოხი ჩაუდო ხელში.

— ჩემს სახსოვრად გქონდეთო, უთხრა.

მოხუცი არ ართმევდა, მაგრამ მამაჩემი ვაგონში შემოვიდა და კარი მოიხურა.

— მშვიდობით, ჩემო კეთილო მასწავლებელო!

— მშვიდობით! გვიპასუხა მოხუცმა.

მატარებელი დაიძრა.

— ღმერთმა გაკურთხოთ, რომ საწყალი მოხუცი ანუგეშეთ!

— ნახვამდის! წამოიძახა აღელვებულმა მამამ.

მასწავლებელმა თავი გაიქნია.

— ჰო, ჰო, ნახვამდის,—განუმეორა მამამ.

მასწავლებელმა აკანკალებული ხელი ცისაკენ აღმართა.

— იქ!...

და ველარ დავინახეთ, თვალთაგან მიგვეფარა.

20-ი. ხუთშაბათი.

განა წარმოვიდგენდი, როცა კონდოვიდგან გახარებული ვბრუნდებოდი, რომ მთელი ათი დღე ვერც ცას და ვერც დედამიწას ვერ დავინახავდი. ძალიან გავხდი ავად; მესმოდა დედიჩემის ტირილი, სილვიას ჩურჩული უმცროს ძმასთან; ვხედავდი მამიჩემის გაფითრებულს სახეს და სათვალებიანს ექიმს;

ექიმი ჩემს ახლო ტრიალებდა და რაღასაც ამბობ-
და; არაფერი მესმოდა, სიკვდილის პირად ვიყავ. სა-
ბრალო დედაჩემი!.. რამდენსამე დღეს გამოურკვე-
ველს ბურანში ვიყავ. მგონი პირველის კლასის მას-
წავლებელი-ქალი დავინახე. სცდილობდა ჩუმად და-
ეხვეველებინა, რომ არ შეეწუხებინე. მახსოვს, ჩემი
მასწავლებელიც მოვიდა, მაკოცა და ამ დროს მის-
მა წვერმა დამჩხვლიტა. ბურანში დავინახე კრო-
სის ქერა თავი, დეროსის ბრწყინვალე ხუჭუჭა თმა,
კალაბრიელი შავებში და გარონე, რომელმაც ტო-
ტიანი ფორთოხალი მომიტანა და მალე წავიდა: იმი-
სი დედაც ძლიერ ავად არის. თითქოს დიდის ხნის ძი-
ლიდგან გამოვერკვიე და ცოტა არ იყოს უკეთობა
ვიგრძნე; დედაჩემი და მამაჩემი ღიმილით დამცქე-
როდნენ და სილვია რაღაცას ღიღინებდა! რა მძი-
მე, სულის-შემხუთველს ძილში ვიყავ?.. ჩქარა მოვ-
ლონიერდი. ჩვენი „კალატოზიც“ მოვიდა ჩემს სანა-
ხავად. შემოვიდა თუ არა, თავისებურად დაილმიჭა და
გამაცინა. ავადმყოფობის შემდეგ სახე დაჰგრძელებია,
მანჭვა უფრო ეხერხება. კორეტიმა და გაროფემაც
მნახეს. გაროფემ ლატარიის ორი ბილეთი მაჩუქა.
კალმის დანა და ხუთი ნივთი, ძველ-ძულების ვა-
ჭართან ნაყიდი, ჩაეგდო ლატარიაში. გუშინ მეძინა.
პრეკოსი მოსულიყო, თავისი ლოყა ჩემს ხელზედაც-
კი დაედო, მაგრამ მე არ გამიგია. პრეკოსი პირდა-
პირ მამის სამუშაოდგან მოსულიყო და რომ გამო-
მეღვიძა, ხელსა და სახელოზედ მური მეტხო ბ მესი-

ამოვნა. ამ რამდენსამე დღეს არე-მარე რა ნაირად ამწვანებულა! მამაჩემი ფანჯარასთან რომ მიმიყვანს ხელით, რა შური ამიტანს ხოლმე, იღლიაში წიგნებ-ამოჩრილს სასწავლებლისაკენ მიმავალს ბავშვებს რომ ვხედავ! მეც მალე წავალ სასწავლებელში. ველი და ველარ მომითმენია! რა მოუთმენლად მოველი სასწავლებლების ამხანაგების, ქუჩა ბაღის ნახვას! გავიგებ რაც მომხდარა იქ უჩემოდ, როდესაც სწავლას ისევე დავიწყებ. თითქო წელიწადზედ მეტია, რაც წიგნები და რვეულები აღარ მინახავს! საწყალი დედაჩემი, რა ნაირად გამხდარა და გაყვითლებულა! საბრალო მამაც რაღაც მოღლილ-მოქანცულსა ჰგავს! რა კარგი ამხანაგები მყავს... ყველამა მნახა, თითის წვერებზედ დადიოდნენ, მკოცნიდნენ! მწუხარედ გამივლის ხოლმე ის ფიქრი, რომ მოვა დრო, როდესაც იმათ უნდა გავშორდე-მეთქი. დეროსისა და ზოგიერთებთან კიდევ შეიძლება ერთად სწავლა განვაგრძო, მაგრამ სხვანი, დანარჩენნი?.. მეოთხე კლასს გავათავებთ და ერთმანეთს გამოვეთხოვებით! ავად რომ გავხდე, ჩემ საწოლთან ველარა ვნახავ იმათ! ვერასოდეს ველარა ვნახავ ჩემ კეთილ, კარგ და ნამდვილ ამხანაგებს, გარონეს, პრეკოსის ⁊ კორეტის!..

წ ე რ ი ლ ი

20-ი. ხუთშაბათი.

რატომ ვეღარა ნახავ შენს ამხანაგებს! ენრიკო, ეგ შენზეა დამოკიდებული. მეოთხე კლასს რომ გაათავებ, გიმნაზიაში შეხვალ, შენი ამხანაგები-კი მუშაობას დაიწყებენ. იქნება ერთსა და იმავე ქალაქში დიდხანს მოგიხდეთ ცხოვრება და მერე რატომ არ უნდა ნახოთ ერთმანეთი! უმაღლესს სასწავლებელში რომ იქნები, როგორ გესიამოვნება, როდესაც იმათ სახელოსნოში მიხვალ და მუშაობის დროსა ჰნახავს შენს ბავშვობის ამხანაგებს! იმასაცა ვნახავ, როგორ არ წახვალ პრეკოსისთანა და კორეტისთან, რა ხელობისანიც უნდა იყვნენ! ბევრ საათს სიამოვნებითა და სასარგებლოდ გაატარებ იმათთან! ჰო, ენრიკო, სწორედ რომ სასარგებლოდ! ცხოვრებასა და ამ ქვეყანას რომ გაიცნობ, დარწმუნდები, რომ ეს ამხანაგები იმას გასწავლიან, რასაც სხვა ვერავინ გასწავლის. ისინი გაგაგებინებენ, რა არის სამშობლო მხარე, ხალხისა და ცხოვრების ავკარგიანობა და იმათი ხელობა. ენრიკო, არ დაგავიწყდეს, რომ თუ ამ ამხანაგებს არ გაუფრთხილდი და დაივიწყე, ძნელია ასეთივე სხვა მეგობრები იშოვნო. მე ვამბობ იმ წრის მეგობრების შესახებ, რომელსაც შენ არ ეკუთვნი. ესეც იცოდე, რომ ის კაცი, რომელიც საზოგადოების ერთს რომელსამე

წრეში სცხოვრობს, იმასა ჰგავს, ვინც ერთსა და იმავე წიგნს კითხულობს! შეავადროთ: საზოგადოების მაღალის წრის ხალხი, ვთქვათ, აფიცრები არიან და მუშანი-კი — ჯარის-კაცნი. მაგრამ საზოგადოებაში, როგორც ჯარშიაც, ჯარის-კაცი აფიცერთან შედარებით ნაკლებად კეთილშობილი არ არის! კეთილშობილება შრომით გამოიხატება და არა შემოსავალით, ქველობითა და არა ღირსებითა და წარჩინებულობით! თუ ღირსებით წარჩინება თავ-მოსაწონებელია, ისევ უბრალო ჯარის-კაცთა შორის, რადგან იგი თავისის შრომისათვის უფრო მცირე სასყიდელს იღებს. მაშასადამე, შენ ამხანაგთა შორის მომეტებულად უფრო ჯარის-კაცებისა და მუშების შვილები გიყვარდეს და პატივსა სცემდე, მარტო იმიტომაც-კი, რომ იმათი მშობლები თავ-განწირულნი არიან. ძულებით უყურებდე საზოგადოების წოდებრივადა და ქონებრივად დანაწილებას, რადგან მარტო სულ-მდაბალნი სწყავენ ამ საწყაოთი თავისს გრძნობასა და თავისს ზრდილობასაც-კი. მარად გახსოვდეს, რომ ჩვენი სამშობლო განათავისუფლა მუშათა კეთილშობილმა და კურთხეულმა სისხლმა. გიყვარდეს გარონე, პრეკოსი, კორეტი, გიყვარდეს თქვენი პატარა „კლატოზი“, გიყვარდეს და ფიცი დასდე, რომ ვერავითარი ცხოვრების ცვალებადობა ვერ აღმოფხვრის შენის გულიდგან ამ წმიდა მეგობრობას. დაიფიცე, რომ თუ რამდენისამე წლის შემდეგ სადმე რკინის გზაზედ შავად გამურული მემაშინე ჰნახო და შენი ძველი მე-

გობარი „გარონე აღმოჩნდეს... მაგრამ, არა, ფიცი საჭირო არ არის... რაც და ვინც უნდა იყო, დარწმუნებული ვარ, ჩემო ენრიკო, რომ გულწრფელად გადაეხვევი და გადაჰკოცნი.

შენი მამა.

28-ა. პარასკევი.

დავიწყე თუ არა სასწავლებელში სიარული, ძალიან სამწუხარო ამბავი შევიტყე. რამდენიმე დღეა თურმე, რაც გარონე არ მისულა სასწავლებელში. დედა ავადა ჰყავდა თურმე და შაბათ საღამოს გარდაეცვალა. გუშინ დილით მასწავლებელმა გვითხრა:

— გარონეს ისეთი უბედურება ეწვია, რომლის უარესი შეუძლებელი-ღაა! დედა გარდაეცვალა. ხვალ მოვა კლასში. ბავშვებო, გთხოვთ იმის მწუხარებას პატივის-ცემით მოეპყრათ! როდესაც მოვიდეს, მეგობრულად მიესალმენით, მაგრამ თავი-კი შეიმაგრეთ, სიცილი და ხუმრობა არ დაიწყოთ.

გარონე დღეს სხვებზედ ცოტა გვიან მოვიდა. გულში ეკალსავით მეცა, როცა დავინახე. ველარ იცნობდა ადამიანი, გაფითრებული იყო, მოქანცული, თვალები ჩასწითლებოდა, თითქო ავად ყოფილა და ეს არის ეხლა ამდგარაო, — თავიდგან ფეხებ მდე შავები ეცვა. ყველანი ხმა ამოუღებლად ვუცქეროდით. გარონემ დახედა კლასს... დედა ყოველ დღე ჰნახავდა ხოლმე! თავის ადგილს... განსვენებული დაიხრებოდა ხოლმე შვილისაკენ და ჩუმად არიგებდა.

ის-კი მოუთმენელად ელოდდა ხოლმე გაკვეთილის დაბოლოვებას და იმის მისაგებებლად გარბოდა... გარონემ სასოწარკვეთილი ქვითინი ამოუშო. მასწავლებელმა ხელი დაუჭირა, წინ დაიყენა და უთხრა:

— იტირე, იტირე, საწყალო ბავშვო, მაგრამ სულით-კი არ დაეცე. დედაშენი აქ აღარ არის, მაგრამ იგი გხედავს შენ, უყვარხარ და შენთან სცხოვრობს. მოვა საათი და ერთმანეთსა ნახავთ, შენც ისეთივე კეთილი და პატიოსანი სული გაქვს, როგორიც იმას.

მასწავლებელმა გარონე ჩემს გვერდით დასვა. მე ვერა ვბედავდი მისთვის შემეხედნა. იმან თავისი დიდის ხნის გაუხსნელი რვეულები ამოიღო, წიგნი გადაშალა, უნდოდა წაეკითხა,—შეხვდა სურათი: დედას ბავშვი მიჰყავდა ხელ-დაჭერილი... გარონეს კვლავ ცრემლები წამოსცვივდა, ნიდაყვზედ დაეყრდნო ტ თავი მკლავებში ჩაჰმალა. მასწავლებელმა გვანიშნა, არ შეაწუხოთო, და გაკვეთილი დაიწყო.

მინდოდა მეთქვა რამე გარონესათვის, მაგრამ არ-კი ვიცოდი, რა მეთქვა. ბოლოს ხელზედ შევეხე და წავჩურჩულე: „გარონე, ნუ სტირი!“ იმან თავ-აუწევლად ჩუმად ხელზედ ხელი მომიჭირა და დიდხანს აღარ გამიშო. გაკვეთილი გათავდა. გარონეს არავინ გამოელაპარაკა. ყველამ ჩუმად, პატივისცემით ჩაუარეს გვერდზედ. დედა ჩემი მელოდდა. გავიქეცი, მინდოდა მოვხვეოდი, მაგრამ იმან გარონესა-

კენ მიიხედა და უკან დაიწია! იმ წამს ვერ მოვიფიქრე, დედაჩემი რად მოიქცა-მეთქი ასე. შორიახლო განმარტოებით დაღონებული გარონე შევნიშნე. საბრალო გარონე გამოუთქმელის მწუხარებით გვიცქეროდა, თითქოს იმისი თქმა უნდოდა: „შენ დედაშენსა ჰკოცნი და მე-კი დედიჩემის კოცნას ვეღარასოდეს ვერ ველირსებიო! შენ დედა გყავს, დედაჩემი—გარდაიცვალაო!“ ეხლა-კი მივხვდი დედიჩემის საქციელს, რადაც დაიწია უკან და წასვლისას რატომ არ ჩამავლო ხელი.

29-ა. შაბათი.

დღეს დილითაც გარონე გაფითრებული და ნამტირლევი მოვიდა და ცალის თვალითაც ძლივს შეჰხედა იმ საჩუქრებს, რომელიც მაგიდაზედ დავუწყეთ, რომ გვესიამოვნებინა. მასწავლებელმა თან წიგნი მოიტანა და უნდოდა გარონესათვის რაღაც წაეკითხა, მაგრამ მანამდე-კი გამოგვიცხადა, რომ ხვალ დილით ქალაქის საბჭოში უნდა წავიდეთო; იმ ბავშვს, რომელმაც დარჩობისაგან ყმაწვილი გადაარჩინა, ჯილდო უნდა მისცენ—მედალიო. მასწავლებელმა დაუმატა, რომ ორშაბათს ამ დღესასწაულის ამბავს გიკარნანახებთ თვიურ მოთხრობის ნაცვლადაო. შემდეგ მიუბრუნდა გარონეს, რომელიც თავ-ჩაღუნული იჯდა.

— გარონე, აბა ძალ-ღონე მოიკრიბე და რაცა ვსთქვა, შენც დასწერე.

კალმები ავიღეთ ხელში და მასწავლებელმა დაიწყო:

„1805 წ. გენუეში დაიბადა ჯუზეპპე მაცცინი ⁄ გარდაიცვალა პიზას 1872 წ. მაცცინი იტალიაში მოსალოდნელ ცვლილებათა პირველი მთხრობელი იყო, დიდი მამულიშვილი და დიდად ნიჭიერი მწერალი, მტკიცე და შეურყეველის აზრისა. სამშობლოს სიყვარულისა გამო ორმოცი წელიწადი ღარიბად სცხოვრობდა, თავისის ქვეყნიდგან განდევნილი. ჯუზეპპე მაცცინი თავისს დედას აღმერთებდა და ეთაყვანებოდა. რაც-კი სიკეთე და პატიოსნება მოეპოვებოდა, ყოველივე დედისაგან ჰქონდა ჩანერგილი. ერთს თავისს ერთგულს მეგობარს, რომელსაც დიდი უბედურება ეწია, აი რასა სწერდა იგი:

— მეგობარო! საშინელი ჭეშმარიტება თუ გინდა, ეს არის: ამ ქვეყნად დედაშენს ველარასოდეს ველარა ნახავ. არ მოვდივარ შენთან, რადგან შენი მწუხარება წმიდაა, საიდუმლოება უფლისა; მაგისთანა მწუხარება კაცმა ბოლომდის უნდა აიტანოს და თითონვე დაამარცხოს. გესმის, რასაც ვამბობ? დაამარცხოს-მეთქი მწუხარება... ე. ი. დაამარცხოს ის, რაც მის გულში უფრო ნაკლებ წმიდაა და სპეტაკი, ის, რაც-კი არ აამაღლებს ადამიანს სულიერად, არამედ ასუსტებს და ამცირებს. ყოველს მწუხარებას ორი თვისება აქვს: ის, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და სულიერად განამტკიცებს, სამუდამოდ, საუკუნოდ უნდა დარჩეს. დედის მაგიერობას ამ ქვეყ-

ნად ვერაფერი გასწევს. დედას ვერც მწუხარებასა და ვერც მხიარულებაში ვერ დაივიწყებ, თუ ბედმა კიდევ გარგუნა ეს მწუხარება-მხიარულება. მაგრამ ისეკი გიყვარდეს, ისე გახსოვდეს და ისე იგლოვე, რომ ეს იმის სახელსა და ღირსებას შეეფერებოდეს. მომისმინე, ჩემო მეგობარო! სიკვდილი არ არის... სიკვდილი არაფერია. მისი გაგებაც-კი შეუძლებელია. სიცოცხლე-კი არის, სიცოცხლეს თავისი კანონი, თავისი წარმატების, წინ-სვლის გზა აქვს. გუშინ ამ ქვეყნად დედა გყავდა, დღეს იქ, ცად—ანგელოზი გყავს. ყოველივე მშვენიერება იზრდება ძლიერებასა შინა თვისსა და მიწიერს ცხოვრებას ატარებს. ასევე ემართება დედიშენის სიყვარულს. ეხლა უფრო ძლიერ უყვარხარ, ვიდრე ჰყვარებიხარ როდისმე, და შენც, წინანდელზედ ეხლა უფრო, ყოველის შენის საქმის პასუხის-მგებელი ხარ იმის წინაშე. შენგანა და შენთა საქმეთაგან დამოკიდებულია ის, თუ როგორ ჰნახავთ ერთმანეთს მერმისში, რა პირით შეჰხვდებით. წადი წინ, განვითარდი დედის სიყვარულისა და პატივისცემის გამო. ყოველს საქციელზედ ჰკითხე ხოლმე შენს თავს: მომიწონებდა დედაჩემი ასეთს საქციელსაო? დედის სიკვდილმა მფარველი ანგელოზი გაგიჩინა, რომელსაც ყველაფრის ანგარიში უნდა აძლიო. მძლავრი იყავი და ამასთან მშვიდიც, სძლიე სასოწარკვეთილება და უღირსი, ადამიანის დამამცირებელი მწუხარება. შეუშფოთებლად იყავი, ისე შეუშფოთებლად, როგორც დიდებულნი კაცნი არიან

დიდის მწუხარების დროს. მეგობარო, აი დედიშენის სურვილი!*...

— გარონე, დაუმატა მასწავლებელმა იყავ მშვიდი და მტკიცე, აი ეს არის დედიშენის სურვილი.

გარონემ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია... რვეულზედ ცრემლი ღაპა-ღუპით სდიოდა.

პატიოსანი მამაცობა.

(ყოველ თვიური მოთხრობა)

ზარის პირველ ჩამოკვრისათანავე მასწავლებლითურთ ქალაქის საბჭოს სახლთან ვიყავით. სახლის მოედნის წინ სამ-ფერი ბაირაღი ფრიალებდა. შეეედით ეზოში; ეზო ხალხით იყო სავსე. ეზოს ბოლოს წითელ მაუდ-გადაფარებული მაგიდა იდგა, რიმლის გარშემო ქალაქის მოურავისა ⁄ საბჭოს წევრთათვის ოქროს ვარაყიანი სკამები ჩაემწკრივებინათ. იქავე იდგნენ ცისფერ ტანსაცმელით ქალაქის ბოქაულები. ეზოს მარჯვენა მხარეზედ სჯერო გვარდიის ჯარის-კაცები და სასაზღვრო დარაჯი გამოსულიყვნენ (ამ უკანასკნელთ ბევრი მედალები ჰქონდათ გაკეთებული), მარცხნივ სადღესასწაულოდ მოართულნი ცეცხლის მქრობ რაზმის ჯარის-კაცნი და სხვა სამხედრო წოდებისანი იდგნენ. მაყურებელთა შორის კეთილშობილი, აფიცრობა, გლეხობა, დედაკაცო-

ბა აუარებელი იყო. ხალხი თანდათან ჰმატულობ-
და.

ჩვენ ეზოს კუთხეში დავდექით; ჩვენთანვე და-
დგნენ სხვა სკოლის მოსწავლეებიც მასწავლებლები-
თურთ. ჩვენს მახლობლად დიდი და პატარა ერთ-
მანეთში შერეული ბავშვები მოგროვილიყვნენ და-
ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. ეტყობოდათ, რომ
ბორგო-პოს უბნელები იყვნენ—ამხანაგები და ნაც-
ნობები იმ ბავშვისა, რომელსაც მედალი უნდა მიე-
ღო. ზემო სართულის ფანჯრებიდგან ქალაქის გამ-
გეობის მოსამსახურეები იყურებოდნენ. აივანზედ გა-
რეშე მაყურებლები და ქალაქის სასწავლებლის მო-
სწავლე ქალები იდგნენ... ეზო თეატრს წააგავდა; ამ
მსგავსებას მუსიკის ხოროც აგვირგვინებდა. მზე მაღალს
კედლებს მოსდგომოდა. ყველანი მხიარულად ჭლაპა-
რაკობდნენ ტ წითელს მაგიდას ჩქარ-ჩქარა მიჰხედავ-
დნენ ხოლმე. უცებ ყოველ მხრით ტაშის ხმა გაისმა.
რამდენადაც-კი შემეძლო, ფეხის ჩლიქებზედ შევდექი,
რომ უკეთ დამენახა. მაგიდას ახლო ხალხი გაიყო
და კაცი და დედაკაცი გამოვიდნენ. კაცს ხელ-და-
ჭერით მოჰყავდა ბავშვი, სწორედ ის ყმაწვილი,
რომელმაც ამხანაგი გადაარჩინა. ეს კაცი იმისი მა-
მა იყო, სადღესასწაულოდ მოართული კალატოზი;
დედაკაცი-კი დედა იყო, დაბალ-დაბალი, ქერა ქა-
ლი, შავ-კაბიანი. პაწია ბავშვიც ქერა იყო და ნაც-
რის ფერი ხალათი ეცვა. დაინახეს თუ არა ამოდე-
ნა ხალხი და გაიგონეს თუ არა საერთო ტაშის

ხმა, სამივენი შეკრთნენ; ვერც ფეხის გადადგმა �ebednat წინ წასასვლელად და ვერც წინ გახედვა. საბჭოს წევრმა მაგიდას მარჯვენა მხარეს მიიწვია სამივენი: მაყურებლები ერთს წამს დაჩუმდნენ, მაგრამ ერთის წუთის შემდეგ უფრო ძლიერი ტაშის ხმა გაისმა. ბავშვი შესცქეროდა ფანჯრებს, აივნებს, ქუდს ხელში ატრიალებდა და არ ესმოდა სად იყო. მე იგი კორრეტის მივამსგავსე, თუმც უფრო მოწითური სახე-კი ჰქონდა. დედ-მამა მაგიდას მიაჩერდნენ. ჩვენს მახლობლად ბორგო-პოს გლეხის ბიჭები თავისს ამხანაგს ხელებით ანიშნებდნენ, მოგვხედეო, და ჩუმად ეძახოდნენ: პინ! პინ! პინო! ბავშვმა გაიგონა ხმა, მოიხედა და პირზედ ქუდი მიიფარა. შემდეგ გამოჩნდა ქალაქის მოურავი, თეთრებში იყო მორთული ⁄ მხარზედ სამ-ფერი ლენტი ჰქონდა გადაგდებული. მოურავს თან საბჭოს წევრნი ⁄ სხვანი მრავალნი გამოჰყვნენ. თითონ მაგიდასთან დადგა ⁄ სხვანი აქეთ-იქით მოუდგნენ. მუსიკა გაჩუმდა. მოურავმა ანიშნა, მაყურებელნი გაჩუმდნენ ⁄ მან-კი ლაპარაკი დაიწყო. პირველი სიტყვები ვერ გავიგონე, მაგრამ მივხვდი-კი, რომ ბავშვის ღვაწლის შესახებ ჭლაპარაკობდა. მალე ხმას აუმაღლა, მთელს ეზოში გარკვევით ისმოდა იმისი ლაპარაკი და ერთი სიტყვაც ალარ გამომპარვია...

— „ნაპირიდგან შენიშნა თუ არა, რომ ამხანაგი სიკვდილის შიშით სასოწარკვეთილი წყლის ტალ-

ღებს ებრძოდა, გაიძრო ტანისამოსი და, ერთს წუთსაც არ შეუყოყმანებულა, თავი გადასდო. ამაოდ უყვიროდნენ: „დაირჩვეებიო!", არავის უგდებდა ყურს; იქერდნენ, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა; ხალხმა კვლავ დაუწყო ძახილი, მაგრამ იგი უკვე წყალში იყო. ადიდებული წყალი ვაჟკაცისათვისაც-კი საშიში იყო. ბავშვი არც-კი დაფიქრებულა, თავისის პატარა ჯან-ღონითა ჲ ძლიერის გულით ამხანაგის საშველად წყლის ტალღებს შეებრძოლა. დროზედ წამოეწია და ხელი წაავლო უბედურს, რომელსაც წყალი უკვე სძირავდა. ამოსწია ზემოდ და დაუწყო წყალს გაშმაგებული, სასოწარკვეთილებით სავსე ბრძოლა, რაც-კი ჯანი და ღონე ჰქონდა; ტალღა ორივეს შთანთქმას უქადიდა—იმასაცა და იმისს ამხანაგსაც, რომელიც უშლიდა ხელის თავისუფლად გაქნევას. ბევრჯელ ჩაიმალა წყალში და კვლავ თავი ამოჰყო თავისის წმიდა სურვილის მტკიცედ აღმასრულებელმა. იგი ბავშვი-კი აღარ იყო, ვაჟკაცი იყო, რომელიც სიკვდილის ხელიდგან იხსნიდა შვილს—თავისს იმედს, თავისს სიცოცხლეს... ღმერთმა არ ინება, რომ ამაოდ ჩაევლო ამ ღვაწლს, ამ თავ-განწირვას! მცურავმა-ბავშვმა გოლიათს მდინარეს მსხვერპლი გამოჰგლიჯა და დედამიწას ადამიანი დაუბრუნა... შემდეგ სხვებთან ერთად ამხანაგი გამოაბრუნა; არხეინად დაბრუნდა სახლში და გულ-უბრალოდ უამბო მშობლებს, რაც ჩაიდინა. ბატონებო! დიდის ადამიანის მამაცობა მშვენიერია,

პატივისცემის ღირსი, მაგრამ ბავშვს არც პატივ-მოყვარეობა მოეპოვება და არც ანგარიში. ბავშვს ღონე უფრო ნაკლები აქვს ჯ ამიტომ თავ-განწირვა მეტი უნდა ჰქონდეს, რომ ამისთანა სამაგალითო საქმე ჩაიდინოს. იმას არა მოეთხოვება-რა ჯ არც მოვალეა რისსამე ქმნას. ჩვენის აზრით, ბავშვი მაშინაც-კი კეთილია ჯ სულგრძელი, როდესაც მარტო მიხვედრილია თავ-განწირულების მნიშვნელობას და ჯერ საქმეში არ გამოუყენებია ეს მიხვედრილობა... ბავშვის მხრით ვაჟკაცურად თავ-გამოდება ღვთაებრივია... ამ სიტ-ყვას აღარას დავსძენ, ბატონებო. ამ სადა, საია დი-დებას მრავალ-სიტყვაობით შემკობა და გამშვენება არა სჭირია. იგი თქვენს წინაშე სდგას, გამბედავი, დიდსულოვანი მხსნელი... ჯარის-კაცნო, ისე მიე-სალმენით, როგორც თქვენს ძმას! დედანო, აკურთ-ხეთ ვითარცა თქვენი შვილი! ბავშვებო, კარგად და-იხსომეთ ამისი სახელი ჯ სახე, რომ არას დროს არ დაგავიწყდეთ და ყოველთვის გულში გქონდეთ ეს ამბავი! პატარა ბიჭო, აქ მომიახლოვდი! იტალიის მეფის სახელით, მოქალაქობრივის ვაჟკაცობისათვის ეს მედალი გეძლევა“.

ხალხმა იგრიალა და ერთობილი „ვაშა“-ს ხმა გაისმა; საბჭოს შენობის კედლები ირყეოდა. მოუ-რავმა მაგიდიდგან მედალი აიღო და ბავშვს გულზედ დაჰკიდა. შემდეგ მოეხვია და აკოცა. ბავშვის დე-და ცრემლებს იწმენდდა, მამა-კი თავ-ჩაღუნული იდ-გა და მაღლა ახედვა ვერ გაებედნა.

მოურავმა ხელი ჩამოართვა ორივეს, დედას ყაითნით შეკრული მედალის მოწმობა გადასცა და კვლავ ბავშვს მიუბრუნდა:

— ამ შენთვის დიდებულისა ⸗ შენის მშობლებისათვის ბედნიერის დღის ხსოვნამამც განგამტკიცოს შენის ცხოვრების მერმისში ქველმოქმედ და პატიოსან გზის განსავლელად. მშვიდობით.

მოურავი წავიდა. მუსიკამ კვლავ გაიხმაურა. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი გათავდაო, მაგრამ ცეცხლის მჭრობთა რაზმი გაირღვა; გამოჩნდა ესე რვა წლის ბავშვი; იგი ვიღაც დედაკაცმა წამოაყენა წინ და თითონ-კი მიიმალა. ბავშვი დაჯილდოვებულს მივარდა და მოეხვია. გახურებული ტაშის ხმა მოისმა. გადარჩენილი მსხნელს მადლობას უხდიდა. პაწიამ თავისი მხსნელი გადაჰკოცნა, მერე ხელი ჩაავლო ⸗ ორივენი ერთად გასავალისაკენ წავიდნენ. დედ-მამა უკან მისდევდა. ხალხი მომავალთ გზას უცლიდა: პოლიციელნი, ბავშვები, ჯარის-კაცნი, დედაკაცები ფეხის ჩლიქებზედ სდგებოდნენ და ბავშვს შეჰყურებდნენ. როცა ჩვენს ახლო გაიარა, ჩვენ ხელსახოცები დავუქნიეთ. იმისი ბორგო-პოელი ნაცნობი ბავშვები ხელსა და კალთებზედ ეჭიდებოდნენ და ჰყვიროდნენ.

— ვაშა, პინ! ყოჩაღ, პინო!

მე იგი ახლოსა ვნახე: მთლად გაჭარხლებულიყო, უხაროდა. მედალს სამ ფერი—თეთრი, წითელი ⸗ მწვანე ლენტი უმშვენებდა. დედა თან ტიროდა, თან

იცინოდა; მამა-კი მხოლოდ ულვაშებს იგრეხდა და ხელი ციებ-ცხელებიანსავით უკანკალებდა. ფანჯრებიდგანა ტ ლოჟებიდგან ყველანი იხედებოდნენ ტ ტაშს უკრავდნენ. ჭიშკართან «სამხედრო წოდების კაცთა ქალიშვილების» განყოფილების დარბაზის ფანჯრებიდგან ია, ვარდი და სხვა ყვავილები დააყარეს თავზედ ბავშვსა, დედასა და მამას. ხალხი მიწაზედ დაცვივნულს ყვავილებსა ჰკრეფდა და დედას აძლევდა. ეზოს შუაგულში მუსიკა წყნარად უკრავდა მშვენიერს ჰანგს, რომლის ხმაც ისე გაისმოდა, თითქოს ზღვის ტალღებს დაჰმღერის ვინმეო.

მაისი.

5-ი. პარასკევი.

დღეს სასწავლებელში არ წავედი, ვერა ვარ კარგად. დედა ბავშვების საავადმყოფოში მეკარის ქალის შესაყვანად წავიდა და თან წამიყვანა; მაგრამ სასწავლებელში-კი ავადმყოფ ბავშვებთან არ შემიშვა.

წერილი.

— მერე, ენრიკო, ვერ მიჰხვდი, რატომ არ შეგიშვი? იმიტომ, რომ შენ, ჯანმთელი, ლონიერი, არ მეჩვენებინე

იმ უბედურებისათვის; უიმისოდაც ისინი ძლიერ ხშირად არიან ხოლმე იძულებულნი თავისი თავი სხვებს შეადარონ ⁄ ამ შედარებით მწუხარება იგრძნონ. შეეედი თუ არა იმათთან, ცრემლი ვერ შეეიმაგრე. სამოცამდე ბავშვი იყო—ქალი ⁄ ვაჟი.... საცოდავნი, დატანჯულის სახისანი! საცოდავი ხელები, საცოდავი დაკლაკნილი დამახინჯებული ფეხები ⁄ სნეული სხეული უჩანდათ! ⁄ რამდენსა ჰქონდა ნაზი, პირისახე, ალერსიანი, ჭკვიანი თვალები! მომეტებულად ერთი ქალი იყო შესაბრალისი: თითქოს მოხუციაო, ცხვირი დაჰგძელებოდა, ნიკაპი ჩამოსწოპებოდა ⁄ ღიმილი კი მეტად სასიამოვნო შერჩენოდა. მრავალი ბავშვი, ვიდრე დაიძრვიან, მშვენივრები არიან, მაგრამ გადაბრუნდებიან თუ არა, გული გიწუხს. მკურნალიც იქ იყო; სნეულებსა სინჯავდა, სკამებზედ აყენებდა, ტანისამოსს უწევდა, სქელს მუცელსა ⁄ დასიებულს სახსარზედ ზეთს უსვავდა, ბავშვები კი სრულიად შეუშფოთებლივ იყვნენ; ისინი უკვე შეჩვეულები არიან გახდას, შემოწმებასა და ყოველ მხრივ მიბრუნ მობრუნებას.

წარმოიდგინე მარტო ის, რომ ეს დრო კიდევ ბედნიერი ხანაა იმათის ტინჯვა-წვალებისა ⁄ სულ არაფრად მიაჩნიათ. რა უნდა ეგრძნოთ, პირველად რომ დაეწყოთ დასახიჩრება სხეულისა! სენი ჰმატულობდა და გარშემო მყოფნიც თანდათან აკლებდნენ თავისს ალერსს, მთელ საათობით ოთახში მარტოკებსა სტოვებდნენ, ცუდად ჰკვებავდნენ, დასცინოდნენ კიდეც ⁄ უვარგისის წამლობით უფრო უძნელებდნენ ავადმყოფობას. ეხლა-კი კარგის საჭმლისა და მოვლის წყალობით

ბევრნი უკეთა ჰგრძნობენ თავს. მასწავლებელმა ქალმა უბრძანა, გიმნასტიკაში ივარჯიშეთო! სწორედ შესაბრალისი სანახავები იყვნენ. მასწავლებლის ბრძანებით ჰშლიდნენ, სჭიმავდნენ შეხვეულს ხელ-ფეხს, იმ პაწია ფეფეებს, რომელიც ადამიანს საკოცნელად იზიდავს! ზოგიერთები ვერა დგებოდნენ, თავ-ჩალუნულები იჯდნენ და თავისს ხის ფეხებს ხელს უსვამდნენ; ზოგნი ხელების გაშლისათანავე ქაქანით გაფითრებულნი იქცეოდნენ და ღიმებოდნენ, რომ სიმწვავე ტკივილისა დაეფარათ. ახ, ენრიკო! თქვენ-კი ჯანს არ უფრთხილდებით! ჯან-საღობა უბრალო, უმნიშვნელო რამედ მიგაჩნიათ! გამახსენდა პაწია, მშვენიერი, ჯან-ღონით სავსე, გაღაჟღაჟებული ბავშვები, რომლებიც დედებს სიხარულით დაჰყავთ და იმათის მშვენიერებით თავი მოსწონთ; მინდოდა ეს უბედურნი გულზედ მიმეკრა და, მარტო რომ ვყოფილიყავი, ვეტყოდი: „ვიდრე ცოცხალი ვარ, არ მოგშორდებით, სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთ, გემსახურებით და დედობას გაგიწევთ-მეთქი“.... ამასობაში იმათ მღერა დაიწყეს წვრილის, ნაზისა და მწუხარე ხმით, რომელიც ადამიანს გულში სწვდებოდა. მასწავლებელმა აქო; იმათ თითქოს გაეხარდათ, ხელებს უკოცნიდნენ, როდესაც მიუახლოვდებოდა. ალერსიანად ეკიდებიან ჯ მადლობელნი არიან იმისი, ვინც იმათთვისა ჰზრუნავს. ანგელოზები არიან სწორედ! გონივრებიც არიან, კარგადა სწავლობენო,—მითხრა მასწავლებელმა. მას-

წავლებელი ახალგაზდა ქალია, სახით არა უჭირსრა, ვგონებ კეთილი უნდა იყოს და საკვირველად მწუხარედ გამოიხედება, თითქოს იმის სახეზედ კვალი დაუჩნევიაო იმ უბედურებას, რომლისათვისაც ჰზრუნავს, რომელსაც ნუგეშინსა სცემს... საბრალო ყმაწვილი ქალი! იმათ შორის, ვინც-კი თავისის შრომით ჰშოულობს ლუკმა პურს, შენსავით წმიდა უღელს არავინ ეწევა.

შენი დედა.

9-ა. სამშაბათი.

დედაჩემი კეთილი დედაკაცია და ჩემი და სილვიაც კეთილია; დიდებული ტ კეთილშობილი გული აქვს. გუშინ საღამოს თვიურ მოთხრობის: „აპენინები და ანდები“-ს ერთს ადგილსა ვკითხულობდი. მოთხრობა საკმაოდ მოზრდილია და ამიტომ მასწავლებელმა რამდენსამე მოსწავლეს დაგვირიგა ნაწილ-ნაწილ გადასაწერად. სილვია ჩუმად შემოვიდა და საჩქაროდ ჩამჩურჩულა:

—დედასთან წავიდეთ! გავიგონე, დილასა ლაპარაკობდნენ: მამას რაღაცა საქმე ცუდად წასვლია; გაჯავრებული იყო, დედა ამხნევებდა. ეხლა გაჭირვებაში ვართ, გესმის? მამამ სთქვა, ცოტა ხელმოჭერით უნდა ვიცხოვროთ, ბევრი რამ დავიკლოთ, რომ წელში გავიმართნეთო. ჩვენც უნდა დავიკ-

ლოთ რამე, არა? შენ ხომ მზადა ხარ? ძალიან კარ-
გი. დედას მოველაპარაკები და პირობა მომეცი,
რომ იმის უარს არ იტყვი, რასაც დედას გამოვუცხა-
დებ.

ხელი დამიჭირა და წავედით.

დედა დაფიქრებული იჯდა და საქმობდა. ჩვენც
გვერდით მოვუსხედით.

— დედა, დაიწყო ლაპარაკი სილვიამ, შენ-
თან სალაპარაკო მაქვს. ორივენი უნდა მოველაპა-
რაკოთ.

დედამ გაკვირვებით შემოგვხედა.

— მამას ფული არა აქვს განა?! ჰკითხა სილ-
ვიამ.

— რას ამბობ? უპასუხა დედამ და გაწითლდა:
ტყუილია! შენ აბა მაგეებისა რა გესმის? ვინ გით-
ხრა?

— მე თითონ ვიცი, უთხრა სილვიამ მტკი-
ცედ: მომისმინე, დედა. ჩვენც უნდა დავთმოთ,
დავიკლოთ რამე. შენ მე მარაოს ყიდვას დამპირდი
ბ ენრიკოს საღებავ წამლებისას. ეხლა აღარა გვინდა-
რა; ნუ დავხარჯავთ ფულს; იოლად წავალთ...

დედას რაღაცა უნდოდა ეთქვა.

— არა, გააწყვეტინა სილვიამ: ასე გადავწყვი-
ტეთ. აღარც ტკბილეულობა და ხილია საჭირო,
ვიდრე მამას ფული არ ექნება; სადილად მარტო
წვნიანიცა კმარა, საუზმედ-კი მარტო პური, და სა-
ჭმლისათვის ცოტა დაიხარჯება... ეხლა ძალიან ბევრ-

სა ვხარჯავთ... პირობას გაძლევთ, რომ ყოველ-
თვის უწინდელებრ კმაყოფილი ვიქნებით. არა, ენ-
რიკო?

— ჰო-მეთქი, ვუპასუხე.

— წინანდებურად ყველაფრით კმაყოფილები
ვიქნებითო,—განიმეორა სილვიამ და თან დედას
ხელს პირზე აფარებდა:—და თუ კიდევ საჭიროა
უარი ვსთქვათ ტანსაცმელსა, ან სხვა რაზედმე,
სიამოვნებით ვიტყვით უარს; რაც ძვირფასი რა-
მე გვაქვს, გავყიდოთ; ჩემი ოქროს ნივთები წაიღე.
მე მოახლედ ვიქნები, სხვას აღარა შევუკვეთოთ-რა.
შენთან ერთად მთელი დღე ვიმუშავებ; რაც გინდა,
ყველას გავაკეთებ, ყველაფრისათვის მზადა ვარ.

— ყველაფრისათვის-მეთქი, წამოვიყვირე მე ჭ დე-
დას კისერზედ ჩამოვეკიდე. მხოლოდ შენ და მამა ნუ
შესწუხდებით, კვლავ მშვიდად, მხიარულად იყავით
თქვენის სილვიათი ჭ ენრიკოთი!.. ჩვენ ასეც გვიყვარ-
ხართ ჭ მზადა ვართ თქვენთვის სიცოცხლე გავწიროთ.

ასე მხიარულად დედაჩემი არასოდეს არ მინახავს!
გვკოცნიდა, თან იცინოდა, თან ტიროდა და სი-
ტყვის თქმა ვეღარ შეეძლო. შემდეგ გვარწმუნებდა,
რომ სილვიას კარგად ვერ გაუგია, გაღარიბებული სუ-
ლაც არა ვართო... მადლობას გვიხდიდა ჭ როცა მამა
მოვიდა, დედამ ყველაფერი უამბო. მამამ არა სთქვა-რა.
დღეს სადილის დროს..... მესიამოვნა კიდეც ჭ მეწყინა
კიდეც: ჩემს ხელსახოცს ქვეშ საღებავ წამლების ყუთი
აღმოჩნდა, ხოლო სილვიას ხელსახოცს ქვეშ—მარაო.

დღეს დავამთავრე მოთხრობის: „აპენინისა და ანდის მთები“-ს გადაწერვა და იმისა ვფიქრობდი, რა დავწერო მეთქი. მასწავლებელმა დაგვავალა, რომ თხზულება დასწერეთო. უცებ კიბიდგან უცნობი ხმა მომესმა და ოთახში ორი ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცი შემოვიდა. მამაჩემსა სთხოვეს, ნება მოგვეცით ბუხრები და ღუმელები გავსინჯოთო, რადგან ბუხრიდგან ცეცხლის ალისთვის მოეკრათ თვალი და ვერ შეენიშნათ კარგად, რომელ სადგომის ბუხარი იყო.

— გასინჯეთო, უთხრა მამაჩემმა. იმათაც ყველა ოთახი დაიარეს და კედლებს ყურს ადებდნენ, ცეცხლის ხმა ხომ არ გამოდისო.

— ენრიკო, მითხრა მამამ: აი, სათხზულებო მასალაც: ცეცხლის მქრობელნი ჯარის-კაცნი. აბა სცადე და ის დასწერე, რასაც გიამბობ. ამ ორის წლის წინად ვნახე როგორც მუშაობდნენ ცეცხლის მქრობელნი ჯარის-კაცნი. კარგა დაღამებული იყო; ბალბოს თეატრიდგან მოვდიოდი; დავინახე, რომ რომის ქუჩა სრულიად განათებული იყო და ხალხს მოეყარა თავი. ყველა ერთს მხარეს გარბოდა. სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა, ფანჯრებიდგანა და ბანებიდგან ბოლი და ცეცხლის ალი ამოდიოდა; ფანჯრებში გამოჩნდებოდნენ ხოლმე კაცები და დედაკაცე-

ბი და ისევე მიიმალებოდნენ; სასოწარკვეთილი ხმა მოისმოდა. ხალხი გაჰკიოდა: „ცოცხლები ამოიწვეებიან! უშველეთ! უშველეთ! ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცნი მოვიდნენო!..“ მოგრიალდა ეტლი ტ ოთხი ცეცხლის მქრობელი ჯარის-კაცი გადმოხტა. ამათ მეტი იმ დროს ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგურზედ არავინა ყოფილიყო; ეს ოთხივ ჯარის-კაცი ცეცხლმოკიდებულს სახლს ეცნენ. ამ წუთს საშინელი სანახავი დავინახეთ. მესამე სართულის ფანჯარაში დედაკაცი გამოჩნდა, ფანჯრის რკინის ბადეს მოეკიდა, აქეთ გადმოვიდა და ჰაერში ჩამოეკიდა. დედაკაცს ზურგი ქუჩისაკენ ჰქონდა და ცეცხლის ალი და ბოლი თავზედ დასდიოდა. ხალხი შიშის ზარმა აიტანა და შეჰკივლეს. ცეცხლის მქრობელნი ჯარის-კაცნი შეცდომით მეორე სართულში ავიდნენ; ისინი აქ შეშინებულმა მდგმურებმა შეაჩერეს; ჯარის-კაცნი კედლებს ანგრევდნენ, ოთახებში დადიოდნენ... მაგრამ ასობით ხმამ შესძახა: „მესამე სართულში! მესამეშიო!“ ისინი მესამე სართულში აცვივდნენ. იქ ჯოჯოხეთი ჰდუღდა. ჭერის კოჭები ცვივოდა, ტალანი ცეცხლში იყო გახვეული და ბოლი არჩობდა ადამიანს. ცეცხლით მოდებულ დაკეტილ ოთახისკენ მხოლოდ საჩეხიდგან-ღა იყო გზა. ცეცხლის მქრობნი საჩეხზედ აცვივდნენ. ჩალანგარებზედ დავინახეთ, რომ ვიღასაც შავი აჩრდილი გადმოხტა. უფროსი ცეცხლის მქრობელი ჯარის-კაცი იყო; პირველად ის მოვარდა ამ უბედურების დროს. მაგ-

რამ ცეცხის ალითა მოცულ სადგომის ბანთან მი-
სასვლელად წყლის მილსა და სანათურს შუა წვრილს
მანძილზედ უნდა გაევლო; დანარჩენი ადგილი ცეცხლ-
ში იყო; ეს პატარა მანძილიც თოვლსა და ყინულს
დაეფარა და ხელის მოსაჭიდებელი არა ჰქონდა-რა.

„ვერ გაივლისო!“ ყვიროდა ხალხი. ჯარის-კაცი
ამ ნაპირს უახლოვდებოდა; ყველანი კანკალით ადე-
ვნებდნენ თვალ-ყურს, სულს ძლივს-ღა იბრუნებდნენ.
გადავიდა. „ვაშაო!“ დაიძახა ხალხის ბრბომ. ის მაინც
მიდიოდა. მივიდა ჯ ცულით მილეწ-მოლეწა ჩარჩოები,
რომ ოთახში ჩასასვლელი გზა გაეკეთებინა. საბრა-
ლო დედაკაცი-კი ისევ ფანჯრის ბადეზედ ეკიდა
ცეცხლს ქვეშ; ერთი წუთიც და ქუჩაში გადმოვარდე-
ბოდა. უფროსმა ჯარის-კაცმა ჩაანგრია ბანთან ალაგი
და ოთახში ჩახტა. სხვებიც თან ჩაჰყვნენ ამხანაგს.
ამ დროს დიდი კიბე მოიტანეს და სახლს მიაყუდეს.
„გვიან-ღა არის! ველარავის გადაარჩენენ! ყველანი და-
ილუპნენო!“ ამბობდა ხალხი. ცეცხლში გახვეულ
რკინის ბადესთან ფანჯარაში უცბად ცეცხლის
მქრობელ რაზმის უფროსი ჯარის-კაცი გამოჩნდა;
დედაკაცმა ხელები კისერზედ შემოავლო; იმან წელ-
ზედ მოჰხვია ხელი და ოთახში შეიყვანა. ხალხი სა-
შინლად გრგვინავდა. „სხვანი?—მერე როგორ ჩამო-
ვლენ?“ კიბე ერთის ნაბიჯით დაბლა იყო ფან-
ჯარაზედ.

— როგორ ჩამოსწვდებიან?

ფანჯარაში ჯარის-კაცი გამოჩნდა. მარჯვენა

ფეხი ფანჯარაში გაიმაგრა, მარცხენა კიბეზედ დადგა და ასე ჰაერში აყვანილები ოთახიდგან თითო-თითო გამოჰყავდა. აქედგან კიბეზედ იმ ამხანაგს აწვდიდა იმათ, რომელიც ქუჩიდგან ავიდა კიბეზედ, და ამ რიგად ყველანი გადაარჩინეს. პირველად ფანჯარაზედ ჩამოკიდებული დედაკაცი ჩამოსვეს, მერე პატარა ქალი, მერე კიდევ დედაკაცი და ბოლოს ერთი მოხუცებული კაცი. შემდეგ თითონ ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცნი ჩამოვიდნენ. სულ უკანასკნელად-კი ის გადმოვიდა, რომელიც პირველად ავიდა— უფროსი ჯარის-კაცი. ხალხი ყველას ტაშის ცემითა და სიხარულით მიეგება; მაგრამ როდესაც უფროსი ჯარის-კაცი დაინახეს, ის, რომელიც პირველად გადავიდა უფსკრულზედ, ხალხი გამარჯვებულსავით მიეგება: ჰყვიროდნენ, აღტაცებით ართმევდნენ ხელსა და მადლობას უხდიდნენ. რამდენსამე წუთში ყველამ დაიხსომა, იმეორებდნენ იმის მანამდე უცნობს სახელს „ჯუზეპპე რობბინო“-ს. გესმის? აი, ნამდვილი მამაცობა ეს არის, მამაცობა გულისა, როდესაც ადამიანი არ დაფიქრდება, არ შეყოყმანდება, უკან არ მოიხედავს და პირდაპირ გულადად მიდის იქ, სადაც განსაცდელში მყოფთა გრინვა და კვნესა ისმის. წავიდეთ როდისმე და ვნახოთ, როგორ ასწავლიან ცეცხლის მქრობელ რაზმს; უფროსს ჯარის-კაცს რობბინოსაც გაჩვენებ. მე მგონია იმისი გაცნობა გესიამოვნება?

— რასაკვირველია-მეთქი,—ვუპასუხე.

— აგერ ისიცაო! მითხრა მამამ. მივიხედე. ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცებს ბუხრების გასინჯვა გაეთავებინათ და ჩვენს ოთახში გამოიარეს. მამამ დამანახვა ერთი დაბალ-დაბალი კაცი, ოქროს სირმებიანი, და მითხრა: ხელი ჩამოართვი უფროსს ჯარის-კაცს რობბინოსაო.

უფროსი ჯარის-კაცი ღიმილით შესდგა და ხელი გამომიწოდა. ხელი ჩამოვართვი, თავი დამიკრა და გავიდა.

— ეს ამბავი დაიხსომე, ენრიკო, მითხრა მამამ: შენს სიცოცხლეში იმ აუარებელ ხელთა შორის, რომელთა ჩამორთმევაც-კი მოგიხდება, ბევრჯელ არ შეგხვდება აგეთის ღირსეულის კაცის ხელის ჩამორთმევა.

ზ ა ფ ხ უ ლ ი

24-ი. ოთხშაბათი.

გენუელ მარკოს თავ-გადასავალის მოთხრობა „აპენინისა და ანდის მთები“ ამ წლის უკანასკნელ თვიურ მოთხრობათაგანია, სულ უკანასკნელს მოთხრობას ივნისში მოგვცემენ. საზაფხულოდ დათხოვნამდე ორი ყოველ თვიური გამოცდა, ოც-და-ექვსი სწავლის დღე, ექვსი ხუთშაბათი და ხუთი კვირა-ღა დარჩა! ჰაერიც-კი სასწავლო წლის დასასრულს გვაგრძნობინებს. ბაღში ხეხილები დაიფოთლა, ყვა-

ვილი გამოისხა და საგიმნასტიკო მოედანი მშვენივრად დასჩრდილა. მოსწავლეებმა საზაფხულო ტანსაცმელი ჩაიცვეს. თვალს ესიამოვნება, სასწავლებლიდგან რომ გამოდის და მიიხედ-მოიხედავს ადამიანი; წარსულს თვეებს აღარა ჰგავს-რა. წინანდებურად გძელი თმა აღარავისა აქვს: ყველანი დაკრეჭილები არიან. ზოგი ფეხშიშველაა, ზოგს შიშველი კისერი უჩანს, ყველას სხვა-და-სხვა ნაირი ჩალის ქუდები ჰხურავთ და ჭრელი ხალათები აცვიათ. სულ პაწაწინებსა და ღარიბის შვილებსაც-კი ცისფერი, წითელი და სხვა მხიარულის ფერის ტანსამოსი აცვიათ. ბევრნი, თითქოს სახლიდგან გამოქცეულანო, სასწავლებელში უქუდოები მიდიან, ზოგი ხომ სულ თეთრის ტანისამოსით დადის. მასწავლებელ დელკატის კლასის ერთი მოსწავლე მოხარშულ კიბოსავით მთლად წითლებშია. ბევრს ზღვაოსნისებური ტანისამოსი აცვია, ბაგრამ ყველაზედ კარგად-კი ჩვენი კალატოზია ჩაცმული. უშველებელ კალთებიანი ჩალის ქუდი ჰხურავს და საშინლად უხდება პირი-სახის კურდღელისებურად დამანშვა. კორეტის თავისი ტყავის ქუდი განზედ მიუგდია და აბრეშუმის ძველი ყომრალი ქუდი ჰხურავს, თითქოს უცხო-ქვეყნელი მოგზაურიაო. ვოტინი მშვენივრად მოკაზმულა შოტლანდურს ტანისამოსში. კროსის გულ-გაღეღილი ხალათი აცვია. პრეკოსი მუედლის ლურჯს ხალათში კოპწიაობს. გაროფეს განიერ-კალთებიანი პალტო მოუშორებია და ჯიბეებიდგან ათას

ნაირი წვრილმანი და ლატარიის ნუსხა უჩანს. იმას გარდა, ყველას ჯიბის პირიდგან რასმეს გამოუყვია თავი: ზოგს ქაღალდის მარაო უჩანს, ზოგს ლერწმის ნაჭერი, შვილდ-ისრები, ბალახები, პეპელები და ბუზანკალები, რომლებიც ჯიბიდგან ნელ-ნელა სცოცავენ... ბავშვებს მასწავლებლებისათვის მინდრის ყვავილების კონები მოაქვთ. მასწავლებელი-ქალებიც საზაფხულო მხიარულს ტანსაცმელს იცვამენ, მხოლოდ მოლოზანია წინანდებურად შავებში. ახალგაზდა მასწავლებელ-ქალს ქუდზედ ისევ წითელი ფრთა აქვს გაკეთებული და ყელზედაც წითელი ყელსახვევი ახვევია, სრულიად დაქმუქნული მოსწავლეებისაგან, რომელნიც აცინებენ, არბენინებენ და მოსვენებას არ აძლევენ... დადგა დრო ალუბლისა, პეპელებისა, ბაღებში მუსიკით სიამოვნებისა და მინდვრად სეირნობისა. ჩვენის სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლეები მდინარე პოში დარბიან საბანაოდ! ყველას პირზე საორთვეოდ დათხოვნა აკერია! ყოველ დღე მოუთმენელად ველით სასწავლებლიდგან გამოსვლას და თან გვიხარიან, რომ ერთი დღე კიდევ გავატარეთო. მხოლოდ გარონე-კი მებრალება: შეწუხებულია, შავები აცვია. მეცოდება აგრეთვე საბრალო ჩემი ნამასწავლებლარი ქალიც, რომელიც უფრო გამხდარა, ფერი მიჰკრთობია, ხველას უმატნია, წელში მოღუნული დადის და ისე დაღონებულ-შეწუხებული მომცემს ხოლმე სალამს...

წერილი

26-ი. პარასკევი.

თანდან გესმის, ენრიკო, რაც არის სასწავლებლის პოეზია! მაგრამ შენ ჯერ თითონვე სასწავლებელს ეკუთვნი, ხოლო იმისის პოეზიის შეგნება გარედგან მაყურებელისთვის უფრო ადვილია და შესაძლებელი. რამდენისამე წლის შემდეგ, როცა შენც, ჩემსავით, შენს საკუთარს შვილებს სასწავლებელში წაიყვან, მაშინ იგი უფრო პოეტური და მშვენიერი გეჩვენება. გაკვეთილის გათავების ლოდინის დროს ჩუმს, მიყრუებულს ქუჩაში სასწავლებლის ირგვლივ დავხეტიალობ ხოლმე და ყურს ვუგდებ ძირის სართულის ფანჯრებიდგან. მესმის მასწავლებელ-ქალის ხმა: „რა ცუდადა სწერ! ასე არ შეიძლება, ჩემო კარგო! მამაშენი რას იტყვის?“ მეორე ფანჯრიდგან მასწავლებელი-ქალი ხმა მაღლა და გარკვევით უკარნახებს: „ორმოც-და-ათი ადლი მაუდი უყიდნიათ... ადლი მანათ ნახევრად... გაუყიდნიათ“... იმას იქიდგან ახალგაზდა მასწავლებელი-ქალი ხმა მაღლა კითხულობს: „მაშინ პიეტრო მიკკა ანთებულის ფარნით“... იმის გვერდით კლასიდგან ჩიტების ჟრიამულსავით მოისმის ბავშვების ხმაურობა, ეტყობა მასწავლებელი კლასიდგან გასულა. იქავე ბავშვი ტირის და მასწავლებელი-კი ანუგეშებს, ან უწყრება. სხვა ფანჯრებიდგან მოისმის ლექსის ნაწყვეტები, დიდებულ

ბ გამოჩენილ კაცთა სახელები, ბაასი კეთილ სათნოებისა, სამშობლოს სიყვარულისა და ვაჟკაცობის შესახებ... უცებ ყველაფერი მიჩუმდება ხოლმე, თითქოს აღარავინ არისო; დაუჯერებელი გგონია, რომ ამ სახლში რამდენიმე ასი ბავშვიაო თავ-მოყრილი. უცებ სიცილი ასტყდება: მასწავლებელმა გაიხუმრა, კარგს გუნებაზეა... გამვლელ-გამომვლელებიც შესდგებიან ხოლმე, ყურს უგდებენ და სიამოვნებით შეჰყურებენ ამ საყვარელს სახლს, სადაც იმდენი იმედი და ახალგაზდობაა შეკრებილი. ერთბაშად საერთო ხმაურობა დაიწყება; მოისმის წიგნებისა და რვეულების შრიალი, ფეხების ბრაგუნი; ყოველს კლასში ჟრიამულისა და კიჟინის ხმა სდგას, ქვემოდ, ზემოდ; ერთმანეთს ამ სასიამოვნო ამბავს გადასცემენ: ზარი დაჰრეკესო—გათავდაო!

შემდეგ მთელი გროვა—დედაკაცები, კაცები, ახალგაზდა ქალები, ყმაწვილი ვაჟები გამოსავალ კარებთან გროვდებიან... მოსულან, რომ თან წაიყვანონ შვილები, ძმები, ნათესავები. ყოველ კარებიდგან დერეფანში გამორბიან პატარა მოსწავლეები: ზედა ტანსაცმელსა და ქუდებს იტაცებენ, იატაკზედ სხდებიან, პროწიალობენ და იმ დრომდე ცელქობენ, ვიდრე მსახური უკანვე კლასში არ გააბრუნებს. დასასრულ ყველანი წყნარად გამოდიან, რიგ-რიგად, და თან ფეხებს მოაბაკუნებენ. აქ ნათესავები სეტყვასავით მიაყრიან ბავშვებს:

— ჰა, რაო! გაკვეთილი იცოდი?—ახალი გა-

კვეთილი დიდია?—ხვალისთვის რა გაკვეთილი გაქვთ! თვიური გამოცდა როდის გექნებათ? ლარიბნი და წერა-კითხვის უცოდინარი დედებიც-კი გულ-მოდგინედ ათვალიერებენ შვილების რვეულებს, საარითმეტიკო ამიცანებს სინჯავენ და ჰკითხავენ, ცოდნის აღმნიშვნელად რა ნიშანი დაგისვესო:—მარტო რვა? —ათი ჯვრით?—არითმეტიკისათვის ცხრა? და სწუხან, უხარიანთ, მასწავლებლებს ებაასებიან, სასწავლებლის პროგრამისა და გამოცდის სჯაში არიან... რა მშვენიერებაა ყველა ეს! ეს არის ამა ქვეყნის ძლიერი იმედი!

28-ა. კვირა.

მაისის დაბოლოვება უკეთესად შეუძლებელი იყო. დღეს დილით ჩვენის სახლის ზარის ხმა შემოგვესმა და ყველანი კარების გასაღებად გავექანენით: დერეფანში მამაჩემი ვიღაცას გაკვირვებული ჰკითხავდა:

— ჯორჯიო! შენა ხარ? მერე როგორ გაჩნდი?

ჯორჯიო ჩვენი ძველი კიერის მებაღე იყო. იმისი ოჯახობა ეხლა კონდოვაში სცხოვრობს. წინა დღით ჩამოსულიყო გენუეში, საბერძნეთიდგან დაბრუნებული, სადაც სამი წელიწადი რკინის გზაზედ მუშაობდა. თან დიდი ბოღჩა ჰქონდა. ცოტა და-

ბერებულიყო, მაგრამ წინანდებურად მხიარული და ჯანიანი იყო. მამამა სთხოვა, სახლში შემოდიო, მაგრამ მებაღემ უარი უთხრა და დინჯადა ჰკითხა:

— ჩემის ოჯახობისა არა იცით-რა? ხომ კარგად არიან?

— ამ ცოტა ხაში შევიტყეთ იმათი ამბავი! ყველანი კარგად არიან! უპასუხა დედაჩემმა.

მებაღემ თავისუფლად ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს! მე კი არა ვიცოდირა და ძალაც არ შემწევდა ურუ-მუნჯებთან წავსულიყავ! ბოლჩას თქვენსას დავტოვებ და იმასთან მივირბენ! სამი წელიწადია ჩემი საბრალო ქალი არ მინახავს! სამი წელიწადია ჩემიანი არავინ დამინახავს!

— გააცილეო,—მითხრა მამაჩემმა.

— უკაცრავად-კი და ერთი სიტყვაც... სთქვა გასვლის დროს მებაღემ.

— შენი საქმეები როგორ-ღაა? ჰკითხა მამაჩემმა.

— არა უჭირს-რა, მადლობა ღმერთს! უპასუხა მებაღემ: ცოტაოდენი ფული მოვიტანე... ჰო, ის უნდა მეკითხა, ჩემი ყრუ-მუნჯი ნეტა როგორა სცხოვრობს! აქედამ რომ მივდიოდი, სამის წლის წინად, საწყალი პატარა ცხოველსა ჰგავდა. მე მაგ სასწავლებლისა არა მწამს-რა. ნეტა ნიშნებით ლაპარაკი ისწავლა? ჩემი ცოლი მწერდა, ლაპარაკის სწავლას ახერხებსო. ჩემის აზრით-კი, რა მნიშვნელობა აქვს

ასე ლაპარაკის სწავლას? ის ნიშნებით დაიწყებს ლაპარაკს და მე კი არა მესმის-რა ნიშნებისა: ერთმანეთისას რას გავიგებთ! საბრალო! ნიშნები ყრუ-მუნჯებს ერთმანეთში გამოადგებათ! ნეტა როგორ არის?

— არაფერს გეტყვითო, უთხრა ღიმილით მამამ: შენვე ჰნახავ! წადით, ნულარ აყოვნებთ.

წავედით. ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი შორს არ არის. მებაღე ჩქარის ნაბიჯით მოდიოდა და თან მწუხარედ ლაპარაკობდა.

— საბრალო ჩემი ჯიჯია! უბედური, დაბადებითვე აგრეთი იყო; ერთხელაც არ დაუძახნია ჩემთვის ძამა ტ არც ჩემგან გაუგონია შვილის სახელი. არასოდეს არავისაგან არა გაუგონია-რა ტ არც არავისთვის უთქვამს რამე. მადლობა ღმერთს, რომ შემბრალებელი კაცი გამოჩნდა და თავისის ხარჯით სასწავლებელში მიაღებინა. მაგრამ რვა წლისაზედ პატარებს არ იღებენ; სამი წელიწადია იქ არის; მაშასადამე, ეხლა თერთმეტის წლისაა... ნეტა ვიცოდე გაიზარდა? მხიარულად არის თუ არა?

— აი ეხლავე ჰნახავთ თქვენვე-მეთქი,—ვუპასუხე.

— იმათი სასწავლებელი სად არის! განაგრძო იმან: მე საბერძნეთში ვიყავ, როცა ჩემმა ცოლმა მიაბარა სასწავლებელში!

ჩვენ უკვე სასწავლებლის კარებთან ვიდექით.

— მე მამა ვარ ჯიჯია ვოჯიოსი, უთხრა მებაღემ მეკარეს: ეხლავ დამიძახეთ ჩემი ქალი, ეხლავ!

— ეხლა ისვენებენო! უპასუხა მეკარემ: და ზედამხედველს-ქალს მოვახსენებ...

მეკარე წავიდა. მებაღე ველარც ლაპარაკობდა, ველარც ერთს ადგილას დგომას ახერხებდა და უაზროდ კედელზედ სურათებს ათვალიერებდა. კარები გაიღო; შავ-კაბიანმა ზედამხედველმა-ქალმა ხელ-დაჭერილი შემოიყვანა პატარა ქალი: მამა-შვილმა ერთმანეთს შეჰხედეს, შეჰკივლეს და გადაეხვივნენ.

ქალს თეთრი წითელ-ზოლებიანი კაბა ეცვა და ყომრალი წინ საფარი ეფარა. ტანით ცოტა ჩემზედ მაღალი იყო. მამას კისერზედ ჩამოეკიდა და ასე ტიროდა: მამამ ნელა განითავისუფლა თავი და თავისს შვილს თავიდგან ფეხებამდე სინჯვა დაუწყო. თვალები უბრწყინავდა; საშინლად ჰქშინავდა, თითქოს დიდი გზა გამოეევლოს ჩქარის ნაბიჯითაო.

— როგორ გაზრდილა! წამოიძახა მებაღემ. რა ლამაზია! ჩემო საბრალო ჯიჯია! ქალბატონო, თქვენ ხომ მასწავლებელი-ქალი ხართ? უბძანეთ, რომ თავისის ნიშნებით მანიშნოს რამე; იქნება გავიგო რამე და მეც ვისწავლო. ნიშნებით მაინც მითხრას რამე.

მასწავლებელი გაიღიმა და ნელის ხმითა ჰკითხა ბავშვს:

— ეს ვინ არის? ვინ მოვიდა შენთან სტუმრად?

ბავშვმა უცნაურის ბოხის ხმით, თითქო ნახევრად ნადირი იყოს, რომელმაც პირველად დაიწყო ლაპარაკი ჩვენს ენაზედაო, მაგრამ მხიარულად და გარკვევით უპასუხა.

— მამაჩემია.

მებაღემ უკან დაიწია ჯ შეშლილსავით შეჰკივლა.

— ლაპარაკობს! ეგ შეუძლებელია! შვილო, შენა ლაპარაკობ? სთქვი—ლაპარაკობ?

მივარდა და კოცნა დაუწყო.

— მაშასადამე, ქალბატონო, ესენი ნიშნებითა ჯ ხელებით-კი არა, ისევე ლაპარაკობენ, როგორც....

— არა, ბ-ნო ვოჯიო, უპასუხა მასწავლებელმა: ნიშნებით არა ლაპარაკობენ—ის ძველი წესია-სწავლისა. აქ ახალის წესით ასწავლიან, ხმის ბგერათა შემწეობით. განა არ იცოდით?

— არაფერი ვიცი, უპასუხა გაოცებულმა მებაღემ: სამი წელიწადი აქ არ ვიყავ; იქნება მწერდნენ კიდეც, მაგრამ ვერ გავიგე. მე ხის თავი მაბია. ჯიჯია! მაშ გესმის ჩემი ლაპარაკი? ჩემი ხმა გეყურება? მიპასუხე, შვილო, გესმის რასაც გეუბნები?

— არა, ჩემო კარგო! უპასუხა მასწავლებელმა: ყრუა და გაგონება არ შეუძლიან, მაგრამ თქვენის ტუჩების მოძრაობით მიხვდება რა სიტყვებსაც ამბობთ!.. არც თქვენი სიტყვები ესმის და არც თავისი ნათქვამი! გასაგონად-კი ლაპარაკობს, იმიტომრომ ნასწავლი აქვს, თითო ასოობით, როგორ უნ-

და გაანძრიოს ტუჩები და ენა, როგორ უნდა დაატანოს ძალა გულსა და ყელს, რომ ხმა ამოიღოს და სიტყვები გამოსთქვას.

მამას არ ესმოდა და, როგორცა სჩანდა, არცა სჯეროდა.

— მითხარი, ჯიჯი, გიხარიან, რომ დავბრუნდიო? ყურში ჩასჩურჩულა მებაღემ და პასუხს ელოდა.

ქალმა დაფიქრებული შეჰხედა მამას და არა უთხრა-რა. მებაღე დაიბნა. მასწავლებელმა გაიცინა.

— ჯიჯია პასუხს იმიტომ არ გაძლევთო, უთხრა მასწავლებელმა: რომ ყურში უთხარით და თქვენის ტუჩების მოძრაობა ვერ დაინახა. წინ დაუდექით, რომ პირი დაგინახოთ და გაუმეორეთ კითხვა.

მამა პირში შეაჩერდა შვილსა და განუმეორა:

— გიხარიან, რომ მამაშენი დაბრუნდა და აღარსად წავა?

ქალი გულ-დადებით ადევნებდა თვალს მამის ტუჩებს და უპასუხა:

— ჰო, მიხარიან, რომ დაბრუნდი და აღარსად წახვალ... აღარსად.

მამა მივარდა, ეხვეოდა, ჰკოცნიდა და, რომ უკეთ დარწმუნებულიყო, ხან რასა ჰკითხავდა და ხან რას.

— რა ჰქვიან დედას?

— ან-ტონი-ა!

— პატარა დას?

— ადე-ლა-იდა!

— ამ სასწავლებელს?

— ყრუ-მუნ-ჯთა ინსტი-ტუ-ტი!

— ორჯელ ათი რამდენი იქნება?

— ოცი.

ასე მეგონა, მებაღე სიხარულისაგან იცინის-მეთქი, ქვითინებდა-კი.

— დამშვიდდით! უთხრა მასწავლებელმა: მხიარულება გმართებთ და არა ტირილი! აი თქვენმა ბაღანამაც ტირილი დაიწყო! მაშასადამე, კმაყოფილნი ხართ?

მებაღე მასწავლებლის ხელს წასწვდა და კოცნა დაუწყო:

— გმადლობთ, ასს, ათასჯერ გმადლობთ, ძვირფასო ქალბატონო! მაპატიეთ, რომ მადლობის გარდახდაც-კი არ შემიძლიან.

— ეგ კიდევ არაფერი, განაგრძო მასწავლებელმა: წერა, ანგარიში და ყველა ნივთების სახელიც იცის. ცოტა რამ ისტორია-გეოგრაფიიდგანაც ისწავლა. ეხლა უმცროსს კლასშია და 'რა-კი ორს უფროსს კლასსაც დაამთავრებს, მაშინ ბევრი რამ ეცოდინება. აქედგან რომ გავა, შეუძლიან საქმე იშოვნოს. ბევრი ყრუ-მუნჯი სავაჭროში არიან ნოქრებად ჭ ძლიერ კარგადაც ასრულებენ თავისს საქმეს.

მებაღე გაკვირვებული იყო. სჩანდა, კიდევ ვერა შეეგნო-რა. უყურებდა თავისს შვილს და თავს იფხანდა, ეტყობოდა, რომ კიდევ განმარტებას თხოულობდა. მასწავლებელმა მსახურს დაუძახა.

— მოსამზადებელ კლასის მოსწავლე ბავშვს დამიძახე.

მოსამსახურემ ახლად სკოლაში მიღებული რვა წლის ყრუ-მუნჯი ქალი მოიყვანა.

— აი," ეს იმათგანია, ვინც ახლად იწყებენ სწავლას. მე გაჩვენებთ როგორც ვასწავლით. მე მინდა, რომ ბავშვმა „ე" სთქვას. ყურადღებით მადევნეთ თვალი.

მასწავლებელმა პირი ისე გააღო, როგორც ხმოვან ასო „ე"-ნის გამოსათქმელად არის საჭირო და ხელით ანიშნა ბავშვს, ესევე გაეკეთებინა. ბავშვმა მისებრ პირი გააღო. მასწავლებელმა უბრძანა „ე"-ნი გამოსთქვიო, ქალმა „ე"-ნის მაგიერ „ო" სთქვა.

— აგრე არაო! უთხრა მასწავლებელმა: ორივე ხელი დაუჭირა ბავშვს, ერთი გულზედ მიიდო, ერთი ყელზედ და წარმოსთქვა „ე"...

ბავშვმა მასწავლებლის გულისა და ყელის მოძრაობა იგრძნო, იგივე განიმეორა და მკაფიოდ და მშვენივრად გამოსთქვა „ე".

ასევე ხელების დაჭერით მასწავლებელმა ბავშვს რამდენიმე ხმოვანი და უხმო ასო გაამეორებინა.

— ეხლა მიჰხვდით? ჰკითხა მებაღეს.

მებაღემ უპასუხა „მივხდიო", მაგრამ მგონი უფრო გაკვირვებული იყო, ვიდრე მიხვედრილი.

— ყველას ასე ასწავლით? მცირე მოფიქრების შემდეგ ჰკითხა მებაღემ და მასწავლებელს შეჰხედა. მერე იმდენი მოთმინება შეგწევთ, რომ მთე-

ლის წლობით თითი-თითო ასოებით თითოეულს ცალკე ასწავლოთ ლაპარაკი? მაშ წმიდანები, ანგელოზები ყოფილხართ! განა ქვეყანაზედ თქვენს დასაჯილდოებლად მოიპოვება რამე? მე აქ რის თქმა შემიძლიან?... ნება მიბოძეთ ხუთის წამით მარტოდ ჩემ ქალთან დავრჩე.

მებაღე მოშორებით დაჯდა, შვილი დაისვა მუხლზედ, ხან რასა ჰკითხავდა ტ ხან რას ტ შვილი პასუხს აძლევდა. მებაღე იცინოდა, თვალები უბრწყინავდა, მუხლებზედ ხელს იცემდა, ბავშვს ეალერსებოდა, ესიყვარულებოდა, შესცქეროდა და სიხარულისაგან გაოგნებული ყურს უგდებდა შვილის ხმას, რომელიც თითქოს ციდგან ჩამოსულად მიაჩნდა. უცბად ჰკითხა:

— შეიძლება წავიდე და სასწავლებლის უფროსს მადლობა გადავუხადო?

— უფროსი აქ არ არის, უპასუხა მასწავლებელმა: მაგრამ აქ არის ერთი ქალი, რომლის მადლობელიც უნდა იყვნეთ. ახლად შემოსულ მოსწავლეებს უფროსს მოსწავლე ქალებს ვაბარებთ და ისინი დედასა და დასავით ჰზრუნავენ იმათთვის. თქვენი ქალი შვიდმეტის წლის მეპურის ყრუ-მუნჯს ქალსა ჰყავს ჩაბარებული: იგი დიდად კეთილი ქალია და თქვენი შვილიც ძლიერ უყვარს. აგერ ორი წელიწადია თქვენს შვილს ჩაცმასა ჰშველის, თავსა ჰვარცხნის, კერვას ასწავლის, ნივთებს ულაგებს და გვერდიდგან არა ჰშორდება... ჯიჯია, შენ ინსტიტუტელს დედას რა ჰქვიან?

— ეკატერინე ჯორდანო,—უპასუხა ბავშვმა და ლიმილით მიუბრუნდა მამას: ძალიან, ძალიან კეთილი ქალია!

მასწავლებელმა მსახურს ანიშნა. მსახური გავიდა და ოთახში მხიარული, ჯან-მრთელი ახალგაზდა ქალი შემოვიდა. იგი ქერა იყო და იმასაც ზოლიანი კაბა ეცვა და წყლის ფერი წინ-საფარი ჰქონდა; დედაკაცსავით მაღალი და სრული იყო, მაგრამ ბავშვად გამოიხედებოდა. ქალი კარებში შედგა, გაიღიმა და თავი დაგვიკრა. მებაღის ქალი იმისაკენ გაექანა, წაავლო ხელი და მამასთან მიიყვანა.

— მამაჩემი... ეკატერინე ჯორდანო!

— რა მშვენიერია! წამოიძახა მამამ. კეთილო ქალო! უფალო, შენ აკურთხე და ყოველივე სიკეთე და ნუგეში მიანიჭე! ბედნიერად ჰყავ იგიცა და მისი მშობლებიც... ეს არის სურვილი უბრალო მუშისა, ოჯახის საბრალო მამისა, ჩემის ქალისა, სულითა და გულით მოძღვნილი!

ქალი დაიხარა და ჯიჯიას ალერსი დაუწყო. მამა ისე შესცქეროდა, როგორც წმიდანს.

— დღეს შეგიძლიანთ თქვენი ქალი თან წაიყვანოთ! უთხრა მებაღეს მასწავლებელმა.

— რასაკვირველია, წავიყვან. უპასუხა მამამ: კონდოვში წავიყვან და ხვალ დილით ჩამოვიყვან.

ბავშვი მოსამზადებლად გაიქცა.

— სამი წელიწადია არ მინახავს! სათქმელად ადვილია!.. ეხლავ კონდოვში წავიყვან. ჯერ ხელი-

ხელს დაჭერილი ტურინის ქუჩებზედ გავიარეთ, რომ ყველამ დაგვინახონ და მისის ცქერით დასტკბნენ. ნაცნობებთან წავიყვან, დეე ყური დაუგდონ... ოჰ რა დღეა დღეს—ნამდვილი დღესასწაულია! აბა, ჯიჯია, ხელი მომეცი....

ბავშვი დაბრუნდა წამოსასხამ წამოსხმული და თავ-მოხვეული და ხელი გაუწოდა მამას.

— კვლავ ყველას გმადლობთო, ამბობდა მებაღემ: გულითადად გმადლობთ! კიდევაც მოვალ მადლობის გადასახდელად.

უცებ, თითქოს გაახსენდა რამეო, ჯიბეში ხელის ფათური დაიწყო!

— საწყალი-კი ვარ, წამოიძახა მებაღემ, მაგრამ აი, ეს ათი მანეთი—ახალი ოქროს ფული შემიწირავს ინსტიტუტისათვის.

ოქროს ფული მაგიდაზედ დასდო.

— არა, არა, არ გვინდაო! უპასუხა გულ-აჩვილებულმა მასწავლებელმა: უკანვე აიღეთ! მე არ შემიძლიან მივიღო. აიღეთ! ჩემი საქმე არ არის, მაგისათვის უფროსს უნდა მიჰმართოთ! მაგრამ არც ის მიიღებს. განა ცოტა შრომა დაგჭირდებოდათ მაგის მოსაპოვებლად... ჩვენ-კი უფულოდაც თქვენნი მადლობელნი ვართ.

— არა, შემიწირავსო! გადაჭრით უპასუხა მებაღემ: შემდეგ-კი ვნახოთ.

მაგრამ მასწავლებელმა ფული ძალათი ჩაუდო ჯიბეში. მებაღე თავის ქნევით დამორჩილდა, მას-

წავლებელსა და მოსწავლე ქალს ხელით კოცნა მიუძღვნა, ჯიჯიას ხელი დაუჭირა და კარებისაკენ გასწია.

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ, შვილო, ჩემო საბრალოვ, ჩემო ძვირფასო!

ქუჩაზედ რომ გამოვიდნენ, ბავშვმა შესძახა:

— ოჰ, მზე ყოფილა!..

წ ე რ ი ლ ი.

3-ი ივნისი.

დღეს საერთო გლოვის დღეა!.. გუშინ საღამოს გარდაიცვალა გარიბალდი *). უნდა იცოდე ვინ იყო იგი. გარიბალდიმ ათი მილიონი იტალიელი უცხო ქვეყნის ბურბონების ბრძანებლობისაგან განათავისუფლა. იმისი სახელი უნდა გახსოვდეს, ენრიკო, მარტო იმიტომ-კი არა, რომ იტალიელი ხარ, არამედ იმიტომ-რომ იმისი სახელი მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს და ყველა პატიოსანის ადამიანისათვის ძვირფასი იყოს. გარიბალდი გმირზედ მომეტებულია—იგი ადამიანია. გარიბალდი ხომალდის უფროსის შვილი იყო და 1807 წ. დაიბადა ნიცცაში. ბევრი უნდა იყოს იმისი მადლობელი, რომ სიკვდილს გადურჩა; ჯერ ისევ

*) გარიბალდი გარდაიცვალა 1882 წლის 21 მაისს (2 ივნისს).

ბავშვი იყო, რომ ერთი დედაკაცი დაიხსნა სიკვდილისაგან; ცამეტის წლისამ ხალხით სავსე ნავი გადაარჩინა; როცა წამოიზარდა, წყლიდგან კაცი გამოიყვანა და ოკეანეში ცეცხლ-მოდებული გემი დაღუპვას ააცილა. ათს წელიწადს ამერიკაში დაჰყო და უცხო ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდა; შემდეგ ლომბარდიისა ⁄ ტრიენტის განთავისუფლებისათვის იბრძოდა ავსტრიელების წინააღმდეგ და სამს ომში მიიღო მონაწილეობა; 1849 წ. იცავდა რომს ფრანგებისაგან; 1860 წ. პალერმო და ნეაპოლი განათავისუფლა; 1867 წ. კვლავ რომის დასაცველად ომობდა და 1870 წ. მონაწილეობას იღებდა ფრანგების ბრძოლაში გერმანელების წინააღმდეგ: ორმოცს ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ოც-და-შვიდმეტჯერ გაიმარჯვა. გარიბალდი ღარიბი იყო და როცა არა ომობდა, ლუკმა პურისათვის მუშაობდა: მასწავლებლადაც იყო, მენავედაც, ვაჭრადაც და ქარხნის მუშადაც. ამ თავ-განწირულმა მეომარმა, კეთილმა სარდალმა, თავ-მდაბალმა, კეთილმა და წყნარმა ერის მმართველმა 1859 წ. მთლად სამშობლოს სამსახურს მისცა თავი. მას სძულდა და სძაგდა ყოველ გვარი დევნა-შეწუხება, უყვარდა ყოველი ერი, ებრალებოდა უძლურნი; მუდმივ ჰფარავდა ⁄ იცავდა ჩაგრულთა ⁄ მხოლოდ იმათს სიკეთეს იყო მოწადინებული-სიმდიდრე და პატივი არად მიაჩნდა; როდესაც ღვაწლს იქმოდა და რასმე ერის საკეთილდღეო კანონს დაიცავდა პარლამენტში, თავისს განმარტოე-

ბულ კუნძულ კაპრერუსკენ მიეშურებოდა თავისს ღარიბ სახლში, მიწასა ჰხნავდა, კლდე-ღრეში ბალს იკეთებდა და რამდენსამე თავისს მეგობართან ერთად მოსვენებას ეძლეოდა.. ამ მშვენიერის ცხოვრების ამბავი გმირის დიდებასთან ერთად იქმნა ისტორიაში მოხსენებული... გარიბალდი სიკვდილს არ უფრთხოდა და იტალიას ათაყვანებდა. აუარებელი მეომარნი პირველსავე იმის მოწოდებაზედ უცბად იკრიბებოდნენ ხოლმე, წარჩინებულნი თავიანთს სასახლესა და ცოლ-შვილსა სტოვებდნენ, ახალგაზდანი სასწავლებელს, სიამოვნებას, ნებიერს ცხოვრებას თავს ანებებდნენ... და იმისაკენ მიისწრაფებოდნენ.

გარიბალდი ღონიერი ტ წარმოსადეგი იყო, თუმცა უკანასკნელს დროს ხშირად ავადმყოფობდა. ომის დროს წითელს პერანგს იცვავდა ხოლმე. 1870 წ. ზამთარს საფრანგეთში ზოლიან, სქელს შალში შეხვეული დადიოდა; ფოტოგრაფიულ სურათზედ ამ ტანისამოსით ჰნახავ. ჭაღარა იყო, გრძელ-წვერა; ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც მშვენიერი შეხედულობა ჰქონდა... ომის ველზედ ელვა იყო, ბავშვსავით ადამიანის შემყვარებელი და შემთვისებელი გული ჰქონდა, ყოველ გვარს ტანჯვას წმიდანსავით ითმენდა... იმას რომ დაინახავდა შორიდანაც-კი, ხალხი სიამოვნებით სწირავდა სიცოცხლეს! სამშობლოს სწირავდნენ სიცოცხლეს, მაგრამ იმისთვისაც სიხარულით დასდებდნენ თავს. გარიბალდის ათასობით

ხალხი ჰლოცავს, და კიდევ მილიონობით ხალხი დაჰლოცავს მარადის.

გარიბალდი გარდაიცვალა და მთელი ქვეყანა ჰგლოვობს. შენ ვერ დააფასებ იმას, მაგრამ გაიზრდები, წაიკითხავ, გაიგონებ,—და იმისი ვინაობა შენს გულსა ⁄ გონებაში თანდათან იმატებს დიდებას, მნიშვნელობას მოიპოვებს. გიმეორებ, ენრიკო! იმიტომ კი არა, რომ იტალიელი ხარ და გარიბალდის უნდა ჰმადლობდე, შენს სამშობლოს შეერთებულ რომ ჰხედავ. გარიბალდის სურათი დიდებული სურათია, უსრულესი სურათია ისტორიისა, საოცრება ყოველის საუკუნისა და ყოველის ერისა. იმას ყველა უნდა პატივისცემით მოეპყრას. გარიბალდი ჩვენ თვალწინ გამოჩნდა; იმისი ამბავი ზღაპარი არ არის. იგი ცოცხალი სცხოვრობდა ჩვენ შორის; ჩვენ იმის ⁄ ცხოვრების მოწმენი ვართ და იმის ამბავს შვილებს, შვილიშვილებს, ჩვენებსა და უცხოელებს გარდავცემთ! მარტო ომებში გამარჯვება და იტალიის სიყვარულიკი არ შეადგენდა იტალიელის გარიბალდის ღირსებას; არამედ დიდსულოვნობა, უანგარობა, მართლმოყვარეობა, თავ-განწირულება, მოთმინებით აღჭურვილი მამაცობა, ღირსებით აღსავსე თავ-მდაბლობა,—აი, ეს აძლევს უფლებას კაცობრიობის მეხსიერებაში დაუვიწყარად და უკვდავად ყოფნისას...

11-ი ივნისი 1882 წ.

საერო დღესასწაული და ჯარის აღლუმი ერთის კვირით გადაიდო; გარიბალდის გარდაცვალებასა ჰგლოვობენ. მე ჯ მამაჩემი პიაცცა კასტელლოში აღლუმის საცქერლად წავედით. ხალხი მრავლად შეკრებილიყო. მამაჩემი ყოველ რაზმის სახელს მეუბნებოდა, რომელიც წინ გაგვიელიდა; მიამბობდა რომელმა რაზმმა როდის ჯ რითი იჩინა თავი. აგერ ქვეითა ჯარი, ალპიის მსროლელი რაზმი, საზღვრის დარაჯნი, ბერსალიერები, რომელნიც პირველნი შევიდნენ რომში; შემდეგ მინდვრის საარტილერიო ჯარი; მთის მძლავრი არტილერია, რომელსაც იქაცკი მიაქვს სიკვდილი, სადაც ადამიანის ფეხი ძლივსა ხვდება. უკანასკნელად ოქრო-ვერცხლში ბრწყინვალე გენუის მხედრობამ გაიქროლა. დროშები ფრიალებდა და მიდამო ცხენის ფეხის ხმითა და ჟიხვინით იყო სავსე. ეს რაზმი ასე მიჰქროდა ხოლმე ყოველთვის ბრძოლის ველზედ, სანტა-ლუჩიადგან დაწყებული ვილლაფრანკამდის.

— მშვენიერებაა! წამოვიძახე.

მამაჩემს ჩემი სიტყვა არ მოეწონა.

— ჯარი წარმოდგენა არ არის და არც „მშვენიერებაა“, მითხრა. ეს კაცნი, ახალგაზდანი, ჯანლონით მრთელნი, იმედით სავსენი, დღეს თუ არა, ხვალ იქნება სამშობლოს დასაცველად წავიდნენ და მტრის ტყვიამ გასწყვიტოს! სააღლუმოდ გამოწყო-

ბილის ჯარის დანახვისა გამო ხალხის აღტაცებისა და მოწონების ხმა რომ გაიგონო, წარმოიდგინე ხოლმე სისხლით მორწყული ველი, უსულო გვამებით სავსე... მაშინ ასე ადვილად აღარ წამოგცდება აღტაცების ხმა და სამშობლო უფრო მკაცრად და დიდებულად წარმოგიდგება თვალ-წინ.

წ ე რ ი ლ ი.

14-ი. სამშაბათი.

საერო დღესასწაულების დროს შენც, მოსწავლე ბავშვო, შენს სამშობლოს მიესალმე: ჩემო სამშობლო მიწავ, ძვირფასო, კეთილშობილო, აკვანო და საფლავო ჩემთა მახლობელთაო! ჩემო აკვანო და, იმედია, საფლავოც! მიწავ მომავალის თაობისავ, მიწავ დიდებულო, მშვენიერო, ეხლა-ხან განთავისუფლებულო,—დიდი ნათელი მოჰფინე ქვეყნიერობას, ბევრმა გმირმა და მეომარმა განაცვალა და შემოგწირა სიცოცხლე! დიდო მშობელო, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გიცნობ, მაგრამ მაინც მიყვარხარ და თავი მომწონს, რომ შენი შვილი ვარ.

მიყვარს შენი დიდება, შენი მშვენიერება, შენნი ზღვანი და მინდორ-ველნი, სოფელნი და ქალაქნი! მიყვარხარ მთლად, ჰოი წმიდაო! ვფიცავ, შენი შვილები ძმასავით შევიყვარო, შენს დიდებულთ

ცოცხალთა ჲ დიდებულთ მიცვალებულთ თაყვანი ვცე; ვფიცავ, რომ მოღვაწე, პატიოსანი მოქალაქე ვიყო და სრულ ვიქმნე სიკეთით, რომ შენი ღირსი შევიქმნე და რასაც-კი ჩემი ძალა შემწევს, ვეცადო შენს სახეს განვაშორო წყვდიადი სიღარიბისა, უვიცობისა და დანაშაულისა, რათა მშვიდად აჰყვავდე შენსა ძლიერებასა და უფლებასა შინა. ვფიცავ გემსახურო, რითაც კი შემეძლება, ხელით, გონებით, გულით,— მორჩილად და ერთგულად, და თუ დადგება ისეთი დღე, შენთვის სისხლიც დავათხიო, სიცოცხლე შემოწირო; სულ უკანასკნელად ჩემი თვალები შენს წმიდა დროშას დაუწყებს ცქერას და უკანასკნელი ჩემი სიტყვა შენი სახელი იქნება.

16-ი. პარასკევი.

საერო დღესასწაულის შემდეგ ხუთი დღე გავიდა. სიცხემ სამის გრადუსით იმატა. ნამდვილი ზაფხულია; ყველა იქანცება, მზისაგან გაშავებულან, კისერი და მუხლები გაუხდათ, თავი უბრუვდებათ და თვალები ელულებათ. ნელლის სახე წმიდა სანთელსავით გაჰყვითლებია, სიცხისაგან მთლად მოწყვეტილა, გაკვეთილის დროს რვეულზედ ჩაჰკიდებს ხოლმე თავს და მიეძინება. გარრონე ჰდაროჯობს, წიგნს გაშლის ხოლმე და წინ აფარებს, რომ მასწავლებელმა არ დაინახოსო.. კროსსი-კი პირდაპირ მაგიდას მიაყრდობს ხოლმე თავისს გაჭარხლებულს

სახეს, თითქოს თავი მოწყვეტილი აქვს და ცალკე დევსო. ნობისი ჩივის, კლასში მეტად ბევრნი ვართ და ჰაერს მიწამლავთო. ძნელია ეხლა სწავლა: გადაიხედავ ფანჯრიდგან ბაღში, ხეები ლამაზად გამოიხედება, ნიავია, ჩრდილი, გული იქით მიგირბის ჯ ბრაზი მოგდის, რომ დაკეტილში უნდა იჯდე სკამზედ.. სანუგეშოდ ის-ღა დამრჩენია, რომ დედა დამხვდება ხოლმე და მათვალიერებს, ხომ არ გაფითრებულხარო. გაკვეთილს რომ ვამზადებ, მკითხავს: «ძალიან ხომ არ დაიღალე?» ყოველ დილა ექვს საათზედ მაღვიძებს და თან მეუბნება: „გულს ნუ აიცრუებ, ყოჩაღად იყავ, სულ რამდენიმე დღე დარჩენილა და მერე-კი განთავისუფლდები, მაშინ დაისვენე და ისეირნეო“. დიაღ, კარგად სჩადის დედაჩემი, რომ გამახსენებს ხოლმე იმ ბავშვებს, რომელნიც ამ სიცხეში მინდვრად, ან ქარხანაში ცეცხლის წინ მუშაობენ, რომელნიც ჩვენზედ ადრე სდგებიან და რომელთათვისაც არც თავისუფლებაა და არც მოსვენება... კროსსი ეხლაც-კი ყველასაგან ირჩევა.. სიცხე არას აწუხებს, ძილი არა სძლევს, ყოველთვის ცქვიტია და მხიარული, თმა უწინდელებრ ხუჭუჭი აქვს, დაუღალავად მეცადინეობს და გარშემო ყველაფერს ახმაურებს.. ისა და ორნიც სხვანი ყოველთვის გულმოდგინეობენ: სტარდი, რომელიც სულ ცხვირს ისრესავს, რომ არ ჩამთვლიმოსო, და როცა ძალიან ჩამოცხება, თვალებს აჭყეტავს და კბილებს აკრაჭუნებს, თითქოს მასწავლებელს

ეპირებს შეჭმასაო. ვაჭარი გაროფფიც ყოჩაღად არის, წითელის ქაღალდის მარაოებს აკეთებს, ზედ წკირას ყუთიდგან აგლეჯილს სურათებს აკრავს და თითოს ორ გროშადა ჰყიდის. მაგრამ თუ ყოჩაღადაა ვინმე — კორეტტი: გათენდება თუ არა, ფეხზედ არის, მამას შეშას უზიდავს, თერთმეტს საათზედ კლასშია, თვალები ელულება კიდეც, თავი სწყდება, მაგრამ ერთი ღონივრად გაიშმუშნება ხოლმე, შუბლში ხელს შემოიკრავს და მასწავლებელსა სთხოვს, ნება მომეცით წავიდე, პირზედ წყალი შევისხაო. ამხანაგებს ეხვეწება, მიჩქმიტეთ და მანჯღრიეთ, რომ ფხიზლად ვიყოო.. მაგრამ დღეს დილით-კი ღონემ ულალატა და ჩაეძინა.

მასწავლებელმა დაუყვირა: „კორეტტი!“ — არ ესმის! მასწავლებელი გაწყრა და განუმეორა: — „კორეტტი!“ კორეტის მეზობელი მენახშირის შვილი წამოდგა და უთხრა, რომ კორეტტი დღეს ხუთ საათიდგან შვიდამდე შეშას ეზიდებოდაო. მასწავლებელმა ხმა აღარ გასცა და ნახევარს საათს გაკვეთილი განაგრძო, შემდეგ მივიდა კორეტტის სკამთან, სახის წინ წყნარად გაუნიავა და გამოაღვიძა. კორეტტი წამოდგა, თავის წინ მასწავლებელი დაინახა და შეეშინდა. მასწავლებელმა თავზედ ხელი მოჰკიდა და აკოცა.

— ჩემო კარგო, არა გკიცხავ, რადგან, სიზარმაცემ-კი არა, შრომამ დაგღალა და იმიტომ ჩაგეძინაო.

19-ი. ორშაბათი.

ოთხშაბათს კორეტტის მამასთან ერთად სეირნობა განვიზრახეთ, წმიდა ჰაერზედ გავლა გვინდოდა, და ღირდა კიდეც,—დღესასწაული იყო.

დელლო-სტატუტოს მოედანზედ შევიკრიბენით: დეროსსი, გარრონე, გაროფფი, პრეკოსსი, მეშეშე კორეტტი შვილით და მე. თან სურსათი, ხილი, კვერცხები და ძეხვი წავიღეთ. თუნუქის სასმისიკი არ დავივიწყეთ; გარონემ გოგრით თეთრი ღვინო მოიტანა. პატარა პრეკოსსის ბოლჩით პური მოჰქონდა. გრან-მადრე-დი-დიოს ქუჩამდე ეტლით მივედით და იქიდგან-კი ფეხით მალე ქალაქს გავცილდით. გარს ყველაფერი ამწვანებულიყო, ჩრდილი იდგა და გრილი სიო ჰქროდა. ბალჩაში ვგორაობდით, წყაროს წყლით პირი-სახეს ვიგრილებდით, ბუჩქებზედ ვხტოდით. კორეტტი-მამა უკან ჩამოგვრჩა: ხალათი გაიხადა, მხარზედ გადაიგდო და ნელ-ნელა მოდიოდა ჩიბუხის წევით; ხანდახან-კი გვტუქსავდა, ნუ სცელქობთ, შარვლებს გაუფრთხილდითო. პრეკოსსი უსტვენდა. არასოდეს არ გამეგონა მისი სტვენა. კორეტტი მთელს გზას ხან რას აკეთებდა და ხან რასა. ყოჩაღია, ყველაფრის გაკეთება იცის თავისის მრუდე დანით—გორგოლაჭებისა, ორთითეებისა, ჩიბუხის ტარებისა; რაც-კი საგზალი გვქონდა, ყველა-

ფრის ზიდვას ისა კისრულობდა; ოფლში იწურებოდა და მაინც თხასავით მიხტოდა...

დეროსსი ხშირად შედგებოდა ხოლმე და ყოველის ბალახისა, მუმლისა და ქინქლას სახელს გვეუბნებოდა. მიკვირს, ყველაფერი ასე კარგად საიდგან იცის. გარრონე ჩუმად პურსა ჭღეჭავდა; მას შემდეგ, რაც დედა გარდაეცვალა, პურსაც-კი დაღონებული სჭამს, თუმცა-კი ისეთივე კარგი და კეთილია. რომელიმე ჩვენგანი რომ მოიწადინებდა წყლით სავსე არხზედ გადახტომას, გარრონე მეორე მხარეს დადგებოდა ჯ საშველად ხელს უწვდიდა. პრეკოსსის ძროხისა ეშინიან, რადგან ერთხელ პატარაობისას ძროხას კინაღამ ერჩოლა; შეგვხდებოდა თუ არა ძროხა, გარრონე პრეკოსსის წინ ეფარებოდა. სანტა-მარგარიტას მთაზედ ავედით და მეორე მხარეს სირბილითა და გორაობით ჩავედით. პრეკოსსი ჯაგს მოედო და ხალათი დაიხია; შერცხვა, როცა ხალათის ნაგლეჯი ჩამოეკიდა. კიდევ კარგი, რომ გაროფფის ყოველთვის თანა აქვს ქინძისთავი, დახეული ალაგი ისე დაუმაგრა, რომ არა ემჩნეოდა-რა. პრეკოსსი კი სულ იმეორებდა: „უკაცრაოდ, უკაცრაოდაო“...

გაროფფი დროს არა ჰკარგავდა, სალათისათვის ბალახებს, ლოკოკინასა და ბრეყვიალა ქვებს აგროვებდა და ჯიბეებს იტენავდა: ვინ იცის იქნება იმ ქვებში ოქრო-ვერცხლიც იყოსო. კვლავ სირბილ-გორაობა დავიწყეთ, ჩრდილსა და მზეზედ დავხტოდით, ვიდრე ისე არ დავიქანცენით, რომ სულს

ძლივსა-ღა ვითქვამდით და საშინელის ქშენით მა-ღალს ფერდობზედ მოვიკრიფენით დასასვენებლად. აქედგან ალპის უშველებელ ლურჯ მთის თეთრი მწვერვალები მოსჩანდა... საშინლად მოგვშივდა; პური ბლომად გავათავეთ.

კორეტტი-მამა სჭრიდა ძეხვს და გოგრის ფოთ-ლებით გვირიგებდა. ვლაპარაკობდით გამოცდისა, მასწავლებლებისა და იმ ამხანაგების შესახებ, რო-მელნიც ჩვენთან ვერ წამოვიდნენ. პრეკოსსი სირ-ცხვილისაგან ვერა სჭამდა. გარრონე ძალად აჭმევდა თავისს წილ საჭმელსაც. კორეტტის ფეხები მოეკე-ცა და მამის გვერდით იჯდა. მამა-შვილი ძმებ-სა ჰგავდნენ; ორივენი სახე-წითლები, მხიარუ-ლნი იყვნენ და თეთრი კბილები უჩანდათ. მამა სიამოვნებით გადადიოდა შვილთან ალავერდს და ჩვენს დაულეველს ჭიქებსა სცლიდა.

— ჯერ თქვენა სწავლობთ, გვეუბნებოდა იგი: ღვინო გაწყენთ, ჩვენთვის-კი, მეშეშეებისთვის, სასარ-გებლოა!

ხუმრობით შვილს ცხვირზედ წაავლო ხელი.

— ბავშვებო, გიყვარდეთ ჩემი შვილი, პატიო-სანი ბიჭიაო!

გარონეს გარდა ყველამ გავიცინეთ.

— ერთს-კი ვსწუხვარ, განაგრძო მეშეშემ: თქვენ, ამხანაგები ეხლა ერთადა ხართ და რამდე-ნისამე წლის შემდეგ-კი ვინ იცის ენრიკო და დეროს-სი ერთი ვექილი იყოს, მეორე პროფესორი; ან

კიდევ თქვენ ოთხში ერთი სავაჭრო დუქანს გააღებს, მეორე ხელობას მოჰკიდებს ხელს, აქეთ იქით დაიქსასებით, და ღამე მშვიდობისა ამხანაგობავ!

— რადა? შეეპასუხა დეროსსი: ჩემთვის გარრონე ისევე გარრონედ დარჩება, პრეკოსსი — პრეკოსსად და აგრეთვე სხვანიც, თუნდა ხელმწიფედაც შეეიქმნე! სადაც ესენი იქნებიან, მეც იქ ვიქნები!

— ყოჩაღ! წამოიძახა მეშეშემ და ღვინით სავსე ჭიქა აიღო: აი, ეგ სიტყვა მომეწონა! ხელი მომეცი! გაუმარჯოს ამხანაგობასა და სასწავლებელს! ამ სასწავლებელმა ერთად შეგაკავშირათ ყველანი, ერთს ოჯახად, თვის-ტომიანნიცა და უთვის-ტომონიც!..

ჭიქები ავიღეთ და ერთმანეთს ვაჯახეთ.

— გაუმარჯოს მე-49 რაზმს! წამოიძახა მეშეშემ და უკანასკნელი ჭიქა გამოსცალა. გახსოვდეთ, ბავშვებო, რომ თუ თქვენც მოგიხდათ რაზმში ყოფნა და სიცხე დაგადგათ, ჩვენსავით გულ-მტკიცენი იყავით.

უკვე დაგვიანებული იყო; სიმღერით დავეშვით მთიდგან ხელი-ხელს ჩაკიდებულნი. ბინდდებოდა, რომ მდინარე პოსთან მივედით; ჰაერი ციცინათელებით იყო სავსე.

სტატუტოს მოედანზედ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ და პირობა დავდეთ, რომ კვირას ყველანი წავსულიყავით ვიქტორ-ემანუილის თეატრში, სადაც

საღამოს სკოლის მოსწავლეებისათვის საჩუქრები უნდა დაერიგებინათ. საუცხოვო დღეა. მხიარული მივიდოდი შინ, მაგრამ ჩემი ნამასწავლებლარი-ქალი შემხვდა. ჩვენის სახლის კიბიდგან ჩამოდიოდა; მიცნო, ხელები დამიჭირა და მითხრა:

— მშვიდობით, ენრიკო, ნუ დამივიწყებ, გამიხსენე ხოლმე.

მასწავლებელი ტიროდა. დედას ვუთხარი, რომ მასწავლებელი ვნახე-მეთქი.

— ჰო! მითხრა დედამ: საბრალომ ძლივს გაბედა, რომ სამსახურს თავი დაანებოს და დაწვეს, იწამლოს... საწყალი ძალიან ავად არის!

დედაჩემიცა ტიროდა.

23-ი. კვირა.

წავედით პირობისამებრ ერთად ვიქტორ-ემანუილის თეატრში. თეატრი ისევე მორთული იყო და ხალხით სავსე, როგორც 14 მარტს. მომეტებული ნაწილი მუშა-ხალხი მოსულიყო. დარბაზში გალობის სასწავლებლის მოსწავლე ქალები და ვაჟები ისხდნენ. მოსწავლეებმა მშვენიერი საგალობელი იმღერეს ყირიმის ომში გარდაცვალებულ იტალიელთა პატივსაცემლად. ამ საგალობელს ხალხი დიდის ტაშის ცემით მიეგება და გაამეორებინეს კიდეც. დასაჩუქრებულს მოსწავლეებს წიგნებსა, მედალებს და შემნახველ-გამსესხებელ კასსის წიგნაკებს ური-

გებდნენ. დარბაზის ერთს კუთხეში ჩვენი პაწია „კალატოზი“ დავინახე. თავისის ედდის გვერდით იჯდა. იმის მეორე მხარეს ჩვენის სასწავლებლის უფროსი იჯდა, ხოლო იმის ზურგს უკან-კი მეორე კლასის მასწავლებლის ქერა თავი მოჩანდა. პირველად გაიარეს „საღამოს“ ხატვის სასწავლებლის მოსწავლეებმა, რომელთ შორის ბევრნი იყვნენ ოქრომჭედლები, ფურგლები, კალატოზები და მესტამბეები; იმათ საკომერციო სასწავლებლის მოსწავლეები მოჰყვნენ. სამუსიკო ლიცეის მოსწავლეთა შორის ბევრი მორთულ-მოკაზმული მუშა-ქალი ერია. ამათ საზოგადოებამ ტაში დაუკრა. შემდეგ დაურიგეს „საღამოს“ პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოსწავლეთ ჯილდოები. ესენი ყოველ გვარ ხელობისა და წლოვანებისანი იყვნენ, სხვა-და-სხვა ნაირად ჩაცმულნი: ჭაღარა-მორეულნი მოხუცნი, ბავშვები, წვერულვაშ შემოსილი მუშები. ბავშვები თამამად იყვნენ, დიდრონები-კი როგორლაც შეშფოთებულნი გამოიცქირებოდნენ. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება პაწიებსაცა და ხანში შესულებსაც, სიცილით-კი არავინ იცინოდა, როგორც გაზაფხულზედ იყო ჩვენის დღესასწაულის დროს... ყველანი ყურადღებით და დაფიქრებულნი იყვნენ; ბევრის დაჯილდოებულის ცოლ-შვილი დარბაზში ისხდნენ. როდესაც სცენაზედ რომელისამე მამა გამოჩნდებოდა, დარბაზიდგან შვილები სახელს ეძახდნენ და ხელს მხიარულად იმისაკენ იშვერდნენ. გაიარეს გლეხებმა, მუშებმა,

ბუონკომპანიის სასწავლებლის მოსწავლეებმა; მამი-ჩემის ნაცნობმაც გაირა, ქუჩაში წაღების მწმენდავმა, რომელიც ციტადელის სასწავლებელში სწავლობდა ⁄ რომელმაც ეხლა მოწმობა მიიღო. იმას მოსდევდა მუ-შა-კაცი, გოლიათის ტანისა; დავაცქერდი—ჩვენის პა-წია კალატოზის მამა იყო! მეორე ჯილდო იმან მიიღო. გამახსენდა საჩეხში ავადმყოფ შვილის საწოლთან რომ ვნახე და ანტონიოს გადავხედე... იგი ბრწყინვალე თვალებს მამას არ აშორებდა და რაც შეეძლო, იჯ-ღანებოდა, რომ ცრემლები შევიმაგროო. საჩუქრის მისაღებადვე გავიდა პატარა ბუხრების მწმენდავი, პირ-დაბანილი, მაგრამ იმავე სამუშაო ხალათით. მოუ-რავმა ხელი მოჰკიდა ⁄ ლაპარაკი დაუწყო. შემდეგ რაი-ნერის სასწავლებლის მოსწავლე მზარეული და იატაკე-ბის მწმენდავი მივიდნენ... არ ვიცი რა მქონდა გულში, რა მაღელვებდა,—მგონი რაღაცა ძლიერი სიყვარული ⁄ დიდი ნუგეში. რა ბედენა იყო ეს ჯილდოება ამ მშრო-მელთათვის, ოჯახის მამებისათვის, რომელნიც მუდმივს ზრუნვაში იყვნენ. იმათს დაუსრულებელს მოქანცუ-ლობას ეს შრომაც ემატებოდა; ისეც მცირე ძილის დროს ეს ხანიც აკლდებოდა; სწავლას შეუჩვევარს გო-ნებას ძალა უნდა დაეტანებინა თავისის თავისათვის, უნდა წვალებით ეწერა მუშაობაში დაბებრებულსა და დაბერებულს ხელებს... სამქედლურის პატარა შეგირ-დისათვის მამას საამდღეოდ თავისი ხალათი ჩაეცმია და სახელოები ისეთი გრძელი ჰქონდა, რომ ჯილ-დოს გამოსართმევად იძულებული იყო გადაეკეცა; ვილა-

ცას გაეცინა, მაგრამ ეს სიცილი ტაშის ცემის ხმამ დაჰფარა. გაიარა ჭალარა-წვერიანმა მელოტმა მოხუცმა, იმას მიჰყვნენ არტილერიის ჯარის-კაცნი, საქალაქო და სასაზღვრო რაზმის ჯარის-კაცნი; ესენი საღამოობით ჩვენს სასწავლებელში დადიოდნენ. ჯილდოების დარიგება გათავდა; მგალობელთა გუნდმა კვლავ ყირიმის საგალობელი სთქვა, მერე ისე ძლიერად, ისეთის გრძნობით, რომ საზოგადოება ტაშს-კი აღარ უკრავდა, კი აღარ ხმაურობდა, არამედ აღელვებული თეატრიდგან ნელ-ნელა გამოდიოდა. ქუჩა ხალხით გაივსო. გასავალ კარებთან ბუხრის მწმენდავი თავისს ჯილდოს ვიღაც ბატონებს აჩვენებდა, რომელნიც ალერსიანად ელაპარაკებოდნენ. ხელოსნების შეგირდები, ჯარის-კაცნი, მასწავლებლები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ და სალამს აძლევდნენ. ჩვენი მეორე კლასის ნამასწავლებლარი მიდიოდა და თან არტილერიის ორს ჯარის-კაცს ებაასებოდა. დიდ-ძალი დედაკაცეკი იყვნენ. მუშათა მთელს ოჯახობას იქ მოეყარა თავი. ბავშვებს მამების ჯილდოები მიჰქონდათ და თავ-მომწონედ აჩვენებდნენ გამვლელ-გამოვლელს...

27-ი. სამშაბათი

ჩვენ ჯილდოების დარიგებაზედ ვიყავით და ჩემი მასწავლებელი-ქალი კი შუადღისას ორს საათზედ გარდაცვლილიყო. სულ ერთი კვირა-ღა იცოცხლა

დედიჩემის ნახვის შემდეგ. სასწავლებლის უფროსმა ეს ამბავი გუშინ გამოგვიცხადა:

— იმისმა მოსწავლედ ნამყოფებმა იციანო, სთქვა უფროსმა: რა კეთილი და დედასავით მოყვარული იყო თავისის მოსწავლეებისა. ის აღარ არის. დიდი ხანია სენი ნელ-ნელა უსპობდა სიცოცხლეს. მაგრამ ლუკმის მოსაპოვებლად შრომას რომ არა ყოფილიყო იძულებული, შეეძლო ეწამლა და, იქნება, განკურნებულიყო კიდეც; რამდენსამე თვეს მაინც გასძლებდა კიდევ, სამსახურს რომ დასთხოვებოდა მცირეოდენის ხნით. მაგრამ არ ინდომა, უკანასკნელ დღემდე ბავშვებთან ყოფნა ამჯობინა. შაბათს საღამოს, 17-ს, იგრძნო უკანასკნელის დღის მოახლოვება, მოსწავლეებს გამოეთხოვა, დაჰკოცნა, დაარიგა და თვალ-ცრემლიანი წავიდა. ნუ დაივიწყებთ, გახსოვდეთ...

პრეკოსსიმ ტირილი დაიწყო; პირველს კლასში იმ განსვენებულთანა სწავლობდა. გუშინ საღამოს ყველანი წავედით მიცვალებულის ეკკლესიაში გასასვენებლად. ქუჩაში უკვე ცხენებ-შებმული სამგლოვიარო ეტლი იდგა; ეიშკართან დიდ-ძალი ხალხი იყო; ნელის ხმით ლაპარაკობდნენ. სასწავლებლის უფროსს, ჩვენისა და სხვა სასწავლებლების ყველა მასწავლებლებს, ქალთა და კაცთ, ყველა იმის მოსწავლეებად ნამყოფთ, იმათს მშობლებს ანთებული სანთლები ეჭირათ. ბარეტტის სასწავლებლის მოსწავლეებს ყვავილის გვირგვინები და ვარდის კო-

ნები მოეტანათ. სამგლოვიარო ეტლი უკვე სავსე იყო გვირგვინებით, რომელთა შორის ერია ერთი დიდი იასამანის გვირგვინი შემდეგის წარწერით: „ჩვენს აღმზრდელსა და მასწავლებელს. მეოთხე კლასის მოსწავლეებად ნამყოფთაგან“.

დიდ გვირგვინ ქვეშ იმის წრეანდელ მოსწავლეების პატარა გვირგვინი იდო. ხალხში სანთლებით ხელში მოსამსახურე დედაკაცებიც ერივნენ (ბატონებს გამოეგზავნათ). ერთს მდიდარს თავადს, მოსწავლის მამას, ეტლი გამოეგზავნა, რომელსაც შიგნიდგან შავის აბრეშუმის ნაქსოვი ჰქონდა გაკრული. კარებთან ხალხი ირეოდა. ბევრიყმაწვილი ქალი ტიროდა. დიდხანს ველოდდით ხმა-გაკმენდილები. ბოლოს გამოასვენეს კუბო და ეტლზედ შედგეს; ბავშვებმაც ტირილი დაიწყეს; ერთი ისე აღრიალდა, თითქოს ახლა მიჰხვდა მასწავლებელ-ქალის სიკვდილსაო,—რომ ქვითინისაგან ცახცახი დააწყებინა და იძულებულნი იყვნენ სახლში წაეყვანათ. ხალხი დალაგდა და ნელის ნაბიჯით გზას გაუდგა. წინ მწვანე კაბიანი საბებიო სასწავლებლის მოსწავლე ქალები მიდიოდნენ, იმათ შემდეგ წმ. მარიამის მონასტრის თეთრკაბიანი მოსწავლე ქალნი, მერე მღვდლები მიჰყვებოდნენ, კუბოს უკან მასწავლებელნი და მოსწავლეები მიდიოდნენ და ბოლოს ხალხი. ფანჯრებიდგანა და ჭიშკრებიდგან უყურებდნენ ამ მრავლად თავ-მოყრილს მოსწავლე ბავშვებს და ამბობდნენ: „მასწავლებელი-ქალიაო!“.. ტიროდნენ აგრეთვე ის დედა-

კაცებიც, რომელნიც შვილებს მოსდევდნენ. ეკკლესიასთან კუბო ხელით ასწიეს, ისე შეიტანეს, საკურთხევლის წინ დაასვენეს, გარშემო ყვავილები და გვირგვინები შემოაწყეს და უშველებელს ტაძარში ანთებულის სანთლებით ხალხმა ლოცვა დაიწყო. მღვდელმა სთქვა: ამინ!-ო, ყველამ ერთბაშად სანთლები ჩააქრეს და ეკკლესიიდგან გამოსვლა დაიწყეს. მასწავლებელი მარტო დარჩა! საბრალო, კეთილო, მოთმინებით აღსავსე მუშაკო! რაც რამ წიგნები, სურათები და საწერელ-კალმები ჰქონდა, სულ მოსწავლეებს დაურიგა. სიკვდილის ორის დღის წინად უფროსსა სთხოვა, ჩემს კუბოს დასაფლავების დროს პაწიები არ გამოაყოლოთ, ნუ ატირებთო... ყველას სიკეთე ახსოვდა იმისაგან, იტანჯებოდა და გარდაიცვალა! ეხლა მარტოდ-მარტოა ბნელს ეკკლესიაში!.. მშვიდობით, მშვიდობით, კეთილო, წყნარო, პატიოსანო...

28-ა. ოთხშაბათი.

საბრალოს უნდოდა სამოსწავლო წელიწადი დაებოლოვებინა, მაგრამ სამი დღე აღარ დასცალდა. ზეგ უკანასკნელი გაკვეთილი გვაქვს: მასწავლებელი უკანასკნელს ყოველ-თვიურს მოთხრობას: «გემის დაღუპვა»-ს წაგვიკითხავს და—გათავდა! პირველ ივლისს, შაბათს, გამოცდა დაგვეწყება. ამ წელიწადმაც განვლო, მეოთხე წელიწადია; მასწავლებელი

რომ არ გარდაცვლილიყო, კარგი წელიწადი იქნებოდა. ვცდილობ გავიხსენო, შარშან ოქტომბრის თვეში რამდენი ცოდნა მქონდა-მეთქი; მგონია, რომ ეხლა უფრო მეტი ვიცი და ბევრი რამ ახალი შევიტყე და გავიგე; წერითაცა და სიტყვიერადაც უფრო უკეთ შემიძლიან ჩემის აზრის გამოთქმა; ანგარიში კარგი ვიცი და უცოდინარს უფროსებსაც შემიძლიან დავეხმარო. წინანდელზედ გაცილებით ბევრი მესმის, წაკითხული თითქმის სუყველაფერი მეყურება... ეს-კი სასიამოვნოა. მაგრამ რამდენს ჩამჩიჩინებდნენ, რამდენს მეხმარებოდნენ სასწავლებელში, სახლში, ქუჩაზედ, ყველგან, სადაც-კი რისამე ნახვა და გაგონება შემეძლო, ყველანი და ყოველ მხრივ. ყველას და ყველაფრისათვის მადლობასა ვწირავ! ყოველთ უწინარეს-კი შენ, ყოვლად კეთილო მასწავლებელო; დიდი შრომა და ჯაფა დაგჭირდებოდა ხოლმე, რომ ჩემთვის ახალი რამ ჩაგეგონებინა და შეგესწავლებინა! გმადლობ შენც, ამხანაგო დეროსსი! ხშირად სიამოვნებითა და ხალისით მიხსნიდი გაკვეთილს და გამოცდის დროს მეხმარებოდი. გმადლობ ხასიათ-მტკიცე სტარდი! შენ მიჩვენე მაგალითი და გამაგებინე, რომ თუ ადამიანმა გულით მოინდომა, ყველაფერს შეიძლებსო. გმადლობ პატიოსანო, კეთილო და დიდ-სულოვანო გარრონე! ვინც შენ გაგიცნობს, შენით გაპატიოსნდება! გმადლობთ თქვენც, პრეკოსსი და კორეტტი, მწუხარებაში სიმტკიცისა და შრომაში მოთმინების მაგალითნო.

გმადლობთ ყველა ამხანაგნო! მაგრამ მომეტებულად გმადლობ შენ, მამაჩემო, პირველო დამრიგებელო და მეგობარო! მწვრთნიდი, მასწავლიდი, ჩემთვის შრომობდი, საკუთარს მწუხარებასა ჰფარავდი, რომ ჩემთვის სწავლა გაგეადვილებინა და ცხოვრება უფრო სასიამოვნო შეგექმნა. გმადლობ შენც, ჩემო წყნარო, საყვარელო, წმიდა მფარველო ანგელოზო, ჩემის სიამოვნებით ბედნიერო და ჩემის მარცხით ხშირად გულ-ნაკლულო დედავ! ჩემთან ერთად სწავლობდი, სწუხდი, მიალერსებდი და ნუგეშად ცად ამახედებდი ხოლმე.... ბავშვსავით მუხლ-მოდრეკილი ვარ თქვენს წინაშე, რომელთაც თორმეტის წლის განმავლობაში დიდი თავგანწირულება და სიყვარული მომანდომეთ, ჭ მხურვალის გულით გიძღვნით მადლობას...

ᲒᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲙᲕᲐ.

(უკანასკნელი თთვიური მოთხრობა)

ამ რამდენისამე წლის წინად, დეკემბრის ერთს დილას, ლივერპულის ნავთსადგურიდგან დიდი გემი შეცურდა ზღვაში და გზას გაუდგა. გემზედ ორასი კაცი იყო, მათ შორის სამოც-და-ათი ზღვაოსანი. გემის უფროსი და ზღვაოსნები თითქმის ყველანი ინგლისელები იყვნენ. მგზავრთა შორის მხოლოდ რამდენიმე

იტალიელი იყო: მღვდელი, სამი სხვა ბატონი დ ქუჩა-ქუჩა მოსიარულე მესტვირეთა დასი. გემი მალტაში მიდიოდა. ნისლიანი ტაროსი იდგა.

მესამე კლასში, გემის ცხვირთან, თორმეტის წლის სიცილიელი ბიჭი იყო, ტანით დაბალი წლოვანებასთან შედარებით, მაგრამ ღონიერი, ლამაზი, გამბედავი და სასტიკის სახისა. ბავშვი ყველასაგან მოშორებით იჯდა აფრასთან, დახვეულს თოკზედ, და თავისს ძველს ბოხჩას დაჰყრდომოდა. მეტად შავგრემანი და შავ-ხუჭუჭა-თმიანი იგი ღარიბად იყო ჩაცმული, რაღაცა დახეული წამოსასხამის მსგავსი ჰქონდა წამოსხმული და მხარ-იღლიე ძველი ტყავის აბგა ეკიდა. დაფიქრებული გასცქეროდა ზღვას, ტალღებს, გემს, მგზავრებსა და ზღვაოსნებს, რომლებიც იმის წინ წამ და უწუმ გაირბენდნენ ხოლმე. ეტყობოდა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც რაღაცა უბედურება შემთხვეოდა. სახე ბავშვისა ჰქონდა, მაგრამ გამომეტყველება-კი ვაჟკაცისა. დაიძრა თუ არა გემი სადგურიდგან, მოხუცებულმა იტალიელმა ზღვაოსანმა ამ სიცილიელთან პაწია ქალი მიიყვანა.

— მარიო, აი, გზაში ამხანაგობას ეს გაგიწევსო... და წავიდა.

გოგონაც მოხვეულს თოკზედ ჩამოჯდა. ორივემ შეჰხედეს ერთმანეთს.

— საით? ჰკითხა მარიომ.

— მალტაში, იქიდამ ნეაპოლს, უპასუხა ქალმა და მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა: დედ-მამას-

თან მივდივარ, მიმელიან. ჯულიეტა ფაჯიანი მქვიან.

ბავშვმა არაფერი უთხრა-რა. პატარა ხანს უკან ტყავის აბგიდგან პური და გამხმარი ხილი ამოალაგა; ქალსაცა ჰქონდა გამხმარი პური. ორივენი დანაყრდნენ.

— თავი შეიმაგრეთო! შესძახა გზად მიმავალმა ზღვაოსანმა: საცაა გემი ცეკვას დაიწყებს!

ქარი ძლიერდებოდა და გემი საშინლად ირყეოდა. ბავშვებს ზღვის ავადმყოფობა არა ჰქონდათ და ამ ფრთონას ყურადღებასაც არ აქცევდნენ. გოგონა იცინოდა. წლოვანებით მარიოს ტოლი იყო, მაგრამ ტანით-კი მაღალი, სახე-გამხდარი, თითქოს ავადმყოფობა რამე აქვსო, ჯ შაგვრემანივე; უბრალო, სადა კაბა ეცვა, თმა მოკლედა ჰქონდა შეკრეჭილი, ყურებში ვერცხლის საყურეები ეყარა და თავზედ წითელი მოსახვევი ეხვია. სჭამდნენ და თან ლაპარაკობდნენ. ბიჭი დედ-მამით ობოლი იყო. მამა, მუშა კაცი, ამას წინად გარდაეცვალა ლივერპულში. მარტოდ-მარტო დარჩა. იტალიის ელჩმა სამშობლოში გაამგზავრა, პალერმოს, სადაც შორეული ნათესავები ჰყავდა. ქალი შარშან ლონდონში მიეყვანათ ქვრივ დეიდასთან, რომელსაც ძალიან უყვარდა. ღარიბმა დედ-მამამ იმ იმედით გაჰგზავნეს თავისი ქალი, რომ დეიდას უყვარს და იქნება თავისს მემკვიდრედ გახადოსო, მაგრამ ამ რამდენისამე თთვის წინად დეიდა ეტლმა გაიტანა, გარდაიცვალა და დისწულს ერთი ღეღეყულიც არ დაუტოვა. პაწია ქალმაც ელჩს მი-

ჰმართა და იტალიაში გამგზავრება სთხოვა; ელჩმა ორივენი ერთსა და იმავე იტალიელს გემის უფროსს ჩააბარა.

— ჩემს დედ-მამას იმედი აქვთ, რომ მდიდარი, შეძლებული მივდივარ, დააბოლოვა თავისი ამბავი ჯულიეტამ: მე-კი ისევ ისეთივე ღარიბი ვარ. მაგრამ სულ ერთია, ჩემს მშობლებსა და ძმებს უფულოდაც ვუყვარვარ; ოთხი ძმა მყავს, ოთხივენი პაწიანი! ყველაზედ უფროსი მე ვარ! პატარებს მე ვუვლი—ვაცმევ, ვაბანავებ, ვვარცხნი. იმათ ესიამოვნებათ ჩემი ნახვა! სახლში ჩუმად, ჩუმად შევიპარები... რა ცუდი ზღვაა...

ქალი მცირეოდენს ხანს გაჩუმდა და შემდეგ ჰკითხა:

— შენც მშობლებთან მიემგზავრები?

— ჰო... თუ მიმიღეს.

— განა არ უყვარხართ?

— არ ვიცი.

— საშობაოდ ცამეტის წლისა შევსრულდები,— დააბოლოვა ლაპარაკი ქალმ.

დაიწყეს ლაპარაკი ზღვისა და იმის შესახებ, რაც გარს ეხვიათ. მთელი დღე განუშორებლივ ერთად იყვნენ. მგზავრებს ეგონათ, და-ძმანი არიანო. ქალმა წინდის ქსოვა დაიწყო, ბიჭი-კი ჩაფიქრდა. საღამოზედ ზღვა უფრო აღელვდა. მგზავრები დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

— ღამე მშვიდობისა! უთხრა ქალმა მარიოს.

— მშვიდად ვერავინ დაიძინებს, საბრალო ბავშვებო,—გზად წაილაპარაკა იტალიელმა ზღვაოსანმა.

მარიოს უნდოდა „ძილი ნებისა!"-ო ეთქვა თავისის ამხანაგისთვის, მაგრამ უცბად ზღვის ტალღა ამოვარდა ბაქანზედ, მარიოს ფეხები გამოაცალა და სკამს მიახეთქა.

— ღმერთო შემიწყალე, სისხლი, სისხლი სდის! დაიყვირა ქალმა და ბიჭს მივარდა.

მგზავრები ქვემოდ გარბოდნენ, სენაკებში, და ქალის ყვირილს ყურიც არ ათხოვეს. ქალმა გულშემოყრილ მარიოს გვერდით დაიჩოქა, შუბლიდგან სისხლი მოსწმინდა, წითელი ხელსახოცი შემოიხსნა და თავი შეუხვია. ამ დროს მისი თავი გულზედ მიიყრდნო და ყვითელს კაბაზედ სისხლი დაეჩნდა. მარიო გონს მოვიდა და წამოიწია.

— კარგადა ხარ? ჰკითხა ჯულიეტამ.

— ჰო... გამიარა.

— ღამე მშვიდობისა, უთხრა ბავშვმა.

— ძილი ნებისა, უპასუხა მარიომ.

ბავშვები სხვა-და-სხვა სენაკში ჩავიდნენ.

ზღვაოსანმა მართალი იწინასწარმეტყველა. ბავშვებს ჯერ არ დასძინებოდათ, რომ ზღვამ საშინელი ფრთონა დაიწყო.

გააფთრებულმა ტალღებმა გემს ერთს წუთს ანძა მოსტეხა, სამი პაწია ნავი, გემის ნაპირას ჩა-

მოკიდებული, მოჰგლიჯა და გემის ბაქანზედ ოთხი ძროხა დაარჩო. გაისმა შიშის ზარი, კვნესა, დრტვინვა, არეულობა და ლოცვა-ვედრება. ქარიშხალი მთელს ღამეს ფორიაქობდა და განთიადისას უფრო გაძლიერდა... უშველებელი ტალღები აწყდებოდა გემის გვერდებს, ბაქანზედ გადადიოდა და რაც-კი მოხვდებოდა, ამტვრევდა, ჰხევდა, ჰლეწდა, ზღვას ნამტვრევებით ავსებდა. წყალმა ორთქლის მანქანის სახურავი ჩაამტვრია, შიგ შევარდა ტ ცეცხლი ჩააქრო. მემანქანენი გაიქცნენ. ყოველ მხრივ აბობოქრებული ტალღა მოდიოდა. გაისმა გემის უფროსის მკაცრი ხმა:

— წყალი გადაასხით გემიდგან!

ზღვაოსნები საქმეს შეუდგნენ. ახალმა ტალღამ გემის ნაპირი შეანგრია და გემში წყალი ხრიალით შევარდა. მოგზაურნი საზოგადო დარბაზში მოგროვდნენ.

— ბ-ნო უფროსო, ბ-ნო უფროსო! დაიძახეს ერთ-ხმად, დაინახეს თუ არა გემის უფროსი: ეს რა ამბავია? რა ხდება? იმედია რამე?.. გვიშველეთ!...

გემის უფროსი მდუმარედ უგდებდა ყურს, ვიდრე დაჩუმდებოდნენ, და შემდეგ გულ-ცივად უპასუხა:

— დავმორჩილდეთ.

— უფალო, შემიწყალე! შეჰკივლა ერთმა დედაკაცმა.

სხვანი შიშისაგან თავს ზარ-დაცემულნი პირგამშრალნი იდგნენ და კრინტი ვერ დაეძრათ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გაფითრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ქარიშხალი ჰღმუოდა და გემს აქეთ-იქით ახეთქებდა. უფროსმა უბრძანა, თავ-სახსნელი ნავი ჩაუშვითო ზღვაში. ნავში ხუთი ზღვაოსანი ჩავიდა, მაგრამ ნავი ტალღამ გადმოაბრუნა; ორი ზღვაოსანი დაირჩო, მათ შორის ერთი მოხუცი იტალიელი,—დანარჩენნი თოკებს მოეპიდნენ და ისევ გემზედ აცოცდნენ. ეხლა-კი თვით ზღვაოსნებმაც გადიწყვიტეს იმედი. ორი საათიც და გემს სრულიად ჩასძირავდა. ბაქანზედ საშინელი უბედურება იდგა. დედები თავისს პაწია შვილებს სასოწარკვეთილებით იკრავდნენ გულში; მეგობრები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ეთხოვებოდნენ. ზოგიერთნი ქვემო სენაკებში ჩადიოდნენ,—ისე მაინც დავიხოცნეთ, რომ ზღვა არ დავინახოთო. ერთმა მგზავრმა სენაკის კიბეზედ დამბაჩით თავი მოიკლა. უბედურები თოკებით ერთმანეთს ებმეოდნენ და მღვდლის წინაშე მუხლ-მოდრეკილნი ეცემოდნენ. ქალები ბნედიანსავით ცახცახებდნენ და კანკალებდნენ. ირგვლივ ქვითინი, ბავშვების ჩხავილი და საშინელი ღრიანცელი ისმოდა. ზოგიერთნი გახევებულნი იდგნენ, თითქოს უსულოდ გაშეშებულანო, ცნობა-მიღებულსავით თვალები დაეტყიტათ და ვერასა ჰხედავდნენ. ჯულიეტა და მარიო ანძასთან მიჰკვროდნენ ერთმანეთს და უაზროდ, უგრძნობოდ გაჰყურებდნენ ზღვას. ამასობაში ზღვა ცოტ-ცოტა დაწყნარდა, მაგრამ გემი მაინც ძირს მიდიოდა;

თხუთხმეტის წამის არსებობაც აღარ შეეძლო.

— ნავი ჩაუშვითო! უბრძანა უფროსმა.

უკანასკნელი ნავი ჩაუშვეს და თოთხმეტი ზღვაოსანი და სამი მგზავრი ჩავიდნენ. უფროსი გემზედვე დარჩა.

— ჩვენთან ჩამოდით! უყვიროდნენ ქვემოდგან ზღვაოსნები.

— მე აქვე, ჩემს ადგილზედ მოვკვდები! უპასუხა უფროსმა.

— გემი შეგვხვდება... ყველას გადავარჩენთ! სთხოვდნენ ზღვაოსნები: ჩამოდით! დაიღუპებით!

— არა, აქ დავრჩები.

— ადგილი კიდევ არის! ჰყვიროდნენ ზღვაოსნები: დედაკაცი მოგვაწოდეთ.

უფროსის ჯ მივიდა გემის ნაპირთან, გადახედა გემსა და ნავს შუა მანძილს, შეეშინდა, გადახტომა ვერ გაბედა და ბაქანზედ დაეცა. სხვა ქალებმა ვერა გაიგეს-რა, თითქმის ყველანი ცნობა-მიღებულნი იყვნენ და მომაკვდავთ დამგზავსებოდნენ.

— ბავშვი მოგვაწოდეთ! დაიყვირეს ზღვაოსნებმა.

ამ წუთამდე სიცილიელი ბიჭი და მისი ამხანაგი ქალი არ იძროდნენ და ცნობა-დაკარგულნი იდგნენ; სიცოცხლის იმედმა ორივენი გამოაფხიზლა; ისინი უცბად გაშორდნენ ანძას ჯ სირბილით, რომლის დროსაც ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, გაცოფებულ მხეცებსავით გამწარებულნი მივიდნენ ბაქანის ნაპირას.

— მე!.. მე!..

— რომელიც პატარაა, ის გადმოაგდეთო! ყვიროდნენ ზღვაოსნები: ნავი ისეც დამძიმდა! პაწია მოგვეცით.

ქალმა ხელები ჩამოუშვა მეხ-დაცემულსავით და მარიოს შეეხედა. მარიოც ქალს დააცქერდა... გვერდზედ სისხლის ხალი უჩანდა... უცბად სახე ღვთიურის სხივით გაუბრწყინდა.

— მალე! რომელიც პატარაა! განიმეორეს ზღვაოსნებმა: ეხლავე დავიძვრებით!

— ეს სუბუქია! დაიყვირა მარიომ უცნაურის ხმით: წადი, ჯულიო, შენ დედ-მამა გელის და მე-კი არავინა მყავს! წადი!

— გადმოაგდე! დაუყვირეს ზღვაოსნებმა.

მარიომ სტაცა ხელი ქალს და წყალში გადაგდო. ქალმა შეჰკივლა და წყალში ჩაიკურკუმელავა. ერთი ზღვაოსანთაგანი ხელითა სწვდა და ნავში ჩასვა.

მარიო გემის ნაპირას იდგა თავ-აწეული. ნავი დაიძრა და ძლივს გადარჩა მორევს, რომელიც თანდათან ძირს მიმავალ გემის ახლოს ტრიალებდა; კინალამ გადაუბრუნდათ ნავი. ქალი მხოლოდ ეხლა მოვიდა გონს, დაიკვნესა და ხელები გემისაკენ გაიწოდა.

— მარიო, მშვიდობით! მშვიდობით, მშვიდობით, მარიო!

— მშვიდობითო! უპასუხა ბავშვმა და ხელები ცისაკენ აღაპყრო.

ნავი აფორიაქებულ ზღვის ტალღებზედ მიცურავდა და ზემოდგან შავი ღრუბელი დაჰყურებდა. გემზედ აღარ ისმოდა აღარც კვნესა და აღარც ყვირილი. ბაქანს უკვე წყალი ჰფარავდა.

ბავშვი მუხლებზედ დაეცა, გულს ხელი დაიკრიბა და ცას შეჰყურებდა...

ქალმა თვალებზედ ხელი მიიფარა...

როცა თავი აიწია და მოიხედა—გემი აღარსად იყო.

დედიჩემის უკანასკნელი წერილი.

1-ი. შაბათი.

წელიწადი გათავდა, ენრიკო. უკანასკნელის სწავლის დღის მოსაგონებლად დაგრჩება მშვენიერი ამბავი თავ-განწირულებისა, სხვისათვის სიცოცხლის გამომეტებისა... მალე გამოეთხოვები მასწავლებლებსა და ამხანაგებს და მე-კი სამწუხარო ამბავი უნდა შეგატყობინო! სამის თვით-კი არა, სამუდამოდ უნდა დაშორდეთ ერთმანეთს. საქმეებისა გამო მამაშენი შემოდგომაზედ ტურინიდგან მიდის; ჩვენც ყველანი წავალთ და შენ სხვა სასწავლებელში შეხვალ. გეწყინა?.. გენანება განა ძველი სასწავლებელი, სადაც ოთხს წელიწადსა ჰმუშაობდი, მეგობრები იშო-

ვე, სადაც შენი ჭკუა განვითარდა, სადაც ყოველი სიტყვა შენდა საკეთილოდ ითქმოდა და სადაც არ იცოდი დარდი რა იყო... ყოველთვის გიყვარდეს შენი ძველი სასწავლებელი. ამხანაგებს გულ-მხურვალედ გამოეთხოვე! ვინ იცის, რა მოელით! შეიძლება დაობლდნენ, ნორჩებივე დაიხოცნენ, ან ბრძოლის ველზედ გამოეთხოვნენ სიცოცხლეს ჯ ან პატიოსანნი მუშაკნი და ოჯახის მამები გახდნენ! ვინ იცის, იქნება რომელსამე მათგანს სამშობლოს სასარგებლო ღვაწლის გაწევის ბედნიერებაცა ჰხვდეს წილად; იქნება რომელისამე მათგანის სახელი დიდებით შეიმოსოს. დაუტოვე შენი სიყვარული იმ ოჯახს, რომელშიაც ბავშვი შეხვედი და რომელსაც ჭაბუკადა სტოვებ: ჩვენ, შენს მშობლებს, გვიყვარს იგი იმიტომ, რომ იმას შენ უყვარდი. ძლივს ტიკტიკებდი, როცა შენი თავი წამართო სასწავლებელმა-დედამ ჯ ეხლა გაზრდილს, ღონიერს, კეთილს და ბეჯითს ჭაბუკს მიბრუნებს. ვაკურთხებ და ვლოცავ სასწავლებელს... შენც ნუ დაივიწყებ, ენრიკო. მაგრამ დავიწყებაც-კი შეუძლებელია! გავა დრო, წელიწადები, ქვეყანას ჰნახავ, დაათვალიერებ ქალაქებს, ხელოვნების ძეგლებს, მშვენიერს შენობებს, მაგრამ იმათ უფრო ადვილად დაივიწყებ, ვიდრე უბრალო თეთრს სახლს, სადა ბაღს, სადაც განიფურჩქნა პირველი ყვავილი შენის გონებისა; ვერ დაივიწყებ, ვიდრე ცოცხალი ხარ, ისევე, როგორც მე

არ დამავიწყდება არასოდეს შენი პირველი ხმა შენ დაბადებისათანავე გაგონილი.

4-ი. სამშაბათი.

გამოცდა დაგვეწყო. სასწავლებლის ირგვლივ, ქუჩაზედაც-კი, მოსწავლეებსა, მშობლებსა და თვით უფროსებს შორისაც მხოლოდ ეს-ღაა სალაპარაკო: გამოცდის ავ-კარგიანობის აღმნიშვნელი ნიშნები, საგანი, ამიცანები,—ვინ გამორიცხეს, ვინ გადაიყვანეს. გუშინ თხზულების გამოცდა გვქონდა; დღეს—არითმეტიკისა გვაქვს.

შვილებს მამები თან დასდევენ და არიგებენ, რჩევას აძლევენ; დედები ხომ კლასშიაც შემოდიან, საწერელს სინჯავენ, მელანი ხომ არ აკლიაო, კალმები კარგები აქვთ შვილებს თუ არაო, და კარებიდგანაც-კი ისევ უკან იხედებიან, ტუტუნებენ: „არ შეკრთე, გულის-ყური თან დაიტანე", და თავის კვრით გადიან. ჩვენს კლასში ასისტენტად კოატია. ბევრი შიშისაგან გაფითრებულია. სამარისებური სიჩუმე სდგას. მასწავლებელმა ქალაქის საბჭოდგან გამოგზავნილი წერილი გახსნა, რომელშიაც ამიცანა იყო; ასისტენტმა კოატიმ ამიცანა გვიკარნახა და თან თავისის საშინელის თვალებით გვათვალიერებდა. ეტყობოდა-კი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ამიცანის გაკეთებასაც იქვე გვასწავლიდა და ყველას შემდეგს კლასში დიდის სიამოვნებით გადაგვიყვან-

და. ძნელი ამიცანა იყო; ბევრი მთელს საათსა წვალობდა და მწუხარედ დაჰყურებდა; ერთმა იტირა კიდეკროსსი თავში მუშტს იცემდა. ხსნაც გვეღირსა: დეროსსი ფაცურობდა, მეზობლებს დიდის მოხერხებით შველოდა, ჩუმად რიცხვებს ეუბნებოდა, ასწავლიდა, როგორ უნდა გაკეთებაო; ყველას ზრუნვაში იყო, თითქოს მასწავლებელიაო. არითმეტიკა გარონემაც კარგად იცის და ვისაც შეეძლო, ისიცა შველოდდა. ნობისსაც-კი უშველა. გაჭირვებაში ნობისი ძალიან კეთილი და ალერსიანი იყო. სტარდი მთელი საათი უძრავად იჯდა, თმაში წაევლო ხელები, ამიცანას დაჰყურებდა, მერე-კი ხუთს წამში გააკეთა. მასწავლებელი სკამებ შუა დადიოდა.

— ნელა, ბატონებო, ნუ აჩქარდებით, დინჯად იყავითო, ამბობდა იგი და თუ დაინახავდა, რომ ვინმე ჩვენთაგანი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, აცინებდა, ლომსავით პირს აღებდა, თითქოს მოსწავლის გადაყლაპვა უნდაო.

თერთმეტს საათზედ ქუჩაში მშობლებმა დაიწყეს ხეტიალი და ფანჯრის ფარდის ქვემოდგან იცქირებოდნენ. პრეკოსსის მამამ შემჭვარტლულის ლურჯის ხალათით პირდაპირ სამჭედლურიდგან მოირბინა. კროსსის მემწვანილე დედაც მოვიდა. ნელის დედა, შავ-ყაბით, მოუსვენრად იყო და ერთს ადგილას ვერ გაჩერებულიყო. მამაჩემიც მოვიდა; იმანაც შემოიხედა. გამოცდა შუადღისას გავათავეთ. წარმოდგენასა ჰგავდა იქაურობა, როცა გამოვდიოდით

ბავშვებს ჰკითხავდნენ, რვეულებსა ჰფურცლავდნენ, ბავშვების ნაწერს ერთმანეთს ადარებდნენ.

— რამდენი არითმეტიკული მოქმედებაა? ჯამი რამდენია? როგორ გააკეთე? როგორ აძლევდი პასუხს?

ყოველ მხრიდგან მასწავლებელს ეძახდნენ. მამამ რვეული გამომართვა, დახედა და მითხრა.

— ძალიან კარგია!

ჩვენს გვერდით მჭედელი პრეკოსიც შვილის რვეულს ათვალიერებდა, ვერა გაეგო-რა და სწუხდა. ბოლოს მამაჩემსა ჰკითხა:

— ნება მიბოძეთ შევიტყო, ჯამი რა გამოსულა?

მამამ ჯამი დაუსახელა. მჭედელმა კვლავ შვილის რვეულს დაჰხედა და ჰფიქრობდა.

— ყოჩაღ, პაწიავ! წამოიძახა უცბად.

მეგობრულად და მხიარულად გადმოხედა მამაჩემს და მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— ზეპირ გამოცდამდის.

— დიაღ, მანამდის!

გავშორდით ერთმანეთს!.. წკრიალა ხმამ მეცა და მამაჩემიც უკან მიგვახედა: მჭედელს ღილინი დაეწყო.

დღეს სიტყვიერი გამოცდა გვქონდა. რვა საათზედ შევიკრიბენით; ოთხ-ოთხს ერთად მეორე ოთახში გაგვიყვანდნენ ხოლმე, სადაც დიდ მაგიდასთან ჩვენი უფროსი და ერთი ჩვენი და სამი სხვა მასწავლებელი ისხდნენ... პირველთ შორის მეც გამიხმეს! დღეს ნამდვილად შეიძლებოდა დარწმუნება, რამდენად ვუყვარდით ჩვენს მასწავლებელს. სხვანი რომ ჰკითხავდნენ, ის მოსწავლეს თვალს არ აშორებდა; როდესაც გაუბედავად უპასუხებდა მოსწავლე, ისა ჰშფოთავდა, თუ კარგად აძლევდა პასუხს, იგი მხიარული იყო და თავითა და ხელით ანიშნებდა, თითქოს ეუბნებაო: „აგრე... აგრე... ნუ სჩქარობ... გაბედვით!“ შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მასწავლებელი მოგვეშველებოდა კიდეც; საკუთარი მამაც-კი ვერ გამოიჩენდა იმდენს ჩვენს ზრუნვას; მინდოდა დამეყვირა და მადლობა გარდამეხადა. როცა განმათავისუფლეს და მითხრეს: „კარგიო“, მასწავლებელს სახე გაუბრწყინდა. კლასში მოვედი და მამაჩემს დავუწყე ლოდინი. მოსწავლეები თითქმის ყველანი ისევ კლასში იყვნენ. გარრონეს გვერდით დავჯექი. მხიარულად არ ვიყავ, პირ-იქით, გამახსენდა, რომ გარრონეს გვერდით უკანასკნელადა ვზივარ-მეთქი; იმისთვის კი ჯერ არ მეთქვა, რომ შემოდგომაზედ ტურინიდგან მივდიოდით. გარრონე თავჩაღუნული იჯდა და თავისის მამის ფოტოგრაფიულ

სურათის გარშემო ჩარჩოს ჰხატავდა... გარრონეს მამა მემანქანეა, მაღალის ტანისა, სრული, დინჯისა და დაფიქრებულის, შვილსავით პატიოსანის სახისა. გარრონე სურათისკენ დაიხარა, პერანგი გადაეწია და ჯულზედ ნელლის დედისაგან ნაჩუქარი ჯვარი დაეუნახე... უნდა გავაგებინო, რომ მივდივარ.

— გარრონე-მეთქი, დავიწყე: შემოდგომაზედ მამაჩემი ტურინიდგან სამუდამოდ მიდის.

— შენც მისდევ!

— მეც!

— მაშ მეოთხე კლასში ჩვენთან აღარ იქნები?

— არა, არ ვიქნები.

გარრონე დაჩუმდა და ხატვა განაგრძო; უცებ თავ-აუღებლივ შემეკითხა:

— ამხანაგები გეხსომება?

— ყველანი, მომეტებულად-კი შენ... განა შეუძლიან-კი ვისმე შენი დავიწყება?

გარრონემ ჩუმად, ხმა-ამოუღებლად, თვალ-დაშტერებით შემომხედა და ეს შემოხედვა თქმაზედ უფრო მეტყველი იყო. შემდეგ, თითქო ხატვას კვლავ განაგრძობსო, მარცხენა ხელი გამომიწოდა; ამ ძლიერსა და პატიოსანს ხელს ორივე ხელი ჩავკიდე მაგრად.

საჩქაროდ შემოვიდა სახე-გაწითლებული მასწავლებელი და ნელისა და მხიარულის ხმით გვითხრა:

— ჯერ-ჯერობით ყვალაფერი მშვენივრად მი-

დის... თქვენც ეცადეთ, ჩემო კარგნო... ნუ შეკრთებით.

ჩვენდა გასაცინებლად, ვითომ სიხარულით განგებ წაბოძიკდა და კარებს მოეჭიდა, არ წავიქცეო. სიცილი არ იცოდა, ეს საქციელი მისი გვეუცხოვა და არც ჩვენ გავიცინეთ, მხოლოდ ღიმილი მოგვივიდა. მწარე იყო ეს ბავშვური სასიამოვნო გაცელქება. წუთიერი სიხარული იყო, ჯილდო მთელის წლის მოთმინებისა, უსიამოვნებისა, ავადმყოფის წრეს-გადასულ შრომისა. მხოლოდ ამ წუთიერს სიხარულს მოელოდდა ჩვენგან... ყოველთვის ასეთი იქნება იგი ჩემს მეხსიერებაში, ბევრის, ბევრის წლის შემდეგაც გავიხსენებ ამ დილას ტ ჭალარა თმებს დავუკოცნი.

10-ი. ორშაბათი.

დღეს შუადღისას უკანასკნელად მოვგროვდით სასწავლებელში, რომ შეგვეტყო გამოცდაში ვის გაემარჯვნა და მოწმობანი მიგვეღო შემდეგს კლასში გადასვლისა. ქუჩა, დერეფანი, კლასები კვლავ მშობლებ-ნათესავებით იყო სავსე. ჩვენს კლასში შეიკრიბნენ: გარრონეს მამა, დეროსსის დედა, მჭედელი პრეკოსსი, კორეტტი, ქალბატონი ნელლი, მემწვანილე დედაკაცი, კალატოზი, სტარდის მამა და მრავალნი სხვანი, რომელთაც პირველადა ვხედავდი. კლასში შეკრებილნი ჩურჩულებდნენ, იცინოდნენ

და ლაპარაკობდნენ. მასწავლებლის შემოსვლისათანავე დუმილი ჩამოვარდა. მასწავლებელი თითო-თითოს ეძახდა ნუსხით და უცხადებდა:

— აბატუჩჩი, გადახვედი; არკინი, გადახვედიო, და სხვანი.

ჩვენთაგანნი გადასულიყვნენ კალატოზი, კროსსი. მასწავლებელმა ხმა მაღლა წაიკითხა:

— დეროსსი, ერნესტო, გადახვედი და პირველი ჯილდოც შენ მოგეცემა.

— ვაშა დეროსსი! დაიწყეს მისმა ნაცნობებმა და ნათესავებმა. დეროსსიმ თავის ქერა ხუჭუჭ-თმიანი თავი გაიქნია, ყველას თამამად დაუკრა თავი და გაუღიმა დედას, რომელმაც ხელის ნიშნებით მიულოცა. გაროფფი, გარრონე, კალაბრიელი გადავიდნენ, შემდეგ ზოგიერთნი იმ კლასშივე დარჩნენ; ერთმა იმათგანმა ტირილი დაიწყო, რადგან მამა მუშტით დაემუქრა.

— არა, ბატონო, მოითმინე, წაესარჩლა მასწავლებელი: ყოველთვის მოსწავლე არ არის დამნაშავე; ხშირად უბედურება მოხდება ხოლმე და ეხლაც ისე მოხდა... ნელლი გადავიდა; დედამ მარაოთი კოცნა გამოუგზავნა. სტარდიც გადავიდა, მაგრამ თითქო ვერ გაიგონაო, მუშტები საფეთქლებზედ მიედო და ისე იდგა გარინდებული. უკანასკნელ, გადასულიყო ვოტინიცა, კოხტად მორთული და თმებ-დახუჭუჭებული.

მასწავლებელმა ნუსხის კითხვა გაათავა და წამოდგა.

— ბავშვებო, დღეს უკანასკნელად შეეიკრიბენით; წელიწადი ერთად გავატარეთ და მეგობრებად ვშორდებით ერთმანეთს. ხომ ასეა? ვწუხვარ, რომ გშორდებით.

მცირე ხანს შედგა.

— თუ როდისმე ჩემდა უნებურად მოუთმენლობა და უსამართლობა გამოვიჩინე, ან მეტად სასტიკად მოგექეცით, შემინდეთ.

— არას დროს, არას დროსაო,—შესძახეს მშობლებმა და მრავალმა მოსწავლემ.

— შემინდეთო, განაგრძო მან: და კეთილად მომიგონებდეთ! მომავალს წელიწადს ჩემთან აღარ იქნებით, მაგრამ ერთმანეთს მაინცა ვნახავთ, და მეკი ყოველთვის, ყოველთვის სიამოვნებით მეხსომებით. ნახვამდის, ჩემო კარგნო და საყვარელნო.

მასწავლებელი ჩვენკენ წამოვიდა; გარს შემოვეხვივენით, ზოგი ხელს ართმევდა, ზოგი სკამზედ დგებოდა, ეხვეოდა და ჰყვიროდნენ:

— ნახვამდის, ბატონო მასწავლებელო! გმადლობთ! იცოცხლეთ! ნუ დაგვივიწყებთ!

მასწავლებელი აღელვებული და გულ-აჩვილებული წავიდა. კლასიდგან არეულ-დარეულნი გამოვედით. დერეფანში საშინელი ხმაურობა და მიხლა-მოხლა იყო; მშობლები, ბავშვები, მასწავლებლები—ყველანი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

ახალგაზდა, წითელ-ფრთიანს მასწავლებელ-ქალს კისერზედ ხუთი ბავშვი ჩამოჰკიდებოდა და ოცზედ მეტიც გარს ეხვეოდნენ. „მონაზონისათვის“ თავი მოეხადნათ და თმაში, ტანისამოსის კილოებსა და ჯიბეებში ყვავილებს უმაგრებდნენ. რობერტის სიამოვნებით ულოცავდნენ: დღეს პირველად იყო უყავარჯნოთ. ყოველ მხრიდგან გაისმოდა: სწავლის დაწყებამდე!—ოც ოქტომბრამდე!—ნახვამდის! დღესასწაულებში ვნახავთ ერთმანეთს.

ჩვენც ვეთხოვებოდით! ოჰ, ამ წუთას როგორ ავიწყდება ადამიანს ყოველი წარსული უსიამოვნება! ვოტინი, რომელიც ყოველთვის შურით უყურებდა დერროსის, დღეს თითონვე გადაეხვია პირველად. მეც ვაკოცე პაწია „კალატოზს“, რომელმაც სწორედ ამ დროს, გამოთხოვებისას, თავისებურად „კურდღელსავით“ დაიმანჭა. კეთილო, საყვარელო ანტონიო! პრეკოსსისა და გაროფფესაც გამოვეთხოვე. გაროფფემ გამომიცხადა, რომ უკანასკნელს ლატარიაში შენმა ბილეთმა მოიგოო, და ცალ-მხარეს გაბზარული ქაშანურის პატარა ფინჯანი მომცა. ყველას გამოვეთხოვე. ნელლი გარრონეს ისე გადაჰხვეოდა, რომ ძლივს გააშორეს ერთმანეთს. ყველანი გარს ეხვეოდნენ გარრონეს.

— მშვიდობით, გარრონე, მშვიდობით!

— ნახვამდის!

ამ კეთილს, წმიდა ამხანაგს ხელს ართმევდნენ, ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ.

იმისი მამა ისე ილიმებოდა, თითქოს გაოცებულიაო... უკანასკნელად მე გამოვეთხოვე და როდესაც გადავეხვიე, ცრემლები ვეღარ შევიმაგრე და ქვითინი დავიწყე; გარრონემ თავზედ მაკოცა... ჩემს დედამამასთან მივედი.

— ყველას გამოეთხოვე? მკითხა მამამ.

— ყველას.

— თუ წყენა მიგიყენებია ვისთვისმე, წადი და ბოდიში მოსთხოვე. გიწყენინებია ვისთვისმე?

— არავისათვის.

— მაშ... მშვიდობით! აღელვებულის ხმით სთქვა მამაჩემმა და ერთხელ კიდევ შეჰხედა სასწავლებელს.

— მშვიდობით! განიმეორა დედამ...

მე ხმის ამოღება ვერ შევიძელ...